

# მუსიკა

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი №2-3 2009





# 30 30



ମୁଖ୍ୟ କ୍ଷେତ୍ରପାତ୍ରଙ୍କାଳୀନ ସାହିତ୍ୟବିଜ୍ଞାନର  
ଅଭିଭାବକାରୀତିଥିରେ ଏହାର  
,,ଅଭିଭାବକ”



# ს ა რ ჩ ე ბ ი

<b>გამოხვევება</b>	
ნოდარ ანდლულაძე, გიგა ლორთქიფანიძე, ლია სტურუა, თამაზ ჭილაძე, ნინო ზაალიშვილი ..... 4	
<b>ლეგის გადასახელიდან</b>	
<b>რუსულან ქუთათელაძე</b>	
საყვაველთაო სიყვარული მრავალუამიერ! .... 6	
<b>ოპერა</b>	
<b>ზურაბ ოკაშვილი</b>	
პრემიერიდან პრემიერამდე..... 10	
<b>სტურალ სამოგლოვი</b>	
<b>თამარ თავშავაძე</b>	
ელისო ბოლქვაძე: „საქართველო მსოფლიომ თავისი კულტურით უნდა გაიცნოს!“..... 14	
<b>სტუდენტები გთავაზღიულებები</b>	
<b>თამარ მიქაძე</b>	
ახალი სფერო, ახალი ფორმები — ფესტივალი „Art-გენი“..... 20	
<b>საკონცერტო მიმოხილვა</b>	
<b>გულბათ ტორაძე</b> — შემოდგომის მუსიკალური ჭირნახული ..... 25	
<b>ფასტივალის ურცელი</b>	
<b>მზია ჯაფარიძე</b> — ფიქრები ერთი კონცერტის შემდეგ ..... 29	
<b>ფასტივალი</b>	
<b>თეა ბათქაძე</b> — კამერული საშემსრულებლო ხელოვნების პრობლემები ფესტივალის შუქჩე ..... 32	
<b>გახსენება</b>	
<b>მარინა ქავთარაძე</b>	
„მწვანე იონჯა მოვა. გასხივოსნდებით“..... 35	
<b>ლიანა ისაგაძე</b> — ალექსი მაჭავარიანი ..... 37	
<b>დიალოგი ხელოვანთან</b>	
<b>რუსულან ქუთათელაძე</b> ეთერ გულისაშვილი საკუთარი და სხვების თვალით. .... 38	
<b>საქართველოს გადასახელობის მიზანი</b>	
<b>მზია ჯაფარიძე</b>	
„დარბაზი გულებია მარტო...“ ..... 42	
<b>ჩართველი მუსიკის სახლვარებელი</b>	
<b>ნინო გვეტაძე</b> ..... 44	
<b>საკონცერტო ეროვნია</b>	
„ქართული მუსიკის სიახლენი“ ..... 45	
<b>სიღაოზიშვილი</b>	
<b>რუსულან წურწუმია</b> — მრავალხმიანობის V საერთაშორისო სიმპოზიუმი..... 46	
<b>ლეგის გადასახელიდან</b>	
<b>მარინა ქავთარაძე</b> — ქართული მუსიკის ისტორიის ჟამთააღმნერი ..... 49	
<b>მუსიკალური აღზრდის პრემია</b>	
<b>ნანა ღვინიანიძე</b> — ეროვნულ ტრადიციათა ლირსული მემკვიდრე ..... 52	
<b>ფასტივალი</b>	
<b>ნანა ღვინიანიძე</b> — „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“..... 55	
<b>საკონცერტო ეროვნია</b>	
„წოდარ გაბუნიას დღეები“ ..... 59	
<b>შოთარის მუსიკა საქართველოში</b>	
<b>თინათინ ღვინერია</b> — შოთენის სახელობის ნორჩ პიანისტთა კონკურსი თბილისში. .... 60	
შოპენის მუსიკით შთაგონებული კონცერტი ..... 63	
„ორიგინალი, განსოვდე“...	
<b>მერი დავითაშვილი</b>	
შეხვედრები პასტერნაკთან. .... 64	
სტანისლავ ნეიბაუზი. .... 65	
<b>მუსიკა და მხატვრობა</b>	
<b>ზურაბ მექმარიაშვილი</b>	
შეხვედრები სულხან ცინცაძესთან. .... 66	
<b>სტურალ სამოგლოვი</b>	
მანანა კორძაია — ლიანას ფენომენი. .... 68	
ჩართველი მუსიკოსები სახლვარებელი	
„საუკუნის გრანდიოზული მევიოლინე“..... 69	
<b>გახსენება</b>	
გულბათ ტორაძე — ოთარ გორდელი ..... 70	
<b>სულხან ნასიძე</b> , ანტონ წულუკიძე,	
ფელიქს ლორმუტი — „ალბათ, მომავალი მეტად დააფასებს“ ..... 71	
<b>ჩართული მუსიკა სახლვარებელი</b>	
ოთარ გორდელის ნაწარმოებების სიცოცხლე გრძელდება. .... 71	
<b>ზავარის ფალიაზვილის სახლ-მუზეუმიდან</b>	
<b>ცირა ჩივაბიძე</b> — დაუკინებარი საღამოები	
ფიდი კომპოზიტორის დაკრძალვის დღე..... 72	
რევაზ კავაბაძის გახსენება. .... 73	
<b>ლეგის გადასახელიდან</b>	
<b>თენგიზ ჩიხუა</b> — სიტყვა მეგობარზე (შალვა დავითაშვილი) ..... 74	
<b>ახალი გამოცემები</b>	
<b>თამარ წულუკიძე</b> — ქართველი მომღერლის პორტრეტი — „თენგიზ მუშკუდიანი“ ..... 75	
<b>მსოფლიო მუსიკალური სივრცე</b>	
მითი თუ რეალობა?! —	
გუსტავო დუდამელი..... 76	
მეჯლისი ვენის საოპერო თეატრში. .... 77	
<b>მუსიკალური აღზრდის პრა</b>	
<b>თამარ წულუკიძე</b> — სტუდია „დო-რე-მი“ ..... 78	
<b>ჯაზი საქართველოში</b>	
მაგდა პაპიაშვილი — „მოდით, ერთად მივცეთ სტიმული ქართველ კომპოზიტორებს“ ..... 82	
<b>ჯაზშერ იაშვილი</b> — ქართული ჯაზის პიონერი გიორგი გაბესვირია ..... 86	
<b>ფასტივალი</b>	
ეკა ჭაბაშვილი — თანამედროვე მუსიკის ფესტივალი - „კონტაპუნქტი №2“..... 88	
<b>საავტორო კონცერტის გამოყახილი</b>	
<b>რუსულან ქუთათელაძე</b> — ტრადიცია ცოცხლობს, გრძელდება! ..... 90	
<b>ჩართული მუსიკა უცხოეთში</b>	
გია ყაზბეგი დღეები ერევანში ..... 93	
<b>ლეგის გადასახელიდან</b>	
ბიძინა კვერაძე, მანანა ახმეტელი, მანანა კორძაია, რევაზ ტაკიძე — იოსებ კეჭაყმაძე. 94	
<b>მოგოვება</b>	
ნესტიან (ნუგეშა) მესხი—მერი ძვირფასო! ..... 97	
<b>გახსენება</b>	
<b>იური ცუცქირიძე</b> — ჯრმალ ოკაშვილის ხსოვნა ..... 98	
<b>მუსიკალური აღზრდის პრა</b>	
მერი დავითაშვილი, მედეა ამირანაშვილი, გომარ სიხარულიძე — ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი—90 ..... 99	
<b>ლაურატეპი</b>	
ვულოცავთ ეროვნულ პრემიას! ..... 100	
<b>ზავარის ფალიაზვილის სახლ-მუზეუმიდან</b>	
„მუზეუმების გაზაფხული — 2009“ ..... 100	
<b>საავტორო კონცერტის გამოყახილი</b>	
<b>გულბათ ტორაძე, ამირან შალიკაშვილი</b> —	
გიორგი ჩილაძე..... 101	
<b>ახალი გამოცემები</b>	
<b>ცისანა პოტკოველი</b> —	
„ცხოვრება ხელოვნებაში“ ..... 86	

ძვირობასთ მკითხველო!

„ჟურნალ „მუსიკის“ წინა ნომრის  
გამოცემიდან საკმაოდ დიდია დროშ  
განვლო. მას შემდეგ არათუ ახალი  
საკონცერტო სეზონი დადგა, არ-  
ამედ ახალი წელიც უკან დაგვიჩა  
და გაზაფხულიც გავიდა. ამ ხნის  
მანძილზე კი უფრო მეტმა წყალმა  
ჩაიარა, ვიდრე ჩვენს გონიებას შეეძლო  
წარმოეგდინა... ამიტომაც ამ ნომრის  
ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოად-  
გენს დროის გარკვეული მონაკვე-  
თის მუსიკალური მოვლენების აღ-  
ნუსხვა, დედაქალაქის კულტურული  
ცხოვრების შუაგულში რომ მოექცე-  
ნენ. გაკვირვებას იწვევს სწორედ  
მათი ინტენსივობა და ხარისხი სულ  
ცოტა ხნის წინ ქვეყნის თავს და-  
ტეხილი განსაცდელის შემდეგ, ამის  
გამო ეს ჟურნალიც მომავლის მე-  
მატიანეს შეიძლება გერ შეუქმნის  
სათანადო წარმოდგენას ქვეყანაში  
მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე,  
მაგრამ, აღბათ, იმაში კიდევ ერთხელ  
დაგვარწმუნებს, რომ საქართველოში  
ქვემეხების გუგუნსაც კი არც ისე  
იოლად ძალუბს მუზათა დადუშება.  
ყოველივე ამის თვალის გადავლება  
კვლავ განგვიძებულებს ეროვნული  
ღირსების შეგრძნებას და, რაც მთა-  
ვარია, ცხადყოფს, რომ მუსიკალური  
ცხოვრების უწყვეტობის მოთხოვნა  
ჩვენი მენტალობის ერთ-ერთ მახასი-  
ათებელს წარმოადგენს!

## ეურიბალ „შუბანას“ ნივთები

ძებრუაბი იორდას უმოქანდას! პლევალები  
ბათ გულამის კონტინტს დოკებას და  
აძღია, გიბებულებას გიტი. გასურჯება მიაღწია  
შისხებას გისტაციურებას. ნასხვის მუნაკე-  
ურა უკუკურას და გემოსებას გისტაციებას.  
გიბებას საზღვა. მიძია ჩერქეზის საბერივები  
ძირი ჩამორჩა.

გაცემული პრივატული ინდივიდუალის  
პრივატული ცოდნა ხადის გამომდევ-  
ბის შესახებ.

ამინისურებათხოვისძი და თავისმებრი-  
ძევებათა თავათხოვის ღუპის ჩეკებს ხაშქებ.  
უფრო უფრო ამასწერ შეგახორციელო გასტრინგის  
ნიმუშების და იზოდა შეისხვავს ქრისტულ-  
ბის. ნომედული შრომას ჰყავ შეუკეთი. თავა

## სოფოს ახლოებიძე

## զայտ ընտեղացնելու

## გამოხატულება

զրբոյացք „Ճրբառք“ զօջմունքաբեր յի շա.

ՀԱՅ ԵՂՋԻՆԴՅԱ

տօնօթ ժամանակ

զօթեալունց մոօդյանցի ըօվուր կոմի գա սօնկուն քունչան նիշտառ քառար-  
բոցնեալունց նունությունն եալուն. եղուուն ընծ զօթեալ ուսօդյունցնեան  
մէսունեալ նունությունն.

## ნინო ზოველიძეა

മൈക്രോസ്



Dr. M. K. Alagappa

## წლების გადასახედიდან

რუსულან ქუთათელაძე

# საყოველთაო სიუკარული ქოავალეამიერი!



ბიძინა კვერნაძე. უბრალოდ ბიძინა. ეს სახელი დღეს განა მხოლოდ მუსიკალურ წრეებში არ საჭიროებს არავითარ წარდგინებას, მთელს საქართველოშია განთქმული. კომპოზიტორს, მართალია, უამრავი ჯილდო და წოდება აქვს მინიჭებული და ეს პატივისცემისა და აღიარების ერთ-ერთი ნიშანია, მაგრამ ბიძინა კვერნაძეს აქვს მეტი, ის, რაც, ცფიქრობ, ყველა საპატიო ჯილდოსა და წოდებას აღექატება — საყოველთაო სახალხო სიყვარული.

კვერნაძისეული მშვენიერი მუსიკა ხიბლავს როგორც პროფესიულ მუსიკოსებს, ისე ყველა კუთხისა და ასაკის ადამიანს. შიძი „შემოდგომის ყვავილებს“ და სხვა ბევრი სამღერა იმდენად პოპულარული შექნა, კომპოზიტორის სიცოცხლეშივე ლამის ხალხურ ჰანგად იქნეს მიჩნეული. ეს იმიტომ ხდება, რომ ღვთითბოძებული შაღალნიტიერების გარდა, წრფელი, უშუალო განცდა ახასიათებს, კეთილი, კეთილ-შობილი გულითაა ნაკარნახევი და ოსტატის ხელით ჩაწერილი.

წლეულს ამ სასიქადულო პიროვნებასა და ხელოვანს დაბადების 80 წელი შეუსრულდა. ამ დღიდოსტატს, სრულიად არა ჩვეულებრივსა და არაჩვეულებრივ ადამიანს ტრივიალური საიუბილეო სიტყვებით არ შეურს მივესალშო. ჩემი მოკრძალებული მილოცვისათვის სხვა გზას ვირჩევ.

ბიძინა კვერნაძეს, სახელოვანი კომპოზიტორის გარდა, უსაუთავო უწყვილდება ხოლმე სიტყვები — იუმორი, ოხუნჯობა, გადაკრული სიტყვა, ქარაგმა. მახვილგონიერების ნაკლებობას ქართული საკომპოზიტორო სკოლის წარმომადგენლები, ნამდვილად, ვერ დაიჩივ-

ლებენ, მაგრამ ბიძინა კვერნაძე მაინც გან-

სხვავებული მოვლენას ქვემარიტი გროს- მაისტერია, ხუმრობა მისი მოწოდებაა, მისი ადამიანური არსის განუყოფელი ნაწილია. ქარაგმა, ორაზროვნება, გადაკრული სიტყვა, ჩანჩქერივით უჩქეფს.

ვიცი, ერთი მუსიკისმცოდნე იწერდა კიდევ კვერნაძისეულ იუმორისტულ გამონათქვამებს. ვინძლო დრო დადგეს, „აკაკის ნაკვესების“ არ იყოს, „ბიძინას ნაკვესებიც“ ერთ წიგნაკად აიკინძოს. დასაკარგად, ნამდვილად, არ არის გასამეტებელი. რამდენიმე ეპიზოდს, შეხსიერებაში შემონარჩუნებულს, მეც გავიხსენებ.

პირველად ბიძინა კვერნაძის სახელი ჩემს შორეულ ბავშვობისას გავიგონე. მაშინ VIII-IX მუსიკალური სკოლა რომ ერქვა, იქ, სოლფეჯიოს მასწავლიდა. დაწყები კომპოზიტორისათვის, წარმომიდგენია, რარიგ სახალისო იყო ამგვარი „შემოქმედებითი საქმიანობა“.

დაგვი- კრავდა კარნახს, მერე უცნაურად შემოიდებდა ფეხს ფეხზე, ერთი ფეხის კოჭს მეორე ფეხის მუხლს დააყრდნობდა და მზერას სადღაც შორეთს მიაპყრობდა. ფიქრით, ალბათ, მომავალ „მოლოდინსა“ თუ „ბერიკაობას“ უტრიალებდა, ან კიდევ ათას სხვა საკომპოზიტორო სივრცეს უწყდენდა თვალს. პირველი დაკვრისთანავე, იოლად ჩავიწერდი ხოლმე ბიძინა - მას-





წავლებლის დაკრულ კარნას. I თუ II კლასელმა არც კი ვუწყოდი ამას აბსოლუტური სმენა თუ ერქვა. მაგრამ აბსოლუტურ სმენისთან ერთად მუსიკალურ მართლწერის საკითხებში აბსოლუტურად უცოდინარი გახდით. ბიძინა-მასწავლებელს ეს არც უკვირდა, არც გამწყორმია და არც სწავლება-ჩიჩინით მოუხეზრებია თავი. მომღიმარი სახით ჩამოივლიდა მერხებს შორის, მეტყოდა: „ოჟ! რა კარგად დაგინერა! მოდი ახლა შენი მძივები ავასხათ!“ და სანოტო ხუთ ხაზზე ჩემს მიერ მიმობნეულ შავ წერტილებს გრძლიობასა და ტაქტის ხაზებს მიუწერდა. მერე ამ „ერთობლივ შემოქმედებას“ ხუთიანზე შეაფასებდა. სხვა მასწავლებელი რომ შემოვიდა კლასში და არათუ დამინუნა „მძივი“, არამედ, დამტუქსა კიდეც,



ხუთიანებს ნაჩევეი სახტად დავრჩი.

ბიძინა კვერნაძემ, ვგონებ, მალევე აიღო ხელი სკოლაში მასწავლებლობაზე. მაგრამ ჩვენი ნაცნობობა, იმ დროით დაწყებული, არ შეწყვეტილა. მარადეს ღიმილსა და კეთილ სიტყვას შემომაგებებს ხოლმე. რაიმე სახუმაროსაც, უსათუოდ, დაურთავს. ეს, რაღა თქმა უნდა, ბიძინას კეთილმოსურნე ბუნების დამსახურებაა, თორემ ჩემნაირი მოწაფე, უეჭველია, სხვაც ჰყოლია.

შემდეგი ეპიზოდი, ხსოვნაში რომ მაქას შემონახული, კონსერვატორიის სანას უკავშირდება. ჩემი უახლოესი მეგობარი, მეჯვარე და თანაკურსელი, ნათელა იაშვილი გათხოვდა გივი ორჯონივიძეზე. ქორნილისათვის პატარძლის მეგობრებმა თადარიგი დავიჭირეთ. გადავწყვიტეთ მოდისათვის ფეხი აგვება. ჩვენს ცხოვრებაში პირველად პარიკმახერს მივანდეთ ჩვენი თმის ვარცხნილობა. ახლშემოსული იყო „ნაჩოსიანი პრიჩოსკების“ მოდა. საპარიკმახეროში მრავალსაათიან რიგში დგომისა

და სათანადო პროცედურების მიზეზით საქორწილო სუფრას რომ ვეახლეთ ქეიფი გაჩაღებული დაგვევდა. ბიძინა კვერნაძე, გივი ორჯონივიძე, სულხან ნასიძე, გია ყანჩელი, ჯანსულ კახიძე, იმხანად ფართოდ ცნობილი მუსიკოსების მეგობრულ წრეს რომ შეადგენდა, უკვე მთელი ეშხით ილხენდნენ. ახლადდადგმული თივის ზეინივით აბულულებული, ლაკით განებილი, მბზინვარე, მოლაპლაპე „პრიჩოსკებიანი“, ერთმანეთს ტყუპისცალებივით მიმსგავსებული გოგონების დანახვისთანავე ბიძინა ზეზე წამოიჭრა: „ეს რა ხდება, კაცო?! მე მეგონა ქორწილში მოვედი. ეს კიდევ რა არის, ბოსტანია?! რა იყო, რა კომბოსტოებს დაგიმსგავსებიათ თავები!“ - ნირნმებდრები მივუსხედით სუფრას. მაგრამ ბიძინას და სულხანის ოხუჯობამ, ჯანოს უბადლო სიმღერამ, გუნება უმაღ შეგვიცვალა, ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დააყენა.

და კიდევ ერთი მოგონება. ბიძინა კვერნაძის საოპერო პირმშოს „წამება წმიდისა შუშანივისაი“ (სცენაზე დადგმისას რომ მოინათლა როგორც „იყო მერვესა წელსა“) სცენური რეპეტიციების დაწყებისთანავე მუსიკალურ წრეებში ხმა დაირჩა — მეტად უჩვეულო რამ მზადდებაო. ეს იყო საოპერო სცენაზე დებიუტი მსოფლიოში სახელმოხვეჭილი რობიკო სტურუასი. ამრიგად, ყველა მზად იყო იმისთვის, სპექტაკლი რობიკოსებურად ახლებური, უჩვეულო, სრულიად ორიგინალური რომ იქნებოდა. მაგრამ ნანახმა, მაინც, ყოველგვარ ლოდინს გადააჭარბა. 1983 წ. 15 ნოემბერს გამართულმა საპრემიერო სპექტაკლმა, რბილად თუ ვიტყვი, მაყურებელი დაზაფრა, შოკში ჩაგდო. მომწონს, არ მომწონს, ამ პრინციპით საუბარი შეუძლებელი შეიქნა. აზრთა უმწვავესი შეხლა-შემოხლა ვერა და ვერ ცხრებოდა, პირიქით, crescendo-ს მიმართულებით მიექანებოდა. მუსიკოსები რა სათემელია, ცხარე ბრძოლაში ხელდაკაპინებული ლიტერატორებიც ჩაეპნენ. სცენური სანახაობა იმდენად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ მუსიკამ, ერთგვარად, მეორეპლაზეც კი გადაინაცვლა. გაოგნებულმა, განცვიფრებულმა ანტრაქტიზე წარმოვთქვი: — „ასე მგონია, ბანის გასაღებში დაწერილი მუსიკა ვიოლინოს გასაღებშია წაკითხული -მეტქი. ამ ფრაზის პასუხად გია ყანჩელმა განმგმირავი მზერა მტყორცნა, თვალებით გიმბუღლა. სიტყვა პირზე შემაშრა. ღამე თეთრად გავათენე და შეთანხმებისამებრ გაზეთში „ვეცერი ტბილი“, დაკვეთილი წერილი ციმციმ დილას, უზმოზე მივარპენინე. დაბეჭდვის საკითხის შეთანხმებას ცეკასა თუ რომელილაც სხვა ზემდგომ ინსტანციებში ლამის ორი კვირა დასჭირდა. ბოლოს და ბოლოს, რის ვაივაგლახით, 2 დეკემბერს, გაზეთმა, იმ საბ-



ჭოური დროისათვის გასაკვირად დიდი ადგილი დამითმი და წერილი მცირეოდენი კორექტივით გამოქვეყნდა. ერთი, სხვისი თვალისათვის შეუმჩნეველი, უმნიშვნელო რედაქტორული შესწორება ასეთი იყო. მე მენტრა: „Каждый спектакль Роберта Стуруа рождая бурные споры, утверждается на сцене, доказывает правомерность интерпретации, жизнеспособность, обретает известность и, обойдя чужие сцены, находит безоговорочное признание за рубежом и на Родине.“ გაზეთში კი ასე დაიბეჭდა: „...находит безоговорочное признание на Родине и за рубежом“.

სულ მაღლე თბილისის საოპერო თეატრმა მასშტაბური გასტროლები გამართა მოსკოვის დიდ თეატრში. სპექტაკლმა „იყო მერვესა წელსა“ სენსაცია მოახდინა. შთაბეჭდილებებით განებივრებულმა და მომთხოვნმა მოსკოვის აუდიტორიამ ოვაცია გამართა, ქათინაურებს არ იშურებდა... და თბილისმაც „აღიარა დადგმა“...

მართალაც, ეს იყო სრულიად არაჩვეულებრივი დადგმა, სრულიად ახლებური, ჩვენთვის ნაჩვევისგან რადიკალურად განსხვავებული, ახალი სიტყვა ქართულ საოპერო რეჟისურაში. შთაბეჭდილება იმდენად ამაღლებული იყო, დღემდე რომ არ გამოელებია. მაგრამ ასევე დღემდე მჯერა — ამ პარტიტურის „წაკითხვა“ სხვა „გასაღებშიც“ შეიძლება. ასევე მტკიცედ მნამს, ბიძინა კვერნაძის ოპერა „წამებაი წმიდისა შუშანიკისაი“ კიდევ პევრჯერ იხილავს რამპის შუქს და მისი მომზუსხვი მუსიკა გულის სიღრმეში კიდევ პევრჯერ ჩასწვდება მსმენელს.

დასასრულს ორიოდე მოდულაცია არცთუ შორეულ ტონალობაში.

მოდულაცია პირველი. ბიძინა კვერნაძის მეუღლის, ნუგეშა მესხის მასნავლებულს, ყველა მუსიკოსისათვის კარგად ცნობილ დიდ ქალბატონ ანასტასია ვირსალაძეს, ერთხელ სწვევია სტუმარი. კონცერტიდან დაბრუნებული ჩინდა, თურმე, ამა და ამ პიანისტმა ძალიან ცუდად დაუკრა შოპენიო. შემდეგ გამართულა ასეთი დიალოგი:

ქ-ნი ანასტასია: А Вы видели его жену?

სტუმარი: Нет, не видела. Причём тут жена, он играл скверно!

ქ-ნი ანასტასია: Ну вот, детка, если бы Вы видели какая у него жена, то вовсе не удивились бы, что он играл так скверно.

ამ მცირე ეპიზოდით აი რა მინდა ვთქვა. კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძეს ერთგულ მეუღლეობას უწევს ნესტან, იგივე ნუგეშა მესხი, უმშევნიერესი ქალბატონი, სათხო, სულით და ხორცით ლამაზი ადამიანი, თხემით ტერფამდე დახვეწილი ინტელიგენტი, ნიჭიერი მუსიკოსი. გავადნიერდები და მოვახდენ ქ-ნ ანასტასიას პერიფრაზს: ვისაც უნახავს ნუგეშა, მას არ გაუკვირდება, თუ რატომ წერს ასეთ მშვენიერ მუსიკას ბი-

ძინა.

მოდულაცია მეორე. ანდრია ბალანჩივაძეს, ბიძინა კვერნაძის მასნავლებულს, დაბადების 80 წელი რომ შეუსრულდა, სოციალისტური შრომის გმირის წოდება უბოძეს. კულტურის სამინისტროში ჯილდოს მისაღებად საკმაოდ გვიან მიბრძანდა და სამკურდე ნიშანიც ერთობ გულგრილად მიიღო. სამინისტროს გაკვირვებულ ჩინოვნიკებს კი



მიუგო: „Когда я умру, то буду просто Андрей Баланчидзе, как просто Бетховен или просто Моцарт. Как мне помнится ни Бетховен, ни Моцарт не были героями социалистического труда, были просто х о р о ш и м и композиторами...“

ბიძინა კვერნაძეს, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, მართალია, მინიჭებული აქვს უამრავი ჯილდო და რეგალია, წოდება და ტიტული, მაგრამ მისი სახელი, ისევე, როგორც მოცარტისა, ბეთჰოვენისა, ანდრია ბალანჩივაძისა, სხვა მავანი და მავანი დიდი კომპოზიტორისა, თავად არის მრავლისმეტყველი. მისი მუსიკა მრავალურიერი იცოცხებს და სიკეთე, მშვენიერ ეპიზოდებისათვის გულებად ასხივებს, მრავალურამიერ ნათელი განცდით აღავსებს ადამიანს, სიამოვნებით განმსჭვალავს.



# ତେବେମିନ୍ଦରାଜାନ ତେବେମିନ୍ଦରାମଙ୍କ

წელიწადი და ოდნავ მეტი ოპერისა და ბალეტის თეატრში

ერთი ან ორი წელიწადი თეატრისთვის, რომლის  
ისტორია აგერ უკვე 157-ე წელს მიითვლის, თითქოს  
დიდი პერიოდი არ უნდა იყოს, მაგრამ თბილისის  
ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბა-  
ლეტის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი პრო-  
ცესის დინამიკის გათვალისწინებით, ერთი წელიწა-  
დი შეიძლება საკმაოდ დატვირთული და ნაყოფიერი  
გამოდგენის ვფიქრობთ, სწორედ ასეთი იყო 2008 წელი  
კულტურის ამ ძირძველი კერისთვის (იმის გათვალ-  
ისწინებით, რომ უურნალმა „მუსიკამ“, პრატიკულად,  
ახლა დაიწყო სრულფასოვანი ფუნქციონირება, ალ-  
ბათ, მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს  
ოპერის თეატრის (ცხოვრების მიმოხილვა 156-ე სეზო-  
ნის დასაწყისიდან, ანუ 2007 წლის სექტემბრიდან).

უნივერსალ, პრემიერებია აღსანიშნავი. გამომართა საოპერო პრემიერები: 2008 წლის მარტში — ჯუზეპე ვერდის „ატილა“ (დამდგმელი დირიჟორი — ზაზა აზმანიფარაშვილი, დამდგმელი რეჟისორები — დავით საყავარელიძე და უნი ლუი გრინდა, დამდგმელი მხატვრები — უან პიერ კაპეირონი და დავით მონავარდისაშვილი). ამ ოპერის დადგმა პაატა ბურჭულაძის თხოვნით იყო განპირობებული, ამიტომაც, საპრემიერო სპექტაკლში სწორედ მან იმღერა და მისი მოწვევით თანამედროვე საოპერო ხელოვნების ვარსკვლავმა მიშელ კრაიდერმაც გაიბრნებინა „ატილას“ პრემიერაში.


2009 წლის 4 და 6 იანვარს გაიმართა ვერდის კიდევ ერთი ოპერის „ნაბუქოს“ პრემიერა (საკონცერტო შესრულებით). „ნაბუქოს“ დამზღვეული დირიჟორია ზაზა აზმაიფარაშვილი. პირველ წარმოდგენაში სცენაზე თეატრის გუნდთან და ორკესტრთან ერთად წარსდგნენ ქართველი საოპერო ვარსკვლავები — ლადო ათანელი, ზურაბ სოტყილავა, პაატა ბურჯულაძე, ნანა ქავთარაშვილი, ნინო სურგულაძე, ასევე თეატრის სოლისტები ტარიელ ჭიჭინაძე, თამაზ საგინაძე, მანანა იორდანიშვილი (მათ მეორე სპექტაკლშიც იმღერეს); მეორე საპრემიერო სცენებაზე თეატრის ძალებით წარიმართა — მლეროდნენ სულხან გველესიანი, გიორგი მახარაძე, ლევი იმედაშვილი, ირინე რაჭიანა, ელენა პუტილოვა. და რაოდენ სასიამოვნოა,


რომ საპრემიერო წარმოდგენებში სამშობლოში სა-  
განგებოდ ჩამოსულმა ქართველმა ვარსკვლავებ-  
მაც და თბილისის ოპერის თეატრის სოლისტებმაც  
საუკეთესოდ წარმოაჩინეს „ნაბუჟოს“ მთელი ხილი.  
ამ ოპერის დრამატურგიულ განვითარებაში მნიშ-  
ვნელოვანი როლი მიუძღვის საგუნდო სცენებს, ამი-  
ტომ „ნაბუჟოს“ ხშირად ქორალურ ფრესკას, სა-  
გუნდო დრამასაც უწოდებენ. თეატრის გუნდი (მთა-  
ვრი ქორმაისტერი ავთანდილ ჩხერიველი, ქორმაისტ-  
ერი შალვა შაორშაძე), ტრადიციულად, მონიდების  
სიმაღლეზე იყო. ჩინებულად უდერდა ორკესტრიც.  
დიახ, ცრემიერამ ნამდვილად დიდი წარმატებით ჩაი-  
არა და იმის მიუხედავად, რომ შესრულება საკონ-  
ცერტო იყო (დეკორაციების, კოსტიუმების, სასცენო  
მოქმედების გარეშე), მერმმუნეთ, მუსიკალურად იმ-  
დენად დახვეწილი და სრულფასოვანი გამოდგა, რომ  
ვიზუალური დინამიკის არასებობამ, საუკეთესო  
შთაბეჭდილების შექმნას ხელი ვერ შეუშალა. და ცხა-  
დია, ასეთი წარმატების მთავარი გმირი, მთავარი  
სულისჩამდგმელი დირიჟორი ზაზა აზმანიშვილ-  
ია, რომლის ხელოვნება მუდამ იმსახურებს უმაღლეს  
შეფასებას. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი  
4 იანვრის პრემიერისა — „ნაბუჟოს“ შესრულება  
მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პა-  
ტრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II -ის  
დაბადების დღეს.

სულ ახლახანს, 29 მარტს, 1 და 3 აპრილს ზაბა  
აზმაიფარაშვილის ხელდასხმით კიდევ ერთი პრე-  
მიერა გაიმართა — ვერდის „ტრავიატა“, ცხადია,  
ისევ და ისევ საკონკრეტო შესრულებით.

— სამწუხაროა, რომ სადადგმო თანხის უქონლობის გამო „ნაბჭელ“ და „ტრავიატა“ ვერ შევთავაზზეთ მაყურებელს სრულყოფილი სპექტაკლების სახით, მაგრამ ექსპერიმენტულ, არასრულყოფილ დადგმას საკონცერტო შესრულება ვამჯობინეთ. ქართველ აუდიტორიას კარგი გემოვნება აქვს და არ გვინდა მისი იმედის გაცრუება. ცხადია, სამომავლოდ მაინც შევეცდებით სპექტაკლების ხორცშესხმას, რადგან საკონცერტო ვარიანტით რეპერტუარში დამკვიდრება ცოტა როზულია. ვიმედოვნებთ, რომ საჭირო თანხები გამოიძებნება, — ამბობს ზაზა აზმაიფარაშვილი.

და ამჯერადაც, „ტრავიატას“ თანმდევი იყო წარმატება, განპირობებული მაღალპროფესიული, მიზიდველი, დასამახსოვრებელი შესრულებით. საგულისხმოა საპრემიერო სპექტაკლებში შემდგარი დებიუტებიც — მარიკა მაჩიტიძე, არმაზ დარაშვილი, ირაკლი კახიძე, პრაქტიკულად, პირველად წარსდგნენ მსმენელთა წინაშე თეატრის სოლისტების სტატუსით და საქმაოდ შთაბეჭდავადაც... ჩვეული ოსტატონით გამოიჩინეოდნენ „ტრავიატაში“ უკვე ნაცადი კადრები — ნინო ჩაჩუა, ირინე ალექსიძე, ელენა პუტილოვა, მზია დავითაშვილი, მანანა იორდანიშვილი, გია მახარაძე, სულხან გველესიანი, ნიკოლოზ ლაგვილავა, ზაალ ხელაია, თამაზ საგინაძე, გივი ფეიქრიშვილი, გია ასათიანი, ტარიელ ჭიჭინაძე, ბონდო გოგია, ზურაბ იაშვილი. ტრადიციულად, მაღალ დონეზე ასრულებდა „ტრავიატას“ გუნდი, ორკესტრი ზაზა აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით.





„ტრავიატა“ ოპერის თეატრის რეპერტუარში ვერდის მეშვიდე ოპერაა („აიდა“, „ტრუბადაური“, „დონ კარლოსი“, „რიგოლეტო“, „ატილა“, „ნაბუქო“, ასევე „რევერემი“), ამიტომაც აბობას თეატრის სამატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი (ნახევრად სუმრობით, თუმცა, არა უსაფუძვლოდ), სანამ ვერდის ოცდაექვსივე ოპერას არ დავდგამთ, არ შექმნიდებითო.

მნიშვნელოვან მოვლენად იქცა მსოფლიო საბალეტო პრემიერები — ქორეოგრაფმა ალექსეი რატმანსკიმ ჟორუ პიზეს „ქრომატიულ ვარიაციებზე“ დადგა ერთმოქმედებიანი ბალეტი „ვარიაციები“ (დამდგმელი მხატვარი მიხეილ მახარაძე); იური პასოხოვმა კი ქართულ მუსიკაზე დადგა ერთმოქმედებიანი ბალეტი „საგალობელი“ (დამდგმელი მხატვარი ანა კალატოზიშვილი); ინგლისის სამეფო ბალეტმა ჩვენს საბალეტო დასს მისცა ფრედერიკ ეშტონის რამდენიმე ბალეტისა და მინიატურის დადგმის უფლება, რომელთა პრემიერა 2008 წლის 9 მაისს გაიმართა — ოთხი საბალეტო მინიატურა და ორი ერთმოქმედებიანი ბალეტი — „დღესასწაული“ (ა. გლაზუნოვის მუსიკა, დამდგმელი ბალეტმაისტერი ქრისტოფორ კარი) და „მარგარიტა და არმანი“ (ფ. ლისტის სონატა სი მინორი, დამდგმელი ბალეტმაისტერი გრანტ კოილი). საგულისხმოა, რომ ეს ბალეტი 1963 წელს სპეციალურად დაიდგა მარგო ფონტეინისა და რუდოლფ ნურიევისთვის, მათ შემდეგ ის მხოლოდ სილვია გილმა იცევა, ამჯერად კი, მისი შესრულების უფლება ნინო ანანიაშვილს მიენიჭა (დამდგმელი დირიჟორი დავით მუხერია).

157-ე სეზონის დასაწყისში საბალეტო დასმა ირჟი კილიანის ბალეტების შტეპპინგ შტონეს (წესი ეუვერინგისა და კენ ოსლას დადგმა) და „SECHS TÄNZE“ (პატრიკ დელაკრუას დადგმა) პრემიერა შესთავა-

ზა აუდიტორიას. თანამედროვეობის ცნობილი ქორეოგრაფის ბალეტების დადგმის უფლება ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში მხოლოდ ქართულმა საბალეტო დასმა მიიღო.

აღნიშნულ პერიოდში არაერთი წარმატებული კონცერტიც გამართა თეატრის კოლექტივშა — გასული სეზონის პირველი აკორდი იყო 7 სექტემბერს გამართული ნორვეგიულ-ქართული გალა-კონცერტი სოლოს ეროვნული საოპერო თეატრის სოლისტებსა (რინგჰალდ სორენსენი, იტზიარ გალდოსა, კეილ მინგუს სანდვე) და ჩვენი თეატრის სოლისტების, გუნდისა და ორკესტრის მონაწილეობით (დირიჟორი კეილ სეიდი). მას შემდეგ არაერთი ჩინებული კონცერტი გაიმართა ოპერის კოლექტივის მონაწილეობით — გამორჩეული იყო გამოჩენილი მომღერლის თეიმურაზ გუგუშვილის შემოქმედებითი საღამო, მიძღვნილი მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი (დირიჟორები გოგი ჭიჭინაძე, რევაზ ტაკიძე, რეჟისორი მაია გაჩეჩილაძე); მანამდე დირსეულად აღინიშნა დაუკინწყარი ზურაბ ანჯაფარიძის საიუბილეო 80 წლისთავი (დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი). პატივი მიეღო გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიძის სხვნასაც — თეატრის ორკესტრმა, გუნდმა, სოლისტებმა (ნინო ჩაჩუა, ირინა ალექსიძე, ზაალ ხელაია, მამუკა ტეფანაძე, გოჩა დათუ-სანი-ჯილდური). ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით მსმენელებს „ალექსი მაჭავარიანის პრემიერები“ შესთავაზეს — პირველად შესრულდა ნაწყვეტები ოპერა „პამლეტის“ პირველი მოქმედებიდან და მეშვიდე სიმღინია „გელათი“, გაზაფხულზე ორკესტრის მუსიკოსებმა აუდიტორიას გააცნეს კომპოზიტორი იაკვლი ცინცაძის ახალი კამერული ქმნილებებიც. მიმდინარე სეზონის ერთ-ერთ ლირსესასნაობად იქცა პიძინა კვერნაძის საიუბილეო კონცერტი გოგი ჭიჭინაძის დირიჟორობით, რომელზეც ცნობილ ნაწარმოებებთან ერთად შედგა პრემიერაც — პირველად შესრულდა რეკვიემი „რჩება სიძლერის ხმა“.

თეატრის სცენაზე აღნიშნულ პერიოდშიც არაერთხელ გამორჩენებს უცხოეთში მოღვაწე ქართველმა ხელოვანებმა — ზურაბ სოტკილავამ, პატა ბუჭულაძემ, ლადო ათანელმა, იანო-თამარ ალიბეგაშვილმა, თამარ ჯავახიშვილმა, ნინო სურგულაძემ, ნანა ქავთარაშვილმა, ევატერიძე ბუგიანიშვილმა, იყვნებ დირიჟორებიც — ვახტანგ მაჭავარიანი, გიორგი ბაბუაძე, დავით კიბინურაშვილი, თბილისურ დონ კიხოტში იცევა ირმა ნიორაძემ...

სიტყვა თეატრში გამართულ გასტროლებს შეეხო და არ შეიძლება არ გავისენოთ ზოგიერთი მათგანი — დაუკინწყარი იყო ცოცხალი ლეგენდის მონსერატ კაბალევს და მისი ქალიშვილის მონსერატ მარტის კონცერტი (დირიჟორი ხოსე კოლადო), რომელიც

# მუსიკა

პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდის „იავნანას“ მეომებით გაიმართა; კვლავაც, აქტიურია ამ ფონდისა და თეატრის თანამშრომელობა, რაც კიდევ ერთხელ, 6 მაისსაც დადასტურდა, როდესაც ფონდის ეგიდით კონცერტი გამართეს პაატა ბურჭულაძემ, ცნობილმა იტალიელმა პარიზონმა ამბობით მაესტრიმ და თამარ ჯავახიშვილმა თეატრის გუნდთან და ორკესტრთან ერთად ზაზა აზმაიფარაშვილის დირიჟორობით. საგულისხმოა, რომ ფონდის დაარსების დღიდან საკმაოდ ინტენსიური და ნაყოფერია „იავნანას“ და ოპერის თეატრის თამან-შრომლობა. ვფიქრობ, ოპერის თეატრი ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია ფონდის ინიციატივებისა და ამდენად, შესაძლებლობის ფარგლებში, ქველმოქმედების თანამონაწილეც.

ვოკალური ხელოვნების კიდევ ერთმა ვარსკვლავმა — ხოსე კარერასმა მოხიბლა აუდიტორია — საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციისადმი მიძღვნილ გალა-კონცერტზე სწორედ იგი მღეროდა (იანო-თამარ ალიბეგაშვილთან და თეატრის სოლისტ ნინო ჩაჩუასთან ერთად; დირიჟორი საშა გიოცელი). ორივე კონცერტზე მომღერლებს სათანადო მაღალპროფესიული პარტიონობა გაუწია თეატრის ორკესტრმა. თბილისელები აღაფრთოვანა ფლამენკოს ვარსკვლავის ხოაკინ კორტესის და ფლამენკოს თეატრის „ფეიერვერკულმა“ საღამომ. ივლისში გაიმართა პაატა ბურჭულაძის მშენებელი შემოქმედებითი საღამო 30



წელი სცენაზე, სანკტ-პეტერბურგის ფილარმონიის აკადემიური სამფონიური ორკესტრისა და დირიჟორი იური ტემირკანოვის მონაწილეობით. აუდვლებული არავინ დატოვა არც მიშელ ლეგრანთან შეხვედრამ.

ქართველმა მსმენელებმა გაიცნეს დოლორა ზაჯიკის (მეცო-სოპრანო), ლეონარდო გრამენიას (ტენორი), დირიჟორების — რობერტ კოულის (აშშ), ხოსე კოლადოს (ესპანეთი), ფახრადინ კერიმოვის (აზერბაიჯანი), კეილ სეიმის (ნორვეგია), დენ ეტინგერის (ისრაელი) ხელოვნება.

სექტემბრის ბოლო დეკადში წლეულსაც ოპერის თეატრმა უმასპინძლა მე-16 საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს „შემოდგომის თბილისი“, რომლის მთავარი გმირი, ტრადიციულად, თბილისის სიმფონიური ორკესტრი იყო, ვახტანგ კახიძის დირიჟორობით. მრავალფეროვნება გამოარჩევდა საფესტივალო პროგრამას, რომლის ხორცებს მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი სოლისტები (პიანისტები — ანი ტავიძე, ცოტნე ცოცხალაშვილი, ვალტორნინსტი ერვე შულიენი, ვიოლონჩილისტი ცვი პლესერი, მომღერლები — ეტი ბენ ზაკენი, მარიამ გულორდავა, ევა გაბიტაშვილი, არმაზ დარაშვილი, კახაბერ შავიძე, თბილისის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო კათედრის გუნდი ლა ჭონიშვილისა და არჩილ უშვერიძის ხელმძღვანელობით). ფესტივალის ხუთივე კონცერტი საინტერესო

იყო, მაგრამ, ალბათ, გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა იოსებ ბარდანაშვილის შემოქმედებით საღამოს, რომელზეც მაღალ დონეზე შესრულდა ამ კომპოზიტორის ელეგია სიმფონიური ორკესტრისთვის, მეორე სიმფონია, დაალოგები ვიოლონჩილისა და სიმფონიური ორკესტრისთვის და ლოცვანი სოპრანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის.

მასპინძლობას დიდი ხილი აქვს, მაგრამ სტუმრად ყოფნაც არ არის ნაკლებად მომხიბლავი, მით უფრო, ძალზე მნიშვნელოვანია წარმატებული გასტროლება, რითაც ხდება ქართული საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ასპარეზზე პოპულარიზაცია. საგასტროლო სეზონი თეატრის ორკესტრის კამერულმა შემადგენლობამ „გახსნა“ მოსკოვში ცნობილ რუს მუსიკოსებთან დიმიტრი კოგანთან (ვიოლინი) და ივან რუდინთან (ფორტეპიანო) 2007 წლის ნოემბერში გამართული კონცერტით. (ახლახანს, 8 აპრილს თეატრის ორკესტრის კამერული შემადგენლობა ურთულესი პროგრამით წარმატებით წარსდგა სტამბოლის კლასიკური მუსიკის ტრადიციული სერიების აუდიტორიის წინშე, აზერბაიჯანელი ფახრადინ კერიმოვის დირიჟორობით).

ქართველ მუსიკოსებს, — ამჯერად, ზაზა აზმაიფარებილს, მომღერლებს ირინე რატიანს და სულხან გველესიანს, — რუსეთის დედაქალაქმა 2007 წლის დეკემბერშიც უმასპინძლა, — მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში რუსეთის დიდ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მათ გამართეს კონცერტი სახელწოდებით „თაქთაქიშვილიდან ვერდიმდე“.

შარშან თებერვალსა და მარტში საბალეტო დასს ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მოუხდა გამოსვლა სხვადასხვა პრესტიულ სცენებზე. ბერკლის, სანტა ბარბარას, ლოს ანელესის, ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, აიოვასა და მინესოტას საკონცერტო დარბაზებში დასმა 21 სპექტაკლი გამართა. საგასტროლო პროგრამაში შეტანილი იყო ორი კლასიკური ბალეტი „შიზელი“ და „დონ კიხოტი“ და ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა (ბალანჩინის „ჩაკონა“, „Duo Concertant“, ალექსეი რატმანსკის „ვარიაციები“ და იური პოსოხოვის „საგალობელი“). გასტროლმა დიდი წარმატებით ჩაიარა, რასაც მოწმობს ამერიკული პრესა, სადაც ფართოდ გაშუქდა დასის გამოსვლები.

აგვისტოში საბალეტო დასმა მონაწილეობა მიიღო ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალში. საგასტროლო პროგრამაში შეტანილი იყო კლასიკური ბალეტი „შიზელი“ და ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა. გასტროლმა დიდი წარმატებით ჩაიარა, რასაც მოწმობს პრესის გამოხმაურებები. ანანიაშვილისა და მისი დასის ფესტივალზე გამოსვლით მათ სამშობლოს შეუძლია იამაყოს - წერდა ინგლისური პრესა.

ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალის იმ მონაწილეთა შორის, რომლებმაც „Herald Angels Awards“-ის ჯილდო დაიმსახურეს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელწილი თეატრის საბალეტო დასიც აღმოჩნდა.

წამყვანი სოლისტები — ლალი კანდელაკი და ვასილ აბეტელი სამეფო ბალეტთან ერთად ჩინეთში გამოვიდნენ ჩაიკოვსკის „გედების ტბში“.

სავარაუდო აქტიური და ნაყოფიერი ურთიერთობა ჯერ კიდევ 2007 წელს დაამყარა ოპერამ ისრაელთან. ეს ურთიერთობა 2008 წელსაც გაგრძელდა, — საგასტროლო ტურნეთი ისრაელში გაიცნეს თეატრის სოლისტებისგან შემნილი კოლექტივი — ფოლკლორული ანსამბლი „სულიკო“ (ხელმძღვანელი — ვანო გალუაშვილი, ლოტებარი — კახა ონაშვილი; ორიოდ სიტყვით ისევ „სულიკოს“ მივუბრუნდები — სექტემბრის ბოლოს ანსამბლმა წარმატებით მიიღო მონაწ

ილეობა ტალინში გამართულ მართლმადიდებლური საგალობლების მე-15 საერთაშორისო ფესტივალში). აპრილში ისრაელის რამდენიმე ქალაქი (იერუსალიმი, კვირიათ ჰაიდი, ჰერცელია, რიშონ ლეციонი) ლეონგავალოს „ჯამბაზებით“ და გალა-კონცერტებით (დირიჟორები — ზაზა აზმანიარაშვილი, გოგი ჭიჭინაძე, რეჯისორი — დავით საყვარელიძე) კვლავ დაიპყრო ოპერის კოლექტივმა — ოკესტრმა, გუნდმა, სოლისტებმა — თეოტურაზ გუგუშვილმა, მაყვალა ასპანიძემ, სულხან გველესიანმა, გიორგი ონიანმა, ირინე რატიანმა, გიორგი მახარაძემ, ზაალ ხელაიამ, ელენა პუტილოვამ, ნინო ჩაჩუამ, ლეგი იმედაშვილმა, გოჩა დათუსანი-ჯილაურმა.

საგულისხმოა, რომ არასრული ერთი წლის მანძილზე თბილისის ოპერის თეატრისთვის ეს უკვე მესამე გასტროლი იყო ისრაელში, რაც უდავოდ მეტყველებს ქართული მუსიკალურ-საშემსრულებლო კულტურით დაინტერესებაზე, თბილისის ოპერის მაღალ სახელოვნებო დონეზე და იმ პერსპექტივაზე, რომელიც თეატრს უჩინდება საერთაშორისო ასპარეზზე.

სხვათა შორის, იგივე დადასტურდა შარშან 14 მაისასაც რიშონ ლეციონის სიმფონიური ორკესტრის მუსიკალური დირექტორისა და მთავარი დირიჟორის დენ ეტინგერის თბილისში შემოქმედებითი სტუმრობისას, როდესაც იგი ოპერის ორკესტრს, გუნდს და სოლისტებს — მიშელინა ქობალიანს, ელენა პუტილოვას, გიორგი მახარაძეს და ლეგი იმედაშვილს, — წარუძვა ვერდის „რეკვიმის“ შესრულებისას. კონცერტის შემდგომ გადაწყვდა სოლისტებისა და გუნდის (მთავარი ქორმაისტერი ავთანდილ ჩხენ-კელი, ქორმაისტერი — შალვა შაორშაძე) მიწვევა რიშონ ლეციონის ორკესტრის იუბილეზე ვერდის „რეკვიმის“ შესასრულებლად. და აი, დევემბერში ამ მომღერლებმა და გუნდმა კიდევ ერთხელ ასახელეს თეატრი ისრაელში.

სასიამოვნო კონცერტებით ანებივრებს აუდიტორიას თეატრის სიმებიანი კვარტეტიც გიორგი ხაინდრავას, პაატა ჭანტურიშვილის, ირაკლი ჯაფარიძისა და გიორგი ჯორჯაძის შემადგენლობით. ნაყოფიერი, შედეგიანი არსებობის ორი წლის მანძილზე ამ ანსამბლმა ქართულ მუსიკალურ-საშემსრულებლო სამყაროში ღირსეული დაკვიდრებისკენ სერიოზული ნაპიჯებიც გადადგა, საკმაო პოპულარობაც მოიპოვა და ერთგული აუდიტორიაც შეიძინა, რაც ამ მუსიკოსების ნიჭიერებითა და ჭეშმარიტად მაღალი პროფესიონალიზმით არის განპირობებული. კვარტეტთან ერთად კონცერტებში სოლისტების ამბლუაში წარსდგნენ ახალგაზრდა მუსიკოსები — კლარნეტისტი შოთა გოგოძე, პაიანისტები თამარ ლიჩელი და ირაკლი ოკაშვილი. საგულისხმოა, რომ კვარტეტი მუდამ დიდ ყურადღებას უთმობს ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებას, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა 19 ოქტომბერს გამართული კონცერტით, რომლის პროგრამა ქართული მუსიკით იყო დაკომპლექტებული — შესრულდა სულხან ცინცაძის მე-12 კვარტეტი და შედგა ორი პრემიერა: ვაჟა აზარაშვილის საფორტეპიანო კვინტეტი და ჯემალ ოიკაშვილის კვარტეტი „მიძღვნა აზხაზეთს“.

თეატრის წითელ დარბაზში კამერულ-ვიკალური მუსიკის მშვენიერი კონცერტები გამართეს თეატრის სოლისტებმა ელენა პუტილოვამ, ირინე რატიანმა, ლეგი იმედაშვილმა.

კვლავც წარმატებულია თეატრის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „შეჯიბრი“ (ხელმძღვანელი თამაზ გოგოტიშვილი).

შარშან 24 აპრილს თეატრში გაიმართა ნინო ანანიაშვილისა და შილბერ ალბერის საერთაშორისო პრემია ვარსკვლავის დაჯილდოების პირველი ცერემონიალი და გალა-კონცერტი. პრიმა-ბალერინა ნინო

ანანიაშვილმა და ცნობილმა შვეიცარიელმა იუველირმა უილბერ ალბერმა ახალგაზრდა, ნიჭიერი მოცეკვავებისათვის 2003 წელს დააწესეს სპეციალური პრემია ვარსკვლავი (იუველირმა თავისი ნაკეთობა საზღვაო ვარსკვლავის ფორმით დაამზადა, რადგან მას სურდა იგი აზლოს ყოფილიყო ბუნების მოვლენებთან. პრემია მაქმანისებურ ვარსკვლავს წარმოადგნენ, რომელიც ვარდისფერი მარგალიტისაგანაა დამზადებული და შავ პორტსადამენტზე დამაგრებული).

პრემიის პირველი ლაურეატები გახდნენ მარიას თეატრის (სანკტ-პეტერბურგი) საბალეტო დასის სოლისტი ევგენია ობრაზცოვა და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი ლაშა ხოზაშვილი.

გასულ წელს კიდევ ერთი, ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესი ფაქტი უკავშირდება — საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „ქართუს“ მეოხებით დასრულდა თეატრის ორკესტრის ახალი ინსტრუმენტებით აღჭურვის ესოდენ აუცილებელი პროცესი და ორკესტრის მუსიკოსებს საშუალება მიეცათ მსოფლიოს საუკეთესო ფირმებისა და ოსტატების მიერ საგანგებოდ, სახელობითად შექმნილი მუსიკალური საკრავებით გამოავლინონ საუკეთესო პროფესიული პოტენციალი.



მიუკერძოებლად აღსანიშნავია თეატრის ორკესტრის, გუნდის, საბალეტო დასის, სოლისტების პერმანენტული მაღალი დონე, პროფესიონალიზმი, დაცვენილი საშემსრულებლო ოსტატობა, რისი ერთობლიობაც ქმნის თეატრის იერ-სახეს, რაც უკვიდრებს ქართულ საოპერო და საბალეტო ხელოვნებას საუკეთესო რენომებს.

ვიმედოვნებთ, რომ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პერმანენტული მაღალი დონე, პროფესიონალიზმიც თქვენი ერთგული მეგობარი იქნება, ისევე როგორც მისთვის თქვენ.

**P.S. სტატია პრემიერებით დავიწყეთ და ამიტომ ბოლოსაც კიდევ ერთი პრემიერის ანონსს შემოგთავაზებთ — 9, 12 და 22 ივნისს გაიმართება მოცარტის „დონ ჯოვანის“ აღდგენილი, განახლებული სახით წარმოდგნა.**

ჯანსულ კაზიძის, მიხეილ თუმანიშვილის, იური გეგეშიძის, იური ზარევაისული სპექტაკლი, რომლის პრემიერა 1983 წელს შედგა, აღადგინეს და განახლებულ სახით წარმოდგნა.

ჯანსულ კაზიძის, მიხეილ თუმანიშვილის, იური გეგეშიძის, იური ზარევაისული სპექტაკლი, რომლის პრემიერა : ნიკოლოზ ლაგილავა, მამუკა ტეფნაძე, ირნე რატიანი, მიშელინა ქობალანი, ირნე თაბორიძე, ტარიელ ჭიჭინაძე, კახაბერ თეთვეჯე, მაყვალა ასპარიძე, მანანა იორდანიშვილი, ლეგი იმედაშვილი, გოჩა დათუსანი-ჯილაური, ბონდო გოგია, ნინო ჩაჩუა, მარიკა მაჩიტიძე, თეატრის გუნდი და ორკესტრი.

## ერისო ბოლქვაძე: სინტონურობის მსოდნობი თავისი კონცერტი ღირებულის!

„მისი ვარსკვლავი ამოდის და მთელი  
მსოფლიოს საკონცერტო დარბაზები მაღა  
მხოლოდ მას დაუკრავენ ტაშს“ -  
ვან კლაიბერნი  
„მომხიბლავი სოლისტი“ -  
„ჩიკაგო ტრიბუნი“  
„უზარმაზარი ტალანტი“ -  
„ნიუ იორკ ტაიმსი“  
„ახალი ვარსკვლავი პაინისტურ კაბადონზე“ -  
„ზუდოიჩე ცაიტუნგი“

ეს არის მცირე ჩამონათვალი იმ აღფრთოვანებული  
შეფასებებისა, რომლითაც უცხოური პრესა  
უკვე დიდი ხანია ამკობს ცნობილ  
ქართველ პიანისტს ელისო ბოლქვაძეს.  
ქ-ნი ელისო საფრანგეთში ცხოვრობს და მას  
სიამოვნებით უსმენენ ისეთი მდიდარი მუსიკალური  
ტრადიციების მქონე ქვეყნებში, როგორებიცაა საფრანგეთი,  
გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, საბერძნეთი, ა.შ.შ....  
2008 წლის 22 სექტემბერს ელისო ბოლქვაძეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი  
და უნეტარესი ილია II -ს იუბილეს აღსანიშნავად კონცერტი უნდა გაემართა, რომლის პირდა-  
პირ ეთერში გადაცემასაც ფრანგული მუსიკალური ტელეარხი გეგმავდა. კონცერტზე დასწრებას  
აპირებდა ცნობილი ფრანგი პიანისტი მიშელ სონიც.  
სამწუხაოოდ, აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა ამ გეგმების განხორციელება შეუძლებელი  
გახადა. თუმცა, ქალბატონმა ელისომ სექტემბერში მაინც მოახერხა საქართველოსადმი თანადგო-  
მა — მან მონაწილეობა მიიღო აგვისტოს ომის მსხვერპლთა სხოვნისადმი მიძღვნილ კონცერტ-  
ში, რომელიც პარიზში 18 სექტემბერს გაიმართა ქართული დიასპორის თავმჯდომარის ოთარ  
ზურაბიშვილის ინიციატივით. კონცერტმა, რომელიც მაღლენის ეკლესიში მოეწყო და 1500  
ადამიანი დაესწრო, დიდი რეზონანსი გამოიწვია საფრანგეთში. მასში ელისო ბოლქვაძის გარდა  
მონაწილეობდნენ გიორგი ხარაძე (ჩელო), თამარ ივერი (სოპრანო), ემანუელ როსფელდერი  
(კლასიკური გიტარა), ანსამბლი „შინი“, „ქართული სმები“ და ნიაზ დიასამიძე. კონცერტი გაშ-  
უქდა რადიო-ფრანსის მიერ.  
მანამდე, კონცერტისთვის საჭირო საორგანიზაციო საქმეების მოსაგვარებლად ქ-ნი ელისო საქა-  
რთველოში იმყოფებოდა. მიუხედავად ძალზე დატვირთული გრაფიკისა, მან უურნალ „მუსიკი-  
სათვის“, დრო მაინც გამონახა და საქმაოდ ვრცელი ინტერვიუ მოგვცა. ქალბატონი ელისო  
ძალზე საინტერესო და გულახდილი რესპონდენტი აღმოჩნდა. ვფიქრობთ, მიუხედავად იმისა,  
რომ ამ საუბრის შემდეგ ჩვენს სინამდვილეში ბევრი რამ შეიცვალა, ინტერვიუს არ დაუკარგავს  
აქტუალურობა და საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის.

## სტუმრად სამშობლო ში

თამარ თავისებულება

— ქ-ნო ელისო, რამდენად ხშირად ახერხებთ კონ-  
ცერტების გამართვას საქართველოში?

— ჩემი ბოლო კონცერტი თბილისში, სსვადასხვა მიზეზების გამო, 2007 წელს გაიმართა, თუმცა საქართველოსთან მუდმივი კონტაქტი მაქვს, წელიწადში ორჯერ მაინც ჩამოვდივარ და ყველაფრის საქმის კურსში ვარ.

— მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია ჩემი  
პატარა წვლილი შევიტანო პატრიარქის საიუბილ-  
ეო წლის აღნიშვნაში. ეს კონცერტი საქველმოქმედო  
იქნება და მთელი შემოსავალი გადაირიცხება პატრი-  
არქის საერთაშორისო ფონდში. ფართო უნდა იყოს  
მისი ამსახველი პრესა: ქართული მედიის გარდა მის  
გასაშუქრებლად ჩამოდიან „ევრონიუსის“, „ფიგარო  
მაგაზინის“ უსურნალისტები, ტელეკარხი „მეცო“. მო-  
მავალი წლის 5 თებერვალს კი პარიზში, „ქართუ-  
ლი სეზონის“ ფარგლებში, ამ კონცერტის პროგრამა  
გამოირდება და მისი დაფინანსება მოხდება საქართ-  
ველოს კულტურის სამინისტროს მიერ.

— საფრანგეთში „ქართული სეზონები“ უკვე  
მესამედ იმართება, რომელის მიზანიც ქართული ხე-  
ლოვნების ევროპისათვის გაცნობაა. თქვენი აზრით,  
რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი პროექტების განხ-  
ორციელება?

— „ეართული სეზონი“ არის ძალიან საჭირო  
და სერიოზული პროექტი, მასში მონაცილეობენ მხ-  
ატვრები, მუსიკოსები, მომღერლები. იგი ტარდება  
საქართველოს პირველი ლეიდის ქ-ნ სანდრა რულოვ-  
სის პატრონაჟით, მის განხორციელებაში ძალიან ბევ-  
რი ადამიანი და ორგანიზაციაა ჩართული: პირველ  
რიგში საქართველოს კულტურის სამინისტრო და  
საფრანგეთის საელჩო, „თი-ბი-სი ბანკი“, ეროვნული  
ზარაფხანა. აქვე დიდი მადლობა უნდა გადაფუძნო  
ქალაქ თბილისის მერიასა და პირადად ბ-ნ გიგი  
უგულავას, რომელიც აქტივურადაა ჩართული როვ-  
ორც „ქართული სეზონების“ პროექტში, ასევე „მე-  
ცოს“ მიღებაში. ეს ყველაფერი მათგან მოითხოვს  
დამატებით ენერგიას, ფინანსებს, მაგრამ ამ მხრივ  
აბსოლუტური მხარდაჭერა გვაძეს.

მიმართია, რომ „ქართული სეზონების“ ჩატარება უაღრესად მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ქვეყანას, რომელსაც ჰყავს ამდენი საქეპარი არტისტი, ნამდვილად სჭირდება მათი მსოფლიოსათვის ჩვენება. ეს დადგებითად იმოქმედებს ქვეყნის სახელზე.

ახლა საქართველო მსოფლიოში ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ცხელი წერტილი, სადაც არსებობს კონფლიქტები. ჩვენ შეგვიძლია დასავლეთს დავანახოთ, რომ საქართველო არის ქვეყანა, სადაც აინტერესებთ და უყვართ ხელოვნება და ამაში სახელმწიფო აქტიურადაა ჩართული. ეს საშუალებას მოგვცემს დასავლეთმა სწორი კუთხით შემოგვხედოს — საქართველო უნდა გაიცნონ თავისი კულტურით, მუსიკით და არა ომითა და არეულობებით.

— როგორც ვიცით, თანამშრომლობთ კლასიკური მუსიკის ტელეარხს „მეცნიერან“. უკვე რამდენიმე წელია თქვენი ჩანაწერები ხშირად ჩნდება ამ არხზე. თუ შეიძლება უფრო დაწვრილებით გვესაუბრეთ თქვენი და „მეცნის“ ურთიერთობის შესახებ.

— „ମେଫୁଲୋଟାନ୍“ ଡିଇ୍ କେନ୍ଦ୍ରୀୟ କାପଶିରୀ ମାଜ୍ବ୍ସ: ଶୁଭେ  
ମେସାମ୍ଭେ ବ୍ୟେଳୀବା ସିଲିକ୍‌ଟ୍ୟୁରାଫ ବିନ୍ଦୁଙ୍ଗେବି ମାଜ୍ବ୍ସିଂହା“.  
ଅବ୍ଲାଚ ଦାଗୁଗମିଲ୍ଲି ମାଜ୍ବ୍ସି କ୍ରମିକ୍‌ର୍ଯ୍ୟାତି ପାରିବିଶିଥି,  
ରମ୍ଭେଲ୍‌ଲୁବାଚ ମତଲ୍‌ଲାନାଫ ଲିଲ୍‌ବ୍ସ „ମେଫୁଲ୍“ ଆମାସତାନ ଦାଗୁ-  
ଗମିଲ୍‌ଲୁବିତ ଶେଖମଥାଵାଞ୍ଚ୍ସ ତବିଲ୍‌ଲିବିଲ୍ କ୍ରମିକ୍‌ର୍ଯ୍ୟାତିଲ୍ ଗା-  
ଶୁକ୍ରେବାଚ. ଏହି କିନ୍ତୁ ବ୍ୟେଳୀବା ଅଥ କ୍ରେଲ୍‌ଗାରିଥ୍‌ବ୍ସ ସାକ୍ଷାତକାନ୍‌ତାପ୍ରେଲ୍‌ବ୍ସ  
ଏରତତାରିତ କର୍ମଚାରୀ ପାରିଥ୍‌ବ୍ସ ଆମିଲ୍ ଶେମିଲ୍‌ଦେବ ତାପିତାନ ଗା-  
ମନ୍‌ତକ୍‌ବ୍ସ ସ୍କୁର୍‌ଗିଲ୍ଲାବ, ରମି ପାରିଦାକିର ଏତ୍‌ପାରିଶି ଗାଉଶ୍‌ବାନ  
ମନ୍‌ମାଵାଲି କ୍ରମିକ୍‌ର୍ଯ୍ୟାତିଲ୍. ବିନ୍ଦୁଙ୍ଗେଦ ଆମିଲ୍ ଗାମନ ତବିଲ୍‌ଲିବିଲ୍  
ନିଯମ ହାମିଲ୍‌ଲୁବା ବାତିନାନ ଫ୍ରିଲ୍‌ବିଲ୍ ଦେଲାକର୍ମାଜ୍ବ୍ସ, „ମେଫୁଲୋ“  
ଫଲ୍‌ଗାନନ୍ଦେଲ୍‌ଲୀ ଫିଲ୍‌କ୍ରିବାରି. ଅବ୍ଲା ଶୁନ୍ଦା ହାମିଲ୍‌ଲୁବିଲ୍‌ନ୍ଦନ୍ତିନ୍  
ପରିନାମିଲ୍‌ଲୁବାର୍ଯ୍ୟାବ୍ସ, ରମ୍ଭେଲ୍‌ଲୁବିଲ୍ ଗାଦାନ୍ୟବ୍ୟୁତ୍‌ବ୍ସ ତେବ୍ରିନ୍‌ଗ୍ରୁମ  
ସାକ୍ଷିତଥ୍ୟାବ୍ସ. କ୍ରାତତ୍‌ତୁଲ୍ଲି ମଥାର୍କ ମାତ ପ୍ରେଲ୍‌ମାନାରିନ ଦାବେମାର୍କ-  
ଦାବୀ ପାରିଦାକିର. ହେମି ଆଚିରିନ, „ମେଫୁଲ୍“ ଦାବିତ୍‌କ୍ରାତତ୍‌ତୁଲ୍ଲିବ୍ସ  
ଅଥ କ୍ରମିକ୍‌ର୍ଯ୍ୟାତିଲ୍ ଦାଲିବାନ ମନ୍‌ଦିଶ୍‌ବ୍ସନାବାନିବ, ରାଙ୍ଗାନ, ମନ-  
ଗ୍ରେବ୍‌ବ୍ସନ୍ତାବ, ଏହି ଅର୍ଥୀ 38 କ୍ଲେବ୍‌ଯାନାଶ୍ୟ ମାଜ୍ବ୍ସନ୍‌ଦେବିଲ୍‌ଲୁବାବ୍ସ ଦା  
21 ମିଲିବାନି ମାଜ୍ବ୍ସନ୍‌ଦେବିଲ୍ ତ୍ୟାବ୍ସ. ଆଶ୍ୟତ ଆଜିଲ୍‌କ୍ରିବାରିଲ୍  
ନିର୍ବିନ୍ଦୁ ବାରଧଗ୍ରେବା ଲୋକ୍‌ବ୍ସ, ରମଗରିନ ପ୍ରେରନିଲ୍‌ଲୁବିଲ୍ ଲ୍ଲେ  
ମାଗଶ୍‌ବ୍ସ ତ୍ୟାନ୍‌ଦାଚ ରାମିନାମିନ୍ ନ୍ତୁତାନାନ ଲୋକ୍‌ବ୍ସ, କ୍ରମିକ୍‌ର୍ଯ୍ୟାତିଲ୍  
ଶେମିଲ୍‌ଦେବିଲ୍ କ୍ରାତତ୍‌ତୁଲ୍ଲି ବ୍ସନ୍‌ଦେବିଲ୍ ତ୍ୟାବ୍ସନାବାନିବ.

— რამდენად ხშირად უღერს კლასიკური მუსიკა  
საფრანგეთის ტელევიზიიბში?

— ერთადერთი სპეციალიზირებული არხი არის „მეცო“. არსებობს აგრეთვე „არტე“, აქ ასევე დიდი ადგილი ეთმობა კლასიკურ მუსიკას. სხვა არხები-დან გამოვყოფდი TNT სა და RT, სადაც კლასიკური მუსიკა, მართალია, ღამის საათებში, მაგრამ მაინც არის. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ტელევიზიის როლი კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციის საქმეში ძალიან დიდია.

— ელექტრონული მედიის სხვა საშუალებების შესახებ რას იტყვით, რამდენად მნიშვნელოვანია მათი გამოყენება დღეს?

— მასმედია, ჩანანერები პიანისტისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, ბ-ნ ჯანსულ კახიძესთან ერთად Sony -სთან გავაკეთეთ CD, რომელიც მთელ მსოფლიოში გავიდა (სხვათა შორის, მასზე დღემდე არის მოთხოვნა). სწორედ ამ ჩანანერების დამსახურებაა, რომ ლოს ანჯელესში შეიქმნა ჩემი ფანკლუბი, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესიონალი მუსიკოსი და დიდი შელომანი რჩაჩარდ ამერსონი. ეს ჩემთვის სრული მოულოდნელობა იყო: ერთ შვენიერ დღეს მოდის E-mail-ი, რომელშიც ბ-ნი ამერსონი მწერს, რომ მისთვის დიდი ბეჭდიერებაა ჩემი შესრულებული რახმანინოვის კონცერტის მოსმენა. ამ ადამიანმა ჩემთვის ძალიან ბევრი გააკეთა.

ჩემი ჩანაცერები youtube-ზეც არის. მართალია, მე დიდად დაინტერესებული არ ვარ ამ საიტით, რადგან მიმართია, რომ საკმაოდ მიკერძოებული და არაპროფესიულია, მაგრამ ესეც რაღაც რევლამა, რომელიც გარკვეული ი „ცნობადობის“ მოსაპოვებლად მაინც საჭიროა.

საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ კომპაქტების ინ-  
დუსტრია ინგრევა იმიტომ, რომ იმდენი რამ არის  
ინტერნეტში, ისე ადვილია ამ ყველაფრის გავრცელე-  
ბა, რომ აღარავის არ აქვს ჩანაწერების ყიდვის  
სურვლი. თანაც, ახლა სტუდიური ჩანაწერები ნა-  
კლებად აინტერესებთ. როცა სტუდიაში უკრავ და  
მერე ხელოვნურად ჭრი და კერავ ყველაფერს, იქ

ମୁଦ୍ରଣ

აღარ არის ცოცხალი, სპონტანური მომენტი. დღეს მთელი ინდუსტრია გადასულია იმაზე, რომ გააკეთოს ცოცხალი ჩანაწერი.

— თქვენი, როგორც პიანისტის ჩამოყალიბებაზე, ალბათ, დიდი გავლენა მოახდინეს პედაგოგებმა. თუ შეიძლება რამდენიმე სიტყვა მათზეც გვითხარით.

— ჩემი პირველი პედაგოგი ქ-ნი ეკა მუხაძე იყო. მასთან რომ მივედი, სულ 4 წლის ვიყავი. მიუხედავადა ამისა, ყველაფერი კარგად მახსოვეს: მისი გავვეთილები, მისი ხმა, ხასიათი. პირველი პედაგოგი, ინსტრუმენტთან პირველი ურთიერთობა, საერთოდ, ძალიან მნიშვნელოვანია. მე დამყოლი ხასიათი არ მაქვს არც მუსიკაში და არც ცხოვრებაში. ყველაფერზე ჩემი აზრი მაქვს ხოლმე და ვცდილობ, რამდენადაც შესაძლებელია, ის ბოლომდე გავიტანო. ამ თვისებებიდან გამომდინარე, ჩემი ურთიერთობა პედაგოგითან ადვილი არ იყო.

ათწლეუდში მაია წულუკიძესთან ვსწავლობდი. ეს ის ასაკია, როცა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნულ ურთიერთობას. მაია ჩემთვის მარტო მას-წავლეული კი არ იყო, არამედ მზრუნველი, ახლო-ბელი ადამიანი. მიუხედავად ამისა, მასთანაც მქონდა წვრილ-წვრილი კინკლაობები, ძირითადად იმაზე, თუ რა ნაწარმოები უნდა დამეკრა. ხანდახან ნოტების ფრიალამდეც მიდიოდა საქმე, თუმცა ეს არ იყო მნიშვნელოვანი. მაია ყოვლთვის იყო სტიმულის მოძრემი ჩემთვის. ყოველთვის მთავაზობდა კონკურსებზე წასვლას, ჰქონდა საინტერესო იდეები.

კონსერვატორიაში ჩემი პედაგოგები იყვნენ ბ-ნები  
გზით ამირეჯიბი, თემურ მათურელი, ნოდარ გაბუ-  
ნია, ქ-ნი ნანა ხუბუტია. ყოველმა მათგანმა თავისი  
წვლილი შეიტანა ჩემი, როგორც პიანისტის, ჩამოყა-  
ლიბებაში.

ბ-ნი გიზი ძალიან საინტერესო მუსიკოსი და დახვეწილი პიროვნებაა. მასთან ურთიერთობა უკვე ჩემი განვითარების სხვა ეტაპი იყო. ძალიან ბევრი რამ მომზადა, როგორც პიანისტი — ბგერასთან და თავისუფლებასთან დაკავშირებით.

დიდი გულისტყვილით უნდა მოვიხსენიო ბ-ნი  
თემურ მათურელი, რომელმაც ძალიან დიდი კვალი  
დატოვა ჩემს შემოქმედებაზე. კვიჭრობ, რომ ის  
შემოქმედებითი თანხვედრა, რაც ჩევნ გვპონდა, არის  
ერთ-ერთი ბედნიერი მაგალითი იმისა, თუ როგორი  
უნდა იყოს არა მარტო პედაგოგისა და მოსწავლის,  
არამედ მეგობრების ურთიერთობა. ის მე არ მექ-  
ცეოდა, როგორც მოსწავლეს და საერთოდ არავის  
არ ექცოდა ასე. ჩევნს შორის არ იყო ტიპიური მო-  
სწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა, როდე-  
საც მოსწავლე უკრავს, პედაგოგი შენიშვნებს მისცემს  
და შემდეგ მოსწავლე წაგა. ის მიღებდა, როგორც  
ადამიანს, რომელიც მასთან უკრავს. სწორედ ეს  
იყო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი. მასთან მხ-  
ოლოდ მუსიკაზე არ ვლაპარაკობდი. ჩვენი სასაუბრო  
თემა საკაროვნო ფართო იყო. ხელოვნება, წიგნები,  
ჩანაწერები... საკაროვნო დიდ დროს მითმობდა. შეი-  
ძლება 5-6 საათი ვყოფილიყავი მასთან და არა მარ-  
ტო დამეკრა, ან საერთოდ არ დამეკრა და ძალიან  
ბევრი გველაპარაკა.

ნოდარ გაბუნისათან მუშაოპა თუმცა ძალიან ხან-მოკლე იყო, მაგრამ უაღრესად ნაყოფიერი. ის ძალიან ინტელექტუალური პიროვნება იყო. მასთან ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მივედი, მაშინ, როცა პარიზის კონკურსისათვის ვეზზადებოდი. მისგან მივიღე ბევრი ახალი არა მარტო ინტერპრეტაციასთან, არამედ ტენიკასთან დაკავშირებითაც. ბ-მა ნოდარმა მომაწოდა უნიკალური ინფორმაცია ტექნიკის შესახებ, რომელიც სათავეს ლისტისაგან იღებს. ეს შეეხებოდა

მარჯვენა ხელს, წონას და სხვა ამგვარ დეტალებს, რაც  
ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

კამერულ კლასში ვიყავი ქ-ნ ნანა სუბუტიასთან. ჩევნ ძალიან მეგობრული და ღრმა ურთიერთობა გვქონდა. მან ჩემი ყურადღება წარმართა ანსამბლის — კვარტეტის, კვინტეტისა და თანამედროვე მუსიკის მიმართულებით.

აქვე არ შემიძლია არ ვასხენონ ბატონი ჯანსულ კახიძე. მართალია, ის ჩემი პედაგოგი არ იყო, მა- გრამ მისგან შუალის „ფანტაზიაზე“ და მოცარტის სონატებზე ბევრი საინტერესო რამ გავიგე, რაც შემ- დეგ ძალიან დამეხმარა ამ ნაწარმომებების ინტერპრე- ტაციაში.

საერთოდ, მუსიკოსის ცხოვრება ის არის, რომ სულ რაღაც ახალი გინდა ცხოვრებაში. ყველასგან გინდა ახალი აილო. სწორედ ეს იძლევა გარკვეულ რეზულტატს ცხოვრებაში. მე არ ვარ იმის მომხრე, რომ ერთ პედაგოგთან იყო მთხლი ცხოვრება. მიმაჩნია, რომ ეს არ არის სწორი. დასაკლებშიც პიანისტები უამრავ პედაგოგთან გადინა მასტერ-კლასებს. ეს არ ნიშნავს, რომ ერთი მეორეზე უკეთესია, უბრალოდ სხვადასხვა. ეს მრავალფეროვნება კი ამდიდრებს მუსიკოსს.

— თქვენ უცხოელ პედაგოგებზე რას გვეტყვით?

— საქართველოში სწავლის დროს ხშირად დავდიოდი კონსულტაციებზე რუსეთში ისეთ პიანისტებთან, როგორებიცაა ლევ ნაუმოვი, ტატიანა ნიკოლაევა, შემძეგ პი გავეგზავრე ავსტრიაში, სადაც ესწავლობდი გამოჩენილ ფრანგ პიანისტთან და პედაგოგთან მიშეღ სონისთან, გავიარე მასტერ-კლასები ცნობილ იტალიელ პიანისტთან მაურიციო პოლინისთან.

საინტერესოა, რომ დასავლეთში პედაგოგი გა-  
ძლევს უფრო მეტ თავისუფლებას. იქ არასოდეს  
განვევენ თავს თავის აზრს. იქ ცროგრამას უფრო  
ჰიანისტის ბუნებიდან გამომდინარე არჩევენ და არა  
რაიმე სტანდარტის მიხედვით. მათი მიზანი უფრო  
მეტად ადამიანის ინდივიდუალობის გახსნაა.

— როგორია მაურიციო პოლინისთან ურთიერთობა?

— ბოლინი ძალიან ინტელექტუალური მუსიკოსია. მისი გონიერა დღეს მიმართულია თანამედროვე მუსიკისადმი. ახლა იმასაც ამბობენ, რომ მისი ინტელექტუალური დაკვრის მანერა ცოტა გადამეტებულიცაა. რთული მუსიკოსია, ძალიან რთული. ჩემთან მან კარგი კონტაქტი დაამყარა და ბევრი დრო გამომიყო - ერთხელ 1 საათი, მეორედ 2, მესამედ კი ნახევარი დღე, რამაც ძალიან გამაცვირვა, იმიტომ, რომ გაგონილი მქონდა, რომ ზოგიერთს 10 წუთს უსმენს და შრალ, აბსოლუტურად არაფრისმომცემ შენიშვნებს იძლევათ. ჩემს შემთხვევაში სრულიად სხა-აგვარად იყო საქმე. ალბათ არის ოშები, რომელიც პოლინის შინაგან სამყაროსთან უფრო ახლოა. მაგალითად, ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის მასთან ბეთჰოვენის სონატებზე და შონბერგზე მუშაობა, ნაკლებად საინტერესო მოცარტზე და საერთოდ არ იყო საინტერესო ჩემთვის მისი მოსაზრებები რაცელის საფორტეპიანო ნაწარმოებების შესახებ.

— როგორც ზემოთ აღნიშნეთ, უცხოეთში კიდევ ერთ ცნობილ პიანისტთან — მიშეღ სონისთან სხავ-ლობდით. რას გვეტყვით მის შესახებ?

— მიშელ სონის შეგვედი პარიზში, მარგარიტა ლონგის კონკურსის დროს, 1995 წელს. ამ ადამიანმა ჩემი ცხოვრება საერთოდ შეცვლა. ამისთვის მე ღმერთს ყოველდღე მაღლობას ვკუნძნები. მიშელ სონი უდიდესა პიროვნება გახლავთ: მოაზროვნე, ნოვატორი შემოქმედი, კომპოზიტორი, პიანისტი, ახალი მეთოდის ავტორი, რომელმაც საზოგადოების

ყურადღება მიიპყრო სრულიად უნიკალური შედეგების გამო. მან შექმნა საერთაშორისო ფონდი “SOS TALENTS” რომელიც, ხელს უწყობს ახალგაზრდა ნიჭიერ პიანისტებს მათ შემდგომ შემოქმედებით გზაზე. აღსანიშნავია, რომ ამ ფონდის სტიპენდიანტები ქართველი ბავშვებიც არიან.

— **საქართველოში მიმდინარეობს სამუსიკო სწავლების რეფორმა. ხომ ვერ გვეტყვით როგორი სისტემა დასავლეთში?**

— ამ კითხვაზე მიჭირს პასუხის გაცემა, იმიტომ, რომ მე არ მაქვს ურთიერთობები მუსიკალურ სკოლებთან. ისე კი მიმაჩნია, რომ რეფორმა აუცილებელია იმისათვის, რომ არ მოხდეს დაშტამპვა.

— **თუ ეწევით პედაგოგიურ მოღვაწეობას?**

— პედაგოგობა მაინტერესებს და, პალაც დოზით, ვასწავლი კიდეც: ვთანამშრომლობ მიშელ სონის საერთაშორისო ფონდთან, რომელსაც ბავშვებთანაც აქვს ურთიერთობა. მე მაინტერესებს მათზე დაკვირვება, თვალყურის დევნება. თუმცა, რომ ვთქვა, ვზრდი ვინმეს, არ იქნება სწორი. ჩემი მოსწავლებთან ურთიერთობა ჯერჯერობით იფარგლება მასტერკლასებით. მასტერკლასებს ვატარებ ავსტრიაში, შევიცარიაში, საფრანგეთში, აშ.შ.-ში.

— **საქართველოში?**

— თუ მექნება ასეთი შემოთავაზება, სიამოვნებით.

— **როდის გააცნობიერეთ, რომ გინდათ გახდეთ პიანისტი?**

— საერთოდ არ გამიცნობიერებია. ეს ყველაფერი თავისთავად მოხდა.

— **თქვენ არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ბრძანდებით. რამდენად აუცილებელია ახალგაზრდა პიანისტისათვის კონკურსები?**

— ვთვლი, რომ კონკურსი აუცილებელია, მით უმეტეს დღეს, როცა ასეთი კონკურენცია — მსოფლიოში ძალიან ბევრი პიანისტია. სხვათა შორის, „პიანისტური გეოგრაფია“ ახლა ისეთი ფართოა, როგორც არასოდეს — რუსეთის, ევროპისა და ა.შ.შ.-ს გარდა ახლა ძალიან ბევრი კარგი პიანისტი ჰყავთ ჩინელებსა და იაპონელებს. კონკურსი გზის გასაკვალიდ ძალიან კარგი სამუალებაა, თუმცა კონკურსში გამარჯვება არ ნიშნავს, რომ აუცილებლად დაიმკვიდრებ შენს ადგილს. ყველაფერი დამოკიდებულია როგორ განვითარდება მოვლენები, როგორ მოახერხებ შენი ინდივიდუალობის წარმოჩნდას, მუსიკის რთულ სამყაროში შენი ნიშის მოძრაობას, თუმცა კონკურსზე წარმატება ამ გზაზე გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

— **თქვენ რა მოგიტანთ კონკურსებმა?**

— კონკურსებმა ჩემს კარიერაში თავისი წვლილი შეიტანეს. ჩემი ყველაზე დიდი გამარჯვება ვან კლაიბერნის კონკურსს უკავშირდება. ეს იყო 1989 წელი, საზღვარგარეთ ჩემი ერთ-ერთი პირველი გასვლა. ამ კონკურსმა გარკვეული სახელი მომზადა. თვითონ ბ-მა კლაიბერნმა, მოსკოვში მიცემულ ინტერვიუში, ძალიან თბილად ილაპარავა ჩემზე. ეს დიდ პატივად ჩავთვალე, იმიტომ, რომ როგორც იცით, შანამდე საქართველოდან ამ კონკურსის ლაურეატი მხოლოდ ლექსო თორაძე იყო. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ლექსოსგან ძალიან დიდი მხარდაჭერა მქონდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. ამის შემდეგ ჩემს შორის თბილი, მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ის ჩემი გულშემატკიცვარია, მე მისი.

— **საზღვარგარეთ მცხოვრებ კიდევ რომელ ქართველ მუსიკოსთან გაქვთ ურთიერთობა?**

— ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ცცემ გიორ-

გი ხარაძეს და მიხარია მისი წარმატებები. ჩემ ერთობლივი კონცერტიც ჩავატარეთ.

ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს ალექსანდრე კორსანტიასთან, მაგრამ იშვიათად ვხვდებით, იმიტომ, რომ ის ძირითადად ამერიკაში ცხოვრობს.

ნაყოფიერი თანამშრომლობა მაკავშირებს საქართველოს სახელმწიფო კარტეტითან. ჩემ ბევრჯერ გვაქვს დაკრული ერთად - თბილისში, თელავში, ვენაში, ათენში და ა.შ. ახლა ვეგმავთ დაორუეაკის კვინტეტის შესრულებას. ვაპირებდი მის შესრულებას თბილისში კამერული ანსამბლების ფესტივალზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ვერ ვახერხებ ნორმბერში ჩამოსვლას და ამიტომ დაუკრავთ მოსკოვში.

— **თქვენ მრავალ ქვეყანაში გიხდებათ დაკვრა. განსხვავდება თუ არ მსმენელი?**

— განსხვავდება, რასაკვირველია. არსებობს პუბლიკა ქართული, ამერიკული, გერმანული და ა.შ. იმასაც მნიშვნელობა აქვს რომელ დარბაზში უკრავ. მაგალითად, საფრანგეთში მძიმე მსმენელია, განებივრებული ძალიან მაღალი დონის პიანისტებით. არის ადგილები, სადაც მსმენელი ძალიან მომთხოვნია და ამას კარგად გრძნობ. თუმცა ყველაფერი იცვლება. მაგალითად, ზალცბურგში კარაიანის დროს სულსხვა პუბლიკა იყო, ახლა ისინი უფრო ლიბერალურები გახდნენ.



ମୁଦ୍ରଣ

- სად უფრო გიადვილდებათ დაკვრა?  
— მე მიადვილდება დაკვრა ყველაგან, სადაც კარგ  
განწყობას ვერძნიობ ჩემს მიმართ. მაგალითად, ავს-  
ტრიაში და საფრანგეთში, იმიტომ, რომ ვიცი, რომ  
იქ ხალხი მელოდება.

— საქართველოში?

- ვნახავ ახლა.

— თქვენს რეპერტუარზე რას იტყვით?

- საერთოდ, არსებობები პიანისტები, რომლებსაც  
გარევეული მიმართულება აქვთ. მეც ასეთი ადამი-  
ანების რიცხვს მივეკუთვნები. მაგალითად, ალფრედ  
ბრენდელი მთელი ცხოვრება უკრავდა შუბერტს.  
ადრე მიკვირდა ეს ფაქტი, მაგრამ თანდათან მივხ-  
ვდი, რომ ეს ადამიანი შუბერტის მუსიკაში აღნევს  
სრულყოფილ თვითრეალიზაციას, ისევე, როგორც,  
მაგალითად გლენ გულდი ბახის შესრულებისას. გლენ  
გულდის მოცარტი და ბახი ერთი და იგივე არ არის,  
სომ მართალია!?

ჩემი განსაკუთრებული სიყვარული არის მოცარტი, ბეთოვენი, ფრანგული მუსიკა — რაველი და დებიუსი. მიყვარს რუსული მუსიკა, განსაკუთრებით პროკოფიევი არის ჩემთან ძალიან ახლოს. ვთვლი, რომ ამ კომპოზიტორის ნაწარმოებებში მთელი სისრულით შემიძლია გამოვავლინო ჩემი შესაძლებლობები.

— თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებებს თუ ასრულებთ?

- სამწუხაროდ, თანამედროვე მუსიკა ჩემს შემოქმედებაში ფართოდ არ არის წარმოდგენილი, რადგან არა მგონია, რომ ეს არის ჩემი საკუთხებელი საქმე. ეს არ არის ჩემი რეპერტუარი. თუმცა დამიკრავს შონბერგის, ბერგის, პულ्लენის ნაწარმოებები, რაც ა-ნ ნანა ხუბუტიას დიდი დამსახურება.

— როგორც ცნობილია, თქვენ მონაწილეობა მი-  
იღეთ პ-ნი ალექსი მაჭავარიანის საფუ-ნო ციკლის  
„ფიროსმანის შესანდობარის“ პირველ შესრულებაში.  
თუ ასრულებთ ქართველ კომპოზიტორთა ნანარმოე-  
ბებს უახლოეთში?

— სიამოვნებით ვიხსერებ იმ დროს, როდესაც ვმუშაობდი „ფიროსმანის შესანდობარის“ შესრულებაზე, ისევე, როგორც ანდრია ბალანჩივაძის კვინტეტზე. ვთვლი, რომ ეს ძალიან ნაყოფიერი პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში. მაშინ ეს კომპოზიტორები ცოცხლები იყვნენ და როცა ცოცხალ კომპოზიტორ-თან გაქვს ურთიერთობა, ეს ძალიან ბევრს გმატებს შესრულებელს. რაც შეეხება ქართული ნაწარმოებების დაკვრას უცხოეთში, ვისურვებდი, რომ ქართული მუსიკა უფრო მეტად იყოს გასული და შესრულებული. ყოველთვის მაქვს სურვილი ჩავრთო ქართული მუსიკა საფესტივალო პროგრამაში მაინც, მაგრამ მენეჯერები არ თანხმდებიან, იმიტომ, რომ ეს ნაწარმოებები არ იციან, რისკზე წასვლა კი არავის უნდა.

— რას იტყვით დირიჟორების შესახებ?

— დირიქორს პიანისტისათვის უზარმაზარი  
მნიშვნელობა აქვს, ორკესტრთან ურთიერთობა  
კიდევ ახალ ელფერს აძლევს პიანისტის კარიერას.  
თუმცა, როცა დირიქორს მხოლოდ ერთი კონცერტი-  
სათვის ხვდები, რაც 2-3 რეპეტიციას გულისხმობს,  
თუ რაღაც გიგანტ დირიქორთან არ გაქვს საქმე, ეს  
შენზე გავლენას ვერ მოახდენს. სხვა საქმეა დირი-  
ქორი, რომელთან ერთადაც სშირად თანამშრომლობ,  
გასტროლებზე დადიხარ. ამ დროს იბადება რაღაც  
განაკუთრებული ურთიერთობა, რომელსაც ძალიან  
საინტერესო შეფაქები მოაქვს.

დირიქორებს შორის უპირველეს ყოვლისა უნდა  
ვახსენო ბატონი ჯანსულ კახიძე. თვით მისი არსე-  
ბობის ფაქტი, საქართველოსათვის დიდი საჩუქარი  
იყო. როცა ბ-ნი ჯანსული გარდაიცვალა, ვფიქრობ-  
დი, როგორ დაობლდა საქართველო-მეთქი. გარდა  
იმისა, რომ ეს იყო გენიალური დირიქორი, იყო  
არაჩვეულებრივად ნიჭიერი ადამიანი აბსოლუტურად  
ყველაფერში. ის ორგანიზატორიც იყო, მენეჯერიც  
და შემსრულებელიც. ვეუბნებოდი, მასტრო, როგორ  
ასწრებთ ყველაფერს-მეთქი და ბატონი ჯანსული მპა-  
სუხობდა: – ამის გარეშე არაფერი გამოდისო. ახლა  
ვსვდები, რამდენად სწორი იყო – სსგანაირად არ  
გამოდის. მე შემიძლია უსასრულოდ ვისაუბრო მის  
ინტერპრეტაციაზე. მაგალითად, გენიალური იყო მის  
მიერ რახმანინოვის შესრულება. ბ-ნმა ჯანმრთელი  
საკუთრებული აღიარება სიცოცხლის ბოლო წლებ-  
ში მოიპოვა. მას „კავკასიელ კარაიანადაც“ მოისხე-  
ნიებდნენ. ჩვენ 6-7 კონცერტი გავმართეთ საქართ-  
ველოში, ეს იმ პერიოდში, როდესაც სინათლე არ  
იყო და გაყინულ დარბაზში ვისხედით. რეპეტიცი-  
ებზე ქუდებითა და პალტოვებით უკვრავდით, მაგრამ  
ამან ხარისხსზე უარყოფითად არ იმოქმედა, იმდენად  
ძლიერი იყო ის მუხტი, რომელიც მისგან მოდიოდა,  
რომ ეს მოშვების საშუალებას არ გვაძლევდა.

ამჯერად საკმაოდ მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტი მაქვს დამყარებული ცნობილ ფრანგ დირიჟორთან ლორან პიტი-ჟერართან, ეს არის ძალიან კარგი მუსიკოსი - დირიჟორიც, პიანისტიც და კომპოზიტორიც და არაჩემულებრივად საინტერესო პიროვნება. მასთან დიდი გაეგმები მაქვს თბილისშიც და პარიზშიც.

ახლო მომავალში, ნოემბერში უნდა შეეხვდე ბ-ნ ზუბინ მეტას, თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს დირიჟორს, რომელიც ლოს ანჯელესისა და ისრაელის ფილარმონიული ორკესტრების ხელმძღვანელია და ფლორენციული Maggio Musicale-ს უცვლელი დირექტორი. მან ერთხელ მომისმინა და ძალიან კარგი წერილი დაწერა ჩემზე. იმედი მაქს, ეს შეხვედრა საინტერესო შედეგებს გამოიიდებს.

— ତା ହ୍ୟାଙ୍କ ପାଇନିରୁ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

— ჩენთვის ყოველთვის იდეალი იყო რიცხური. ის იმდენად ყოვლისმომცველი პაინისტია, რომ არა მგონია კიდევ კარგა ხნის მანძილზე გამოჩნდეს ვინმე - ასე უსაზღვროდ დიდი. დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე აღფრედ ბრენდელმა. ამას წინათ დავესწარი მის კონცერტს და აღფრთოვანებული დავრჩი. იგი უკრავდა რაღაც ჯადოსნური, საოცარი ბერით, რომელსაც თითქოს სულ სხვა სამყაროში გადავყადი.

— რამდენად ძნელია იყო პიანისტი, მუდამ იყო ფორმაში?

— ძალიან რთულია. განსაკუთრებით 30-ს რომ გადააბიჯება, ჩნდება უფრო მეტი ნინაალმდევობა: ცხოვრება თავისას მოითხოვს, ინსტრუმენტი თავისას. შენ კონცენტრირებული ხარ შენს საქმეზე და ყველაფერი შენს გარშემო ტრიალებს. მე, საერთოდ, ეგოისტური ბუნების ადამიანი არ ვარ, მაგრამ იმდენად დატვირთული ვარ ჩემი ცხოვრებით, რომ არ ვიცი მრჩება თუ არა საგანისი დრო სხვებისათვის. აი, ეს ჩემი პროფესიის ერთ-ერთი ყველაზე რთული მომენტია.

— სცენის შიში თუ გაწევთ?

აქვს იმას, თუ როგორ მოემზადები კონცერტისათვის. თუ კარგად ხარ მომზადებული, შიში მაღვევე ითრგუნება, თუმცა რაღაც დოზით ყოველთვის არსებობს.

სცენა — ეს არის ის მაგიური ადგილი, სადაც უკრავ ისე, როგორც ვერასოდეს ვერ დაუკრავ სახლში. აუდიტორია ისეთ ელექტრონულ მუსტს გაძლევს, ისეთი ენერგეტიკული გაცვლა-გამოცვლა ხდება არტისტისა და პუბლიკას შორის, რომ ამას ვერაფერი შეცვლის. სწორედ ეს ბადებს განუმეორებელ მომენტებს.

— რას უსურვებთ ახალგაზრდა ქართველ პიანისტებს?

— ვუსურვებდი, ჰქონდეთ იმის შეგრძნება, რომ ეს ძნელი გზაა, ძალიან რთული პროფესიაა, რომელსაც მიაქვს უზარმაზარი ენერგია და გიყენებს უზარმაზარ მოთხოვნებს საკუთარი თავის მიმართ, მოითხოვს ყოველდღიურ და ყოველწუთიერ განვითარებას. ჩვენ პროფესიაში არ არსებობს ცნება გავაკეთე და ბედნიერი ვარ. მაგალითად, არის ასეთი ძალიან დიდი პიანისტი გრიგორი სოკოლოვი. კონცერტის დამთავრების შემდეგ, იგი მიდის სახლში და იწყებს მეცადინეობას, — ასწორებს იმას, რაც კონცერტზე თავის დაკრულში არ მოეწონა. იგივეს აკეთებდა რისტერიც... ეს არის ის მაგალითები, რომ ყველა წუთი მათთვის ძვირფასია იმისათვის, რომ წინ წავიდეს მათი შემოქმედება.

— მომავლის გეგმების შესახებ რას იტყვით?

— თბილისის შემდეგ ძალიან სერიოზული კონცერტი მაქებს დაგეგმილი პარიზში 18 ოქტომბერს, ახალი პროგრამით, ნოემბერში ავსტრიაში ვუკრავ, მაქებს კონცერტი შევიცარიაშიც, რომელიც რადიომ უნდა ჩაიწეროს, დეკემბერში იტალიაში მივემგზავრები, არის გარკვეული გეგმები ინგლისა და ა.შ.-სთან დაკავშირებითაც. აქვე უნდა ვთქვა, რომ მე არ მივეკუთვნები იმ პიანისტთა რიცხვს, რომლებიც ნელინადში 50 კონცერტს მართავენ. ასე არ შემიძლია, იმიტომ, რომ ყოველი კონცერტის შემდეგ მჭირდება დრო, რომ მეორე კონცერტზე გადავერთონ და ენერგია დავუთმო.

— ძალიან დიდი მადლობა საინტერესო საუბრი-სათვის. წარმატებას გისურვებთ.

PS. კომპანია Cascavel-მა გამოსცა ელისო ბოლქვაძის ახალი CD, რომელმაც კრიტიკოსების დიდი ინტერესი გამოიინვია. ერთ-ერთი მათგანი ფრანგული გამოცემის Figaro Magazin-ის დავალებით ქ-ნ ელისო ბოლქვაძესთან ერთად ნოემბერში საქართველოშიც იყო ჩამოსული.

25 მაისს რუსთაველის თეატრში შედგა დიდი ხნის ნანატრი შეხვედრა პიანისტ ელისო ბოლქვაძესთან და დირიჟორ ლორან ბეტი ჟერართან.



მუსიკა

# „Art-გენი“



## სტუდენტური შთაბეჭდილებები

თამარ მიქაელი

# ჩეხლი ცენტრი, ჩეხლი ვორამები

ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ მისწრაფება დასვენებისა და მოგზაურობისაკენ. ეს მოთხოვნილება ადამიანს შექმნის დღიდან ახლდა. ჯერ კიდევ უძველეს დროში დასვენების სხვადასხვა ფორმები არსებობდა: ნადირობა, მშვილდოსნობა, ჭიდაობა, დოლი, და რა თქმა უნდა, განტვირთვის ერთ-ერთი საშუალება — მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა. დღევანდელ დღეს უამრავი სააგრძო თუ ობიექტი იღვნის მოგზაურობის, დასვენებისა და გართობის ორგანიზების მიზნით. თავგადასავლების მოყვარულნი მსოფლიოს სხვადასხვა ლირსშესანიშნავ ადგილებში ბევრს მოგზაურობენ, ეს მართლაც რომ ძვირი სიამოგნება. მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს ფესტივალი „Art-გენი“, — რომლის საშუალებით შესაძლებელია მუსიკალური მოგზაურობა საქართველოს კუთხებში, რომელიც დამსწრეთ პირდება დაუვიწყარ შთაბეჭდილებასა და სიამოვნებას.

ფესტივალი „Art-გენი“ — ოთხი წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით ყოველწლიურად იმართება, საბოლოოდ კი თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში იდებს ბინას. „Art-გენი“ 2008“ 11 ივლისს დაიწყო და 27 ივლისამდე გაგრძელდა. წინა წლებისაგან განსხვავებით წლევანდელი ფესტივალი ორ ნაწილად ჩატარდა. პირველი, მუსიკალური ნაწილი, ვაკის პარკის ღია კინო-თეატრში შედგა. მეორე ნაწილი დაეთმო ხალხურ რეწვასა და ფოლკლორულ ხელოვნებას, რომელიც ტრადიციისამებრ ღია ცის ქვეშ, ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიმართა.

ფესტივალის მიზანია ეთნოგრაფიული ხელოვნების პოპულარიზაცია, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართული დიასპონების მოწვევა, მათი კულტურული ინტეგრაცია და შიდა ტურიზმის განვითარება. რაც მთავარია, მისი კარი ღია ნებისმიერი ხელოვნისათვის, ვისაც შეუძლია წარმოაჩინოს საკუთარი თავი და შესაძლებლობები. „Art-გენი“-ს წარმომადგენელი წელს გაერთიანებული ტელეკომი გახლდათ, მუდმივი მხარდამჭერები — თბილისის მერია, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. ფესტივალის ორგანიზატორების: ნიაზ დიასამიძის, ზაზა კორინთელის („ზუმბა“), გიორგი ბარამიძის, ნიკა ანჯაფარიძის, მარიამ ლანევსკის, თამარ მელიქიშვილის განცხადებით წლევანდელი ფესტივალი საიუბილეო იყო, იგი უკვე მეხუთედ გაიმართა. მართლაც, ხუთი წლის გამავლობაში ფესტივალმა შეიძინა უამრავი ერთგული მაყურებელი, რომელთა რიგებში მე და ჩემი სამეგობრო წრეც ვართ.

დაარსების დღიდან (2004 წ.) ფესტივალ „Art-გენი“-ს აქტიურ პოპულარიზაციას უწევენ ტელე-რადიო

სამაუწყებლო საშუალებები, რომლებიც გვამცნობენ დაწყების თარიღსა და საშემსრულებლო კოლექტივებს. რეკლამა რომ გულისხმობს მიზნობრივი აუდიტორიის პროდუქციის ხელის შეწყობასა და სტიმულირებას, ეს ცხადია, მაგრამ რეკლამაცა და რეკლამაც. „Art-გენი“ ის ფესტივალია, რომელიც საზოგადოების ორგანული ნაწილი გახდა და ბევრი ჩვენთაგანისათვის ზაფხული „Art-გენი“-ს გარეშე ძნელად წარმოსადგენია.

ივლისის თვე, როდესაც ღამენათევ, გადაქანცულ სტუდენტებს გადალახული აქვთ გამოცდების ციებ-ცხელება, იწყება „Art-გენი“ — განტვირთვის, დასვენების, მეგობრების თავშეყრის ჩინებული ადგილი. ფესტივალის იმიჯი კი ასეთია: ყველაზე საყვარელი, ეროვნული, ახალგაზრდული, მხიარული, სანახაობრივი, მრავალ ეთნიკური, თემატურად მრავალფეროვანი. ფესტივალის პროგრამა გათვლილია ნებისმიერი ასაკისა და გემოვნების ადამიანზე. ჩვენი აზრით ესაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ უყვარს ხალხს „Art-გენი“ და რატომ ხდება ფესტივალი ყოველწლიურად უფრო და უფრო მზარდი და პოპულარული.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, წელს „Art-გენი“ ორ ნაწილად გაიყო. პირველი ნაწილი ცხადის განმავლობაში ვაკის პარკის ღია კინო-თეატრში გაიმართა. წარმოდგენილი იყო თანამედროვე ქართველი ფოტო-ხელოვანების და მხატვრების ნამუშევრები; „სუხიშვილებთან“ ერთად, მრავალი ცნობილი და უცნობი ჯგუფი: საესტრადო, ჯაზის, პოპის, როკის, ფოლკლორის სფეროდან; აგრეთვე გაიმართა პოეზიის სალამოები, ქართული კინოს დღეები. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ „Art-გენ“-მა მოიცვა ხელოვნების ყველა დარგი და მრავალი მუსიკალური მიმდინარეობა.

ვაკის პარკი — მთაწმინდის ქედის ფერდობზე გაშლილი, მოჩუქჩესე შადრევნით, საბავშვო ქალაქი, კაფე-ბარები და რაც მთავარია — განახლებული ღია კინო-თეატრი, რომელიც 7 ივნისს გაიხსნა, იგი წლების მანძილზე გამოუყენებული იყო და ნიაზ დიასამიძის წყალობით დაგრეული კედლების ნაცვლად სოლიდურ, მრავალპროფილიან, თანამედროვე ტექნიკური აპარატურით აღჭურვილ საკონცერტო დარბაზად იქცა. მფითეატრი ღია ცის ქვეშ — ადგილი, სადაც ყველა თაობის მაყურებელს შეუძლია მოვიდეს და ცოცხალ, გემოვნებინ მუსიკას მოუსმინოს. ახლა კი შევეცდები მოკლედ მიმოვისილო თითოეული სალამო და გაგაცნოთ ფესტივალში მონაწილე ჯგუფები.

11 ივლისი — ფესტივალი საზეიმოდ გახსნა ყველასათვის კარგად ცნობილმა და საყვარელმა ჯგუფ-

# პუნქი

მა „33ა“. საღამოს მასპინძელი ნიაზ დიასამიძე ახლაც ჩევეული უშუალობით და სითბოთი მიმართავდა მსმენელს, დასწრების მსურველი კი ძალიან ბევრი აღმოჩნდა. დარბაზი ვერ იტევდა მაყურებელს, რომელიც იმპროვიზირებულად მოეწყო სცენაზე, რამაც მეტი უშუალობა შესძინა კონცერტს. მთვარიანი ღამის ფონზე უდერდა ნაცნობი ჰიტები და ახალი კომპოზიციები. კონცერტი გვიანობამდე გაგრძელდა.

12 ივლისი — ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“. ფესტივალი „Art-გენი“ ყოველწლიურად გვანებივრებს უკვე ლეგნდად ქცეული ანსამბლის საღამოებით. ტრადიციულად მსოფლიოში არაერთგზის აღიარებული ანსამბლის კონცერტები, ჩვეულებისამებრ სრული ანშლაგით მიდის, გამონაკლისს არც 12 ივლისის საღამო ნარმოადგენდა. პირადად ჩემთვის ეს გამოსვლა ყველაზე უფრო შთამბეჭდავი იყო. ახალი ორიარუსიანი სცენა „ასა ფართისათვის“ ძალიან კომფორტული აღმოჩნდა. ზემოთ მუსიკოსები ისხდნენ, მათგან თავპრუდამხვევი რიტმული დინამიკა მოდიოდა. ქვემოთ კი მოცეკვავთა ოსტატობა სწყვეტდა თვალს. ამ დღესაც „სუხიშვილების“ ახალი თაობის ნარმომადგენელთა მიერ შესრულებული ცეკვები უმცროსი ილიკო სუხიშვილის, როგორც ქორეოგრაფის ვიორტუოზობას უსვამდა ხაზს. უწყვეტი იყო ცეკვების ჯაჭვი, ოვაციები და აპლოდისმენტები. პატარა ბავშვები, რომელებსაც სცენასთან თავი მოყეარათ და დიდი მონდომებით ცდილობდნენ მსგავსი ილეტების განმეორებას კიდევ უფრო ახალი სებდნენ და ამშვენებდნენ ამ სანახაობას.

13 ივლისი — ქართული ხელოვნების წარმომადგენლთა მესამე დღე ჯგუფ „მგზავრებს“ დაეთმო. სამი წლის წინ სამი შემსრულებლისაგან შემდგარი ჯგუფი დროთა განმავლოვაში გაიზარდა და თოთხმეტკაციანი შემადგენლობით წარსდგა „Art-გენ“-ზე. ანსამბლის წევრები მუსიკას თავად ქმნიან, მათი შერეული რეპერტუარი კი გაჯერებულია ქართული ფოლკლორის ელემენტებით. ჯგუფის ინსტრუმენტული შემადგენლობა შერეულია: ფლეიტა, გიტარა,

სინთეზატორი, ჩელო, კონტრაბასი, ტამტამი. საღამოს დასასრულს ჯგუფის დამფუძნებელმა გიგი დადამაზიშვილმა აუდიტორიას მიმართა: „ჩვენ ძალიან მოხარულები ვართ, რომ მოგვეცა საშუალება გამოვსულიყვავით „Art-გენ“ზე, ეს არის ჩემი ყველაზე საყვარელი ფესტივალი საქართველოში. ეს მართლაც უმაღლესი რანგის ფესტივალია“.

13, 14 და 15 ივლისი — დაეთმო ქართული კინოხელოვნების ნიმუშებს, ფოტოგრაფიას და მხატვრულ გამოფენებს. კინოჩევნების დაწყებამდე მაყურებელი ფერწერულ და ფოტო ნამუშევრებს ეცნობოდა. ნამუშევრები ამზითეატრის კედლებზე იყო განთავსებული. ორგანიზატორებმა ღია კინო-თეატრის თითოეული კუთხე მაქსიმალურად აითვისეს, რამაც მეტი შინაარსობრივი და ვიზუალური ეფექტი შექმნა.

კინოჩევნებებზე წარდგენილი იყო ახალგაზრდა ქართველი რეჟისორების კინო ნამუშევრები — ზოგი მოკლემეტრაჟიანი, ზოგიც კი სრულმეტრაჟიანი. კინო ნამუშევრების არასრული ჩამონათვალი ასეთია: სერგი გვარჯალაძე „ელექტრონატები“, ირაკლი შავდერაძე „მონეტა“, გიორგი წიქარიშვილი „პირველი სიტყვა“ და „დაკრულია“, გიორგი ტაბიძე „ვარიაცია“ და ირაკლი მეტრეველი „ორიენტაცია“. სამწუხაროდ, კინოჩევნებებზე შედარებით სიხალვათე შეინიშნებოდა. ალბათ, ამის ერთ-ერთი მიზნები ისიც უნდა იყოს, რომ ქართული კინო-პროდუქცია წლების განმავლობაში გაჩერებული იყო, ახლა კი თითქოს მატარებელი დაიძრა... იმედია, მომავალში უფრო მეტი მაყურებელი ეყოლება ქართულ კინემატოგრაფს. დასრულდა სამდლიანი კინოჩევნები, ფესტივალის შემდეგი დღეები ისევ მუსიკალური საღამოებით გაგრძელდა.

16 ივლისი — ჯგუფი „The Sanda“, „მგზავრებისაგან“ განსხვავებით, დიდი ხანია არსებობს, ეს ჯგუფი ჩამოყალიბდა 1993 წელს. „The Sanda“-მ მოღვაწეობა ბლუზის და სოფტ-როკის უანრში დაიწყო, მოგვიანებით კი მათი კომპოზიციები ბრიტანული ფოლკ-როკის ელემენტებით გამდიდრდა. საგულისსხმა, რომ მათ რეპერტუარში ქართული კომპოზიციებიც შედის. სამწუხაროდ, 1997 წელს ფინანსური პრობლემების გამო ჯგუფმა მოღვაწეობა შეწყვიტა, მაგრამ მოგვიანებით ანსამბლი ისევ შეიკრიბა და პირველი ალბომი „ლეტურნ“ ჩაწერა. ამჯერადაც ჯგუფმა „The Sanda“-მა კიდევ ერთი საინერესო საღამო გამართა. ფოლკ-როკის ელემენტებით გაედენთილი ორიგინალური კომპოზიციები, აოცებდა მსმენელს და დიდი ოვაციებით პასუხობდა.

17 — ჯგუფი „სინათლის წელიწადი“, ეს ერთ-ერთი პროგრესული როკ-ჯგუფი 2004 წელს შეიქმნა გიგი გეგელაშვილის თაოსნობით, ამავე წელს ჩაიწერა პირველი ალბომი — „Sky Way“ და რაც მთავარია, „Art-გენი“-ის დაარსების დღიდან ისინი ამ ფესტივალის ყოველწლიური სტუმრები არიან. ჯგუფ „სინათლის წელიწადს“, არაერთი სოლო კონცერტი გაუმართავს საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ამ ჯგუფის ისტორიაში მაინც გამოვყოფდი ერთ გრანდიოზულ პროექტს, რომელიც განხორციელდა 2006 წლის 15 მაისს, თბილისის ზე. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ეს იყო პირველი როკ-კანტატა ქართული მუსიკის ისტორიაში, 150 კაციანი



შემადგენლობით, რომელსაც ძალიან დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი მოყვა. ამჯერადაც ჩვეული ენერგიით იყო დამუხტული მათი კომპოზიციები.

18 — ივლისი ჯგუფ „Ketrine & Me“-ს დაეთმო. ჯგუფის შექმნის ისტორია ანსამბლის ერთ-ერთმა წევრმა — ეკა ამბულაშვილმა გვიამბო: „ჩვენი ჯგუფი სულ რამდენიმე თვეა რაც შეიქმნა, შესაბამისად, მსმენელი კარგად არ გვიცნობს. ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა ფესტივალზე გამოსვლა, საშუალება გვეძლევა ახალი და ძველი ნამუშევრები გავაცნოთ მაყურებელს. თავიდან იყო ორი გიტარა, მერე საბოლოო შემადგენლობამდე მოვედით. ჩვენი შემოქმედება გათვლილია ყველა ასაკის მსმენელისათვის“.

19 ივლისის საღამო ვაკის პარკის ღია კინო-თეატრში კახა ბაკურაძის „მოძრაობის თეატრს“ და ჯგუფ „გზას“ დაეთმო. იგი სხვა საღამოებისაგან ორიგინალური თეატრალური გაფორმებით გამოიჩინდა. კონცერტის ძირითად ნაწილს კახა ბაკურაძის „მოძრაობის თეატრი“ წარმოადგნდა. ჯოხებზე აღმართული პერსონაჟები ძალიან სახასიათოდ გამოიყურებოდნენ და ერთნაირად ახალისებდნენ, როგორც ბაგჟებს, ისე უფროსებს. სპეციალურად „Art-გენისთვის“ კახა ბაკურაძემ ახალი წარმოდგენა შემოგთავაზა, რომელიც მოიცავდა პლასტიკის, მიმიკის და მუსიკის სინთეზს. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საღამოს განათებაც, დრამატურგიის, მუსიკალურ-თეატრალური ქმედების მძლავრი ზემოქმედების საშუალებად რომ მოვევლინა.

20 ივლისს — ფესტივალის პირველი ნაწილი დასრულა „ჯაზ-ტრიომ“ გიორგი მიქაძის (ფორტეპიანო), გია მახარაძის (ბასი) და ლაშა სხილაძის (დასარტყელი) ინსტრუმენტები) მონაცილეობით. გიორგი მიქაძე: „ახალგაზრდა და უფროსი თაობის წევრები ჯაზისადმი სიყვარულმა შეგვყარა. რაც შეხება „Art-გენ“-ს, ოთხი წლის განმავლობაში ამ ფესტივალის ხშირი სტუმარი ვიყავი — მსმენელის ამპლუაში, ახლა მონაცილე ვარ, ეს კი ნიაზ დიასამიძის დამსაურებაა. დიდი მადლობა პირადად მას, ზუმბას და გიგი ოქროპირიძეს. ვთვლი, რომ „Art-გენი“ ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური და პრესტიულული ფესტივალია და მასში მონაცილება ჩვენთვის მეტად საპასუხისმგებლო და საპატიოა“. საღამო ჩაფიქრებული იყო ორ ნაწილად. პირველში შემსრულებლებმა თელონიუს მონვის, ჯერომ კერნის, მაილზ დევისის, ბილ ევანსის, იანგის,, ჯოზეფ კოზმას, ფრენკ ჩარჩილის, ვერნონ დიკის — ჯაზ-სტანდარტები შემოგვთავაზეს, მათ შეენაცვლა ანტონიო კარლოს ჯობიშის, მიშელ სეტრუჩიანის, თელონიუს მონვის, ჩიკ კორეას ლათინო-ამერიკული თემები.

ამგვარად, „Art-გენი“-ს პირველმა ნაწილმა მეტად ორიგინალურად და დამუხტულ ატმოსფეროში ჩაიარა. ფაქტობრივად, ფესტივალმა მოიცავა ხელოვნების თითქმის ყველა სფერო: ჩვენ მოვისმინეთ ჯგუფები, რომლებიც თანამედროვე სხვადასხვა მუსიკალურ



მიმდინარეობას მოიცავდა, ვნახეთ კინოფილმები, მოძრაობის თეატრი, ფოტო და ფერწერული ნამუშევრები და ყველაფერი ეს იდილიური მთვარიანი, მყუდრო, იდილიური საღამოს ფონზე.

ორდღიანი შესვენების შემდეგ „Art-გენი“ ჩვეულ, ტრადიციულ ფორმას დაუბრუნდა და ეთნოგრაფიულ მუზეუმში გადმოინაცვლა. ეს ადგილი კავკასიაში პირველი უნიკალური მუზეუმია ღია ცის ქვეშ, დაფუძნებული აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მიერ. აქ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოტანილია საცხოვრებლები თუ სამეურნეო ნაგებობები, წარმოდგნილია ხალხური რეწვის და ყოფის ნიმუშები.



ფესტივალის პირველი ნაწილისაგან განსხვავებით „ეთნოგრაფიულში“ გაცილებით „შინაურული“ სიტუაცია იყო. აქ ყველა თავისებურად ზეიმობდა, ოღონდ ყველა ერთად. ზოგი ბალაზზე იჯდა და მზეს ეფიცებოდა, ზოგიც კი ხიდან ხეზე გავიდებულ ჰამაკში იწვა. რაც შეეხება გამოფენებს: წარმოდგენილი იყო XX ს. -ის ნახევრის ქალაქისა და თანამედროვე თბილისის ხედების ამსახველი ფოტოები. დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები: კერამიკა, ქართული საიუველირო სკოლა — მინანქრის უახლესი ნაკეთობებით. ქართული კოსტუმები ამა თუ იმ ქსოვილისაგან (თექა, აპლიკაცია, ბატიკა) დამზადებული. ძირითადი აქცენტი ხელით ნაკეთ აქსესუარებზე გაკეთდა — ჩანთები, ქუდები, თავშლები, საღამოს კაბები. აქსესუარებისთვის გამოყენებული ძირითადი მასალა იყო ჯვალო, ტილო, შიფონი, დეკორატიული ბისერი. ჩანთებზე ასევე დეკორის მიზნით, შერჩეული იყო ნატურალური ტყავისა და ბეწვის ფიგურები. პარალელურად კი წარმოდგენილი იყო საბრძოლო ხელოვნება, კულინარია, თეატრალიზებული სანახაობა. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან იყვნენ ჩამოსულები ქართული ფოლკლორის ოსტატები, რომლებმაც მაღალ დონეზე წარმოაჩინეს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა. ამდენად დამთვალიერებლებს შეეძლოთ ეხილათ ერთიან ჰარმონიაში მოქალაქეული ქართული მხატვრული აზროვნების სხვადასხვა ტრადიციული და ნოვატორული ფორმები.

წლევანდელმა „Art-გენი“-მა ჩვეულ ფორმატს ერთი სიახლეც შემატა და ჩინური კულტურის საპრეზენტაციო დღეც შემოგვთავაზა. ქართველ მაყურებელს მათ წარუდგინეს საბრძოლო ხელოვნება, კულინარია და მუსიკალურ-თეატრალური სანახაობა. ფესტივალის ამ სიახლეს დიდი წარმატება ხვდა და ამიერიდან „Art-გენი“ ყოველ წელს ეცდება ახალი კულტურა გააცნოს

ქართველ მაყურებელს.

24 ივლისი — ქართულ ფოლკლორულ თეატრ „ნაბადი“ და ახალგაზრდა ფილკლორულ ანსამბლებს დაეთმო. სპეციალურად ამ დღისათვის „Art-გენი“-ს ეწვია 30 კაციანი დელეგაცია საფრანგეთიდან, რომლის წევრებსაც ქართული სიმღერის სიყვარული აერთიანებთ. ანსამბლის რეპერტუარი წლების განმავლობაში ცნობილ ქართველ ლოტბარებთან შეხვედრებითა და მათთან მეცადინეობით ყალიბდება.

25 ივლისი — „Art-გენი“-მა უფრო მასშტაბური სახე მიიღო და შიდა ქართლიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, მცხეთა-მთიანეთიდან, იმერეთიდან ჩამოსულ ანსამბლებს უმასპინძლა. საგულიხმოა, რომ თითქმის ყოველი ანსამბლი „Art-გენი“-ის ყოველწლიური სტუმარია. მუზეუმში შეკრებილმა ფოლკლორის მოყვარულებმა დიდი ოვაციებით გააცილეს სტუმრები.

26 ივლისს — „Art-გენი“-მა უმასპინძლა თურქეთიდან მოწვეულ სტუმარს — თულინ სარიბაიას, რომელიც ადგილობრივ ანსამბლებთან: „ალილო“, „ივერიონი“, „ურმული“, „ფერეიდანი“, „ახალუხლები“ ერთად გამოვიდა.

27 ივლისი — ეთნოგრაფიული მუზეუმი, „Art-გენი“-ს გრანდიოზული დაბურვა. თავისი თვითმყოფადი ხელოვნება წარმოადგინეს ჩვენმა მშობლიურმა კუთხეებმა: აჭარამ, გურიამ, პანკისმა და თუშეთმა. ბოლო საღამო კი საზეიმოდ დააგვირგვინა ჯგუფმა „ზუმბალენდმა“. „გული მწყდება, რომ ფესტივალი მთავრდება. სრულდება. „Art-გენი“-ის სახელით დღეს მაყურებლებს დავეტშვიდობეთ. სცენაზე ყველასათვის საყვარელი ანსამბლები გამოვიდნენ. Art-გენი“-ი 2008 დასრულებულია. იმედია, ხალხის მოლოდინი გავამართლეთ ჩვენი წლევანდელი პროგრამით“ — ასე მიმართა ხალხს „ზუმბამ“ — ზაზა კორინთელმა.

15 დღიანი ხელოვნების ფესტივალი „Art-გენი“ წარმატებით დასრულდა. ამ ნის მანძილზე ვაკის პარკის ღია კინოთეატრმა და ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა ბევრ დაუვინყარ სანახაობას უმასპინძლა, ერთი მთავარი მიზანი შეასრულა — „ნაცონბ“ და „უცნობ“ ხელოვანთა შემოქმედება ღია ცის ქვეშ წარმოაჩინა.

ეთნოგრაფიული მუზეუმი დაცარიელდა, ერთმანეთს იმ იმედით დავშორდით, რომ „Art-გენი“ სტარტს ისევ აიღებს და მომავალ წელს კვლავაც ბევრ ლამაზ დაუვინყარ შემოქმედებით საღამოს გვაჩუქებს.



ზუმბა (ზაზა კორინთელი)

## გეგმის გენერაცია და გენერაცია

უმაგალითოდ დიდი და ნაყოფიერი აღმოჩნდა წლევანდელი შემოდგომის მუსიკალური ჭირნახული. ჯერ იყო და, როგორც მუდამ, მაღალ პროფესიულ და შემოქმედებით დონეზე ჩატარდა მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“, ამას მოჰყვა პირდაპირ გრანდიოზული პროექტი — „თანამედროვე მუსიკის სალამოები“, რომელსაც შემდეგ ჩაენაცვლა ასევე შთამბეჭდავი „გამერული ანსამბლების ფესტივალი“ და გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის აღქვესი მაჭავარიანის დაბადების 95 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტები: ერთი კამერული, ერთიც სიმფონიური. თავისი საკონცერტო სეზონი გახსნა ეროვნულმა სიმფონიურმა ორკესტრმაც.

მოკლედ, ეს იყო, როგორც ფრანგები იტყვიან, ნამდვილი „embarras des richesses“ („გასაჭირო სიუხვისაგან“)!

ზოგიერთი ამ საკონცერტო სალამოებიდან სინქრონულად ტარდებოდა და, ბუნებრივია (სამწუხაროდ!), ყველა მათგანს ვერ დავისწრებოდი, მაგრამ არ შემიძლია ჩემი დიდი კმაყოფილება არ გამოვთქვა მოსმენილი კონცერტების მაღალი მხატვრული დონით, რაც გამოცდილ ქართველ და უცხოელ მუსიკოსებთან ერთად, ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობის დამსახურებაცაა.

უკვე მეთექვსმეტედ საკონცერტო სეზონი გაიხსნა პოპულარული საერთაშორისო ფესტივალით „შემოდგომის თბილისი“, რომლის დამარსებელიც იყო დიდი ჯანსულ კახიძე. მისი შესანიშნავი წარმონების გამგრძელებლად 2002 წლიდან გვევლინება ჯანსულის ძე — ნიჭიერი და მრავალმხრივი მუსიკოსი ვახტანგ კახიძე. მისი ხელმძღვანელობითა და ცნობილი ქართველი და უცხოელი მუსიკოსების თანამშრომლობით „თბილისის სიმფონიური ორკესტრი“ ყოველწლიურად მართავს ძალზე საინტერესო და შინაარსიანი კონცერტების ციკლს, რომელიც მთელი მუსიკალური სეზონის ერთ-ერთ ყველაზე დასამახსოვრებელ მხატვრულ მოვლენად ჩრება. ამ მხრივ, არც წლევანდელი ფესტივალი წარმოადგინდა გამონაცლისა.

უკვე პირველმა კონცერტმა ძალიან დააინტერესა მუსიკის მოყვარულები იმით, რომ შესრულდა ჩვენი მსმენელებისათვის უცნობი ნაწარმოები — ინგლისელი კომპოზიტორის ედუარდ ელგარის (1857-1934) სიმფონიური ვარიაციები — „ენიგმა“, (ლათინურად „ენიგმა“ ამიუცნობს ნიშნავს).

თუმცა მსმენელთათვის თავიდანვე საცნაური გახდა ის, რომ საქმე გვეონდა ძალზე საინტერესო, ოსტატურად დანერილ, მდიდარი მუსიკალური შინაარსის მქონე ნაწარმოებთან (იგი შექმნილია 1899 წ.), რომელიც თავისი სტილით ენათესავება გვაინდელი რომანტიზმის ნიმუშებს. რამდენადმე ასკეტური, გრაფიკული აღნაგობის თემა ვარირების პროცესში (სულ 16 ვარიაცია) სხვადასხვა ემოციურ იერს (ზოგჯერ კეპლუც, ხან კი შთაგონებულად ლირიკულს) იძებს.

დიდი მადლობა ბ-6 ვახტანგ კახიძეს და მის ორკესტრს ამ შესანიშნავი ნაწარმოების ჩვენი მსმენელებისათვის „აღმოჩენისა“ და დიდებული შესრულებისათვის.

ამავე კონცერტის სასიამოვნო სიურპრიზს წარმოადგენდა ზ.ფალიაშვილის სახ. ცენტრალური სამუსიკო სკოლის მოსწავლის ცოტნე (ცოცხალშვილის მიერ (მისი პედაგოგია ქ-ნი ვევა სვანიძე) შოპენის №2 საფორტეპიანო კონცერტის შესრულება, რომელიც მხატვრული კულტურითა და გემოვნებით გამოიჩინდა.

ოდა და მსმენელთა მოწოდებაც დაიმსახურა.

მომდევნო საკონცერტო საღამო დაამშვენა მოცარტისა და რ. შტრაუსის ვალტორნის (!) კონცერტების ასევე პირველმა თბილისურმა შესრულებამ. მრავალი პრესტიული კონკურსის, ფესტივალისა და ა.შ. ლაურეატის, ცნობილი ფრანგი მუსიკოსის ერვე უულენის მიერ. მართლაც, იგი მოგვევლინა თავისი საქმის დიდოსტატად, როგორც რთული ტექნიკური ფიგურაციების, ასევე რბილი, ხავერდოვანი, მღერადი ეპიზოდების შესრულებისას.

პროგრამის სიმფონიური ნაწილი წარმოადგენილი იყო მოცარტის №31 სიმფონიითა და რაველის სიუტით №2 — ბალეტიდან „დაფნისი და ქლო“. ამ ძალზე კონტრასტული ნაწარმოებების შესრულება მათი მუსიკალური შინაარსისა და სტილის ადექვატური იყო, ე.ი. ფორმისა და ხმოვანების ბალანსის კლასიკური განანასწორებულობა — სიმფონიაში და მჩეული დინამიკა და საორკესტრო ფერთა ელვარება — „დაფნისში“.

მესამე სიმფონიური საღამოს სოლისტად აზერბაიჯანელი პიანისტი მურად ადიგეზალზადე უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაღაც მიზეზით ვერ ჩამოვიდა. იგი შეცვალა ცნობილმა ახალგაზრდა პიანისტმა, ს. რიხტერის პრესტიული კონკურსის (ზოკვი). 2006) ლაურეატმა ანი ტაკიძემ, რომელიც იმუშამად თბილისში იმყოფებოდა (მუშამივად მუშაობს მიუნჟენის კონსერვატორიაში). უნდა გითხრათ, რომ ხსენებულმა გარემოებამ გაგვახარა, რადგანაც იშვიათად გვეძლევა ამ შესანიშნავი მუსიკოსის ხელოვნებასთან შეხვედრა. ა. ტაკიძე უმაღლესი მუსიკალური კულტურის პიანისტია, რაც მან დაადასტურა ბეთჰოვენის V საფორტეპიანო კონცერტის შესრულებით, რომელიც ყოველწლიური სრულყოფილი იყო. ეს თანაბრად შეხება საერთო ინტერპრეტაციულ კონცეფციას, ბერის მაღალ კულტურას, ფრაზირების მოხდენილობას.

კონცერტის განყოფილებაში ვ. კახიძის დირიჟორობით ორკესტრმა შეასრულა მუსიკოგსკის განთქმული „სურათები გამოფენიდან“ (რაველის გაორკესტრება)


მხატვრულად და ტექნიკურად ძალზე რთული ნაწარმოები.

ერთი კონცერტი მთლიანად დაეთმო იოსებ (სოსო) ბარდანაშვილის (ისრაელი) შემოქმედებას. ჩვენ ვამაყობთ შესანიშნავი კომპოზიტორის თბილის თანამორინების შემთხვევაში გემოვნების დამსახურებული ელგარის შესრულების დამსახურებული მოღვაწეობით, ზ. ფალიაშვილის სახ-



სოლისტი  
ანი ტაკიძე,  
დირიჟორი  
ვახტანგ კახიძის

# ბერნარდი



იოსებ  
გარდანაშვილი

ელობის პრემიის ლაურეატით, იოსებ (სოსო) ბარდანაშვილით, რომელიც დაიბადა და დავაუკაცდა საქართველოში. ბათუმის მყვიდრმა, 1973 წ. დამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია პროფ. ა.შავერზაშვილის ხელმძღვანლობით, ხოლო 1995 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს ისრაელში, სადაც ფართო აღიარება მოიპოვა და ამჟამად თელავის მუსიკალური აკადემიის (კონსერვატორიის) პროფესორია.

ჩემ შეკითხვაზე, თუ რამ განაპირობა მისი გადასახლება ისრაელში, ბ-მა სოსომ ასე მიპასუხა: — პირველი გარემოება, ცხადია, იყო „სისხლის ყოვლი“ (ჩემი წინაპრები მუდამ სახლობდნენ ისრაელში), მეორე გარემოება კი — ის უაღრესი სიძნელები საკუთარი შემოქმედებითი თვითრეალიზაციის საკითხში, რომლებიც შეიქმნა საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში. ძნელი გადასადგმელი ნაბიჯი იყო. ჩემთვის ხომ ქართული ენა, როგორც სალაპარაკო, ისე მუსიკალურიც (!), პირველი და მშობლივი იყო და ახლაც ჩემ მუსიკაში ცოცხლობს ქართული ინტონაცია.

ჩემი მხრივ, დავამატებ, რომ ისრაელში სოსომ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. იგი რამდენჯერმე დაასახელეს წლის საუკეთესო კომპოზიტორად, მისი ნაწარმოებები სრულდება სხვადასხვა ქვეყანაში. იგი ხშირად ჩამოდის საქართველოში, მართავს კონცერტებს, ატარებს მასტერ-კლასებს კონსერვატორიაში და ა.შ.

ი. ბარდანაშვილი სხვადასხვა უანრის მრავალი ნაწარმოების ავტორია, რომლებშიც ორგანულადაა შერწყმული ებრაული და ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის ნიშნები. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ამ დაებებში, როდესაც „შემოდგომის თბილისის“ კონცერტების სერიალში გაიმართა მისი შემოქმედებითი სალამი.

თავისი შემოქმედებითი საღამოს პროგრამისათვის კომპოზიტორმა შეარჩია ის ნაწარმოებები, რომლებიც თავისი ხასიათით ეხმიანებიან ამსახინდელ ტრაგიკულ ამბებს საქართველოში. ასეთებია: სიმფონია №2 (2001), „ლოცვები ხმისა და ორკესტრისათვის“ (1998), „დიალოგები ჩელოსა და ორკესტრისათვის“ (2001) და „ელეგია“ (1996). ყველა მათგანს აერთიანებს მძაფრი დინამიკური პულსი, დიდი დრამატიზმი, რომელთაც პერიოდულად ენაცვლება ნაღვიანი და ამაღლებული მუსიკის ფურცლები.

ხსენებული დრამატურგიული პრინციპი განსა-

კუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მასშტაბურ, ძალზე კონცენტრიულ სიმფონიაში, რომელსაც მრავლისმ-ეტყველი სათაური აქვს — „გზა“ („Way to“) და შესანიშნავ „ლოცვანში“. ეს უკანასკნელი ბრწყინვალედ შეასრულა ისრაელები მომღერალმა ეტი ბენ ზაკენმა. ნაწარმოებში სამი ნაწილია: „დილის კურთხევა“, „ნმინდა ლოცვა“, „სიმღერა ეკლესიასტეს ტექსტზე“, რომელშიც მკვნესარე ინტონაციები თანდათან შთაგონებულ არიოზულ გალობაში გადაიზრდება. ამ მუსიკალური შედევრით, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად, დასრულდა კონცერტი, მაგრამ მსმენელებმა სიამოვნება მიიღეს მანამდე შესრულებული ნაღვლიანი „ელეგიით“ და, განსაკუთრებით, სავიოლონჩელო „დიალოგებითაც“, რომლებიც დაუკრაცნობისმა ებრაულმა მუსიკოსმა ცვი პლესერმა. განსაკუთრებით შთამშეჭდავად გაისმა მაღალი რელიგიური სულით გამსჭვალული დასასრული.

მადლობა სოსოს, მადლობა ვახტანგ კახიძეს და ამ კონცერტის ყველა მონაწილეს.

23 წლიმბერს იოსებ ბარდანაშვილს 60 წელი შეუსრულდა. უურნალის მკითხველებისა და მუსიკალური საზოგადოებრიობის სახელით ვულოცავთ მას ამ შესანიშნავ თარიღს.


მუსიკალური ფესტივალის — „შემოდგომის თბილისი“ ბოლო კონცერტის პროგრამა შეიცავდა მოცარტის მე-40 სიმფონიას, მოცარტისა და როსინის საპერო ნაწყვეტებსა და საგუნდო ნაწარმოებებს. მონაწილეობდნენ თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები და მაგისტრანტები და საგუნდო-სადირიუმო პათედრის გუნდი (ხელმძღვანელები ლია ჭანიშვილი და არჩილ უშვერიძე).

რაც შეეხება ფესტივალს „თანამედროვე მუსიკის საღამოები“. თბილისი — 2008“, მან გაგვაოცა როგორც მასშტაბურობით (7 კონცერტი), ისე საინტერესო და შინაარსიანი პროგრამებითა და შესრულების დონით.

მადლობა, პირველ რიგში, ფესტივალის მთავარ ორგანიზატორებს, — ნიჭიერ მუსიკოსებს, „ავანგარდული“ მუსიკის ენთუზიასტებსა და პროპაგანდისტებს კომპოზიტორ თემიშურაზ ბაკურაძესა და მუსიკისმოწვენე ქეთევა ბოლაშვილს, აგრეთვე ყველა იმ ორგანიზაცია-დაწესებულებებს, რომლებმაც ხელი შეუწყეს ამ პროექტის განხორციელებას.

პარიზის ინსტრუმენტულმა „Circuit“ (6 მუსიკოსი, დირიჟორი ფილიპ იურელი) უმაღლეს დონეზე შეასრულა ო. მესანის გრანდიოზული „კვარტეტი უამთა დასასრულზე“ (8 ნაწილად), აგრეთვე ვ-იურელის „Step“ („ნაბიჯი“) და უ. გრიზის „ტალეა“. დიდი ინტერესი გამოივინა ქართული „მუსიკალური ავანგარდის“ ლიდერის, თ. პაკურაძის ორგინალური საფორტეპიანო ნაწარმოების — „შობის სიმღერების“ („ოცდებათ ალელუია“) შესრულებაში. ეს გახსავთ ციკლი სახარების სიუჟეტურ და ორმატურ მოწყვებზე, რომელიც საერთო ჯამში საათზე მეტ ხანს გრძელდება. ნაწარმოების დიდებულ ინტერპრეტატორად მოგვევლინა შესანიშნავი ქართველი პედაგოგი და პიანისტი ქ-ნი ნანა ხუბუტია.

კ. შტროპაუზების ქმნილებების აღიარებულმა შემსრულებელმა, ნიჭიერმა პიანისტმა ნინო უვანიამ გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორის მუსიკა წარმოგვიდგინა, ხოლო ცნობილმა მევიოლინე თამაზ ბათიაშვილმა მის მიერ დაარსებულ ინსტრუმენტულ ანსამბლ „კამერატის“ შესრულებით — ჰ. პერსელის, გ. ტელემანის, ლ. ბოკერინის, გ. დე მაშოს ქმნილებები. ფრიად ორგინალური მუსიკალური სანახაობის მოწმენი გახდენ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში დამსწრენი, რომელთაც შესთავაზეს მულტიმედიური წარმოდგენა ორ მოქმედებად „Musikalische Opfer“ (მუსიკალური შესანირი). შემსრულებლად აქ მოგვევლინენ რეჟისორ გელა კანდელაკის „ჩრდილების



60ქა მემანიშვილი

თეატრი“ და სოლისტები — პიანისტები ნ. ხუბტია, ნ. უვანია, მოცეკვავე მარიამ ალექსიძე. ჟღერდა შტოკაუზენისა და ბაკურაძის მუსიკა.

ფესტივალის დასკანითი კონცერტის საერთო სათაური იყო: მესიანი — „ასიზელის ცხოვრება“ (ინსტრუმენტული თეატრი). კონცერტის პაუზებში და ინტერლუდიებში ჟღერდა ამ ოპერის ფირზე ჩანერილი მუსიკა, აგრეთვე მესიანის ცალკეული საფორტეპიანო პიესებიც: „შობა“ (ნუცა კასრაძე), „რიტ-

მული ნევები“ (გიორგი სირბილაშვილი), „ხილვა მამისა“ (ვალერიან შიუკაშვილი), „დაკარგული წამიერებანი“ (მარიკა ასათიანი), „დიდი კრონშები“ (ანი ტაკიძე), აგრეთვე დაკენის, ბახის, ვაგნერის, ბრამსის, დებიუსის, რაველის, ალბენისის, შონბერგის, ბერგის, ბულეზის, შულლიაშვილის საფორტეპიანო პიესები, რომელიც შეასრულეს ნინო მაისურაძემ, თამარ უვანიამ, ნინო გვეტაძემ, ვალერიან შიუკაშვილმა, ანი ტაკიძემ. კონცერტი კი დააგვირგვინა ეპილოგის სახით — შობენის ღვთაებრივმა მუსიკამ (ნოეტიურნი. თხ. 27 №2), რომელიც შთაგონებულად დაუკრა ა. ტაკიძემ.

„ამერული ანსამბლების ფესტივალის“ ორგანიზატორად „საქართველოს მუსიკალური საზოგადოება (თავმჯდომარე — მ. ახმეტელი) და თბილისის კონსერვატორია (რექტორი — მ. დოიჯაშვილი) მოგვევლინენ. სულ გაიმართა ხუთი ერთი მეორეზე საინტერესო კონცერტი. პირველ მათგანში საქართველოს სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა (კ. ვარდელი, თ. ბათიაშვილი, ნ. უვანია, ო. ჩუბინიშვილი) ჩვეულ მაღალ აკადემიურ დონეზე წარმოგვიდგინა კლასიკური საანსამბლო რეპერტუარის ცნობილი ნიმუში — ჰაიდნის „ჯვარცმული იესო ქრისტეს შვიდი უკანასკნელი სიტყვა“.

დიდი ინტერესით ველოდით ზემოთ უკვე ნახსენები ოლივე მესიანის ნაწარმოების — „კვარტეტი უამთა დასასრულზე“ შესრულებას. აქ ცნობილ მუსიკოსებს კ. ვარდელს (ვიოლინო) და ო. ჩუბინიშვილს (ჩელო) შეუერთდნენ შოთა გოგოძე (კლარინეტი) და კონსერვატორიის მაგისტრატურის სტუდენტი გიორგი სირბილაშვილი (ფორტეპიანო).

ეს კვარტეტი მესიანმა დაწერა 1941 წელს, როდე-

საც, ტუვედ ჩავარდნილი იმყოფებოდა გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში (როგორ მოგწონთ?!). ამითაა შთაგონებული მესიანის საოცარი ნაწარმოების, ერთი მხრივ, ტრაგიკულ „აბოკალიფსური“ და, მეორე მხრივ, რელიგიური ამაღლებულობითა და სიწმინდით აღმეჭდილი ფურცლები. სხვათა შორის, ამითვება გამოწვეული კვარტეტის უჩვეულო ინსტრუმენტული შემადგენლობაც (უბრალოდ, ბანაკში სხვა საკრავები არ აღმოჩნდა!).

ვფიქრობ, მაესტრო მესიანი ძალიან კმაყოფილი დარჩებოდა ქართველი მუსიკოსების შესრულებით და ჩვენ რაღა გვეთქმის, კონცერტის დიდად მაღლიერ მსმენელებს.

გამოჩენილი კომპოზიტორის, პიანისტისა და პედაგოგის, ნოდარ გაბუნიას 75 წლისთავს მიეძლვნა კონცერტი, რომელიც გამართა მისმა ქალიშვილმა, ნიჭიერმა მევიოლინებმ, ნატო გაბუნიამ. მან ოსტატურად შეასრულა შუბერტის (სონატინა), შუმანის (სონატა №1) და პროკოფიევის (სონატა №2) ნაწარმოებები. მას აკომპანენტებს უწევდა ახალგაზრდა პიანისტი, ნოდარ გაბუნიას მოწაფე, ნინო გვეტაძე, რომელიც ამ ფესტივალების ერთ-ერთ ყველაზე დაკავებულ მონაწილედ მოგვევლინა და ჩინებულადაც გაართვა თავი რთულ პროფესიულ მოვალეობას.

ერთი კონცერტი დაეთმო კონსერვატორიის სტუდენტებსა და კონცერტმასტერებს: გ. ნასარიძეს, ი. ქობულაშვილს, კ. ჩავლეიშვილს, თ. გვირაძეს, ნ. ჯანიკაშვილს, ნ. დავითაშვილს, გ. ბუნიათიშვილს, რ. ქაჯაიას, გ. ზანგალაძეს, თ. გვანცელაძეს, დებს ა. და ნ. სულხანიშვილებს, თ. მიქელაძეს, ს. ბუკიას, გ. ჯორჯაძეს, რომელებმაც ბეთჰოვენის, დებიუსის, რამანინოვის, შიოტევს, ჩიკ კორეას ნაწარმოებები შეასრულეს და სამაგალითო პროფესიული მომზადებაც გამოავლინეს.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს პროფესორების — ნ. ლესელიძის, კ. ვარდელის, ნ. კვირკველიას, ლ. სანიკიძის და, განსაკუთრებით, ო. ჩუბინიშვილის დამსახურება. ბატონმა ოთარმა არათუ გამოიყვანა თავისი აღსაზრდელები, არამედ თვითონაც შიიღო კონცერტებში ძალზე აქტიური მონაწილეობა, როგორც ჩელოზე დამკვრელმა.

შარშანგარდაცვლილი ცნობილი მუსიკოსის, კონსერვატორიის პროფესორის, შესანიშნავი პიროვნების, თამაზ გომელაურის სსორებას მიეძლვნა სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პიანისტმა ნ. გვეტაძემაც. შესრულდა ბეთჰოვენის კვარტეტი №12 და შოსტაკოვიჩის საფორტეპიანო კვირნტეტი.

ღირსეულად დააგვირგვინა კამერული მუსიკის ფესტივალი კონცერტმა, რომელშიც მოვისმინეთ ბე-

„თანამედროვე შუსიპის საღამოების“ დახშურვა



# მუსიკა

თჰოვენის ადრინდელი საფორტეპიანო კვარტეტი (თხ. 3), ბრამსის საფორტეპიანო ტრიო №3, სიმებიანი კვინტეტი (თხ. 111) და შოსტაკოვიჩის საფორტეპიანო ტრიო №2. გამოცდილ პროფესორებთან — ოთარ ჩუბინიშვილთან და მანანა ქანთარიასთან (მან დიდებულად შეასრულა პირველი ვიოლინოს პარტია) ერთად კონცერტში მონაწილეობდა კონსერვატორიის ნიჭიერი ახალგაზრდობა, სხვადასხვა კურსის სტუდენტები: ეკა გაგნიძე, ნინო ბაქრაძე (ორივე ფორტეპიანო), მარიამ მალრაძე (ვიოლინო), ირინა ხოშტარია, კოტე ჩავლეიშვილი (ორივე ალტი).

ერთადერთი, რამაც დაგვწყვიტა გული იყო ის, რომ „კამერული მუსიკის ფესტივალზე“ არ შესრულებულა ქართველი კომპოზიტორების არცერთი ნაწარმოები (რა ხდება?!). დარწმუნებული ვარ, ეს შეგძლებულად არ გაკეთებულა, მაგრამ მაინც...

დიდი ხანია არ გამიტდია ისეთი ესთეტიკური სიამოვნება, როგორც იმ საღამოს, როდესაც საქართველოს ე. მიქელაძის სახელმობის ეროვნულმა სიმფონიურმა ორკესტრმა გახსნა თავისი საკონცერტო სეზონი.



ნინო ჭავჭავაძე

ხელმძღვანელი ნიკა შემანიშვილი და სოლისტი — ახალგაზრდა, უკვე სახელმოხვეჭილი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი.

ნიჭიერი და მრავალმხრივი მუსიკოსი ნ. შემანიშვილი სადირიჟორო ხელოვნებს, ფაქტობრივად, დამოუკიდებლად დაუუფლა ძალზე იშვიათი შემთხვევაა ჩვენ დროში!) და ყოველ ახალ გამოსვლასთან ერთად ავლენს შემოქმედებით და პროფესიულ ზრდას. იგივე შეიძლება ითქვას ორკესტრზე, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს.

რაც შეეხება ხატია ბუნიათიშვილს, იგი ბოლო ხანებში პიანისტთა მსოფლიოს ახალგაზრდულ ელიტაში დამკვიდრდა, რასაც ადასტურებს მისი წარმატებები საერთაშორისო კონკურსებსა და კონცერტებზე.

ხატია პროფესორ თენგიზ ამინეჯიძის აღზრდილია და ამჟამად თავის ხელოვნებას სრულპიოვს ვენის სამუსიკო აკადემიაში, პროფესორ ოლეგ მაიზნენერგის ხელმძღვანელობით.

და აი. ნ. შემანიშვილისა და ხ. ბუნიათიშვილის შემოქმედებითი „ტანდემი“ წარმოდგა ჩვენ წინაშე ბრამსის ერთდროულად გენიალური და რთული საფორტეპიანო კონცერტის შესრულებით. ამ მონუმენტურ (ოთხნაწილიან) კონცერტს ხშირად უწოდებენ ხოლმე „სიმფონიას სოლო ფორტეპიანოთი“, რაც თავისითავად მეტყველებს იმ მხატვრული ამოცნების შესახებ, რომლებიც დგას დირიჟორისა და, შესაბამისად, პიანისტის წინაშე.

ხ. ბუნიათიშვილი იმ საღამოს წარმოჩნდა, როგორც პიანისტური ხელოვნების დიდოსტატი. მისი დაკვრა გამოირჩეოდა მხატვრული სიმწიფითა და არტისტიზმით, რაც აუცილებელია ამ დიდებული

მუსიკალური ქმნილების შესრულებისას. ეს თანაბრად ეხება ეპიკურ პირველ ნაწილს, „დემონურ“ მეორეს, ამაღლებულ და შთაგონებულ მესამეს და სადღესას-ნაულო ფინალს.

დიდი ინტერესით ველოდით გ. ყანჩელის V სიმფონიის, რომელიც დიდი ხანია აღარ მოგვისმენია. ეს სიმფონია (პრემიერა 1975 წლის 13 იანვარს შედგა ჯანსულ კახიძის დირიჟორობით), კომპოზიტორის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა, რომელმაც სათავე დაუდო ყანჩელის საერთაშორისო აღიარება.

სიმფონია, როგორც ცნობილია, მიქელანჯელოს 500 წლისთავისადმია მიძღვნილი. მისი მუსიკა ემყარება ყანჩელის „საფირმო“ დრამატურგიულ ხერხს: ამაღლებულ—განწმენდილ (ჩუმ) და მქუსარეტრაგიული ხელმძღვანების მკვეთრ კონტრასტულ და-პირისპირებას.

ყანჩელის სიმფონიებისა და, საზოგადოდ, მისი ყველა ნაწარმოების შესრულების სირთულე მდგომარეობს მისი პარტიტურების განსაკუთრებულ ტემპრულ-ინსტრუმენტული დიფერენციულობისა და მგვრგვინავი ტუტიტი-ების შეთავებაში და, მეორე მხრივ, გამჭოლი განვითარების ფაქტიზაციის და, მეორე მხრივ, გამჭილებული ჯანი კახიძის ინტერპრეტაციით.

6. მემანიშვილის დამსახურებაა, რომ V სიმფონიის პარტიტურის სიძნელეები მან მაღალ პროფესიულ დონეზე დაძლია. მუსიკოსები მისი ხელმძღვანელობით უკავდნენ მწყობრად და ადეკვატური განწყობილებით. ვფიქრობ, რომ ეს იყო ორკესტრის საუკეთესო გამოსვლა ბოლო წლებში.

დაბოლოს, ალექსი მაჭავარიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კამერული და სიმფონიური კონცერტების შესახებ, სადაც კიდევ ერთხელ ვეზიარეთ გამოჩენილი კომპოზიტორის შთაგონებულ მუსიკას. კონცერტების სამსატვრო ხელმძღვანელი გახლდათ კომპოზიტორის ვაჟი — ცნობილი დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი.

კამერულ კონცერტში სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს პროფ. რევაზ თავაძის სტუდენტებმა გ. თავაძემ და თ. ნათობიძემ („ექსპრომტი ორი ფორტეპიანოსათვის“) და ა. ლლილვაშვილმა (საფორტეპიანო ციკლი „პარიზული ჩანახატები“).

პირველად მოვისმინე (და, ალბათ, არა მარტო მე) რომანსები ბანისათვის: „დაბელდა სული“, „მონადირის ბალადა“, „ბალადა შასხარაზე“, „ჩაგუნა“ ჩვენი ოპერის თეატრის სოლისტის გ. დათუსანის (ბანი) შესრულებით (კონცერტმასტერი ნ. აზარაშვილი), ასევე სავიოლინო სონატა (სტუდენტი გ. ნასარიძე), შესრულდა აგრეთვე 6 სომლერა ხმისა და კამერული ორკესტრისათვის, რომლებიც წარმოგვიდგინეს სტუდენტმა თავაძა ჯიბლაძემ (ლამაზი ტემპრის მეცო სოპრანო) და სამსატვრო აკადემიასთან არსებულმა კამერულმა ორკესტრმა (გაცნობა სასიამოვნო იყო!) ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით. მათვე შეასრულეს საორკესტრო მინიატიურები.

უფრო ფართოდ და მოგებიანად იქნა წარმოდგენილი გამოჩენილი კომპოზიტორის შუსიკა სიმფონიურ კონცერტზე, სადაც ჩვენმა ეროვნულმა ორკესტრმა და ვ. მაჭავარიანმა ჩინებულმა დემონურმა მონტევრის (№3) „ოტელო“ და პირველად, (!) ნაწყვეტები ბალეტიდან „ჭირვეულის მორჯულება“, რამაც დააინტერესა მსმენებლები.

კონცერტი დაამშვენა ჩვენი ბრწყინვალე ახალგაზრდა მომღერლის მარიკა გულორდავას მონაწილეობაში, რომელმაც შთაგონებითა და მაღალი ოსტატობით შეასრულა გენიალური რომანსები „ცისა ფერს“ და „სხივო, მზეთა მზის სახეო“.

შემოდგომა მიიწურა. სასიამოვნო შთაბეჭდილებების იმედით დაველოდებით ზამთრის ტრადიციულ წინასახალნლო კონცერტების სერიალს.

## ფიქრები ერთი კონცერტის შემდეგ

რაოდენ გასაკვირც არ უნდა იყოს, აგვისტოს ომის საშინელებათა შემდეგ თბილისში საკონცერტო ცხოვრება არამცულ რიტმში ჩადგა, არამედ გასაოცარი ინტენსიურობით წარიმართა. ალბათ, ყველა ერს, ისევე როგორც ნებისმიერ ცოცხალ როგანიზმს, თვითგადარჩენის ინდივიდუალური მექანიზმები აქვს. ქართველებისთვის ეს, ჩემი აზრით, მეტნილად მხატვრულ ფორმებში გამოიხატება. ისტორიულ წარსულზე და ქართულ სასიმღერო ფოლკლორზე რომ აღარაფერი ვთქვათ (რომლის თითქმის 90 %, ჩვენი ისტორიული ბედის უკუპროპორციულად, სუფრულსა და სამხიარულო სიმღერებზე მოდის), ამას უახლესი ისტორიაც ადასტურებს. არც ის მეჩვენება შემთხვევითად, რომ სწორედ ქართველმა კინორეჟისორმა ნიკოლოზ შენგელაიამ კ/ჭ „ელისოში“ საერთო სახალხო გლოვის იშვიათ მხატვრულ გადაწყვეტას მიაგნო, ზღვარგადასული გლოვა, კულმინაციის მომენტში, ზღვარგადასულ ცეკვა-თამაშში გადაიზრდება. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ეს თავზარდამცემი უნიკალური კადრები, არა მგონია ოდესმე დაივინყოს. საინტერესო ისაა, რომ ამგვარი სცენა, მსგავსი მხატვრული გადაწყვეტა, არც ალექსანდრე ყაზბეგის „ელისოში“ გვხვდება და არც მსოფლიო კინემატოგრაფში (და არა მხოლოდ კინემატოგრაფში) მეგულება. ვფიქრობ, ესაა ადამიანური ტრაგედიის უზინესი გამოხატულება და ყოვლისმომცველი მხატვრული ხორციელება ამ სულიერი ტკივილისა... ჩანს, ეს მაშინ ხდება, როდესაც „გლოვა არც ერთი სიტყვის

შავ ჩოხაში არ ეტევა“ (ლევან გოთუა). ქართველთა რეაქცია, ამ შემთხვევაში, ხშირად გაკილვის საგანი ხდება ხოლმე, თუმცა ვფიქრობ, რომ იგი განსჯასა და ანალიზს უფრო საჭიროებს.

ამიტომ იყო, რომ არ გამკვირვებია, როცა სექტემბრის თვეში ქართველმა მუსიკოსებმა, როგორც ერთგვარი პროტესტი აგრძესიაზე, თითქოსდა მთელი ძალა, ნიჭიერება, გემოვნება, პროფესიონალიზმი მოიკრიბეს და ერთი მეორეზე უკეთესი კონცერტები შესთავაზეს მსმერელს. კონცერტთა ძირითადი ნაწილი საქველმოქმედო იყო.

საშემოდგომო კონცერტების ციკლებიდან ერთ-ერთი გამორჩეული იყო საერთაშორისო ფესტივალი „შემოდგომის თბილისის“ მეთექვსმეტე სეზონი.

ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას ფესტივალის ხელმძღვანელის, კომპოზიტორისა და დირიჟორის ვახტანგ კახიძის სიტყვებიც ეხმიანება: „პირველ რიგში მთელმა მსოფლიომ უნდა დაინახოს, რომ შექმნილი რთული ვითარების მიუხდავად, ქართული საზოგადოება სულით არ დაცემულა, პირიქით, გაერთიანდა და გაათმავებული ენერგიით გააგრძელებს ქვეყნის შენებასა და განვითარებას. მუსიკის დიდი ძალა სწორედ იმაშია, რომ უნარი შესწევს ნებისმიერი განცყობის გადმოცემისა, ამიტომაც იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს საღმიღმები ცოტათი მაინც შეამსუბუქებს ქართული საზოგადოების განწყობას და მუსიკა კიდევ ერთხელ შეძლებს სულიერი იარების მოშუშებას“.



# მუსიკა

ხუთივე კონცერტი, ჩატარებული ფესტივალის ფარგლებში, როგორც წესი, მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამით გამოირჩეოდა: მოცარტი, როსინი, შოპენი, რახმანინოვი, რაველი, მუსორგსკი, ელგარი, რიპარდ შტრაუსი, ბარდანაშვილი. მაგრამ მთავარია ის, რომ თითოეული კონცერტი მაღალი პროფესიული და მხატვრული დონის იყო, რასაც მსმენელის ადეკვატური რეაქცია მოჰყვა კიდეც — მსმენელები ერთსულოვნად საუბრობდნენ კონცერტების დაუვინწყარ შთაბეჭდილებზე.

მე, სამწუხაროდ, მხოლოდ პირველ კონცერტზე დასწრების შესაძლებლობა მომეცა. შთაბეჭდილება ისე ძლიერი იყო, რომ იმთავითვე სურვილი გამიჩნდა ემოციები ქალალდზე გადამეტანა, მაგრამ ამაობდ. ქართველი მუსიკის მცოდნებისათვის კონცერტებზე დასწრებაცა და პუბლიკაციის გამოქვეყნებაც პრობლემაა და მე არ ვარ ერთადერთი, ვისც გული დასწყდა, რომ სექტემბრის კონცერტები ისტორიის კუთვნილება ისე გახდა, სათანადოდ რომ არ აისახ პრესაში. მაქსიმუმი, რაც ჩვენ პერიოდიკაში შეიძლება დაიბეჭდოს, ესაა ჩატარებულ კონცერტებზე მშრალი ინფორმაცია, რაშიც ნაკლებად ვლინდება ხარისხი, დონე თუ მნიშვნელობა ამა თუ იმ კონცერტისა.

კონცერტების პროგრამა, ალბათ, ბევრად ადრე იყო შედგენილი, მაგრამ ფესტივალის „შემოდგომის თბილისი“ მეთექვსმეტე სეზონის შოპენის №2 კონცერტით გახსნა თითქოსდა არ იყო შემთხვევითი. შოპენი ხომ ის კომპოზიტორია, რომლის მთელი შემოქმედება გაუდენთილია სამშობლოს თემით — ტკივილი და სევდა მშობლიური ქვეყნის ბედზე მის ყველა ნაწარმოებში იგრძნობა და ამ მხრივ, არც №2 კონცერტია გამონაკლისი. პოლონეთიც, კომპოზიტორის პატარა სამშობლო, ხომ საუკუნეების მანილზე იმავე იმპერიას ებრძოდა, აგრე უავე XX საუკუნის გარიურაჟზე, საქართველოს რომ დაუპირისპირდა..

განგების ნება იყო უთუოდ ისიც, რომ ვახტანგ კახიძემ ამ ნაწარმოების შესრულება ჯერ კიდევ დამწეუბ პიანისტს, თბილისის ცენტრალური სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლეს ცოტნე ცოცხალაშვილს მიანდო. საკონცერტო პროგრამა მიზეზთა გამო მოულოდნელად შეიცვალა და ცოტნეს სულ ორიოდ კვირაში მოუხდა ურთულესი ნაწარმოების მომზადება. დამწეუბი პიანისტისთვის ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური ბარიერიც იყო, ბუნებრივია.

ცოტნე ცოცხალაშვილი, ჯერ კიდევ სულ პატარა

12-13 წლისა იყო, როდესაც პირველად სპივაკოვის საერთაშორისო ფესტივალის „მოსკოვი ხდება მეგობრებს“ შესარჩევ ტურში მოვისმინე. არ გამკვირვებია, რომ პედაგოგ ვეკა სვანიძის მოსწავლის პროგრამა არ იყო აგებული ბრავურულ, ეფექტურ, ტექნიკურად რთულ ნაწარმოებებზე, ვინაიდან ის არადროს ცდილობს ვირტუოზობის, ეფექტურობის საფარქვეშ სარვეზების „მიჩემალვას“ და ყოველთვის მაღალ მუსიკალურ მოთხოვნებს უყვენებს თავის მოსწავლეებს, მაგრამ მე გამაოცა ამ პატარა შემსრულებლის უნარმა ჩასწდომოდა ბახის ურთულესი პოლიფონიური სამყაროს სიღრმეებს, გამაოცა მისი სმენის სიფაქიზემ, პატარა პიანისტი საოცრად გრძნობდა და მიჰყებოდა პოლიფონიური საზების ყოველ ნიუანსს, გრძნობდა იმას, რაში წვდომის მცდელობაც კი ნაადრევია ამ ასაკის ბავშვისათვის. როგორც გრინალური ჩეხი მნერალი მილან კუნდერა წერს: „განვლო რა ერთხელ მივიწყების უდაბნო, ბახის მუსიკა, კვლავინდებურად თავის სახეს ნაწილობრივ მალავს ვუალით -o“. თუნდაც მცდელობა ამ ვუალის მიღმა ხედვისა, უკვე უჩვეულოდ მეჩვენა ესოდენ ნორჩი ასაკისათვის. მოგვიანებით მოვისმინე მის მიერ შესრულებული შოპენის ფა მინორული ფანტაზია, რომლის ურთულესი სტრუქტურისა და შინაარსის დაძლევა დიდი შემსრულებლებისთვისაც კი არაა იოლი. ბუნებრივია, აქ ტექნიკურ მხარეს არ ვგულისხმობ, ვინაიდან დღეს „აკრობატიზმადე“ მისული ტექნიკურობაც აღარაა გასაკვირი, ხოლო ის, რაც ცოტნე ცოცხალაშვილის შესრულებაში გამოსჭვივის — მუსიკალობა, ლირიზმი, მრავალპლანიზმ მუსიკალურ შინაარსში წვდომის უნარი, თითოეული ბეგრის მხატვრული ფასულობის შეგრძნება და მისი შინაარსობრივი დატვირთვა, ეს მართლაც იშვიათი მონაცემია. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ჯერ კიდევ სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლემ მიაღწია კიდევ წარმატებებს: იგი ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული კონკურსის პრიზიორი და დიპლომანტი (2002), ეროვნულ კონკურსზე კი მესამე პრემიის ლაურეატი (2006); 2003-2004წ.წ. „რუსული საშემსრულებლო ხელოვნების“ სტიპენდიანტი გახდა; 2005 წელს თბილისის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე მან მოიპოვა პრიზი და კულტურის სამინისტროს სპეციალური პრიზი „კლასიკური ნაწარმოების საუკეთესო შემსრულებლის“. 2008 წელს ცოტნე ცოცხალაშვილმა მონაცილეობა მიიღო

## ცოტნე ცოცხალაშვილი



ვილნიუსსა და კაუნასში გამართულ საქველმოქმედო კონცერტებში, მასტერ-კლასები გაიარა მიუნცენში პროფ. პანს-იურგ შტრებთან და მონაწილეობა მიიღო იქ გამართულ კონცერტში.

ცოტნე ცოცხალაშვილი მსმენელის წინაშე ამ-ჯერად შოკენის №2 კონცერტით წარსდგა. ესაა შემს-რულებლის ტიპი, რომელიც, პირობითად, თუ ვიტყვი, უფრო ინტროვერტულია, ვიდრე ექსტრავერტული. მისი ხედვა მიმართულია არა მუსიკის გარეგანი მახასიათებლებისაკენ, არამედ მის მიღმა არსებული აზრისკენ, ანუ არსისკენ. ამიტომაც, ჩემი აზრით, მისი სტიქია უფრო პოლიფონიური და ლირიკულ-კამერული სამყაროა. შოკენის №2 კონცერტის შესრულებისას, სადაც 20 წლის კომპოზიტორის „პიროვნული მე“ და ლირიზმი ყველაზე მეტად იჩენს თავს, იქ 17 წლის ცოტნეს შესრულებაც უფრო მეტად იყო გამორჩეული...

ცოტნე ცოცხალაშვილი, ჩემი აზრით, ლვოთ მომადლებული წიჭის შეონე დამწყები პიანისტია, რომელსაც უდავოდ სჭირდება ხელშეწყობა და ფინანსური მხარდაჭერა, მით უფრო, რომ მას უკვე საინტერესო შემოთავაზებები და პერსპექტივები აქვს. ცოტნე ცოცხალაშვილი დღეს უკვე ამერიკაშია, ბოსტონის „New England Conservatory“-ში მან გაიარა მეორე ტური, ცოცხალი შესრულებით და უიურის უმაღლესი შეფასებაც მიიღო. იგი სეტემბრიდან სწავლას შეუდგება კონსერვატორიაში, სადაც ქართული პიანისტური სკოლის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენელი მოღვაწეობს, როგორიცაა ალექსანდრე კორსანტია. კულოცხავ ცოტნეს ამ გამარჯვებას და ჩემის მხრივ დავამატებდი, რომ ასეთ ნიჭიერ ახალგაზრდა პიანისტს მხარში უნდა ამოუდგეს სახელმწიფოცა და ჩემი ბიზნესის წარმომადგენლებიც. მათი მხრიდან ეს იქნება ინვესტიცია, რომლისგანაც „მოგება“ ბევრად აღმატება კველა მატერიალურ დოვლათ! თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს ნანა და ვიქტორ გელოვანების თანადგომა ნიჭიერი ყმანვილისადმი, რისთვისაც დიდი მადლობა ამ მეცნატ აღმიანებს.

რაც შეეხება ვახტანგ კახიძეს და მისი ბოლო წლების მოღვაწეობას, ვფიქრობ, ეს სათანადოდ არაა შეფასებული. ამ წერილის ფარგლებში ძნელია სრულფასოვნად მოვიცვათ ამ მუსიკოსის მოღვაწეობა. საზოგადოებას ინერცია სჩევებია და ჩენენც, ჩენ შეფასებებში, ნაწილობრივ მაინც, ინერციით მისი მამის, ჯანსულ კახიძის ჩრდილში აღვიქვამთ ხოლმე მას, არადა ვახტანგ კახიძე სრულიად დამოუკიდებელი, ინდივიდუალური ხელწერის მქონე შემოქმედია. იგი ყოველთვის საინტერესო პროგრამასა და ორიგინალურ ინტერპრეტაციას სთავაზობს მსმენელს, რაც მთავარია, მისი ორკესტრის ულერადობა დღითიდელ სრულყოფილი და დახვენილი ხდება, ყოველ ჯერზე პროფესიონალიზმის ახალ ხარისხს წარმოაჩენს. ამ-ჯერადაც ასე იყო.

კონცერტის II განყოფილებაში, საქართველოში პირველად, შესრულდა ჩენები ნაკლებად ცნობილი, თუმცა პერსელის შემდეგ ინგლისის უდიდეს კომპოზიტორად აღიარებული ედვარდ ელგარის საორკესტრო ვარიაციები „ენიგმა“, წანარმენები - „გამოცანა“, რომლის თითოეული ვარიაცია კომპოზიტორის რომელიმე ახლობელ ადამიანს ან მათთან დაკავშირებულ კონკრეტულ ინციდენტს უკავშირდება. თუმცა, ეს არაა პორტრეტები და არც სათაური „გამოცანა“ უკავშირდება იმ სახეებს, ვისაც ეძღვნება თითოეული ვარიაცია. წანარმოებში წამყვანი თემის გარდა, რომელიც საფუძვლად უდევს ვარიაციებს და მისი შექმნის იდეას, „დაშიფრულია“ აგრეთვე მთავარი თემა. ამ თემაზე კომპოზიტორი ამბობდა: „იგი

არსად არ ჩნდება, როგორც თანამედროვე დრამებში — თანამედროვე გმირი არასდროს არ გამოიდის სცენაზე“. ფიქრობენ, რომ ეს უხილავი „სხვა თემა“, რომელიც „ტარდება, მაგრამ არ იკვრება“ არის ის, რაც ვარიაციების პერსონებს აერთიანებდათ — სიყვარული, მეგობრობა, თუმცა თვით კომპოზიტორს ამის თაობაზე ზუსტი გამარტივება არსდროს მიუცია.

საიდუმლოებით მოცულ ამ არაჩევულებრივი წანარმოებში, ვახტანგ კახიძემ, როგორც ინტერპრეტატორმა, ვფიქრობ, თავისი სათემელიც „დაშიფრულად“ ჩადო. ეს, ალაპათ ყველაზე ახლოს იდგა პარტიტურის ბოლოს კომპოზიტორის მიერ მიწერილ ალორძინების ეპოქის პოეტის ტორკვატო ტასოს სიტყვებთან: „მგზნებარედ მსურს, ცოტას ვიმედოვნებ, არაფერს ვითხოვ“. შესაძლოა ვცდებო, მაგრამ ვახტანგ კახიძის პიროვნულსა და შემოქმედებით პორტრეტთან ეს სიტყვები უფრო მახლობლად მეტვენება.

ვახტანგ კახიძემ „ენიგმას“ შესრულებაში ადამიანურ განცდათა და განწყობილებათა მთელი გამა შემოგვთავაზა — რომანტიკული, ლირიზმით გამსჭვალული, პირველი ვარიაციით დაწყებული, ენერგიულ, მასორულ ფიანალამდე. წანარმოების მდიდარი დიაბიური თუ ტებბულული პალიტრა სრულფასოვნად იქნა წარმოჩენილი — გამოიჩეოდა არა მხოლოდ სიმებიან საკრავთა სოლოები, არამედ სის ჩასახერებიც, რაც ხშირად ქართულ ორკესტრებში პრობლემატურია. არაჩევულებრივმა, განონასწორებულმა და თანაბარმა საორკესტრო პიანომ თუ პიანისიმომ, რაც მოგეხსენებათ, არცთუ იოლი მისაღწევია, თავად ვახტანგ კახიძის სიმღერა გამახსენა, სრულიად შემთხვევით რომ მოვისმინე ათეული წლის წინ ერთერთი სპექტაკლის რეპეტიციისას. ეს არ იყო სიმღერა, ეს იყო უჩევეულოდ გულშიჩამწვდომი, ფაქიზი, თითქოსდა შორეთიდან მომავალი, დახვენილი მუსიკალური ინტონირება პიანისიმოზე, მთელ სივრცეს რომ ავსებდა და რომელსაც „მუდერ სიჩუმეს“ ვუწოდებდი. ჩემი აზრით, სწორედ ასეთ ფაქიზ და დახვენილ ნიუანსირებას მიაღწია დირიჟორმა ამ წანარმოების შესრულებისას. აღარაფერს ვამბობ ვარიაციების დრამატურგიულ მთლიანობასა და მონოლითურობაზე, რომელშიც კლასიკოსთა ციტატებიც კი ისე ორგანულად იყო შერწყმული, რომ მთლიანი მუსიკალური ინტონირება პიანისიმოზე, მთელ სივრცეს რომ ავსებდა და რომელსაც „მუდერ სიჩუმეს“ ვუწოდებდი. ჩემი აზრით, სწორედ ასეთ ფაქიზ და დახვენილ ნიუანსირებას მიაღწია დირიჟორმა ამ წანარმოების შესრულებისას. აღარაფერს ვამბობ ვარიაციების დრამატურგიულ მთლიანობასა და მონოლითურობაზე, რომელშიც კლასიკოსთა ციტატებიც კი ისე ორგანულად იყო შერწყმული, რომ მთლიანი მუსიკალური ქსევილიდან ძნელად გამოარჩევდით. დირიჟორმა ვახტანგ კახიძემ მთელი სიგრძე-სიგანით გვაგრძნობინა, რომ ელგარს შემთხვევით არ უწოდებენ „რომანტიკული მუსიკის მეფეს“, „რომანტიზმის რაინდს“... ვფიქრობ, ვახტანგ კახიძის შემოქმედებითი სახისათვის ელგარისეული რომანტიკულ-პოეტური სამყარო განსაკუთრებით მახლობელია, რაც იგრძნობოდა კიდეც მის შესრულებაში.

ვგრუნდებოდი კონცერტიდან და დადებითი ემოციების მიუხედავად მახსენდებოდა საშინელი და ბნელით მოცული 90-იანი წლები, როდესაც ჯანსულ კახიძემ მაფუძელი ჩაუყარა ამ ფესტივალს... ჩაბნელებული თბილისი, გაჭირვება, უტრანსპორტორება, გაყიდული დარბაზი და ... ღვთავებრივი მუსიკის მეფეს“, „რომანტიზმის რაინდს“... ვფიქრობ, ვახტანგ კახიძის შემოქმედებითი სახისათვის ელგარისეული რომანტიკულ-პოეტური სამყარო განსაკუთრებით მახლობელია, რაც იგრძნობოდა კიდეც მის შესრულებაში.

ვგრუნდებოდი კონცერტიდან და დადებითი ემოციების მიუხედავად მახსენდებოდა საშინელი და ბნელით მოცული 90-იანი წლები, როდესაც ჯანსულ კახიძემ მაფუძელი ჩაუყარა ამ ფესტივალს... ჩაბნელებული თბილისი, გაჭირვება, უტრანსპორტორება, გაყიდული დარბაზი და ... ღვთავებრივი მუსიკის მეფეს“, „რომანტიზმის რაინდს“... ვფიქრობ, ვახტანგ კახიძის შემოქმედებითი სახისათვის ელგარისეული რომანტიკულ-პოეტური სამყარო განსაკუთრებით მახლობელია, რაც იგრძნობოდა კიდეც მის შესრულებაში. დღეს, კვლავ საშინელი რეალობა, მოს საშინელი და ბნელით მოცული 90-იანი წლები, როდესაც ჯანსულ კახიძემ მაფუძელი ჩაუყარა ამ ფესტივალს... ჩაბნელებული თბილისი, გაჭირვება, უტრანსპორტორება, გაყიდული დარბაზი და ... ღვთავებრივი მუსიკის მეფეს“, „რომანტიზმის რაინდს“... ვფიქრობ, ვახტანგ კახიძის შემოქმედებითი სახისათვის ელგარისეული რომანტიკულ-პოეტური სამყარო განსაკუთრებით მახლობელია, რაც იგრძნობოდა კიდეც მის შესრულებაში.

დღეს, კვლავ საშინელი რეალობა, მოს საშინელი და ბნელით მოცული 90-იანი წლები, როდესაც ჯანსულ

# კამერული საშემსრულებლო ხელოვნების პრობლემები ფესტივალის შექმნა

კამერული მუსიკა ჩვენს ქვეყანაში არცთუ ისე პოპულარულია, მაგრამ, სახედნიეროდ, უკვე, არის შესამჩნევი სერიოზული ძროები მისი აღმოჩენისას. ჩვენ დიდი პოტენციალი გვაქვს ამ სფეროში. საკარისია მაგალითად მოვიყვანოთ მე-20 საუკუნის გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორისა და ცნობილი ვიოლონჩელისტის სულხან ცინცაძის შემოქმედება, რომელიც ქართული კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის მწვერვალს წარმოადგენს, კერძოდ კი მისი მთავარი სფერო - საკვარტეტო უანრი. სწორედ სულხან ცინცაძის სახელობის გახლდათ კონკურსი, რომლის საფუძველზეც დაარსდა კამერული ანსამბლების ფესტივალი.

კამერული მუსიცირების განვითარება-პოპულარიზაციისათვის აუცილებელია სხვადასხვა პროფესიული ანსამბლის ჩამოყალიბება, რაც შეუძლებელი იქნება, თუ პირველ რიგში არ აღიზარდნენ პროფესიონალი ანსამბლისტები.

ქართული კამერული საშემსრულებლო ხელოვნების განვითარების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უკავია სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო კვარტეტს, რომლის წევრები კონსტანტინე ვარდელი (ვიოლინო), თამაზ ბათიაშვილი (ვიოლინი), ნოდარ უვანია (ალტი) და ოთარ ჩუბინიშვილი (ვიოლონჩელო) აქტიურ საკონცერტო და პედაგოგურ მოღვაწეობას ეწევიან მრავალი წლის მანძილზე. მათ დიდი წვლილი მიუძღვით, კამერული ანსამბლების ფესტივალის დაარსებაშიც.

კამერული ანსამბლების მესამე ფესტივალი გაიმართა თბილისში 2008 წლის 1 - 5 ნოემბერს. ფესტივალის პროგრამა მეტად მრავალფეროვანი იყო. პირველი კონცერტი, რომელშიც სახელმწიფო კვარტეტი მონაწილეობდა, მიეძღვნა აგვისტოს მოვლენების შედეგად დაღუპულთა ხსოვნას. მეორე კონცერტში მონაწილეობდნენ საზღვარგარეთ მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსები: ნატო გაბუნია (ვიოლინი) და ნინო გვეტაძე (ფორტეპიანო). კონცერტი მიეძღვნა გამოჩენილი კომპოზიტორის, პიანისტისა და პედაგოგის ნოდარ გაბუნიას 75 წლისთავს. 3 ნოემბერს გამართულ კონცერტში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები. წარმოდგენილი იყო რამდენიმე დუეტები, ისე ტრიოები და სიმებიანი კვარტეტი. 4 ნოემბერს ჩატარებული კონცერტი მიეძღვნა ცნობილი ვიოლონჩელისტის პროფესიონალი სახელმწიფო კვარტეტი და პიანისტი ნინო გვეტაძე. ფესტივალი საზომომდ დაისრუა 5 ნოემბერს. გამორჩეული იყო ამ კონცერტის პროგრამა.

იმისათვის, რომ გაგაცნოთ ფესტივალის დაარსების ისტორია, მნიშვნელობა და სამიმავლო გეგმები, გთავაზობთ ინტერვიუებს ფესტივალის სულისამდეგმელებთან ქალაპატონ მანანა ახმეტელთან (მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე) და ბატონ როთარ ჩუბინიშვილთან (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სიმებიანი კვარტეტისა და კამერული ანსამბლების კათედრის გამგე).

**თ.ბ.: ქ-ნ მანანა, როგორია ფესტივალის დაარსების ისტორია, საიდან გაჩნდა ეს იდეა და რა სირთულეები შეგვედათ მისი განხორციელებისას?**

**მ.ა.: რატომდაც ისე მოხდა, რომ კამერული ანსამბლების კათედრის გამგე.**

ამბელური შემსრულებლობა ჩვენთან სათანადოდ ვერ განვითარდა. ერთადერთი კოლექტივი, რომელიც გამონაკლისს წარმოადგენს, სულხან ცინცაძის სახელმწიფო სახელმწიფო სიმბიანი კვარტეტია. ამ ფორმას ჩვენთან განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ახლანდები შემადგენლობა, ჩვენი საუკეთესო კოლექტივია და ათეული წლების მანძილზე ახარებს მსმენელთ არა მატორ ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ანსამბლური შემსრულებლობის დანარჩენმა ფორმებმა სამზუხაროდ ვერ დაიმკიდრა ადგილი ჩვენს საკონცერტო ცხოვრებაში და მხოლოდ ეპიზოდურად გამოიჩინდება ხოლმე. სწორედ ამან მაციქურებინა, რომ რაღაცნაირად უნდა მოგვეხდინა ანსამბლური მუსიცირების სტიმულირება და თავდაპირველად განვიზრობა, დამეარსებინა კამერული ანსამბლების კონკურსი და მისთვის ჩვენი დიდი კომპოზიტორის, საკვარტეტო ხელოვნების დიდოსტატის, სულხან ცინცაძის სახელი მიმეზიჭებინა. პირველი კონკურსი გაიმართა 2000 წელს და არ შემიძლია დიდი მადლიერების გრძნობით არ მოვისენიო ბატონი ბორის ჭიაურელი, რომელიც სელმძღვანელობდა კამერული ანსამბლების კათედრას ათეული წლების მანძილზე. მისი დიდი დაბარებითა და თავდადებული მუშაობის შედეგად კონკურსი წარმატებით ჩატარდა, მაგრამ მაშინვე გამოვლინდა გარკვეული სირთულეები. პირველ რიგში ის, რომ ინსტრუმენტალისტების ნაკლებობას განვიცდით. მოგეხსენებათ, ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს ჩელისტების დეფიციტი. თანდათან ამ პრობლემაზე კიდევ უფრო შეტაც დიჩინა თავი. სამი წლის შემდეგ მეორე კონკურსიც ჩავატაროთ. იმ დროისთვის ბატონი ბორის აღარ იყო ცოცხალი და კათედრას ჩვენი გამოჩენილი ჩელისტი მართარება, მაგრამ მაშინვე გამოვლინდა გადანერგვა სირთულეები. პირველ რიგში არ არის, რაც ინსტრუმენტალისტების ნაკლებობას განვიცდით. მესამე კონკურსი, რომელიც 2006 წელს უნდა ჩატარებულიყო, ჩაიშალა. სახსრები ნაშოვნი იყო, რაც ადვილი არ არის, მაგრამ აღმოვჩნდით ფაქტის ნინაშე, რომ კონკურსში მონაწილეობის მსურველები არ გამოჩენდნენ. ამის მიზეზებიც შესასწავლია. აქ ისევ ჩელის პრობლემა დგას, ასევე აღტის პრობლემაც. მთავარი კი ის არის, რომ თვითონ ახალგაზრდა შემსრულებლებს ერთმანეთთან დაკვრისა და ერთობლივი მუსიცირების არათუ კულტურა, არამედ მოთხოვნილებაც არ აქვთ. ანსამბლები თვითონ უნდა ყალიბდებოდეს და ანსამბლისტები თვითონ უნდა პოულობდნენ ერთმანეთს. ამის მოთხოვნილება კონკურსებმა, როგორც ჩანს, ვერ გააჩინა. ამიტომ გადავწვევიტეთ კონკურსი ფესტივალით შეგვეცვალა, სადაც საკონკურსო პროგრამის ჩარჩოები აღიმართა და ასაკით ხარ შეზღუდული, ყველას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა. თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან გაამართლა ამ გადაწვეტილება. პირველივე ფესტივალი ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა. მოვიწვეულ გამოჩენილი ქართველი მევიოლოდ ქალბატონი მარინე იაშვილი. იმედია, რომ ფესტივალი ტრადიციული გახდება.

**თ.ბ.:** ბატონო ოთარ, რის მიხედვით შეიირჩა წლების განვითარების პროგრამა? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სხვადასხვა მიზანების გამო იყო გარეული ცვლილებები.

**ო.ჩ.:** ამისათვის სპეციალური პროგრამა არ არის ვცდილობთ ფესტივალის ფარგლებში შესრულდეს ნანარმობები, რომლებიც ან არ შესრულებულა საქართველოში, ან იშვიათად სრულდება. მაგალითად, მესიანის კვარტეტი, ბრამსის კვინტეტი (პირველი შესრულება საქართველოში). გვინდონდა ბეთოვენის გრინაური ნანარმობების - სეპტეტის დაკვრა (ვიოლინი, ალტი, ჩელო, კონტრაბასი, ვალტორნა, კლარინეტი, ფაგოტი), მაგრამ ვერ შევსრულება, რადგან არ მოხერხდა შემსრულებელთა ჩამოყანა. შემდეგი ფესტივალისთვისაც არის უკვე რაღაც გეგმები პროგრამასთან დაკავშირებით. შემთხვევით მოვისმინე რადიოში შოსტაკოვიჩის ექვსი პოემა მეცო-სოპრანოსა და კლარინეტისათვის - გენიალური ნანარმობები. დიდი გარვეით ნოტებიც ვიშვენეთ გერმანიაში და იმედია, რომ შესრულდება. გვინდა გადასარევი მეცო-სოპრანოს ქეთევან ქემოკლიძის ჩამოყანა. ძალიან მინდა აგრეთვე, რომ შესრულდეს ბრამსის ორი სიმღერა ვოკალის, ალტისა და ფორტეპიანოსათვის. ისევ და ისევ მთავარ პრობლემა დაფინანსების უქონლობა რჩება.

ფესტივალზე ბევრი მონაწილე უნდა იყოს. უფრო მეტიც, მონაწილენი ყოველწლიურად უნდა იცვლებოდნენ. ამ მხრივ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, სავალალო მდგომარეობაა.

ძალიან ვისურვებდი, რომ შევძლოთ ჩვენი დიდი კომპოზიტორის სულხან ცინცაძის სახელობის სიმებიანი კვარტეტების კონკურსის ორგანიზება და მისი ჩატარება საერთაშორისო მასშტაბით, დასაწყისისთვის ამიერკავკასიის კვეყნების მონაწილეობით.

**თ.ბ.:** ქ-ნო მანანა, იგეგმება თუ არა სულხან ცინცაძის სახელობის კამერული ანსამბლების კონკურსის აღდგენა?

**მ.ა.:** ალბათ, ჯერ არა. ამის პირობები ნამდვილად არ არის. სპეციალობის პედაგოგები ზრუნავენ თავიანთი მოწაფეების ზრდასა და მიღწევებზე და, მე მგონი, თვლიან, რომ ასეთი საკონკურსო საანსამბლო პროგრამების მომზადება გარკვეული ილად სპეციალობაში მუშაობის დროს ართმევს. აյ სპეციალობისა და ანსამბლის პედაგოგების ორმხრივი დაინტერესება უნდა იყოს. მართალია, სპეციალობა პირველ პლანზეა, მაგრამ საანსამბლო ხელოვნება უმაღლესი რანგის არის და მხოლოდ ხელს შეუწყობს მუსიკისი ჩამოყალიბებას.

**თ.ბ.:** ალბათ, იცით, რომ კონსერვატორიაში ძალიან შემცირდა სიმებიანი კვარტეტისა და კამერული ანსამბლების სწავლების საათები. რა აზრის ბრძანდებით ამაზე?

**მ.ა.:** მიმაჩინია, რომ საერთოდ მუსიკალურ დისციპლინებს შორის, პრიორიტეტულობის მომენტი არ უნდა არსებობდეს, იმიტომ, რომ სხვა ყველა მუსიკალური დისციპლინა ხელს უწყობს, რომ ადამიანი უფრო ღრმად ჩაწერდეს თავისი სპეციალობის სპეციფიკას. მითუმეტეს ანსამბლური მუსიციერება მუსიკალური აზროვნების უმაღლესი გამოვლინებაა, გარდა ამისა, შექმნილია უმდიდრესი ლიტერატურა. მე მგონი, არც ერთ სხვა სპეციალობაში არ არის დაწერილი ასეთი რაოდენობის ასეთი გენიალური მუსიკა. ჩვენს ფესტივალებზე ახმოვანდა სხვადასხვა ეპოქის კომპოზიტორთა მუსიკა, რომელიც აյ არასოდეს შესრულებულა. მაშასადამე, არ მგონია, რომ საათების შემცირება ამ დარგში მიზანშეწონილი იყოს. ჩვენი ქართული ფსიქოლოგიაც განაპირობებს, ალბათ, რომ ყველას სოლისტობა უნდა და, სამწუხაროდ, ფიქრობენ, რომ ანსამბლში დაკვრა არ არის პრესტიული. არადა, თუ ანსამბლში არ დაუკრავ, ორკესტრშიც გაგიჭირდება

დაკვრა. ყველაფერი დაკავშირებულია ერთმანეთთან.

**თ.ბ.:** ბატონო ოთარ, რამდენადაც ვიცი, წლების ფესტივალის სიახლე იყო კონცერტი, რომელშიც კონსერვატორიის სტუდენტები იღებდნენ მონაწილეობას. იქცევა თუ არა ეს ტრადიციად და რა სიახლეებს უნდა ველოდოთ მომავალში.

**ო.ჩ.:** სტუდენტების ფესტივალში ჩართვის იდეა გაჩინდა იმიტომ, რომ მათაც ჰქონდეთ ინტერესი, სტიმული, ალბათ, საუკეთესო სტუდენტები ყოველ წელს მიიღებენ ფესტივალში მონაწილეობას. თან მათთან ადვილია კონტაქტი, რადგან ისინი ენთუზიასტები არიან და არ თხოულობენ პონორარს. თუმცა, რომ იყოს დაფინანსება, სიამოვნებით გადავუხდიდით. ეს საჭიროა, აუცილებელია. საზღვარგარეთ გამორიცხულია პონორარის გარეშე რამის გაეთვება, ჩვენში კი, სამწუხაროდ, კომუნისტური დროიდან მოდის მუქთად მუშაობა.

**თ.ბ.:** ხომ არ იგეგმება ფესტივალის მასშტაბების გაზრდა, კამერული მუსიკის კონცერტების ჩატარება საერთოებლის სხვადასხვა კუთხეში, უცხოელი მუსიკოსების ჩამოყანა და ფესტივალის ფარგლებში მასტერებლების ჩატარება?

**ო.ჩ.:** გვინდა ბევრი მუსიკოსის ჩამოყვანა საზღვარგარეთიდან, მაგრამ დაფინანსების უქონლობის გამო ეს ვერ ხერხდება. ჩამოსვლის სურვილი ძალიან ბევრს აქვს. გვინდა, მაგალითად, გენიალური მევიოლინე ლიზა ბათიაშვილისა და მისი მეუღლის არაჩერების ბურგარებისათვის ფორტეპიანოსათვის. ისევ და ისევ მთავარ პრობლემა დადანინების უქონლობა რჩება.

ძალიან ვისურვებდი, რომ შევძლოთ ჩვენი დიდი კომპოზიტორის სულხან ცინცაძის სახელობის სიმებიანი კვარტეტების კონკურსის ორგანიზება და მისი ჩატარება საერთაშორისო მასშტაბით, დასაწყისისთვის ამიერკავკასიის კვეყნების მონაწილეობით. არაჩერების ბობოლისტის - ლელიუს, ასევე ხატია ბურიათშვილის (ფორტეპიანო), გიორგი ხარაძის (ჩელო) მოწვევა, მაგალითად. წლევანდელ ფესტივალზე, მხოლოდ ნინო გვეტაძის (ფორტეპიანო) ჩამოყვანა მოვახერხეთ. ძალიან გვინდოდა მისი მეუღლის ლევან ცხადაძის (პობოი) ჩამოყვანა, მაგრამ არ გამოვიდა. მასშტაბების გაზრდას რაც შეხება, ძალიან გვინდა, მაგრამ ეს ყოველივე ისევ და ისევ ფინანსებს ემყარება, უცხოელებსაც ჩამოვიყენდით დიდი სიამოვნებით, მაგრამ ამის საშუალება არ არის. მასტერებლებს კი, ვინც ჩამოვა, ყველა ჩატარებს ჩვენი პატივისცემით. სიამოვნებით მასშტანდება ელისო ვირსალაძის ფესტივალი თელავში, სადაც იგი პირადად ასრულებდა ნანარმოებებს, ტარდებოდა მასტერებლები, მონაწილეობას დებულობდნენ ისეთი დიდი მუსიკოსები, როგორიცაა ნატალია გუტმანი, მისი ანგარდაცვლილი მეუღლე, გენიოსი მევიოლინე კაგანი. უამრავ ფესტივალზე ვარ ნამყოფი, მაგრამ ეს ფესტივალი მართლაც გამოირჩეონ თავისი მაღალი დონით. სამწუხაროდ, 90-იანი წლებიდან ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო იგი ველარტარდება. უნდათ აღორძინება, მაგრამ ჯერჯერობით არ გამოდის. თუ გამოჩნდა, სპონსორი, შეიძლება გაცემა საქართველოს ყველა კუთხეში.

**თ.ბ.:** ქ-ნო მანანა, აპირებთ თუ არა კვლავ ჩართოთ ფესტივალში მოზარდები?

**მ.ა.:** წინა ფესტივალზე ჭარბობდა არა კამერული ანსამბლები, არამედ სოლისტები აკომპანენტებით, ეს კი არ პასუხობს



# მუსიკა



## სულხან ციცებაძის სახელობის სახელმწიფო პრატისტი

ჩვენი ფესტივალის სპეციფიკას. მოსწავლები უკრავდნენ ილუსტრატორებთან ერთად, ანუ ასაკობრივი ზღვარიც დარღვეული იყო. თუ ანსამბლების ციკლის ფორმები და უარი დაცული იქნება, მაშინ სასურველია, რომ მოსწავლეებმაც მიიღონ მონაწილეობა. სხვათა შორის, ჩვენს კონკურსებშიც კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ ბავშვები. საანსამბლო მუსიცირების მოთხოვნილება ბავშვობიდან უნდა მოდიოდეს. ყველა ევროპულ ქვეყანაში, იგივე გერმანიაში, რომელიც ანსამბლური მუსიკის სამშობლოა, ეს მოდის პირდაპირ საოჯახო ტრადიციიდან. საკვირველია, რომ ჩვენი ხალხური მუსიკის მიხედვით ქართველები ანსამბლურად მოაზროვნე ხალხი ვართ, მრავალხმიანობა და ანსამბლურობა ჩვენს გენეტიკურ კოდში დევს. უცნაურია, რომ ეს ვერ გადმოვიდა ინსტრუმენტულ შემსრულებლობაში, თუმცა ამის პოტენციალი ნამდვილად არის, რასაც ადასტურებს მაღალ დონეზე გამართული კონცერტები. ჩვენი ფესტივალი მოწოდებულია, რომ ეს პოტენციალი განვითარდეს და ჩამოყალიბდეს ანსამბლისტი, როგორც პროფესია.

### თ.ბ.: ვინ გემბარებათ ფინანსურად?

**მ.ა.:** დაფინანსებისთვის დიდი მადლობა მინდა გამოვთქვა ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს და საქართველოს კულტურის, ქეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიმართ. ასევე დიდი მადლობა კოსერვატორიის რექტორს, ქ-ნ მანანა დოიჯაშვილს, რომელიც უსასყიდლოდ გვითმობს დარბაზებს. ეს ფაქტიურად კონსერვატორიის ფესტივალიც არის. მართალია, დაფინანსება დიდი არ არის, მაგრამ ჩვენ მის ფარგლებში მაინც ვახერხებთ ფესტივალის ჩატარებას. ძალიან გვიშლის ხელს არასტაბილური მდგომარეობა. შარშან ნოებრის მოვლენები დამტხვა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გამო მოგვიხდა ფესტივალის გადადება. წელსაც საომარი ვითარების გამო ბიუჯეტი მთლიანად ვეღარ მოგვცეს და გაგვინახევრეს. ამიტომაც მუსიკოსების მოწვევა და ჩამოყვანა ვერ მოხერხდა. ფესტივალს დიდი პერსპექტივები აქვს. მთავარია, ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია მოწესრიგდეს და სტაბილური გახდეს. არსებულ ვითარებაში კი დიდ დაფინანსებაზე ოცნებაც ძნელია.

**თ.ჩ.:** ძირითადად კულტურის სამინისტრო გვაფინანსებს, მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, რომ სპორსორები არ ჩანან. სამწუხაროა, რომ ეს მუსიკა

არავის აინტერესებს, არ უყვართ. ტელევიზიითაც არაფერი შუქდება კლასიკურ მუსიკასთან დაკავშირებით. არ არის არანაირი გადაცემა. ავინყდებათ ის, რომ ხალხის კულტურა ამ მუსიკალური ხელოვნებით ყალიბდება, ეს არის ნამდვილი ხელოვნება. რამდენი კარგი მუსიკოსია ნასული საზღვარგარეთ და მათ არავინ არანაირ ყურადღებას არ აქცევს. არ იცნობენ, მაგალითად, გენიალურ ქართველ მევიოლინეს ლიზა ბათიაშვილს, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო მევიოლინეთა ხუთეულში შედის. ძალიან ბევრი ტალანტია, რომელთა შესახებ არაფერი იცის ჩვენმა საზოგადოებამ. შუქდება მხოლოდ ესტრადის სიახლეები და მთელი დაფინანსებაც აქეთკვნაა მიმართული. ჩვენ ძირითადად ენთუზიაზმით ვმოქმედებთ.

### თ.ბ.: რა იგეგმება სამომავლოდ?

**მ.ა.:** გეგმები დიდი გვაქვს. ჩვენი ფესტივალი არ არის განკუთვნილი მხოლოდ მოსასმენად. მისი მიზანია ანსამბლური მუსიცირების ფორმების დანერგვა-დამკვიდრება და, რაც მთავარია, მომავალი ანსამბლისტების აღზრდა. გარდა ამისა, მიმართა, რომ უნდა გავაძლიეროთ ინტერესი სიმებიანი საკრავების, განსაკუთრებით, ჩელოს მიმართ. საუკეთესო ჩელისტისთვის უნდა დაწესდეს პრემია ან პრიზი. დღეს ბატონ ოთარ ჩუბინიშვილს უშდება ფაქტიურად ყველა ანსამბლში დაკვრა, რაც ძალიან დიდი დატვირთვა. მართალია, როცა იგი ზის პულტან, ეს ახალგაზრდებისთვის დიდი სტიმული და სკოლაა, მაგრამ გვინდა ახალგაზრდა ჩელისტების მოზიდვა, რადგან თუ აღარ გვეყოლება ჩელისტები, კატასტროფამდე მივალთ. გვინდა ფესტივალის მასშტაბების გაზრდა. სამწუხაროდ, ჩვენთან არც კამერული ვოკალური მუსიკის მდგომარეობა სახარბიერება, არადა ამ უარშიც უდიდესი რეპერტუარია შექმნილი. გვინდა მომავალ წელს გავაკეთოთ კამერული ვოკალური მუსიკის სალამო. ახლა ჩვენ ბატონ ოთართან ერთად სწორედ ამ მიმართულებით ვფიქრობთ.

**თ.ბ.:** დიდ მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ მანანასა და ბატონ ოთარს საინტერესო საუბრისათვის. ვიმედოვნებ, რომ გამოჩენებიან სპონსორები, ამ არაჩეულებრივი და მეტად საჭირო ფესტივალის მასშტაბები კიდევ უფრო გაიზრდება, ფესტივალი მრავალი წლის მანძილზე იარსებებს და გაახარებს მსმენელს.

## „მწიუანი იონჯა მთავა. გასახითანიშით“

„ბედნიერია ადამიანი, რომელსაც ხალხი შეიყვა-  
რებს“, ეს სიტყვები ეკუთვნის ქართული მუსიკის  
კლასიკოსს, მრავალი ჯილდოსა და პრემიის მფლო-  
ბელს, ჭეშმარიტად სახალხო არტისტს აღესი მაჭა-  
ვარიანს, რომლის შემოქმედება დიდი ხანია შეიყვარა  
მსმენელმა.

მაჭავარიანის შემოქმედება, ისევე როგორც მისი  
ცხოვრება, სავსე იყო წარმატებებითა და ამავდროუ-  
ლად ურთულესი წინააღმდეგობებით. „ხალხის მტრის“  
შეილის დამდასთან ერთად ადრევე შეიგრძნო შემო-  
ქმედებითი წარმატებების სიხარული და დამსახურე-  
ბული აღიარება. მისმა მუსიკაზ პირველმა გაარღვია  
საბჭოთის რეინის ფარდა, მაგრამ რაოდენ პარადო-  
ქსულიც არ უნდა იყოს ეს, სიცოცხლის ბოლომდე  
ელოდა თავისი შეუსრულებელი ნაწარმოებების პრე-  
მიერებს სამშობლოში; არც ისე ბევრია სიცოცხლეშივე  
კლასიკოსად აღიარებული კომპოზიტორი, რომლის  
ათეულობით თხზულებას, მათ შორის სიმფონიებს,  
ოპერებს, ბალეტებს ასეთი ბედი ეწია.

ქართული ევროპეულიმის ტრადიციის გამგრძელე-  
ბელი — ალექსი მაჭავარიანი რომანტიკული ბუნების  
ხელოვანია. ხშირად წერენ მისი მუსიკის შინაგანი  
შთაგონებისა და დიდი ვნებათაღლევის შესახებ,  
პოეტურ ბუნებასა და სიფაქიზეზე, შუქერდილების  
ნატიფ თამაშზე, მშვენიერებს იდეალზე, ლირიკუ-  
ლი და დრამატული საწყისების ურთიერთქმედებაზე,  
რიტმის საოცარ ენერგეტიკაზე, ქართული ხორუმის  
ასიმეტრიული რიტმის ფართო გამოყენებაზე, ვარი-  
აციული ტრანსფორმაციის მეთოდზე და ა.შ. ალბათ,  
ყოველივე ეს ერთად განაპირობებს იმას, რასაც მაჭა-  
ვარიანის მუსიკალური სტილი ჰქვია.

ყოველ კომპოზიტორს აქვს ისეთი ქმნილება,  
რომელშიც მთელი სისავსითა და ცხოველმყოფელო-  
ბით ვლინდება ხელოვანის შემოქმედებითი პოტენ-  
ცია, ინდივიდუალობა, ნოვატორობა. ა. მაჭავარიანის  
შემოქმედებაში ასეთ ნაწარმოებებს შეიძლება მივა-  
კუთვნოთ მისი ბალეტი „ოტელო“ და სავიოლინო  
კონცერტი, რომანსები „ცისა ფერს“ და „სხივო,  
მზეთამზის საზეო“, რომლებიც ქართული ეროვნუ-  
ლი მუსიკალური ხელოვნების უმაღლეს მიღწევათა  
შორის მოისხენიებინ.

მის შემოქმედებას ეხმაურებოდა მსოფლიო პრესა  
და აღმატებულ ხარისხში აფასებდნენ გამოჩენილი  
ადამიანები: „ბრწყინვალე ნაწარმოებია, ბრწყინვალე  
მუსიკა... ბრწყინვალედ გაორეგსტრებული ეს მუსიკა  
ნიჭიერების გამობრწყინვება“, - დიმიტრი შოსტა-  
კოვიჩმა ეს სიტყვები 1958 წელს ბალეტ ოტელოს  
მოსმენისა და ნახვის შემდეგ თქვა. „მთელი ქალაქი  
/ლენინგრადი/ მოვიდა „ოტელოს“ პრემიერაზე. იმ  
ატმოსფეროს გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ,  
რომელიც მეფობდა დარბაზში და სცენაზე, ეს იყო  
ნამდვილი „შალიაძინისეული“ სპექტაკლი. ამაში კი  
იგულისხმება, რომ ჩვენს შემდგომ თაობას ისევე შეშ-  
ურდება ჩვენ „ოტელო“ რომ ვიხილეთ, როგორც ჩვენ  
გვშურს იმათი, ვინც შალიაძინი ცოცხლად მოისმინა“  
— წერდა ტატიანა ვეჩესლოვა.

მაშინ აღტაცებას იწვევდა ქართველი ხელოვანების  
მთელი დასი: მაჭავარიანი, ჭაბუკიანი, ვირსალაძე და



ალექსი მაჭავარიანი

დიმიტრიადი - მათ არაერთი გამოჩენილი ადამიანი  
და მაყურებელი აღაფრთოვანეს. და მაინც, ამ ბალეტ-  
ში ყველაფერი მუსიკიდან იწყება. ბევრი ადამიანის  
მესხიერებაში სწორედ ალექსი მაჭავარიანის ხატო-  
ვანი მუსიკის ძალით ჩაიბეჭდა ჭაბუკიანის საბალეტო  
ოსტატობა და სოლიკო ვირსალაძის მხატვრობა. ცხადია,  
შექსპირის გენიალურობაზე დაყრდნობით,  
ამ ბალეტმა არაერთი ქვეყნის მაყურებელი მონუსხა.  
ბევრს საუბრობდნენ, თუ როგორ შეძლო საბალეტო  
უანრმა შექსპირის ტრაგედიის ასე სრულფასოვნად  
განხორციელება. დღევანდელი გადასახედიდან, ძნე-  
ლია ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში  
რომელიმე მოვლენის გახსენება, რომელსაც საზოგა-  
დოებაში მსგავსი რეზონანსი და აღიარება პქონდა;  
„ოტელო“ იდგმილობა იაპონიაში, ფინეთში, რუმი-  
ნეთში, უნგრეთში, საფრანგეთში, ჩეხეთში, გერმანი-  
აში (ის იხილეს ბრატისლავაში, პრაღაში, მონტე-კარ-  
ლოში, რიო დე-ჟანეირომი, ლოს-ანჟელესში, სანქტ-  
პეტერბურგში, რდესაში, მოსკოვში, კუიბიშევში და  
სხვა ქალაქებში). მილანის ლა სკალას თეატრთან  
არსებულმა ხელოვნებათა გალარეა „პრანდეზე“  
„ოტელოს“ მუსიკისათვის ალექსი მაჭავარიანი დაა-  
ჯილდოვა ოქროს მედლით /1974/; ყოფილი საბჭოთა  
კაშირის კომპოზიტორებიდან მსგავსი პატივი ხვდათ  
წილად პროკოფიევსა და შოსტაკოვიჩს.

„ოტელოს“ შემდეგ დიდი წარმატებით მიიღო  
რუსულმა საზოგადოებამ პეტერბურგში დადგმული  
ბალეტი „ვეგინისტყაოსანიც“. „მრავალფეროვანია  
ალექსი მაჭავარიანის ვეგინისტყაოსანის მუსიკა, თა-  
ნამედროვე - ქართული აქცენტებით. ეს გიგანტური  
ნეოკლასიკური მანქანაა ეგზოტიკური ფორმებით“,  
წერდა უკვე საფრანგეთში 1988 წლის ლე ფი-  
გარო .

სავიოლინო კონცერტის ასევე ტრიუმფალური  
წარმატების გამო, 1985 წელს, შექმნიდან 36 წლის  
შემდეგ იეპუდი მერუხინი მას ასეთ შეფასებას აძლევ-  
და: „მაჭავარიანის სავიოლინო კონცერტი მშვენიე-  
რია — იგი შეიცავს ემოციას, პოეტურობას, ღრმა  
შთაგონებას, დამახასიათებელს ქართველი ხალხის  
ბუნებისათვის, რამაც ძალზე დიდი შთაბეჭდილება

# მუსიკა

მოახდინა ჩემზე. თავისი ლირიკული თვისებებით და მთლიანობაში, მუსიკა ძლიერ ინტელექტუალურ ზემოქმედებას ახდენს“. დავიდ ოისტრახი კი წერდა, რომ „მაჭავარიანის სავიოლინო კონცერტი საუცხოო ნაწარმოებია, ამიტომაც არის ჩემს რეპერტუარში“.

მაჭავარიანის სიმფონიის მუსიკაზე ფრანგმა ქორეოგრაფმა უოჩეფ რუსილიომ შექმნა ბალეტი „მეცნუნდა მოკვდეს“, რაზეც ფრანგულ პრესაში დაიბეჭდა, რომ „მაჭავარიანის ულამაზეს მუსიკაზე დადგმული ეს სპექტაკლი არის გრანდიოზული სილამაზის, ისეთი, როგორც ანტიკური ტრაგედია“, - ლა მარსელიეზა, 1979 წელი.

მსგავსი ტექსტის ამოვითხვა ბევრგან შეგვიძლია. ისინი უამრავია. თუ გავიაზრებთ, რომელ წლებში და სად არის დაბეჭდილი, კიდევ ერთხელ სიამაყის გრძნობა გვავსებს!



„ოტელოს“ არეალის შემდეგ

## აცლერაცის მაგივა

ქართული მწერლობა არ არის განებივრებული მემუარული ლიტერატურით, მით უფრო მუსიკოსების. ახლახანს გამოცემული ალექსი მაჭავარიანის 450 გვერდიანი „ჩანაწერები უბის წიგნაში“, სახელწოდებით „შემოქმედი და დრო“ ამ ბედნიერ გამონაკლისთა რიცხვს მიეკუთვნება. წიგნის შემდგენელი და შესანიშნავი ლიტერატურული ვერსიის ავტორია მანანა კორძაია.

არ შემიძლია ჩემი აღტაცება არ გამოხატო ამ წიგნის მიმართ, რომელიც წარმოადგენს მაჭავარიანის დღიურებს, რომელსაც ის 1959 წლიდან აწარმოებდა. ამ ჩანაწერებს წინ უსწრებს თემატურად შეკრული მოგონებები ბავშვობისა და ახალგაზრდობის პერიოდზე.

მსოფლიოს კულტურის ისტორიაში არ შექმნილა რამე მნიშვნელოვანი ისე, რომ იგი შემოქმედის შინაგანი სულის გამოძახილი არ ყოფილიყოს. ეს ჩანაწერები ნათლად წარმოგვიდგენს მაჭავარიანს პიროვნებას და მაჭავარიანს შემოქმედს დროსა და სივრცეში; დროს, პიროვნების თვალით დანახულს; ადამიანს, რომელიც გულისტკივილით წერს: „დაპირებები. აი, ახლა შევალთ კომუნიზმში..... დაპირებები. მხოლოდ და მხოლოდ დაპირებები. აცე, ვირო... ამ გაზაფხულზე გასხივოსნდებით. ნუ გეშინიათ, სულ მალე მწვანე იონგვა მოვა. გასხივოსნდებით. სად არის შენი მეობა, ადამიანო, სად არის შენი სიტყვის ძალა?“.

ამ წიგნში წარმოჩნდება ალექსი მაჭავარიანი — ლირიკული პიროვნება, განსწავლული, ფართოდ მოაზროვნე ინტელიგენტი, რომლის შემოქმედება ბუნებრივი გამოვლენა იყო მისი ნიჭის, პროფესიული სრულყოფის, ზნეობის, კეთილშობილების, მოქა-

ლაქერობრივი შეგნების და თავისი ქვეყნის სიყვარულის. მის ბოლო ჩანაწერში „ანდერძის მაგიერ“ კვითოულობთ „მე ვქმნიდი მუსიკას გულწრფელად, შეუბოჭავად, თავისუფლად, უსწავლობდი, ვშრომობდი, ვიღწვოდი, ვზეიმობდი მთელ ჩემ ხალხთან ერთად, ჩემს სამშობლოში. და მე მივიღე სამაგიერო სიყვარული ხალხისა. დიდია ეს ჯილდო, ფასდაუდებელი. არ გეგონოთ სიმწარე არ მიგემია. ბევრი სიავე და ტანჯევა დამტებია თავს, მაგრამ დამვიწყებია და ამ სიბერის უამს მხოლოდ თქვენს მიერ გაღებული სიკეთე, სითბო და სიყვარული მასენდება. ალბათ, ეს არის გულუბრყვილობა. ხოდა, ბედნიერი ვარ, რომ ბოლომდე შევინარჩუნე ეს თვისება, მისი წყალობით არ გავპოროტდი, ალბათ. კიდევ, ღმერთის შენევნა დამხემარა და მუსიკა, რომელიც ჩემი სულის განუყოფელი ნაწილია. მიხარია, ძალიან მიხარია, რომ როცა დრო მოვა, ყველას მიმართ სიყვარულითა და პატივისცემით, უპირველეს ყოვლისა კა ჩემი სამშობლოს სიყვარულით აღსავს დავტოვებ ამ შშვენიერ სამყაროს, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია.

სიყვრულით, ა. მაჭავარიანი“

## სანთოლ-საკეველი თავის გზას არ დაკარგავს

„სანთოლ-საკეველი თავის გზას არ დაკარგავსო“, ხშირად იმეორდებდა მამა. მართლაც ასეა. ბედნიერი ვარ, რომ ოცდაათი წლის დაგვიანებით, მაგრამ მაინც ვიდირისურო სუიტა „პამლეტიდან“, ხოლო თვრამეტი წლის დაგვიანებით მეტვიდე სიმფონია „გელათი“ — წერდა 5 წლის წინ კომპოზიტორის ვაჟი — ცნობილი დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი.

წელს ნოემბერში, ვახტანგ მაჭავარიანის თაოსნობით, ალექსი მაჭავარიანის დაბადებიდან 95 წლისადმი მიძღვნილ კამერული და სიმფონიური მუსიკის კონცერტებზე, კიდევ ერთხელ ვეზიარეთ გამოჩენილი კომპოზიტორის შემოქმედებას. შვილმა მიზნად დაისახა მამის განუხორციელებელი ოცნების ხორც-შესხმა და იმ ნაწარმოებების შესრულება, რომლებიც ათეულობით წელი ელოდნენ მსმენელს; გაისხენეს დიდი მაესტრო, აუდერდა მისი მუსიკა, დოკუმენტურმა ფილმა გააცოცხლა მისი პირტკეტი, გაეცნენ წერილებს უცხოეთიდან, მათ შორის ლიანა ისაკაძის, ლექსო თორაძის, სიკორსკის გამომცემლობის დირექტორის ჰანს ულრიკ დიუფეკის. . . .

შეუსრულებელ ნაწარმოებთა ბლოკს მიეკუთვნებოდა ბალეტი ჭირვეულის მორჯულება (შესრულდა I აქტი); თბილისში პირველად აუდერდა ასევე გვიანდელი სუიტა ბალეტ „ოტელოდან“. აგრეთვე, რომანსები, სიმღერები, სავიოლინო სონატა, მინიატურები კამერული ორკესტრისათვის.

ეს ნაწარმოებები შესრულდა კონსერვატორის ინსტიტუტის დარბაზში და ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში ახალგაზრდა და სოლისტების (მათ შორის საგანგებოდ გამოვლენა მარიკა გულორ-

გახტანგ მაჭავარიანი



ალექსი მაჭავარიანი  
უმცობელი



დავას მიერ უბადლოდ შესრულებულ რომანსებს!)

და სამხატვრო აკადემიასთან არსებული კამერული და ევგენი მიქელაძის სახელმძის ეროვნული ორკესტრების მიერ ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით. შშვენივრად უდერდა ეროვნული (სახელმწიფო) სიმფონიური ორკესტრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გასული საუკუნის 60-იან წლებში იყო აღექსი მაჭავარიანი; ამ ორკესტრს ედგა სათავეში მისი ვაჟიც — ვახტანგი 90-იან წლებში.

ალექსი მაჭავარიანის შემოქმედება მჭიდროდ არის დაკამატირებული შექსპირთან. კომპოზიტორმა შექსპირის თემებზე სამი მსხვილი ფორმის ნაწარმოები შექმნა: ბალეტები — „ოტელო“, „ჭირვეულის მორჯულება“ და ოპერა „ჰამლეტი“. მათ ნინ უძლოდა მუსიკა დრამატული თეატრის სპექტაკლებისთვის „მეფე ლირი“ და „რიჩარდ მესამე“. ბალეტ „ჭირვეულის მორჯულების“ შექმნის იდეის დაბადება, რომლის სტილი პოსტმოდერნისტული ეპოქის ანარეკლია, შემოქმედების პერიოდში შექმნილმა „ოტელომ“ შთაგონა. მის შესახებ პირველ ჩანაწერს „უბის წიგნაცში“ მაჭავარიანი 1987 წლის თებერვალში აკეთებს: „ვფიქრობ „ჭირვეულის მორჯულებაზე“. ნაკლებად ენერგება საერთო „ვეფხისტყაოსასა“ და -V სიმფონიებთან. უფრო „ოტელოსკენ“ იხტეაბა მისი დრომატურგია. ისე კი განვიცდი ერთგვარ გულგატებილობას, სულიერ დაღლილობას, ჯამრთელობაც მღალატობს. მაგრამ შინაგანად მაინც ვიბრძვი. პევრი საინტერესო მასალა მაქვს პორტფელში, ჯერ ხელულებელი, აუზღურებელი, რომელიც რეალიზაციას ითხოვს. გეგმები დიდი მაქვს, დრო . . .“.

მაჭავარიანის 100 წლის იუბილე ფართოდ უნდა აღინიშნოს 2013 წელს. კომპოზიტორთა კავშირში გამოსაცემად მომზადდა №4, 5, 6 კვარტეტების პარტიტურები; დაიწყო იპერა „მედეას“ დიდტანიანი პარტიტურის პარტიების გადაწერა — 2010 წელს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის შესრულებით და ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით დავით დიონიშვილი გეგმავს ოპერა „მედეას“ სცენურ განხორციელებას.

ვახტანგ მაჭავარიანი: „არ ვიცი რამდენი წლის დაგვიანებით აღსრულდება ეს, მაგრამ ამის განხორციელება ჩემი ცხოვრების უმთავრესი მიზანია. ვოცნებობ ასევე, რომ ჩემი შვილი, ალექსი მაჭავარიანი იყოს მისი მესამე საფორტეპიანო სონატის პირველი შემსრულებელი 100 წლის თავზე“. ამ თარიღისათვის ემზადება დიდი კომპოზიტორის პატარა შვილიშვილიც, ალექსი მაჭავარიანი უმცროსი.

P.S.: ვიდრე უურნალის ეს ნომერი იბეჭდებოდა, პარიზში, ინვალიდების ტაძარში 5 თებერვალს ფრანგი დირიჟორის ლორენ პეტიჟერარის და ევგენი მიქელაძის სახ. საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მიერ შესრულებულ მაჭავარიანის „დოლურს“ უდიდესი ნარმატება ხვდა წილად.

ასეს ისეამის ნების გამოც საჭიროას და უკეთო მარტივობას და უკეთო მარტივობას 95 წლის უწყვეტი სიცოცხლისა, მისი მუხავის უწყვეტი ხმანობისა.

შეცვერდები ა. მაჭავარიანთან დაუვიწყარია. იგი, უპირველეს ყოვლისა ფართო ნიჭიერების პიროვნება იყო. მასში პარმოზულდა იყო შეთავსებული პოეტური და ფილოსოფიური საწყისები. სწორედ ეს სინაგანი წყობა აძლევდა მას საშუალებას განთავისუფლებული ქვეწიერების უმიმესი ტვირთისაგან და შემოქმედების განმუხტულ სამყაროში აღმოჩენა სულიერება. საოცარია მისი სიმფონიზმი: მისი ინტრისექტული და ერთდროული პოეტური I სიმურნია თავისი ტრიუმფალური, ამაღლებული შინაგანი ბორკილების დამასმენერებელი ფინალით; სამყაროს გამჭოლი ხედვა მის შეძლომ სიმფონიებში, სადაც აჩქარებულ, აფრიკაქებულ, აღგზნებულ მიწიერ რეალობას, სულიერი სამყაროს შეწერებული, მარადული ხილვა უპირისპირდება.

შეუდარებელია მისი შედევრებად აღიარებული რომანები, სავთლინო კონცერტი, რომელიც მე-20 საუკუნის უდიდეს მეცილინეთა რეპერტუარში იყო და ახლაც რჩება. იგი მე ვეროპის მრავალ ქვეყანაში შევასრულება.

ანდა შეძლება დავიწყებას მიეცეს მისი საბალეტო მუსიკის სვლა მსოფლიოს კულტურის ცენტრებში? — პარიზი, ლონდონი ნიუ-იორკი, ვაჭინგტონი, მილანი, ტოკიო, ჰეტერბურგი, მოსკოვი, სადაც აღტაცებით უსმენდნენ „ოტელოს“ და „ვეფხისტყაოსასის“.

დღეს ჩვენ როგორც არ უნდა ვეცადოთ, ვერ ამოგმლით აღექსი მაჭარიანის სახელს ვერც ქართული და ვერც მსოფლიო კულტურის მატიანედან.

მე მთელი გულით მოუცდოცა ქართველ ხალხს ა. მაჭავარიანის მუხიას საღამოების გამართვას და ვესურება მამის მუხიას შესანიშნავ ინტერპრეტატორს, გამოჩენილ დირიჟორს ვახტანგ მაჭავარიანს — ალექსი მაჭავარიანის ჯერ აუზღურებელი ნაწარმობების შესრულებას საქართველოში, რაღაც ეს მუხია ის სისხლი და გულისცემაა, რაც ქმნის ქართულ კულტურას. კულტურა კი ერის არსებობის წინამძღვარია.

ლაიანა ისაკაძე 6.10.2008 მიუნხენი



ალექსი მაჭავარიანი და ლიანა ისაკაძე

# თერჯოულისაშვილი საქართვის ხალხური და ხუმრის თეატრი

**ეთერ გულისაშვილი** ქართული პიანისტური სკოლის საუკეთესო წარმომადგენელთაგანია. ნიჭიერი, განაცული პიანისტის სახელი ადრევე, ჯერ კიდევ „ნიჭიერთა ათწლედში მონაცეობის დროს მოიხვეჭა. მას მერე წლიდან წლამდე რეგულარულად მართავს კამერულ საღამოებსა და კონცერტებს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. ამასთანავე, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის ვ. სააჯანიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის სავალდებულო ფორტეპიანოს კათედრაზე. 2008 წ. 19 აპრილს კონსერვატორიის მცირე დარბაზში მორიგ სოლო კონცერტზე სოლიდური პროგრამით წარსდგა მსმენელი აუდიტორიის წინაშე. ყვავილები, ტაში, ანუ მოწოდება დაიმსახურა მისი შესრულებით საფორტეპიანო კლასიკის შედევრებმა, სახელდობრ შუბერტის ხუთმა ექსპრომტმა (As Dur, c moll, Es dur, Ges Dur, as moll) და შოპენის ოთხივე ბალადამ (g moll, F Dur, As Dur, f moll). კონცერტის პროგრამა თავისთავადაც მეტყველებს მაღალ პროფესიულ მოთხოვნებზე, რომელსაც პანისტი საკუთარი თავის წინაშე აყენებს. გთავაზობთ კონცერტის შემდეგ ეთერ გულისაშვილთან გამართულ საუბარს, რომელსაც უძლვება მუსიკის მცოდნე რუსუდან ქუთათელაძე.

**რ. ქ. ქ-ნო ეთერ, გულოცავთ წარმატებას. ვუერთდები გულწრფელ აპლოდისმენტებს, რომლითაც დამსწრე საზოგადოებამ მოწოდება გამოხატა. თავად თქვენ, კონცერტის შემდეგ, როგორი გრძენობა გეუფლებათ ხოლმე — ვალის პირნათლად მოხდის, სიხარულის, რომ მღელვარება უკანაა, სინანულის, რომ ყველაფერი ვერ შესძელით ისე, როგორც წატრობდით, როგორც ესწრაფვიდით, თუ კმაყოფილი ხართ ხოლმე საკუთარი შესრულების?**

**ვ. ბ. ყველაფრით კმაყოფილი არა ვარ ხოლმე. ვფიქრობ, რომ უკეთესად შემეძლო. ზოგიერთი ნაწარმოები შემეძლო უკეთესადაც დამეკრა, ამას განვიცდი. საერთო ჯამში კი კმაყოფილი ვარ, მაგრამ 100% არასდროს.**

**რ. ქ. დღევანდელი კონცერტი მთლიანად რომანტიკულ მუსიკას, მის შედევრებს, გენიოსის შუბერტისა და შოპენის თხზულებებს მიუძღვენით, პიანისტთა რეპერტუარს რომ ამშვენებს და ამასთან მეტად რთული პროფესიული ამოცანების გადაჭრას ავალებს შემსრულებლს. სხვა დროს როგორი პრინციპით ადგინთ ხოლმე საკონცერტო პროგრამას, მონიკოაფიულს ანიჭებთ უბირატესობას, ეპოქით ხელმძღვანელობთ, თუ ... ?**

**ვ. ბ. არა, მონიკოაფიული ჩემთვის მთავარი არ არის ხოლმე. მირჩევნია სხვადასხვა კომპოზიტორების ნაწარმოებებისგან შევადგინონ. ხან რომელიმე ერთი ნაწარმოები მინდა გავიტანო კონცერტზე, მაგალითად რომელიმე სონატა, შემდეგ კი მას მივუშატებ სხვას, ამავე კომპოზიტორის მცირე ფორმის ნაწარმოებებს. აი, მაგალითად, როცა დაუკარი პროკოფიევის №7 სონატა, პროგრამაში შევიტანე მისივე ტოვატა. საერთოდ, პროკოფიევი ძალიან მიყვარს. დაკრული მაქვს მისი №3, №6 სონატებიც. თემატიკის მიხედვითაც ვადგენ ხოლმე პროგრამას. შოპენის ბევრი ნაწარმოები მიყვარს და ბევრჯერ მაქვს დაკრული მისი ბოლონებები, ბალადები, ექსპრომტები. აი, ესლა ოთხივე ბალადა ერთად გამოვიტანე.**

**რ. ქ. საკონცერტო მოღვაწეობას ადრიდანვე ეწ-**

ევით. რეპერტუარი მდიდარი დაგიგროვდათ, ყოველ ჯერზე ახალ ნაწარმოებებს სწავლობთ, თუ უკვე დაკრულსაც იმეორებოთ ხოლმე?

**ვ. ბ. 40 კონცერტის პროგრამა მაქვს შესრულებული. გამოდის, რომ ძალიან ბევრი ნაწარმოები მაქვს დაკრული. ზოგჯერ, რა თქმა უნდა, ვიმეორებ ხოლმე.**

**რ. ქ. ერთსა და იგივე ნაწარმოებს სხვადასხვა დროს როგორ ასრულებთ — ცდილობთ უკვე მიღწეული სიმაღლე შეინარჩუნოთ, თუ ესწრაფით ყოველ ჯერზე ახლებურად „ნაიკითხოთ თხზულება?“**

**ვ. ბ. რა თქმა უნდა, ყოველთვის ახლებურად მინდა დაკვრა. ძველი თავისთავად რჩება, მაგრამ ახალი აუცილებელია. ესეც თავისთავად ხდება. ჩანაწერი ხომ არ არის, ზუსტად გამეორდეს. მუსიკა თვითონ გაკარნახობს და მიმითხოვს იმპროვიზაციაც მიყვარს, ხშირად ვუკრავ, ჩემთვის, მეგობრებისთვის.**

**რ. ქ. ვფიქრობ, მეკითველისთვის საინტერესო იქნება იმ კომპოზიტორების დასახელება, ვისი ნაწარმოებებიც საკონცერტო ესტრადაზე შეგისრულებიათ. მე პირადად, თქვენი შესრულებული ვენის სამივე კლასიკოსის სონატებიც მახსოვეს და ჰინდემიტის №1 სონატაც, იმვიათად რომ სრულდება. მახსოვეს ბრამსიც შეგისრულებიათ და ენესუც, სკრიაბინიც და შეკვერინიც. თქვენ ვის გაიხსენებდით?**

**ვ. ბ. რომელი ერთი გავისხმონ?! ინგლისელებიდან პერი პერსელი, ჯონ ბული, ჯონ ფილდი, სირილ სკოტი, ბენჯამენ ბრიტენი. ესპანელი ალბენისი, მერე კიდევ ლისტი**

**რ. ქ. ჯერ მარტო ინგლისელების ჩამონათვალია ფრცელი! მაპატიერ, სიტყვას შეგაწყვეტილებთ. მინდა ჩევნი შორეული მოწაფეობის ხანა გავიხსენო. მაშინდელი დაბადების დღეები ახლანდელისგან საკმაოდ განსხვავდებოდა. ჩევნ თვითონვე ვმღეროდით, ფორტეპიანოს აკომპანენტით ვცევავდით, ჩევნ თვითონვე ვუკრავდით (და არა მაგნიტოფონი). აი, ერთ-ერთ ასეთ დაბადების დღეს, ჩემი საყვარელი თანაკლასელის, ან გარდაცვლილი, ელისო ჭიჭინაძის სასლში ცოცხალი შესრულებით პირველად მოვისმინე ლისტის „კამპანელა“. მშვენიერი გოგონა, „ნიჭიერთა ათწლედის“ მოწაფე, ტუკა გულისაშვილი უკრავდა საოცარი ტექნიკური თავისუფლებით, წვრილი, ნატიფი თითები ისე ლალად, ისე მსუბუქად დაქროდნენ კლავიტურაზე, გეგონებოდათ მისთვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგნდა ამ ვირტუოზული ნაწარმოების შესრულება. ხედავთ, რარიგი იყო შთაბეჭდილება, დღემდე, მრავალი წლის შემდეგაც დადგენ, რომ შემორჩენის ჩემს ხსოვნას. ერთი ეს მითხარით, გეთაყვა, რამ განაპირობა თქვენი ასეთი ტექნიკური განაფულობა, ეს თანდაყოლილი ნიჭია, შრომის შედეგია, თუ ქართული პიანისტური სკოლის ჩინებული წარმომადგენლების, ანა თულაშვილისაშვილისა და ვანდა შიუკაშვილის დამსახურებაა, ვისთანაც პიანისტურ ხელოვებას ეუფლებას ეუფლებოდით?**

**ვ. ბ. თანდაყოლილი ნიჭი, რა თქმა უნდა, ალბათ, მქონდა. მაგრამ ტექნიკას დამუშავება უნდა. ბუნებრივი მონაცემები შეიძლება გეონდეს, მაგრამ თუ არ იმუცადინე, თუ არ იმუშავე, მარტო ნიჭი არავერია. წინსვლას შრომა სჭირდება. ბეგნიერება იყო, რომ ისეთი მასწავლებლების ხელში მოვხვდი, როგორიც**

ანა თულაშვილი იყო. შემდეგ, მისივე რჩევით, კონსერვატორიაში მისივე მოწაფის, ვანდა შიუკაშვილის კლასში ჩავირიცხე და მასთან დავამთავრე კონსერვატორია. ეს არაჩვეულებრივი პედაგოგები იყვნენ.

**რ. ქ.** რავი შრომა ახსენეთ, იქნებ იმასაც შევეხოთ, მუშაობის თუ როგორი სისტემა თქვენთვის დამასიათებელი, ყოველდღიური მრავალსაათიანი, თუ საკონცერტო მზადებისას ხდება ძალთა განსაკუთრებული მობილიზება?

**გ. გ.** რასაცვირველია ყოველდღიური! მაქსიმუმ 5 სთ. კონცერტის ნინ 3-5 სთ. აუცილებლად! მომზადებულ პროგრამას კონცერტზე რომ დავუკრავ, მაშინვე ახალ პროგრამაზე ვიწყებ ფიქრს. ეს თავისთავად ხდება, ვერ ვჩერდები. შავი სამუშაო ასეთია: ჯერ ცალ-ცალი ხელით ვსწავლობ ზეპირად. ისე, რომ ნებისმიერი ადგილიდან შემექლოს დაკვრა. ეს, რა თქმა უნდა, ფორმალური მხარეებ მაგრამ აუცილებელი, ამის გარეშე არაფრით არ შეიძლება. პოლიფონიური ნაწარმოების ცალ-ცალი ხელით სწავლა თავისთავად ასეა საჭირო. მაგრამ როცა ცალ-ცალი ხელით ვმუშაობ, მთაცვრულ მხარეზე მაშინვე ვფიქრობ. მუსიკა ხომ მთლიანობაა. რასაცვირველია, ჯერ ტექნიკური მხარე უნდა დავძლიო, მერე კი მხატვრული შინაარსი, თუმცა, პრინციპში, ეს ერთდროულად ხდება. მუსიკა ხომ მთლიანობაა!

**რ. ქ.** მოდით, თქვენს რეპერტუარს დავუბრუნდეთ. იშვიათობაა ქართველი მუსიკოსი (მე მხოლოდ პიანისტებს როდი ვგულისხმობ!), ვინც ასეთი გულისყურითა და, მეტიც, სიყვარულით ვკიდება ჩვენს ეროვნულ, ქართულ მუსიკას. არ შემიძლია ხშირად არ გავიმეორო: ქართველი მუსიკოსების უდიდესი ნაწილი მშობლიურ მუსიკას ავი დედინაცვალივით ეპყრობა. „ზა ხорошую музыку“ — ხშირად უპასუხიათ ჩემს საყვედურზე. მეც ვიცი, შუმანისა და რაველის, ბრამსისა და ბარტოკის, სტრავინსკისა და ათასი სხვა დიდი კომპოზიტორის შესრულება უფრო მომგებანიცადა და, იქნებ, ნარმატების მეტ გარანტიასაც იძლეოდეს, მაგრამ ვერავინ დამარწმუნებს, რომ რომელიმე შვილს სხვისი დედა უფრო უყვარდეს იმ მიზეზით, რომ ის პირისახით უფრო ლამაზია. სხვათა შორის, როცა ქ-ნი მანანა დოიჯაშვილის მიერ საქართველოში დაფუძნებულ საშემსრულებლო კონკურსების პროგრამაში ქართული სავალდებულო ნაწარმოები გაისმის, ლირსეულად იკავებს ხოლმე კუთვნილ ადგილს. უვარგისიაო, არც უცხოელ შემსრულებლებს და არც უიურის წევრებს არასდროს უთქვამთ, პირიქით! მოსწონთ, აფასებენ და აღნიშნავენ ჩვენი ეროვნული

მუსიკის თვითმყოფ ჰარმონიას, მეტრულ-რიტმულ თავისებურებას. ასე, რომ „хорошая музыка - с ритмом в ритме“ შეტანის რა ლირსია, არავის უბრძანებია. თქვენ გამონაკლისთა იშვიათ რიგში ერთ-ერთი პირველი ადგილი გევურთვით. რით ახსნით ქართული მუსიკის მიმართ თქვენს ასეთ ყურადღებას, რა გამოძრავებთ, როცა ქართულ ნაწარმოებს ჰყიდებთ ხელს?

**გ. გ.** (მორცევი ლიმილით) ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ გამომივა? ალბათ პატრიოტიზმი! ძალიან დიდი სიამოვნებით ვუკრავ ქართულ მუსიკას. მიხარია, როცა ახალ ქართულ ნაწარმოებზე ვიწყებ მუშაობას. ვგიჯდები, ისე მიყვარს გუდიშვილის ნაწარმოებები. მარტო იმიტომ კი არა, რომ ჩემი ბიძა იყო, არა, მართლა, ძალიან მომწონს. დიდი სიამოვნებით ვუკრავდი მაჭავარიანსაც, ბალანჩივაძესაც. ლალიძის რონდო-ტოკატა ბევრჯერ შემისრულებია. თაქთაჭიშვილიც, გორდელიც, ცინცაძეც, ლილი შავერზაშვილიც, ელიზბარ ლომდარიძეც დამიკრავს. სხვებიც. ნამდვილად ბევრი ქართული ნაწარმოები დავუგარი!

**რ. ქ.** ესე იგი, ყველა თაობის ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებას იცნობთ. გამოდის უარით არავისთვის დაგინვეტითა გული.

**გ. გ.** როგორ არა! იყო შემთხვევა, როცა მივხვდი, რომ ნაწარმოებს ვერ დავძლევდი. ზოგი ნაწარმოები ჩემს სტილში არ არის, ვიცი, ვერ დავუკრავ კარგად, ნარმატებით. აი, მაგალითად, ფელიქს ლლოტის კონცერტი. ვეცადე, ვეცადე და ბოლოს ნოტები უკან დავუბრუნე. ვაწყენინე, მაგრამ რა მექნა, ვიცოდი ვერ შევძლებდი, ჩემი სტილის არ იყო. მერე თამრიკო ლიჩელმა დაუკრა. ძალიან კარგად დაუკრა.

**რ. ქ.** ერთი ეს მითხარით, გეთაყვა, კომპოზიტორთა კავშირს როგორ, რა სახით აღუნიშნავს თავისი მადლიერება თქვენი ამ ღვაწლისთვის?

**გ. გ.** კავშირს, მადლიერება? რა ვიცი, მიხარიდა, როცა კარგად დავუკრავდი და რომელიმე სხვა კომპოზიტორი მომცემდა თავის ახალ ნაწარმოებს დასკრავად.

**რ. ქ.** სხვა რამ გკითხეთ. ჯილდო, პრემია, ნოდება, ხომ არსებობს? მადლიერების გამოხატვის ათასგარი ფორმა არსებობს.

**გ. გ.** არა, ჯილდო და პრემია არასდროს მოუციათ.

**რ. ქ.** პმ, მეტი რა ვთქვა! საუბარი სხვა საკითხით განვაგრძოთ. იდეალი თუ გყავთ თქვენს პროფესიაში?

**გ. გ.** ო, რასაცვირველია ელისო, ელისო ვირსალაქე! ელისოს, როგორც პიანისტის გარდა, სხვა იდეალი არა მყავს. სხვა, არამუსიკოსი იდეალები კი ყველანი უკვე წასულები არიან, შორს არიან, იმქვეყნად.

**რ. ქ.** იმქვეყნად წასულებში, უეჭველია, თქვენს ძვირფას ადამიანებს გულისხმობთ. ნაზ, სათონ, ლამაზ ქალბატონს, ილბალმა სიკეთეც, სიხარულიც განგაცდევინათ, მაგრამ სიმწარე, დიდი ტიკივილიც საკმაოდ განვენევინათ. საყარელი მეუღლეც ადრე გამოგეცალათ ხელიდან, თბილისის ომმა სახლ-კარიც გადაგიბუგათ, „პროფესიული იარაღი“ — როიალიც არ დაინდო, უინსტრუმენტოდ დაგტოვათ; გითქვათ, საქორნინო სახსოვარი, დიდი ლადო გუდიაშვილის ნაჩქარი ნახატიც შეინირა; ახლახან მშირე ავადმყოფობა და ოპერაციაც გადაიტანეთ. როგორ გაუძლიერთ ამ ყველაფერს? და აქვე ასეთ კითხვაზეც მიპასუხეთ. მუსიკაში, რომელსაც ასრულებთ, ყველა ემოცია უცვადაა აღნებდილი, ტრაგედიაც, სიხარულიც, მუსიცირების პროცესში რომელ განცდას ანიჭებთ უპირატესობას, ნათელს თუ შავბნელს?

**გ. გ.** ამაზე არ მიფიქრია. ვუკრავ იმას, ვცდილობ განვიცადო ის, რასაც მუსიკა გადმოსცემს, რაც ნოტებში წერია. მუსიკის შესრულებაში ხომ ყველაფერი უნდა იყოს აღნებდილი, განსაკუთრებით



# მუსიკა

რომანტიკულში. უპირატესობას არაფერს არ ვანიჭებ. ყველაფერი უნდა აისახოს, სიხარულიც, ტრაგედიაც.

**რ. ქ.** ოდესში სხვა პროფესიას თუ ინატრებდით?

**გ. გ.** ბავშვობაში მინდოდა ბალერინობა, ასე 4-5 წლის ასაკში. ეს ოცნებად დარჩა. მერე სხვა პროფესია არ მისურვია. მერე პიანისტობა მინდოდა მუდამ.

**რ. ქ.** ესე იგი, კმაყოფილი ხართ, თქვენი რეალიზაცია მოხდა, ასეა?

**გ. გ.** არა, არა! მქონდა შესაძლებლობა მოსკოვში მესრავლა. ვიქტორ მერუანოვი, ხომ გახსოვთ, მაშინ ცნობილი პიანისტი და პედაგოგი, მოსკოვის კონსერვატორიაში თავის კლასში მიღებას მპირდებოდა, მიწვევდა. აქ რომ მომისმინა ძალაში მოვეწონე. მაგრამ ვერ წავედა. დედა მარტოს, სხვა ქალაქში, არ გამიშვებდა. თვითონ ვერ წამოყვებოდა, სამსახურს თავს ვერ დაანგებდა. მამა მაშინ თავისი ცხოვრებით იყო დაკავებული, ცოლებს იცვლიდა. ველარ წავედი. ამიტომ მომისდა საქართველოში და სსრკ-ს ქალაქებში კონცერტებით შემოვფარგლულიყავი. ამაზე, რა თქმა უნდა, გული მწყდება. გაცილებით მეტის გაკეთება შემეძლო. ვნანობ.

**რ. ქ.** რატომ, განა რა გაქვთ სანანებელი? ვიცი, საზღვარგარეთაც გაგიმართავთ კონცერტები, არც წარმატება გაცლებით და პრესაც გამოგეხმაურათ.

**გ. გ.** მართალია. სამჯერ ზედიზედ ვიყავი გერმანიაში. 1989, 1990, 1991 წლებში გავმართო კონცერტები. პონორარიც მომცეს, საყმაოდ დიდი. 7000 გერმანული მარკის ოდენობის წამლები და სხვა პუმანიტარული დახმარება აქ გადმოვგზავნე. ეს პრესაშიც აღინიშნა მაშინ. სხვათა შორის, ქართული მუსიკა რომ შევასრულე, ნიკოლოზ გუდიაშვილის სონატინა და დალი ჩხეიძის „10 წამიერება“, გერმანელებს ძალიანაც მოენონათ.

**რ. ქ.** სად უფრო ლელავთ თბილისურ კლავირა-ბენდებზე, თუ უცხოეთში?

**გ. გ.** თბილისში! აქ ყველა მიცნობს, ყველა რაღაცას მოელის ჩემგან, რაღაცას ახალს, კარგს. ვდელავ, მინდა გავამართლო იმათი იმედები, მინდა ხალხმა, ჩემ მოსამენაც რომ მოვიდა, არ მოიწყინოს, სიმონება მიიღოს. მინდა ნასიამოვნები დარჩენენ ჩემი მეგობრები.

**რ. ქ.** თქვენს ერთ-ერთ რეცენზენტს, ბ-ნ გულბათ ტორაძეს მოვიშველიებს: „ეთერ გულბათშვილის ხელოვნებაში ორგანულადაა შერწყმული მაღალი საშემსრულებლო კულტურა და ნანარმოების მხატვრულ არსში წვდომის უნარი. აღარაფერს ვამპონისეთ თვისებებზე, როგორიცაა მყარი და გამართული ტექნიკური აპარატი, გამომსახველი ბერება, უზადო გემოვნება. მაღალი შეფასება! უზადო გემოვნება, ვფიქროს, თანდაყოლილი თვისებაა, ამას მხოლოდ და მხოლოდ მეცადინეობით, მუყაითობით ძნელად თუ შეიძნეს კაცი. საიდან მოდის თქვენი ეს ღირსება?

**გ. გ.** რა ვიცი, აღბათ, ოჯახიდან, ჩემი გარემოცვიდან. ჩემი შშობლები მუსიკოსები იყნენ. დედა

ფორტეპიანოს მასრავლებელი, მამა — ქიმიკოსიც იყო, საფორტეპიანოც ქონდა დამთავებული, ბოლოს კი ცნობილი თეორეტიკოსი გამოვიდა. ჩემი ბიძა ასევე ცნობილი კომპოზიტორი იყო, კოკა გუდიაშვილი. უახლოესი ნათესავები იყვნენ მომღერალი ლეილა გოცირიძე აპერის მომღერალი, მიშა გოცირიძე — მხატვარი. დიდი ლადო გუდიაშვილი ბაბუაჩემის ძმა იყო. მისი ნაჩუქარი ფერწერული სურათი რომ დაიწვა თბილისის ომის, ხანძრის დროს ჩემ სახლში, ძალიან განვიცადე. ეს ჩემი ოჯახის რელიგვია იყო. ასეთი ხალხის გარემოცვაში მიხდებოდა ცხოვრება. ამან, აღბათ, ბევრი შემძინა, მასწავლა. მასწავლე-

ბლებიც, ხომ უკვე ვთქვი, ძალიან კარგი მყავდა. ეს ბენიერება იყო, ასეთ ხალხთან ურთიერთობა. სხვა პიროვნებებიც მინდა გავიხსენ. კარგად მასხოვეს ცნობილი პიანისტი მარკ ტაიმანოვი. თბილისში გასტროლების დროს ჩვენთან მოდიოდა, უკრავდა. ახლო ურთიერთობა მქონდა პიანისტი და კომპოზიტორ ნიკოლაი პეტროვითან. გავიხსენებ დირიჟორ გროსმანს. არასდროს დამავიწყდება, თბილისში კონცერტებს მართავდა რიხტერი. მოვიდა ჩვენთან სტუმრად. ვიდრე სუფრასთან დავსხდებოდით, თქვა: ცოტას დავუკრავო. როიალს რომ მიუჯდა, სუფრა სულ დაავიწყდა. პროკოფიევის №7 სონატას მეცადინეობდა და წარამარა იმეორებდა: „Ax, ცერ ვიზმი! Ax, ცერ ვიზმი!“. როცა ამ სონატას ვუკრავ ეს მისი ფრაზა მუდამ მასხენდება. მართლაც ძნელი სონატა.

**რ. ქ.** თქვენი პირველი გამოსვლა, სადებიუტო კონცერტი თუ შემოგრჩათ ხსოვნაში?

**გ. გ.** როგორ არა. პირველ კლასში რომ ვიყავი, უკვე ოქტომბრის თვეში, კონცერტზე უკრავდი ჯერ ბეთოვენის სოლ მაჟორულ სონატინას, მერე კი ერთი რუსი ავტორის პიესას. კონსერვატორიის მცირე დარბაზში იყო კონცერტი. ხელი მომკიდა და ესტრადზე გამომიყვანა გულბათ ტორაძემ. რომ დავამთავრე დაკვრა, არ ვდგებოდი, ველოდებოდი, რომ ისევ გულბათი მოვიდოდა და წამიყვნდა უკან. ვიდრე კონცერნასიე არ მოვიდა და ხელი არ მომკიდა, ვიჯერი, ფეხი არ მოვიცვალე.

**რ. ქ.** თქვენის ნებართვით, თქვენი მოღვაწეობის მეორე სფეროს შევეხები. არსებობს ერთი ასეთი გამოთქმა: „ოცენდო დისტიმუს“ — „სწავლებით ვას-წავლი“. გენერატორის სავალდებულო ფორტეპიანოს კათედრის ასოცირებული პროფესიონის საქმიანობას ვგულისხმო.

**გ. გ.** რას მძენს? აი, სპეციალობის სტუდენტები რომ მყოლოდა, ეს სხვა იქნებოდა. მე, როგორც მუსიკოსს, მაგალითად, ბევრი რამ შემძინა ვოკალისტებთან კონცერტმენისტერად მუშაობამ. როცა ვოკალისტს უსმენ, მის სუნთქვას ადევნებ თვალყურს, მელოდიის განვითარებას, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ბევრ რამეს გაძლევს, როგორც პიანისტს. მელოდიისაც მაშინ სხვანაირად უკრავ, ხომ გესმით, რისი თქმა მინდა? მაგრამ სავალდებულო ფორტეპიანო?! შშირად ისეთი სუსტი სტუდენტები მოდიან, ისეთი სუსტი! მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მათთან მუშაობა მაინც მიყვარს. მიყვარს ეს ბავშვები, ვცდილობ მათაც შევაყვარო ფორტეპიანო. ესეც ჩემი სპეციალობა და აქ მუშაობაც სიამოვნებას მანიჭებს.

**რ. ქ.** დევიურასო მკითხველობა დაგაინტერესებთ კოლეგის აზრი ქ-ნი ეთერის, მისი პედაგოგიური საქმიანობის შესახებ. ამ საკითხზე პასუხისმომვალი კონსერვატორიის კათედრის გამგებელს, ბ-ნ ამირან გირგელის და აქ მუშაობაც სიამოვნებას მანიჭებს.

**რ. ქ.** დევიურასო მკითხველობა დაგაინტერესებთ კოლეგის აზრი ქ-ნი ეთერის, მისი პედაგოგიური საქმიანობის შესახებ!

**ამირან გირგელიანი:** რატომ მარტო პედაგოგიურ საქმიანობაზე?! მე მასზე მინდა ვთქვა როგორც მუსიკოსზე! არაჩვეულებრივი მუსიკოლობით, დახვენილი პიანისტისტერი მონაცემებით ხასიათდება. სწრაფად და პროფესიონალულ სწავლობს ახალ ნანარმოებს. ქართულ ნაწმოებებს ასრულებს ხშირად. და ამას სიამოვნებით აკეთებს. მის მიერ ყოველწლიურად ჩატარებული სანგარიშო კონცერტებით გამოირჩება. უკრავ გამგებელს, ბ-ნ ამირან გირგელის. ბ-ნო ამირან, ორიოდე სიტყვას ხომ არ მოგვასენებდით თქვენი კოლეგის პედაგოგიური საქმიანობის შესახებ?

ლისხმიერი, კეთილმოსურნე კოლეგაა.

**რ. ქ.** დიდად გმადლობთ, პ-ნო ამირან! მეც ხშირ-ად შემხვედრია მისი მადლიერი სტუდენტი. „ისეთი კეთილი, ისეთი საყვარელი, ისეთი რბილია ეთერი-მასრავლებელი, მრცხვენოდა გაკვეთილს ცუდად რომ მოვამზადებდი. მე უფრო იმისთვის ვსწავლობდი, ვი-დრო ჩემთვის. ისე შემაყარა თავი, მინდოდა მისთვის მესიამოვნებინა-ო“, უთქებათ ჩემთვის მის სტუდენტებს. კვლავ ქ-ნ ეთერს მიგუბრუნდები. როცა უშენო ამა თუ იმ პიანისტის, რას ეძიებთ მის შესრულებაში, შეც-დომას, ნაკლს, თუ პირიქით, ლირსებას, მონაპოვარს?

**ვ. გ.** გააჩინია როგორ უკრავს. როცა პიანისტი მომწონს, მინდა ბოლომდე მომებონოს. მიხარია, რომ კარგად უკრავს და ვგულშემატკივრობ. მაგრამ თუ უკრავს მოსაზენად, უინტერესოდ, საერთოდ ვითიშები, აღარ მაინტერესებს. მახსოვს, ერთი პიანისტის კონცერტი რომ დამთავრდა, მეგობარი მეგითხება, ეს ნაწარმოები როგორ დაუკრაო. მე გულწრფელად ვუ-პასუხე, არ ვიცი, ჩამეძინა-მეთქი. მაგრამ როცა კარგი პიანისტია და მომწონს, მთელი გულით მინდა კარ-გად დაუკრას, განვიცდ, ვლელავ.

**რ. ქ.** იეჰუდი მენუჰინი ერთ-ერთ ინტერვიუში პრძანებს: „მევიოლინე, ისევი, როგორც ტენორი, სუ-ლაც არ არის სავალდებულო იყოს ძალიან ჭკვიანი. თუ იზიარებთ დიდი მევიოლინის ამ მოსაზრებას? იგი, უეჭველია, არა მარტო მევიოლინესა და ტენორს, არამედ ზოგადად მუსიკოსებს გულისხმობს.

**ვ. გ.** ჭკვიანი? ჭკვიანი სულ სხვა რაღაცაა. ნიჭი-ერი უნდა იყოს! თავის სპეციალობაში ჭკვიანი, კი, უნდა იყოს, ეს ნიჭს ნიშნავს. ჭკუა რაში გამოიხატება? უნდა იცოდეს როგორ იმეცადინოს, როგორ გახსნას ნაწარმოები. არა, მაინც მთავარია ნიჭი!

**რ. ქ.** ესე იგი დიდ გალაქტიონს ეთანხმებით, „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“-ი რომ პრძანა? თქვენ რეპერტუარში კომპოზიტორი ლილი შავერზაშვილის ნაწარმოებებიც შედის. მისი, რომანტიკული ეშეით გაუდენთილი პიესა „საკონცერტო ტანკო“, სხვა რამდენიმე ნაწარმოებიც, საზოგადოებამ პირველად თქვენი შესრულებით გაიცნო, მერეც შეგისრულებიათ და მოწონებაც დაგიმსახურებიათ. ჩვენი საუპრის დასასრულს შევითხვით მას მივმართავ.

ქ-ნო ლილი, საპრემიეროდ თქვენს ნაწარმოებებს რატომ მიანდობთ ხოლმე პიანისტი ეთერ გულისაშვილს? გაქვთ იმის იმედი, გჯერათ, რომ ზუსტად ამოიკითხავს შინაარსს, მასში რომ ჩააქსოვეთ, ენ-

დობით, როგორც აკადემიურ პიანისტს, თუ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მეგობრობთ მასთან. და საერთოდ, ეთერ გულისაშვილის პროფესიულ თვისებებში რომელს აყენებთ ყველაზე მაღლა?

**კომპოზიტორი ლილი შავერზაშვილი:** მე მუსიკოს-ში ყველაზე უფრო პიროვნებას ვაფასებ. ეთერი ძალიან ექსპრესიული ადამიანია, შამპანურივითაა, სულ დუღილის პროცესშია. ეს იმიტომ, რომ ნიჭი არ აძლევს მოსვენებას. კონცერტისთვის მზადება მისთვის სულიერი მოთხოვნილებაა. ამას ხომ არავინ ავალებს. აბა, ერთი მითხარით, ბევრია სავალდებულო ფორტეპიანოს პედაგოგი, კონცერტებს რომ აძლევდეს, თანაც ყოველწლიურად, თანაც ასეთ მაღალ პროფესიულ დონეზე? როცა ამბობენ ეს კაცი ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი, ეს შეუძლებელია. ნიჭი მოსვენებას არ აძლევს ადამიანს. ტუკა სხორცედ რომ ნიჭიერია! მის პროფესიონალიზმზე ის ლაპარაკობს, რომ იგი არასდროს უარს არ ამბობს არც ერთ კონცერტში მონაცილეობაზე, მუდამ მზად არის ახალი ნაწარმოები ისხავლოს. ძალიან დიდი სიმოვნებით ავეთებს იმას, რასაც პროფესიული მოვალეობა ქვია. თან როგორ დატვირთულია, სამი ვაჟიშვილის დედაა, ხუთი შვილიშვილის ბებია, კარგი მეგობარია, ძალიან გულისმიერი მეგობარია. ყველაფერ ამას დიდი დროც სჭირდება და დიდი ენერგიაც. ხომ მეთანებებით? და კიდევ ერთი მისი თვისება მინდა ალვინიშნო, მინდა ხაზი გაუსვა. ტუკას სრულებით არ ახასიათებს შური, ტუკას არასდროს არავისი არ შურს. ეს მის ძლიერ ხასიათზე მეტყველებს.

**რ. ქ.** მოდით, ამით დავამთავროთ. შური, ვფიქრობ, კაცობრიობის ყველაზე მდგრადი და ყველაზე გავრცელებული სენია. ხელოვან ადამიანებს შორის კი განსაკუთრებით ფესვგმდგარია. ნახეთ ერთი, რარიგად განმარტავს ამ ცნებას დიდი სულხან-საბა: „შური არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა“. ეს „მწუხარებაი“ ბევრს უკლავს გულს! ვუსურვოთ ეთერ გულისაშვილს, არც არასოდეს შეენუხებინოს „მწუხარებას სხვისა სიკეთსა ზედა, კვლავაც იყოს შემართული სასიკეთო საქმის საკეთებლად, კვლავაც ინარჩუნებდეს პროფესიულ ფორმას, კვლავაც გაუზრავლოს უფალმა სულიერი ძალა პროფესიის ერთ-გული მსახურებისათვის, მეგობრების თანადგომისთვის ...

საუბარი ჩაწერილია 2008 წ. მაისში.

## მუსიკის მუსიკოლოგიური სიკრე

2009 წლის 3 თებერვალს უდიდესი კომპოზიტორის ფელიქს მენდელსონის (1809-1847) დაბადებიდან 200 წელი შესრულდა. ამ საიუბილეო თარიღს მთელი მსოფლიო აღნიშნავს., მრავალ ქვეყნაში ამ თარიღთან დაკავშირებით სხვადასხვა ღონისძიებია დაგეგმილი...

28 იანვარს ნიუ-იორკის ებრაული მემკვიდრეობის მუზეუმში შედგა პრემიერა ფელიქს მენდელსონის 13 უცნობი ნაწარმოებისა ხმის, სიმების კვარტეტის, ფორტეპიანოსა და ვიოლინოსათვის. ეს ნაწარმოებები მსოფლიოს სხვადასხვა პიბლიოთეკებსა თუ კერძო კოლექციებში არსებულ კომპოზიტორის 270 ნაწარმოებთა შორის მოიძია დირიჟორმა და მუსიკისმცოდნებ სტივენ სომარმა. ნაწარმოებები, რომლებიც აჟღერდა ამ კონცერტზე მოძიებულ იქნა პოლონეთში, უნგრეთში, რუსეთში, საფრანგეთში და ინგლისში.

### „დარბაზი გულებია მარტო...“



1848 წ. იტალიელი რევოლუციური მოღვაწე ჯუზეპე ვერდის წერდა: „იმას, რა-საც მე და გარიბალდი ვაკეთებთ პოლიტიკაში, იმას, რასაც ჩვენი საერთო მეგობარი მანძონი აკეთებს პოეზიაში, თქვენ ამას აკეთებთ მუსიკაში. ჩვენ ყველა, როგორც შეგვიძლია, ვემსახურებით ხალხს...“ ეს სიტყვები, სამწუხაროდ, ყველაზე ნაკლებად ჩვენ პოლიტიკოსებს ესადაგებათ. თუმცა ეს სხვა წერილის თვემაა...

2008 წ. 25 სექტემბერს, აგვისტოს თავზარდ-ამცემი მოვლენების, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო აქცია-კონცერტი, სადაც შესრულდა ჯუზეპე ვერდის რევენი. პაატა ბურჭულაძესთან ერთად კონცერტში მონაწილეობდნენ მსოფლიოში აღიარებული მომღერლები — ოლგა რომანკო-პრიმავერა (სოპრანო), ლუჩიანა დინტინო (მეცო-სოპრანო), რამონ ვარგასი (ტენორი). დირიჟორი მიგელ გომეს მარტინესი. კონცერტი აგვისტოს ომის შედეგად დაობლებული ბავშვების დასახმარებლად იყო გამიზნული. პროექტი თრგანიზებული იყო ფონდი „იავნანას“, „თი ბი სი“ ფონდის, ელიტ-ელექტრონიკის, საქართველოს კულტურისა და სოპრტის სამინისტროსა და თბილისის მერიის მიერ.

ამჯერად, ვგონებ, არ დირს საუბარი ვერდის ერთ-ერთი შედევრის შესრულების, მომღერლების პროფესიული დონისა და მათი ოსტატობის ხარისხზე. უნდა ითქვას, რომ შემსრულებლები საოცრად რთული ამოცანების წინაშე იდგნენ. მათ უჩიეულო გარემოში, საოპერო ხელოვნებისათვის არატრადიციულ აკუსტიკურ სივრცეში, მსმენელთა მრავალათასიან დარბაზში, ფაქტობრივად, ექს-ტრემალურ ვითარებაში (ვგულისხმობთ ომის შემდგომ გარემოსაც) უცდებოდათ ამ ურთულესი პარტიტურის აულერება. მიუხედავად ამისა, კონცერტი მაღალმხატვრულ დონეზე ჩატარდა. მარტო ნიჭირებასა და პროფესიონალიზმში არ იყო საქმე, ყველა მონაწილე მაქსიმალურად იხარჯებოდა, აშკარად იგრძნობოდა, რომ თითოეული მათგანი შთაგონებული იყო „კეთილი საქმის კეთების მადლით...“

მე ნაჩუქარი, უადგილო ბილეთით მივიჩქაროდი კონცერტზე, მაგრამ გულარხენიად ვიყავი, რადგან მეგონა, სპორტის სასახლის უზარმაზარ დარბაზს ვერდის „რევენიში“ მსმენელით ვერ შეავსებდა. ვიმედოვნებდი, ადგილისაც ადვილად მოვიპოვებდი, მაგრამ, ნურას უკაცრავად... ხალხი მოედინებოდა და მოედინებოდა, ზღვა ხალხი... ნანილი მსმენელებისა, უდავოდ, პაატა ბურჭულაძისა და გასტროლიორთა თანავარსევლავედის

მიერ

ვერდის „რეკვიემის“ მაღალმხატვრული შესრულების მოლოდინს ატრიუმინა, მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო — მუხტი, რომელიც ქართველებში აგვისტოს ომს გაედვიძებინა, შეგრძნება იმისა, რომ ყოველი ადამიანის იქ ყოფნა სამოქალაქო, პატრიოტული აქტი იყო. კონცერტის მსვლელობისას დავრწმუნდი კიდეც საზოგადოების ამ განწყობაში.

სპორტის სასახლის დარბაზი გაჭედილი იყო... აქ ნახავდით საზოგადოების ყველა ფერის ნარმომადგენელს, ყველა პროფესიისა და ყველა ასაკის ადამიანს. მართალი გითხრათ, შიშმა ამიტანა, ვერდი და თან „რეკვიემი“?! დრამატული, ჭრატეტითი, ტრაგიზმით გამსჭვალული ნაწარმოები, სცენური მოქმედების, დეკორაციებისა და კოსტიუმების გარეშე, ნაწარმოები, რომელშიც ვერდიმ უახლოესი ადამიანების დაკარგვით გამოწვეული უშმიძესი განცდები გადამოსცა. ამას ხომ მომზადებული მსმენელი სჭირდება, აქ კი?! ... საბედნიეროდ, ჩემი ეჭვი ამაო აღმოჩნდა. გასაოცრად მომზადებული მსმენელი იყო, ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც მე მომიხდა ჯდომა, არც მობილურების წერიალს და არც გადალაპარაკებას, არც შეფუთული ნუგბარების შრიალს შევუწუხებიგარ და არც უადგილო ტაშს, რომელსაც ხშირად მოისმენთ ე. ნ. „პრესტიულ კონცერტებზე“, სადაც საგანგებოდ მოვეული „პრესტიულივე მსმენელი“ სჭარბობს.

შემსრულებელთა მხრივ ისიც სარისკო იყო, რომ დირიჟორმა უარი თქვა ხმის გამაძლიერებლებზე — მიკროფონებზე. თქვენ წარმოიდგინეთ, ამანაც გამართლა. მართალია, „სმენადობა“ ამ დიდი დარ-

ბაზის ყველა კუთხეში სრულფასოვანი არ იყო, მაგრამ ემოცია ამით მაინც არ დაკინებულა, პირიქით, მატულობდა და მატულობდა. ბოლოს კი, როდესაც 10 000-ზე მეტმა მსმენელმა ერთდროულად აათო სანთლები, თერთმეტი შვილის დედა, უუშუნა მაისურაძე, თავისი თერთმეტივე შვილით ესტრადაზე გამოვიდა, მთელი დარბაზი ფეხზე ადგა. შემდეგ სცენაზე გამოვიდნენ სოფელ პერევიდან დევნილი 7 შვილის მარტოხელა დედა — ლია ვახტანგაშვილი, 7 შვილის დედა — ლია დერევანაშვილი. ხოლო ბოლოს, როდესაც პაატა ბურჭულაძემ პატარა დიტო რაზმაძე, რომელსაც მამა და უებმძიმე დედა დაბომბვის დროს დაეღუპა, ხელში აიტაცა და გამოაცხადა, რომ ფონდმა „იავნანანა“ ვალდებულება იყისრა პატარა დიტოს მზრუნველობა გაუწიოს, რომ ყველასთვის შეძენილია ბინა, მათ შორის, დაბომბვის შედეგად დაობლებული ელენე, მარი, ლევან და ვალერი მჭედლიქებისათვის, დარბაზში ურვეულო ემოციურმა განწყობამ დაისადგურა. ეს იყო განწყობა, რომელსაც გრიგოლ რობაჟიძის გენიალური კალამი თუ აღნერს: „დარბაზი გულებია მარტო... თვალები ცრემლებს მაღავენ. ერთის თვალები ყველას თვალებშია. ირხევა გვარის ხერხემალი... სიმართლე მზის — სიმართლე ხმლის: ზვავდება გულში. თვალები ცრემლებს ვეღარ აკავებენ. ადამიანი თავის თავს აღარ ეკუთვნის: მიაქვეს სადღაც მომსვდარ ნიაღვარს. ტალღა იკარგება (იკარგება?) ოკანეში... ყველანი ძმებია... ძმების კრებულს მიაქვეს თითოეული შორეულ ფესვებისაკვენ...“, „დარბაზში ათი ათასი გულია ერთი სურვილით გაერთიანებული...“ („გველის პერანგი“).

და ბოლოს, კვლავ რემინისცენცია. როდესაც პაატა ბურჭულაძის მოღვაწეობაზე ვფიქრობ, რატომდაც მუდმივად მახსენდება დილემა, რომელიც თანამედროვეობის გენიალური რეჟისორის ინგმან ბერგმანის ფილმს „შემოდგომის სონატა“ ლაიტემად გასდევს. რა უფრო ფასეულია, ის, რასაც მსოფლიოში სახელოვანი მომღერალი, ათასი ჯილდოსა და წოდების მფლობელი, მაესტრო პაატა ბურჭულაძე საოპერო სცენაზე ასხივებს, ანუ მისი შემოქმედება, თუ ის მადლი, რომელსაც იგი, სხვა ქვემოქმედ ადამიანებთან ერთად, ცალკეული ადამიანისათვის, ცალკეული ოჯახისათვის გასცემს?! პასუხი თითქოს მარტივია — ორივე! მაგრამ, მიუხედავად ამ მარტივი პასუხისა, ვფიქრობ, რომ ერთი გადარჩენილი სიცოცხლის, გზაზე დაყენებული ერთი ბავშვის ტოლფასი ამქვეყნად, მაინც ცოტა რამაა...

**P.S.** 3 მარტს, დღის დღეს, პაატა ბურჭულაძის ფონდმა დაარსებიდან 5 წლის იუბილე იხედის. საიუბილეო გალა-კონცერტი თბილისის თეატრისა და ბალეტის თეატრში გაიმართა. გრანდიოზული ტელემარათონის წყალობით და ბიზნესმენთა თანადგომით ამჯერად 16 ბავშვის ცხოვრება შემოტრიალდა სასიკეთოდ...

გვლოცავო, ბურჭულაძის ფონდ „იავნანას“ საიუბილეო თარიღს და გესურვებო დიდ წარმატებებს ამ მამულიშვილურ საქმეში.



## ქართველი მუსიკოსები საზღვარგარეთ



ქართული საფორტეპიანო სკოლის აღ-  
ზრდილს (შედ.: ჟურნალია თუმანიშვილი,  
ნოდარ გაბუნია, ნანა ხუბუტია), ქართ-  
ველ პიანისტის ნინო გვეტაძეს 2008 წლის  
აპრილში, ქალაქ უტრეხტში, ფერენც ლის-  
ტის V საერთაშორისო კონკურსში მეორე  
პრიზი მიენიჭა, ამასთან იგი დაჯილდოვ-  
და პრესისა და მაყურებლის სიჩქათის  
სპეციალური პრიზით. ნინო გვეტაძეს  
პრიზის შემადგენელი ნანილია 2008 წლის  
საკონცერტო ტურნე; იგი მიინვიშს ფე-  
რენც ლისტის ფესტივალზე ქალაქ კიტოში  
(ეკვადორი) და პეირუთის საფორტეპიანო  
მუსიკის ფესტივალზე პრესტიულ  
საკონცერტო დარბაზებში.

2008-2009 წლების საკონცერტო სე-  
ზონში შედის აგრეთვე ნინოს დებიუტი  
ფლამინინის რადიო-ორკესტრთან ცნო-  
ბილი შეეიცარელი კომპოზიტორისა და  
დირიჟორის მიშებ ტაბაჩინიკის სელმი-  
ლანელობით, სადაც იგი შეასრულებს  
პრემისის №2 საფორტეპიანო კონცერტს.

2004 წელს ნინომ გაიმარჯვა პოლან-  
დიაში, ანალგაზირდა პიანისტთა კონკურს-  
ში. შემ აიღო პირველი პრიზი და გრან-  
პრი. შეს შემდეგ ნინოს გარიერა აღმავალი  
გზით წარიმართა: შეს იწვევენ პოლანდის  
საუკუთესო საკონცერტო დარბაზებში, იგი  
გამოდის მსოფლიოში სახელგანთქმულ

მუსიკოსებთან ერთად. ნინო გვეტაძე  
სისტემატიურად მონაწილეობს სხვადასხვა  
შესიყალურ ფესტივალებში გერმანიაში,  
საფრანგეთში, იტალიაში.  
ურნალ „მუსიკის“ რედაქტორ ულოცავს  
ქართველ პიანისტს ამ წარმატებას და მო-  
მავალ ნინსელას უსურვებს.

## საკონცერტო ქრონიკა

### „ქართული მუსიკის სიახლენი“

21 და 26 ნოემბერს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში ჩატარდა კამერული მუსიკის ორი კონცერტი, რომელიც ტრადიციული ციკლის „ქართული მუსიკის სიახლენი“ გაგრძელებას წარმოადგენდა. ორივე კონცერტში მონაწილეობა მიიღო თოთხმეტმა კომპოზიტორმა. უანრობრივად მართლაც მრავალფეროვანი ნაწარმოებები იყო წარმოდგენილი

სოლო საკრავებისათვის (მაგა გირსალაძის „გრძევლავთა ციმციმი“) სოლო ფლეიტისათვის— ირაკლი ევსტაფიშვილის შესრულებით და კახა ცაბაძის ფანტაზია სოლო ალტისათვის— მირიან ედილაშვილის შესრულებით. საკუთარი საფორტეპიანო ნაწარმოებები შეასრულეს გიორგი შავერზაშვილმა (ფანტაზია ახალი რედაქციით) და ნანა კობალაძემ (სამი პიესა „თემუჯინ“, „წყაროსთან“, „ნაადამ“ ციკლიდან „მონლოლური ჩანახატები“, რომელიც ავტორია დაწერა მონლოლეთში ორნლიანი ყოფნის დროს). სოლო ჩელესტისათვის საკუთარი თხზულება 24 მინიატურა.

ააუდერა ირაკლი ცინცაძემ, ეს იყო ამ უანრში, საქართველოში დაწერილი პირველი ნიმუში. ოთარ ტატიშვილის „ბალადა შოპენზე“ ფორტეპიანოსათვის და ნესტან ტურაბელიძის სონატინა „მოცარტი“, ელეგია „საქართველო გაბრძყინდება“ შეასრულეს ნიჭიერმა მოზარდმა პიანისტებმა ანა ყიფიანმა და ირმა გიგანმა. მერაბ მერაბიშვილის „გამოსათხოვარი ცეკვა“ ორი ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, ააუდერეს დებმა ვისელი და სოფო ჭეჭელაშვილებმა და ავტორ-

მა. კონცერტებზე წარმოდგენილი იყო ვოკალური და ინსტრუმენტული დუეტები. ნინო ზაბუკიძის ვოკალური ნაწარმოებები - „გზა ერთადერთი“, „ილია მოკლეს“ (ნინო ზაბუკიძის და შალვა ფორჩხიძის ლექსებზე) შეასრულეს ლიანა კალმახელიძემ და ნათია აზარაშვილმა, შალვა დავითაშვილის სიმღერები და რომანსები ფორტეპიანოს თანხლებით „კახეთის თვალი“, „დედი, სროლა არ მთავრდება“, „რაც სხვის ჭუაზე ვიარეთ“, „დიდი გმირები“, „მთვარე“ (ბერდა ნანგაბაშვილის, ამირან შალიკაშვილის, ბეჟან სვანიძის, მაია სალარიძის და იკა ქადაგიძის ლექსებზე) წარმოადგინეს მზია დავითაშვილმა და ლელა ასტანიშვილმა. „ქონ“, ტრომბონისა და ფორტეპიანოსათვის ასე ერქვა ეკა ჭაბაშვილის ინსტრუმენტულ დუეტს, რომელიც შეასრულეს გიორგი გვალიაშ და ანა ქურდოვანიძები. ბორის ნინევას პოემა №2 ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის ააუდერეს ალექსანდრე ბელიძ და ავტორმა. არატრადიციული შემადგენლობით იყო წარმოდგენილი ზვიად ბუცხრივიძის ტრიო ხმის, მთხოვნელისა და ფორტეპიანოსათვის რუსუდან მექვანიშვილის, რუსუდან ბოლქვაძის და ნანა კობალაძის შესრულებით., ვაჟა აზარაშვილის საფორტეპიანო კვინტეტი შეასრულეს თამარ ლიჩელიძი და თბილისის საოპერო თეატრის სიმებიანმა კვარტეტმა გიორგი ხაინდრავას, პაატა ჭანტურიშვილის, ირაკლი ჯაფარიძის და გიორგი ჯორჯაძის შემადგენლობით.

საქართველოს მუსიკოსთა საზოგადოების მეცნიერებელთა კურსი

### მსოფლიო მუსიკალური სიკრიტიკის სამიზნები

18-21 იანვარს კანში, ფესტივალების სასახლეში, ჩატარდა, მსოფლიოში ერთერთი უდიდესი და პრესტიული, საგამომცემლო და ხმის ჩამწერი კომპანიების საერთაშორისო ბაზრობა. მასში მონაწილეობას იღებდნენ ხმის ჩამწერი კომპანიები, მენეჯერები, პროდიუსერები, კონცერტების ორგანიზატორები, წამყვანი მუსიკალური გამომცემლობების მთავარი რედაქტორები და სხვ. სამეცნიერო შეხვედრებისა და საქმიანი მოლაპარაკებების პარალელურად ჩატარდა საოცრად საინტერესო და ელვარე კონცერტების სერია. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი დაეთმო კლასიკურ მუსიკას: გაიცა ხმის ჩამწერის სფეროში „MIDEM“-ის ერთერთი პრემია „Midem Classical Awards“. ესაა ყოველწლიური პრემია, რომელიც უკვე მეხუთედ გაიცა. იგი დაწესებულია მხოლოდ კლასიკურ მუსიკაში. ჯილდოები გაიცემოდა სხვადასხვა ნომინაციაში: საუკეთესო საკონცერტო ჩანაწერი, ისტორიული ჩანაწერი, ძველებური მუსიკის საუკეთესო ჩანაწერი და სხვ. უიური შედგებოდა 15 წევრისაგან — ყველაზე მსხვილი მუსიკალური უურნალებისა და გამომცემლობების წარმომადგენლებისაგან. პრემიის გადაცემის ცერემონიალი ჩატარდა 20 იანვარს ფესტივალების და კონგრესების სასახლეში, კლოდ დებიუსის საკონცერტო დარბაზში. ამ საღამოს კულმინაციად იქცა სცენაზე ლეგენდარული ითალიერი ტენორის 85 წლის კარლ ბერგონცის გამოჩენა. მას მიენიჭა პრემია „სიცოცხლეშივე ხელოვნების სფეროში მიღწევებისათვის“.

საპატიო პრემია მიენიჭა შარლ აზრაურს ხანგრძლივი და ნაყოფერი მოღვაწეობისათვის პოპულარულ უანრში. მას 2008 წელს ასევე 85 წელი შეუსრულდა.

„MIDEM“-ის მეორე უდიდესი მოვლენა იყო კშიშტოფ პენდერეცკის ორატორიის „იერუსალიმის შვიდი კარიბჭე“ კინოვერსიის ჩვენება, რომელსაც თვით ავტორიც ესწრებოდა მეუღლესთან — ელუბეტა პენდერეცკაიასთან ერთად, იგი გახლავთ პოლონეთში ბეთჰოვენის საზოგადოების თავმჯდომარე. 19 იანვარს შედგა pera Night, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ჩინეთის, სამხრეთ კორეის, საფრანგეთის დომინიკანური რესპუბლიკის წარმომადგენლები.

# მტავალსმიანობის V საერთაშორისო ცემონიერი

2008 წ. 15-19 სექტემბერს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიაში მეოთხედ გაიმართა ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი. მისი ორგანიზატორები არიან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (რექტორი პროფ. მ. დოიგაშვილი), ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი (დირექტორი პროფ. რ. წურწუმია) და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი (ხელმძღვანელი პროფ. ა. ერქომაიშვილი). სიმპოზიუმში ფინანსურად უზრუნველყოფს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

„გილოცავთ, რომ ხართ ასე ძლიერები!“ ამ სიტყვებით მოგვმართა 2008 წლის 29 აგვისტოს მადრიდიდან გამოიგზავნილ წერილში გამოჩენილმა ესპანელმა ეთნომუსიკოლოგმა პოლო ვალეპომ, როცა გაიგო, რომ მიუხედავად საქართველოში განვითარებული მოვლენებისა, 15-19 სექტემბერს თბილისში მანც შედგებოდა ტრადიციული მრავალხმიანობის V საერთაშორისო სიმპოზიუმი. ეს არ იყო მარტივი გადაწყვეტილება, არც ორგანიზატორებისათვის და, სხვათა შორის, არც იმ უცხოელი მეცნიერებისათვის, რომელთა ჩამოსვლა სიმპოზიუმში მონაწილეო-

ბის მისაღებად ქართველებისადმი მათი თანადგომის გამოხატულება იყო. და არა მხოლოდ თანადგომის. ახლად ომგადახდილ და ჯერ კიდევ ოკუპირებულ ქვეყნაში ჩამოსასვლელად საჭირო იყო არა მარტო ფორმალური წინააღმდეგობების გადალახვა, არამედ, როგორც აღმოჩნდა, უბრალოდ, ახლობლების თანხმობა, რომ არაუკრი ვთქვათ სიმამაცეზე.

აგვისტოს დასაწყისისთვის სიმპოზიუმისათვის მზადება თითქმის უკვე დამთავრებული იყო. ქართველების გარდა მასში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდა 19 ქვეყნის 30 მეცნიერი. საბოლოოდ, 15-19 სექტემბერს სიმპოზიუმი შედგა და საკმაოდ წარმომადგენლობითიც აღმოჩნდა: მასში მონაწილეობდა სულ 28 მეცნიერი, აქედან 15 საქართველოდან, ხოლო 13 — ავსტრალიიდან, ავსტრიიდან, აშშ-დან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ეპაზეთიდან, ესტონეთიდან, ლატვიიდან, ლიტვიდან, საფრანგეთიდან და სლოვენიიდან. ძალიან მრავალფეროვანი იყო სიმპოზიუმის კონცერტებიც, რომლებზეც ხალხურ მომღერლებთან და ქართულ ანსამბლებთან ერთად წარმოდგენილი იყო ქართული მრავალხმიანობის შემსრულებელი ანსამბლები „მასპინძელი“ დიდი ბრიტანეთიდან და „გორანი“ ავსტრალიიდან. გარდა ამისა, სიმპოზიუმის მონაწილეებსა და სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ კორსიკული ვაჟთა ანსამბლის „სპარტიმუსა“ და ლატვიური ქალთა ანსამბლის „საუსეიასის“ შესრულებით გაცნობოდნენ კორსიკულ და ლატვიურ მრავალხმიანობასაც, „გორანმა“ კი ქართულთან ერთად ბულგარული მრავალხმიანობაც წარმოადგინა.

ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმების ისტორიას ჩვენი მუსიკალური საზოგადოება კარგად იცნობს, თუმცა მე მას მაინც შევახსენებდი, რომ იგი აგრძელებს გასული საუკუნის 80-იანი წლებში დაწყებულ ტრადიციას, როცა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირთან ერთად მრავალხმიანობისადმი მიღებილი საერთაშორისო კონფერენციები ჩატარა (1984, 1986, 1988წ.წ.). ამ მოვლენების სათავეებთან ბ-ნები გია ყანჩელი, აზორ ერქომიაშვილი, კუკური ჭოხონელიძე და ამ სტრიქონების ავტორიც იდგნენ, მაგრამ კონფერენციების წარმომადგენლობითი ხასიათი, განსაკუთრებით გამოჩენილი უცხოელი, მათ შორის დასავლეთის მეცნიერების მონაწილეობის თვალსაზრისით, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგის სოსო უორდანიას დამსახურება გახდათ. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სირთულეებმა უარი გვათქმევინეს ამ კონფერენციებზე, მაგრამ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ძალისხმევით ეს ტრადიცია 1998 წლიდან კვლავ აღდგა. 2000 წ. ფონდ „ლია საზოგადოება — საქართველოს“ მხარდაჭერით კონფერენციაში რამდენიმე უცხოელი მეცნიერის მოწვევაც გახდა შესაძლებელი, თუმცა ჭეშმარიტად საერთაშორისო მასშტაბი ამ სამეცნიერო ფორუმებმა 2002 წლიდან კონსერვატორიის რექტორის, პროფ. მანანა ღონიშვილის ინიციატივითა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით შეიძინა.

მას აქეთ ჩატარდა ტრადიციული მრავალხმიანო-



ბის ოთხი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლებშიც მონაცილეობა მიიღო 26 ქვეყნის 82 მეცნიერმა და ქართული და მსოფლიო მრავალხმიანობის 1000-ზე მეტმა შემსრულებელმა.

განუზომლად დიდია ამ სიმპოზიუმების მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის.

გამოწენილმა ამერიკულმა ეთნომუსიკოლოგმა ალან ლომაქსმა საქართველოს „მსოფლიო მრავალხმიანობის დედაქალაქი“ უწოდა. თუ გავისხვებთ, რომ თბილისის სიმპოზიუმებზე უკვე წარმოდგენილი იყო გამოკვლევები ქართული, ბულგარული, სამხრეთ-აღმოსავლეთ არაბული, აღბანური, ავსტრიული, უკრაინული, ხორვატული, იტალიური, ფრანგული, ბასკური, კორსიკული, ტანზანიური, რუსული, ცენტრალური აზიის, ინდონეზიური, გვინეური, ლატვიური, ლიტვური, ესტონური, სლოვაკური, პოლინეზიური, ბასინია-ჰერცოგოვინას, ტაივანის, აფრიკელი პიგმენტის, პანდა-ლინდას მრავალხმიანობის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ფორმულები იქცა საერთაშორისო მასტების წარმომადგენლობით ტრიპუნად მსოფლიო მრავალხმიანობის კვლევის შედეგების წარმოსახენად. სწორედ ეს განაპირობებს მთელი მსოფლიოს მრავალხმიანობის მკვლევართა დიდ ლტოლვას თბილისის სიმპოზიუმისავენ, მათ სურვილს, სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში შეკრებილ კოლეგებს გაუზიარონ თავისი მეცნიერული თვალსაზრისი მუსიკალური აზროვნების ერთერთი ყველაზე ამოუცნობი მოვლენის წარმოშობა-გავრცელების, მისი თეორიული, ისტორიული, ეთნომუსიკოლოგიური თუ კულტურულ-სოციოლოგიური ასევეტების შესახებ.

ტრადიციული მუსიკისადმი მიძღვნილი სემინარები, სიმპოზიუმები თუ კონფერენციები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იმართება. ისინი, ცხადია, მოიცავენ ეთნომუსიკოლოგიური კვლევის ყველა ასპექტს, მათ შორის, რეგიონული მრავალხმიანობის საკითხებსაც. მაგრამ თბილისური სიმპოზიუმი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთია, რომელზეც შეუზღუდავადაა წარმოდგენილი მსოფლიო მრავალხმიანობა, როგორც გეოგრაფიული, ისე თემატური თვალსაზრისით. ასეთი თავისუფალი რეჟიმი ბევრ მკვლევარს იზიდავს სხვადასხვა ქვეყნიდან, მით უფრო, რომ ელოდებათ ყოველი მომდევნო სიმპოზიუმისთვის მათ წინაშე წაკითხული მოხსენებების კრებული, ქართულ-ინგლისურად რომ გამოსცემს ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი.

ერთი სიტყვით, თუ თბილისური სიმპოზიუმების მომავალი ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც დასაწყისია, საქართველო მართლაც შეიძლება იქცეს მსოფლიო ტრადიციული მრავალხმიანობის ცენტრად, რომლისკენაც იქნება მოპყრობილი მრავალხმიანობის არა მარტო მოყვარულთა, არამედ მკვლევართა მზერაც.

ამ ეტაპზე კი შეიძლება ითქვას ის, რომ სიმპოზიუმებმა ხელი შეუწყეს, ერთი მხრივ, ქართული ეთნომუსიკოლოგის თვალსაზრისის გაფართოებას, ქართული ეთნომუსიკოლოგის ინტეგრაციას მსოფლიო მეცნიერებაში, მეორე მხრივ კი, მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა დაინტერესებას ქართული მრავალხმიანობის კვლევით. ამის დასტურია ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებზე იაპონელი, ავსტრიელი, შვეიცარიელი, ამერიკელი, გერმანელი მეცნიერების მიერ ქართულ მრავალხმიანობის შესახებ წარმოდგენილი მოხსენებები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა V სიმპოზიუმი, რომელზეც პიგმენტის მრავალხმიანობის აღიარებული ფრანგი მკვლევარი სიმპა არომი და მისი მონაცე ესპანელი პოლო ვალეპონ წარსდგნენ მოხსენებით — „პირველი ნაბიჯები ქართული მრავალ-

მიანობის „გრამატიკის“ შესწავლაში“ (იგულისხმება ავტორების „პირველი ნაბიჯები“). შეიძლება ითქვას, რომ პროფ. სიმპა არომი თბილისური სიმპოზიუმების უცვლელი მონაცილება (2002, 2006, 2008), ხოლო პროექტის იდეა ეკუთვნოდა პოლო ვალეპონს, რომელმაც 2006 წ. სიმპოზიუმის კონცერტებზე პირველად მოისმინა ქართული მრავალხმიანი სიმღერა-გალობა და გადაწყვიტა საფუძვლიანად გარკვეულიყო მის მუსიკალურ სტრუქტურაში. ერთობლივმა მეცნიერულმა კვლევამ ისინი აქცია ევროპაში ქართული მრავალხმიანობის დეპარტამენტის გასულ წელს იტალიასა და ესპანეთში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებზე მათ წარადგინეს თავიანთი დაკვირვების პირველი შედეგები, ქართული ანსამბლების „მზეთამზისა“ და „ბასინის“ მონაცილეობით, წელს ასეთივე პროექტის განხორციელებას ანსამბლ „ბასინთან“ ერთად გეგმავნ დიდ პრიტანეთში, ხოლო მომავალი სასწავლო წლიდან პოლო ვალეპონ ქ. ტულუზის უნივერსიტეტში აპირებს ქართული მრავალხმიანობის სპეციალური კურსის დანერგვას. V სიმპოზიუმზე კონსერვატორიის მცირე დარბაზში მათ მიერ წარმოდგენილმა მოხსენებამ (ანსამბლ „ბასინის“ მონაცილეობით), ბუნებრივია, აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა დიდი ინტერესიც გამოიწვია, როგორც ყოველთვის ხდება, როცა შენთვის კარგად წაცნობ მოვლენას უცხო თვალით უყურებ.

ს. არომისა და პ. ვალეპონს გარდა V სიმპოზიუმზე წაკითხული იქნა როგორც ქართველი (მ. ანდრიაძე, რ. წურუმია, გ. ბალაშვილი, თ. გაბისონია, ვ. გოგოტიშვილი, ე. დაიასამიძე, ხ. ვალიშვილი, ნ. მახარაძე, მ. შილაგაძე, დ. შუდლიაშვილი, თ. ჩხეიძე, ზ. წერეთელი, ს. ჯანგულაშვილი), ისე უცხოელი მეცნიერების (მ. ბრეე, ჯ. გრეჭემი, ფ. ფოიდერმაირი, ჯ. შორტისისა და მ. სიმპსონის) მოხსენებები ქართული საერთო სიმღერისა და სასულიერო გალობის სხვადასხვა ასპექტებზე. მსოფლიო მრავალხმიანობა წარმოდგენილი იყო პოლინეზიური (დ. ქრისტენსნი), ლატვიური (ტ. ლანჯი), ლიტვური (დ. რაჩიუნატევიჩინიენე), ესტონური (ჟ. პარტლასი) და სლოვენიური (ჟ. შივიცი) სტილებით. მრავალხმიანობის წარმოშობისა და ევოლუციის პრობლემა იყო განხილული ავსტრიალიაში მოღვაწე ქართველი ეთნომუსიკოლოგის იმსებ შორდანის მოხსენებაში.

V სიმპოზიუმი განსაკუთრებულ ვითარებაში ჩატარდა და, შესაბამისად, შესაძლოა, ნაკლებად მრავალეროვანი იყო მსოფლიო მრავალხმიანობის გეოგრაფიის თვალსაზრისით, მაგრამ შინაარსობრივად იგი საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა, რაც ემოციურად მისი სტიმურების სიღნაღმიანობის გატარებულმა ერთმა დღემ დაგვირგვინა. კახეთის ულამაზეს ბუნებასთან ერთად წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა შეცვედრამ ადგილობრივ ფოლკლორულ ანსამბლთან „მრავალური“, მათმა ერთობლივად სიმღერაში



# მუსიკა



ბრიტანულ „მასპინძელთან“ და ავსტრალიურ „გორანთან“, განსაკუთრებით კი — იმპროვიზებულმა შეჯიბრმა, როცა ერთმანეთს ენაცვლებოდა ქართული, კორსიკული, ლატვიური, ესპანური და ბრიტანულ სიმღერა, როგორც ადამიანების ერთიანობის სიმბოლო.

და ბოლოს, არ შემიძლია არ დავასახელო ის ადამიანები, ვინც ამ სიმპოზიუმისათვის მუშაობდნენ. ესენი არიან ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის თანამშრომლები — თამაზ გაბისონია, მაია კაჭკაჭიშვილი და ნანა მუავანაძე, უცხოეთთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი — ნანა შარიქაძე, კონსერვატორიის მუზეუმის გამგე — მარია ჩიხლაძე, საგამომცემლო სამსახურის თანამშრომელი — ქეთევან ბაქრაძე. დიდად მადლიერი ვართ ჩვენი სტუდენტების — ხატია ბუნიათიშვილის, თამარ ელიზარარაშვილის, ბაია უუკუნაძის, თამარ მიქაძის, მაია სიგუას, ნინო ნანეიშვილის, ნინო რაზმაძის, მარიკა ყარალაშვილის, რომელთაც ჩვენს სტუმრებს შესანიშნავი მეგზურობა გაუწიეს თბილისში ყოფნისას.

საზოგადოდ, ყოველი სიმპოზიუმის შემდეგ მოინახება რაღაც ასპექტი, რომლის მიმართ გარკვეული შენიშვნები გამოიიქნის ხოლმე, მაგრამ ერთადერთი, რამაც ყველა მონაწილის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, ეს სიმპოზიუმის ტექნიკური მომსახ-

ურება იყო, რაც თბილისის კონსერვატორიის ბიბლიოთეკის თანამშრომლის შალვა ცხოვრებაძის დამსახურება გახლდათ.

განსაკუთრებით უნდა გამოვყო სოსო ჟორდანია, ამჟამად ავსტრალიაში მცხოვრები ჩვენი თანამემაშულე, მელბურნის უნივერსიტეტის პროფესორი და ჩვენი ტრადიციული მრავალხმანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის საზღვარგარეთული ბიუროს ხელმძღვანელი. იგი აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა, გამოდის სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ სამეცნიერო ფორუმებზე, აქვს ფართო საერთაშორისო კონტაქტები, პროპაგანდას უწევს ჩვენს სიმპოზიუმებს და დიდად გვეხმარება თბილისის სიმპოზიუმებზე მრავალხმანობის სფეროში მომუშავე მეცნიერების



მოწვევაში. იგი არის სიმპოზიუმების კრებულების თანარედაქტორი და ჩვენთან ერთად მუშაობს ცენტრის ვებ-გვერდის ([www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)) განახლებაზე.

ერთ სიტყვით, რომ არა ჩვენი ქართველი და უცხოელი კოლეგების მხარდაჭერა — (მარტო ის რადღირს, რომ სიმპოზიუმს ჰყავს, შეიძლება ითქვას, მუდმივი მონაწილეები უცხოეთიდან: დიეტერ ქრისტენსენი, ფრანც ფოიდერმაირი, სიმპა არომი, იზალი ზემცოვსკი, რომ არაფერი ვთქვათ იმათზე, ვინც ორჯერ იღებდა მონაწილეობას), — ტრადიციული მრავალხმანობის სიმპოზიუმები ვერ იქცეოდა ასეთი მასშტაბის საერთაშორისო მოვლენად, რისთვისაც ჩვენ გულითად მადლობას ვუხდით.

## მსოფლიო მუსიკალური ჟივრე

ბრიტანულმა მუსიკალურმა ჟურნალმა რამოპონე ჩაატარა კრიტიკოსების გამოკითხვა — მსოფლიოს საუკეთესო ორკესტრები. ექსპერტები იყვნენ ისეთი გამომცემლობებიდან, როგორებიცაა «Los Angeles Times», «New Yorker», «Le Monde», «Die Presse», «De Telegraaf», da ra Tqma unda, «Gramophone». შედეგი ასეთი იყო — პირველ ათეულში შევიდა შვიდი ამერიკული ორკესტრი, ოთხი გერმანული, სამი რუსული და ა.შ. სია ასე გამოიყურება: 1. ორკესტრი „კონცერტ ებაუ“, ამსტერდამი; 2. ბერლინის ფილარმონიული ორკესტრი; 3. ვენის ფილარმონიული ორკესტრი; 4. ლონდონის სიმფონიური ორკესტრი; 5. ჩიკაგოს სიმფონიური ორკესტრი; 6. ბავარიის რადიოს სიმფონიური ორკესტრი; 7. კლივლენდის ორკესტრი; 8. ლოს-ანჯელესის ფილარმონიული ორკესტრი; 9. ბუდაპეშტის საფესტივალო ორკესტრი; 10. საქსონიის შტატსკაპელა, დრეზდენი; 11. ბოსტონის სიმფონიური ორკესტრი; 12. ნიუ-იორკის ფილარმონიული ორკესტრი; 13. სან-ფრანცისკოს სიმფონიური ორკესტრი; 14. მარინის თეატრის ორკესტრი; 15. რუსეთის ნაციონალური ორკესტრი; 16. სანქტ-პეტერბურგის ფილარმონიული ორკესტრი; 17. გევანდჰაუზისტერი, ლაიპციგი; 18. მეტროპოლიტენ იორკესტრი; 19. საიტო კინენის (იაპონია) სიმფონიური ორკესტრი; 20. ეხეთის ფილარმონიული ორკესტრი.

## ქართული მუსიკის ისტორიის უამთააღმწერი

გულბათ ტორაძის წარდგენა ჩვენს საზოგადოებას არ სჭირდება; ის დღეს ყველაზე „ცნობადი“ სახეა ქართველ მუსიკისმცოდნეთა შორის, რომლის პუბლიკიციები ყოველდღიურად ჩნდება ჩვენი პრესის ფურცლებზე.


საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებით დაინტერესებული ჩვენი შთამომავალი XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის მოვლენების შესახებ წარმოდგენას, ალბათ, ტორაძისეული პუბლიკაციების საფუძველზე სრულად შეიქმნიან. ერთად შეკრებილნი ისინი ქართული მუსიკის უმნიშვნელოვანესი მოვლენების პანორამას ქმნიან. გულბათ ტორაძე ქართული მუსიკის ნამდვილი „უამთააღმწერია“. მისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი კრიტიკულ-პუბლიცისტური, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის და ეროვნული კულტურის ერთგული სამსახურის საუკეთესო მაგალითია.

ტორაძის საიუბილეო თარიღი — დაბადებიდან 80 წელი, ახლახან ფართოდ აღნიშნა მუსიკალურმა საზოგადოებამ. ორი კვირის ინტერვალით, კომპოზიტორთა კავშირში და კონსერვატორიაში ოფიციოზის გარეშე ჩატარდა საიუბილეო საღამოები, კონცერტითა და იუბილარის თბილი მოგონებებით; საყოველთაოდ არის ცნობილი გულბათ ტორაძის თხრობის ხიბლი. დარბაზი გაახალისა მუსიკოსის მიერ ჩვეული იუმორით ნაამბობმა მისი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებმა და გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრის მოგონებებმა.

უნტერად გამახსენდა ჩინური სენტენცია „საათები მიღიან, დღეები მირბიან, წლები მიქრიან“. დიახ, ბატონ გულბათს, რომლის პროფესიული დებიუტიც შორეულ 1953 წელს დაიწყო, 80 წელი შეუძლია! არადა რამდენი რამ მოახსრო მან განვლილი წლების მანილზე; ახლახანს გამოცემულ მის ბიბლიოგრაფიულ ბუკლებში სრულდა არის აღნუსხეული შთამბეჭდვები სია, რომელიც ქართულ, რუსულ ენებზე დაწერილ წიგნებს, ბროშურებსა და ასეულობით საგანეოო და საუკრანლო წერილებს, რეცენზიებს ითვლის და მუსიკალური კულტურის ყველა სფეროს მოიცავს. ერთი მხრივ ტორაძის ნააზრევი გვიქმნის წარმოდგენას მისი დროის მუსიკალური კულტურის შესახებ; მეორე მხრივ მის შრომებში, წერილებში, როგორც ფორმული, ისე იყრიან თავს გულბათ ტორაძის – პიროვნების, მკალევარის, ესთეტის უმთავრესი თვისებები: მაღალი პროფესიონალიზმი, ინტერესთა ფართო წრე, არჩეული საქმისადმი თავდადება და ენციკლოპედიური განათლება. პრაქტიკულად ქართულ მუსიკისმცოდნეობაში ბოლო ათწლეულებში გამოცემული მრავალი წიგნის თუ სამუცნიერო ნაშრომის რედაქტორად ბინი გულბათი გვევლინება, რაშიც, ცხადია, მას კლასიკური

ფილოლოგიური განათლებაც უწყობს ხელს.

ერთი თავისებურება აქვს მუსიკისმცოდნის და, საზოგადოდ, ხელოვნებათმცოდნის პროფესიას; სხვათა შემოქმედების მცოდნისა და მკვლევარის ცხოვრება საზოგადოებისათვის დაფარულია და ჩრდილში რჩება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცნობიერებაში ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში დალექილ შთაბეჭდილებებს და გარემოს, რომელშიც



გულბათ ტორაძე

პირვენება ყალიბდება. გულბათ ტორაძე უაღრესად კულტურულ ოჯახურ გარემოში იზრდებოდა. დაიბადა 1928 წლის 14 ოქტომბერს ქუთაისში, სადაც თავისი ცხოვრების პირველი ორი კვირა გაატარა. მამა — გრიგოლ ტორაძე, მეფის ჯარის ყოფილი ოფიცერი, რომელიც სასწაულად გადაურჩა 30-იანი წლების რეპრესიებს, მეგობრობდა ვალერიან გაფრინდაშვილთან. სწორედ მას უძღვნა პოეტმა ცნობილი ლექსი „რიონი“; ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მამის თანაკლასებები ყოფილან შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, საქართველოში სამთო მეცნიერების ფუძემდებელი გრიგოლ წულუკიძე, მისი მეგობრის, ანტონ წულუკიძის მამა. მოგვიანებით ვალერიან გაფრინდაშვილთან მეგობრობა მოყვრობაში გადაიზარდა

ისინი ქვისლები გახდნენ. დედა — მარიამ (მერი) ჭავჭავაძე და მისი დები ირინე (ვალერინდაშვილის მეუღლე) და თამარი (შემდგომში გამოჩენილი მსახ-

# პუნქტი

იობი თამარ ჭავჭავაძე) დაიბადნენ ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახლში . . . ასეთი იყო ის გარემო, რომელშიც ბ-ნი გულბათი იზრდებოდა; ბავშვობიდან სწავლობდა ფრანგულსა და გერმანულ ენებს, გატაცებული იყო ჭადრაკით, გამოდიოდა საკავშირო საჭადრაკო ტურნირებზე. ჭაბუკ მოჭადრაკეთა ერთ-ერთ ტურნირზე დაიკავა მეორე ადგილი (პირველი იყო ტიგრან პეტროსიანი, მომავალი მსოფლიო ჩემპიონი, რომელთანაც ბ-ნ გულბათს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა).



## გულბათი ტორაძე უჯახურ ინტერიერში

ბ-ნ გულბათს პედაგოგიც შესანიშნავი ჰყავდა; ამ მხრივაც მას ბედმა გაუღიმა. მუსიკალური განათლება მიიღო თბილისის ცენტრალურ მუსიკალურ ათწლებში (1941-47 წ.წ.). გამოჩენილ პიანისტთან, პროფესორ ანასტასია ვირსალაძესთან, რომელსაც შემდგომ მადლიერმა მონაცემ მონოგრაფია უძღვნა.

თბილისის საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, 1945 წ. ჩააბარა თსუ-ს ქართული ფილოლოგის ფაკულტეტზე, სადაც მისი ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი ვარლამ თოფურია, სადიპლომო შრომის თემა კი „აბო ტფილელის წამების ენა“. უნივერსიტეტში მას ასრავლიდნენ უდიდესი მეცნიერები: აკავი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, კორნელი კეკელიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, ილია აბულაძე, თინათინ შარაძენიძე, ივანე ქავთარაძე და სხვები. უნივერსიტეტში ახლო მეგობრობა ჰქონდა თანაკურსელებთან, მომავალში გამოჩენილ ფილოლოგთან გივი მაჭავარიანთან, რევაზ ბარამიძესთან, ნოდარ ანდლულაძესთან.

პარალელურად 1947-52 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნების ფაკულტეტზე, მუსიკის ისტორიის განხრით, რაც მისი ძირითადი სპეციალობა გახდა. კონსერვატორი-

აში მისი პედაგოგები იყვნენ დიდებული მუსიკოსები შალვა ასლანიშვილი, გრიგოლ ჩხიკვაძე, პავლე ხუჭუა, ბორის გულისაშვილი, ნიკოლოზ გუდიაშვილი. მისი უშუალო ხელმძღვანელი კი იყო ქართული საისტორიო მუსიკისმცოდნების უფეხმდებელი და კონსერვატორიაში ამავე კათედრის დამაარსებელი (1937) პროფესორი ლადო დონაძე, რომელის მიერ დაწყებული საქმის უშუალო გამგრძელებელი მისი ერთგული მოწაფე – გულბათ ტორაძე გახდა. ვერდის თავერა „ფალსტაფის“ თემაზე სადიპლომო შრომის დაცვის შემდეგ 1952 წ. გულბათ ტორაძემ სწავლა განაგრძო ასპირანტურში. 1969 წ. ლენინგრადში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართული სიმფონიური პოემა“, რომელიც მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთ კარდინალურ ქანრად იქცა. მისი ერთ-ერთი პირველი დასავლეოფროდებული მუსიკისადმი მიძღვნილი წიგნი, რომელიც დღიმედებ ყველა ბიბლიოგრაფიულ წყაროებში მოიხსენიება, არის «ლიონკავალი ინ ერი /1960/».

1952 წ. დაიწყო გულბათ ტორაძის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც მისი სტუდენტები იყვნენ მომავალში ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწეები ოთარ მეღვინეთუუცესი, ნოდარ მგალობლიშვილი, ირაკლი უჩანევიშვილი, ნანა ხატიკაცი და სხვები. კონსერვატორიაში მისი პედაგოგიური საქმიანობა მუსიკის ისტორიის კათედრაზე 1953 წ. დაიწყო. საქართველოს თითქმის ყველა კუთხის სამუსიკო დაწესებულებებში მოღვაწეობენ გულბათ ტორაძის აღზრდილები; თბილისის სახ. კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილიც მისი ნამონაფარია. სხვადასხვა წლებში ის იყო კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტის დეკანი, სპეციალიზებული საბჭოს სწავლული მდივანი; ხოლო მუსიკის ისტორიის კათედრას სათავეში ედგა 15 წლის მანძილზე.

ტორაძის ნააზრევის გაცნობისას უპირველეს ყოვლისა ერთი რამ იპყრობს ყურადღებას; როგორც ჭეშმარიტ მემატიკანეს მას შეცობილი აქვს, რომ ეს-თეტიკური ლირუბულებების მატარებელი სფერო — ჩვენი თანამედროვე სულიერი ფასეულობანი, ისევე როგორც გარდასული დროის ფაქტები და მოვლენები, ზუსტ აღნუსხვას და ასეთსავე ესთეტიკურ მიღებომას მოითხოვენ. ამაში კი მას მწერლური ნიჭი და ოსტატობა ეხმარება. მისი ნათევამი ყოველთვის გამოკვეთილია, ფრაზა სხარტად, ლაკონურად ჩამოსხმული და სტილი იმდენად სწორი და გამართული, რომ თვით ყველაზე მკაცრ რედაქტორსაც კი გაუჭირდება მათში რაიმე ნაკლის ნაცვა. ამასთანავე, მისი უშაობის სტილი საოცარი პერატიულობით და პროდუქტიულობით ხასიათდება, რაც კრიტიკოსის აუცილებელი თვისებაა; რაც დრო გადის, მით უფრო იხვნება ხელწერა, ლაკონური და ტევადი ხდება ტექსტი, რომელიც სათქმელს ზუსტად და სხარტად გამოხატავს; საოცარია მისი პროფესიული და მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობა: მიუხედავად ასაკისა, ის არის ყველგან, ყველაფერის საქმის კურსში, ეხმაურება აქტუალურ მოვლენებს, და არა მარტო მუსიკალურს. გულბათ ტორაძე „ცხელ-ცხელი“ ამბების დასტილ, საგაზუთო წერილების ქსერო-ასლებით ხელდამშვენებული, ყოველდღიურად თავის



გულაბათ ტორაძე სტატიის ავტორითან ერთად

, „საგანმანათლებელო“ მისიას ასრულებს.

კიდევ ერთი თვისება — უკომპრომისობა — მისი ესთეტიკისათვის მიუღებელი მოვლენების, იაფფასიანი არტისტიზმის, პროფესიული რუტინის ან ხანდახან მისი ესთეტიკისათვის უცხო, უახლესი ქქსპერიმენტული მუსიკის მიმართ. ამასთანავე, საოცარი იუმორის გრძნობა, რომელიც გულბათ ტორაძის უშრეტი ოპტიმიზმის მასაზრდობელი წყაროა. იუმორით სავსე მისი საგაზეთო, საურნალო ნაკვესები და წიგნი „მუსიკოსები იცინიან“ დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ფართო მკითხველში.

უან პოლს უთქვამს „მოგონებები ერთადერთი სამოთხეა, საიდანაც ვერ გამოგვაძევებენ“. გულბათ

ტორაძის მოგონებების უშრეტი წყარო მისი მეხსიერებაა, რომელშიც საოცარი სიზუსტით არის აღმენილი მოვლენები, ფაქტები, თარიღები. მათი საუკეთესო ნაწილი აკინძული წიგნად „მოგონებათა ჭრელი ფურცლები“ წარსულის მრავალ საინტერესო ფურცელს აცოცხლებს.

მისი პიროვნული თვისებებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საოცარი კეთილმოსურნეობა კოლეგების, სტუდენტების მიმართ, მზადყოფნა პროფესიული დახმარება გაუნიოს ნებისმიერ მსურველს. პირადად ჩემი ინტერესების სფეროს განსაზღვრაშიც მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, როდესაც 1980 წ. ტაშვენტის საერთაშორისო სიმპოზიუმიდან დაბრუნებულს, იდეა გაუჩინდა კონსერვატორიაში არაევროპული ქვეყნების მუსიკის ისტორიის კურსი წაკითხულიყო და კურსის მომზადება მე, მაშინ სრულიად ახალგაზრდა მუსიკის მცოდნეს მომანდო.

დღეს გულბათ ტორაძე მშვენიერ შემოქმედებითსა და ფიზიკურ „სპორტულ“ ფორმაშია. ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ მოვიხსენიო მისი პოპიც — ჭადრაკი და ფეხბურთი; სპორტული ქურნალისტიკის სფეროში ის არანაკლებ კამპეტენტურია.

მისი კოლეგებისა და მრავალრიცხვანი მოწაფეების სახელით მინდა მადლობა უკითხრა ქართული მუსიკის მეტრს, გულბათ ტორაძეს იმ ღვაწლისათვის, რომელიც მას ერთვნული კულტტურის და ჩვენი ალმამატერის წინაშე მიუძღვის. საოცრად სწრაფად გაირბინა ხეობა — 75 წლის საიუბილეო თარიღი თითქმის გუშინ აღნიშნება; 100 წლამდე სულ რაღაც 20 წელი დარჩა, ეს თარიღიც მაღა გვეხიმოს.

გუსურვით ჩვენ ძვირფას ბატონ გულბათს ჯანმრთელობა და დღვეგრძელობა!

## მსოფლიო მუსიკალური ჟივრუ

2009 წლის 1 თებერვალს, ნიუ-იორკში, 86 წლის ასაკში გარდაიცვალა ამერიკელი კომპოზიტორი და დირიჟორი ლუკას ფოსი.

ლუკას ფოსი დაიბადა 1933 წელს გერმანიაში, ებრაულ ოჯახში. ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლისთანავე მისი ოჯახი გადასახლდა პარიზში. ფოსი, როგორც დირიჟორი 1063-706.ნ. ხელმძღვანელობდა ბუფალოს ფილარმონიულ ორკესტრს, ხოლო 1971 წლიდან — ბრუკლინის ფილარმონიას. 1972-1976.ნ. იგი სათავეში ჩაუდგა იერუსალიმის რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიურ ორკესტრს, 1981-1986.ნ. — მილუკის სიმფონიურ ორკესტრს.

1953 წელს ფოსი კალიფორნიის უნივერსიტეტში დაინიშნა კომპოზიციის კლასის პროფესორად. ამ თანამდებობაზე მან შეცვალა არნოლდ შონბერგი.

ფოსის საკომპოზიტორო შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა ჰინდუმიტისა და სტრავინსკის შემოქმედებამ. მისთვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე დიდი ინტერესი ბაზის შემოქმედებისა და იმპროვიზაციული მუსიკისადმი, ხოლო გვიანდელ პერიოდში მის ნაწარმოებებში იგრძნობა მინიმალიზმთან მიახლოება. 1945 წელს კანტატისათვის „პრერია“ მას მიენიჭა გუგენჰეიმის პრემია. მას ეკუთვნის ოპერები „მხტუნავი ბაყაყი“ და „ნარმოდგენა და გამოთხოვება“, ბალეტი „მოგვთა საჩუქრები“.

### ეროვნულ ტრადიციათა ღირსეული მემკვიდრე

გასულ წელს უდიდესი გერმანელი კომპოზიტორის ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის გარდაცვალებიდან 180 წელი შესრულდა. ეს ღირსასახსოვარი თარიღი ცივილიზაციული სამყაროს მრავალმა გამოჩენილმა შემსრულებელმა თუ მუსიკალურმა კოლექტივმა აღნიშნა კონცერტებით. გვიაღური ვენის კლასიკოსის შემოქმედებისადმი მოწიწება და სიყვარული ქართველმა მუსიკოსებმაც არაერთი დასამახსოვრებელი საღამოთი გამოხატეს. განსაკუთრებით სასიამოვნო და აღსანიშნავია ის, რომ აღიარებულ სახელებასა და ორკესტრებს არც დამწყები მუსიკოსები ჩამორჩნენ – ევგვენი მიქელაძის სახელობის №2 ცენტრალური მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეებმა ბეთჰოვენის შემოქმედებას გასულ სასწავლო წელს ორი ვრცელი მონოგრაფიული კონცერტი მიუძღვნეს. კონცერტების მნიშვნელობისა და მათი ხარისხის ერთ-ერთი მაჩვენებელია

ის გარემოებაც, რომ მოსწავლეებმა თავისი ხელოვნება ჩვენი ქვეყნის მუსიკალური კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრებიდან – ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე და დიდი საკონცერტო დარბაზებიდან წარუდგინეს მსმენელს.

ხომა მუსიკოსებმა შემოგვთავაზეს ბეთჰოვენის სხვადასხვა ქანის ნაწარმოები, უმეტესად კი ის ქნილებები, რომლებიც ხშირად არ სრულდება საკონცერტო ესტრადაზე და ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი. ამავე დროს პედაგოგთა გაბედულებასა და მათი შეგირდების პროფესიონალიზმები მეცყველებს ისტი, რომ მოსწავლეთა მიერ აედერებულ ცნობილ ნაწარმოებშიც კი ტექნიკური სირთულეების დაძლევასთან ერთად შეინიშნებოდა სტილის შეგრძნების, ბეთჰოვენის მუსიკაში აღბეჭდილი შინაარსის მსმენელადე მიგანის სურვილი.

კონსერვატორიის მცირე დარბაზში ვეგვენი მიქელაძის სახელობის №2 მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეებმა ბეთჰოვენის კამერულ-ინსტრუმენტული და ვოკალური მუსიკა აავდერეს, ხოლო დიდ საკონცერტო დარბაზში სიმფონიურ ორკესტრთან და დირიჟორ გიორგი ქორდანიასთან ერთად წარსდგნენ მსმენელის წინაშე. ბეთჰოვენის №1, №3 საფორტეპიანო კონცერტები, საგუნდო, სიმება-ანი და ვოკალური ნაწარმოები ორკესტრთან ერთად, ინსტრუმენტული და ვოკალური რომანსები, ბაგაფელები, სონატები და სონატინები, ტრიოები და კვარტეტები სასწავლებლის საფორტეპიანო, საორკესტრო, ვოკალური თუ საგუნდო განყოფილების მოსწავლეებმა დიდი შემართებით შეასრულეს. ნორჩი მუსიკოსების ნიჭიერებასთან, მონდომებასთან ერთად აუდიტორიამ მხურვალედ

მარიამ ხოშტარია IVკლ.  
ავდ. გილოზ ხოშტარია

შეაფასა პედაგოგების მიერ გაწეული ღვაწლი. ლ. უგულავაშვილი, ს. ქორდანიამ, მ. ბაწაშვილმა (პედაგოგი ნ. ნაცვლიშვილი), ა. ტურაშვილმა, ნ. ბარაველმა, ტ. დაბრუნდაშვილმა (პედაგოგი მ. გოგაშვილი), ა. ფალავანიშვილმა (პედაგოგი ნ. სხირგლაძე) ბეთჰოვენის საფორტეპიანო ნაწარმოებების შესრულებისას გამოამჯდავნეს ტექნიკური გაწაფულობა, მხატვრულ შინაარსში წედომის უნარი. დასამახსოვრებელი იყო თ. გომაშვილის, ა. ჩირაძის, ქ. მაისურაძის, ს. ცარციძის, ა. ხარაძის, ს. ოსტროვსკის, ა. მუჯირის (პედაგოგები ს. ეგოროვა, გ. კარიაული, გ. ხელაძი) მიერ აკლერიციული რომანსები. კონცერტებზე თავი ისახულა საორკესტრო განყოფილებამაც – ბეთჰოვენის სავილინო რომანსები და საგიოთლონჩხლო სონატა სადად და ამავე დროს კარგი საშემსრულებლო წვევებით ააქცირეს მ. ქასრაძე, ე. შავიშვილმა, მ. მაჩაიძე, მ. ხიშტარიამ (პედაგოგები ე. არაქელოვი, ა. მეგრელიძე, გ. ჭაბუკიანი, მ. ხოშტარია). ხოლო დ. ლატიპოვამ, ლ. ქეშელაშვილმა, ა. ბუშკინმა (პედაგოგები ნ. ალავიძე, ნ. გაბედავა, ვ. შიშკინი) ფლეიტის, ლარინგსა და ფაგოტზე დაკვრის მშაბრივი წარმოაჩინეს. შთამბეჭდავი იყო მოსწავლეების მიერ შესრულებული საანსამბლო მუსიკაც მისასალმებელია, როცა მუსიკოსები მცირე ასაკიდან ეუფლებიან კამერული ანსამბლის მუსიციების რთულ ხელოვნებას. და



აღმსანდრე გუბანიძე  
ხად. ავდ. გაღიმ გიგანიძე

განსაკუთრებული სასიამოვნო მუსიკალური რომანია ამ სფეროშიც მოახდინება. კარგი შთამბეჭდილება დატოვა პედაგოგ ნ. დავითაშვილის მოსწავლეთა კვარტეტმა (მ. მაჩაიძე, მ. ხიშტარია, ა. პანიშვილი, გ. მათიაშვილი), მ. ხოშტარიას კლასის ტრიომ (ა. ტურაშვილი, მ. ქასრაძე, გ. მათიაშვილი), და დუეტმა (ი. ჯალაძონია, ე. შავიშვილი). კარგად ქდერდა სასწავლებლის შერეული გუნდი, ქორმასისერების ენიჭონისა და რ. გიორგაძის ხელმძღვანელობით. ასევე დასამახსოვრებელი იყო სასწავლებლის მოსწავლეთა ჩასაბერი და კამერული ორკესტრების მიერ მომზადებული პროგრამა, სადაც პედაგოგების – დირიჟორების ს. ტყაბელაძისა და გ. შილაკიძის დიდი ძალისხმევა იგრძნობოდა.

ბეთჰოვენისადმი მიღებნილი კონცერტების მხატვრულმა ხარისხმა განაპირობა ვეგვენი მიქელაძის №2 ცენტრალური მუსიკალური სასწავლებლის მიერ დაგეგმილი სხვა ღონისძიებებით დაინტერესება. აღმოჩნდა, რომ გემო აღნიშნული საღამოები იმ კონცერტების ათეულში შედიოდა, რომელიც კოლეგიანმა გასულ სასწავლო წელს თბილისის სხვადასხვა დიდ საკონცერტო დარბაზებსა თუ საპერიოდო თეატრში გამართა (აღარაფერს ვამბირ თავად სასწავლებელში ჩატარებულ უამრავ კონცერტებები). ხაზგასასმელია ის გარემოებას, რომ კონცერტებზე თითქმის არ გამეორებულა რეპერტუარი და მოსწავლეები ყოველ ჯერმე ახალი პრივატორიათ და შესაბამისად ახალი რაკურსით წარსდგებოლენენ ხოლმე მსმენელის წინაშე.

მ. ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრში „მუზა“ სასწავლებლის ყველა განყოფილე-





## გარიაზ ჭორეთელი XII პლ. პლ. აგმსენტი მეზრელიძე

იძის, ქ. ლორიას, მ. რამიშვილის, ლ. ცქიფიშვილის, ხ. ურუშამის, ლობექანიძის, გ. ნიკოლაძის, ხ. სუმბათაშვილის, მ. ხუროძის მოსწავლეებმა სხვადასვა ეპოქისა და სტილური მიმართულების კომპონიტორთა მუსიკა შეასრულებს.

8. ფალიაშვილის სახელობის საოპერო თეატრის წითელ დარბაზში გამართულ ორ კონცერტში სამფონიურ რეკესტრთან ერთად მოსწავლეებმა შემომედებითი გაბედულობა და საკუთარ ძალითა მოძილიბირების უნარი უწვენეს დამსწრე აუდიტორიას. ერთი საღამო საფორტეპიანო განყოფილების მხოლოდ დაწყებითი რეკოლის მოსწავლეებს დაეთმო, ხოლო მეორე კონცერტზე უკვე საორკესტრო განყოფილების (გამგე ა. მეგრელიძე) მოსწავლეებმა ვენიავსკის, მენდელსონის რთული ქმნილებებს კარგი შესრულებით ისახელეს თავი.

ბუნებრივია, რომ დიდი ქართველი დირიჟორის ევგენი მიქელაძის დაბადების 105 წლის იუბილე სასწავლებელმა საგანგიბოდ აღნიშნა. ეს კოლექტივი ხომ ამ დიდი ხელოვანის სახელს ატარებს. დასამახსოვრებელი იყო საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის საკონცერტო დარბაზშა და კონცერვატორიის მცირე დარბაზში გამართული მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტები.

ამჯერადაც ყველა განყოფილების სხვადასხვა კლასების საუკეთესო მოსწავლეებმა წარმოადგინებს თავისი ხელოვნება. ზეიცის, ბახის, ვეკერლენის, ფივალდის, ბრამსის, ვებერის, მაიკრი, მოცარტის, ვაკნერის, დოპლერის, ფორეს, ვენიავსკის, დვორეკავის, ვასნერის, ჰაიდნის ნაწარმოებების შესრულებისას თავი ისახელეს მევიოლინებმა მ.მაჩაიძემ (პედ.ჭ.ჭავაგაიანი), ა. წიკლაურმა (პედ. ფ.ჭრაძე), ე. ჯოოვავაშ (პედ. გარსევანიძე), ჰაინისგებმა მ. დგებუაძემ (პედ. გოგაშვილი), ხ. კორინთიელმა (პედ. თ. ლინიძერია), თ. ხუჭავაშ (პედ. ხ.სირტლაძე), ჩელისგებმა მ. ხოშტარიამ, ს. შარაშხნიძემ, გ. მათიაშვილმა (პედ. მ. ხოშტარია), მესაყიორემ დ. გელანიძემ (პედ. გ. ანგონაიანი), ფრომბონისგმა თ. ამბარუებინმა (პედ. იუგვენკო), ფლეიტისგმა ლ. მეგრელიშვილმა (პედ. ლომაძე), პედაგოგების ე. ბანგურიძისა და ხ. დავთაშვილის კლასის ანსამბლებმა.

პროფესიონალების მაღალი შეფასება დაიმსახურა საგუნდო-სარიდიერო განყოფილების მიერ შემოთავაზებულმა პროგრამამ (განყოფილების გამგე ლ. ჭოთაშვილი), რომელიც ქორმაისგერების ე. ჩიქოვანის, რ. გიორგაძის დაუდლავი შრომის შედეგი გახლდათ. სხვადასხვა ასკის, დიაპაზონისა და მონაცემების მქონე მოსწავლეების შერეული გუნდი ხმაშეწყობით ასრულებდა ქართულ ხალხურ სიმღერებსა თუ საგალობლებს, ევროპელი კომპიგორების საგანდო ქმნილებს.

მშვენიერი ვოკალური მონაცემებით, ფართო რეპერტუარის შესრულების კარგი ხარისხით, ამასთანავე კარგი სამსახიობო უნარით, სცენაზი

დგომის კულტურით მოიწონეს თავი სასწავლებლის ვოკალური განყოფილების მოსწავლეებმა (განყ. გამგე ნ. ნაჭუებია). კონცერტმა დაგვამედა, რომ ამ თაობის სახით ქართულ სასიმღერო ხელოვნებას ამჯერადაც ღირსეული კადრები გაეწრდებათ. ნორჩ ვოკალისტებს თავად დიდი მაგისტრო ნოდარ ანდლულაძე უწევს კონსულტაციას. სწორებ მასთან შეთანხმებით, მეთოდური და პროფესიულად დასაბუთებული პროგრამების შექვეობით და რაც მთავარია პედაგოგების თავდაუზოგავი მუშაობით დამწყებამ მომღერლებმა საუკეთესო შედევრი უწევნეს სამოგადოებას. ვოკალურ პროგრამებში თავი გამოიჩინეს ს. ეკოროვას, ხ. ნაჭუებიას, ა. ჩიხრაძის, თ. სარვაბიშვილის, დ. დიასამიძის, გ. ხელაძის, გ. მთვარელიშვილის, ხ. ბესტავას, ურუშაძეს, ნ. გუნიავას, ურნოვას, ჩიქობავას, გ. გოგლიძის მოსწავლეებმა.

კონცერტებში მოსწავლეების წარმატებულ გამოსვლებში დიდი ამაგი მიუძღვით კონცერტმაისტებებსაცნ. ბერიკაშვილს, ლ.ხუციშვილს, თ. ბუაძეს, ხ. ჩითინაშვალს, ნ. ელასამვილს, ი. სიხაძეს, ლ. პაიჭაძეს, აბულაძეს, მარგველაშვილს, ურუშაძეს, ნ. გუნიავას, ურნოვას, ჩიქობავას, გ. გოგლიძის მოსწავლეებმა.

ნორჩი ქართველი მუსიკოსების წარმატებული გამოსვლები ქალაქ პოტსდამშიც გაფრმელდა. საქართველო-ბრანდენბურგის ორგანიზაციის თაოსნობითა და ხელშეწყობით



## სალომე შორდანია V პლ. პლ. ნატა ნაცვლიშვილი

6. ნაცვლიშვილის, მ. ხოშტარიას და ა. მეგრელიძის მოსწავლეებმა რთული ბაფხულის მიუხედავად პოტსდამსა და ბერლინში ექვსი კონცერტი გამართეს. ნორჩი შეისრულებლების ოსტატობით მოიხილულმა გერმანელებმა მ. ბაწაშვილი და ს. ურიდანია კვლავ მიიწვიეს სიმფონიერი მუსიკის კონცერტში მონაწილეობის მისაღებად. ე. მიქელაძის სახელობის №2 მუსიკალური სასწავლებლის ჩატარებული კონცერტების მაღალი ხარისხი ვერ დაჩრდილა ცალკეული შემსრულებლის შედარებით უფრეს გამოსვლამ. ეს ალბათ დიდი აუდიტორიით გამოწვეული მღელვარებით აისხება. ისე, ვინა ოდნავ მაინც არის ჩახელული სამუსიკო განათლების სფეროში, კარგად მოეხსენება ამგარი ღონისძიების მაღალ ღონებები ჩატარება შემთხვევას რომ არ მიეწერება, ამგვარი საშემსრულებლო ხარისხი ხანგრძლივა და გულმოლებინე მუშაობას რომ მოითხოვს და ერთჯერადი მომზადება არ კმარა. სასწავლებლის საანგარიშო კონცერტები გასულ წლებშიც წარმატებული იყო.

ეს კი კოლექტივის დიდი შემოქმედებითი მოხდომების, პოტენციის და ამასთანავე ტრადიციის შემდეგი გახლავთ. ტრადიცია კი ამ სასწავლებელს შესაშური აქეს – მის ისტორიას მაღალ საუკუნე შეუსრულდება. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50იან წლებში, როცა ეს საგანმანათლებლო კერა IX მუსიკალური სკოლის სახელს ატარებდა და დიდი ავტორიზების მქონე ღირებულები შენობაც ჰქონდა მოპოვებული-პრესენტით გამოირჩეოდა და საუკეთესოთა შორის მოიხსენიებოდა. საქართველოს ავბედით 90იან წლებში კი, როცა ბევრმა სახელოვნებო დაწესებულებამ არსებობა შეწყვიტა,



## ნინო კორანიშვილი VIII პლ. პლ. თიბა ლინერიძე

# პუნქი



**ლევან უბულაძე IVკლ.**  
**კმდ. ნატა ნაცილიშვილი**

ძირითადად საორკესტრო კადრების აღმრდანებები იყო ორი ენტირებული. იმ დროს, როცა ქართველი მუსიკოსები და მთლიანი ორკესტრებიც კი ძეგის საძიებლად საზღვარგარეთ მიემგბავრებოდნენ, კოლეჯის ხელმძღვანელობა და მათ მსარდამარ ჰედაგოგები ნიჭიერი მობარდების მოსამზღვად და მათ პროფესიონალურად ჩამოსაყალიბებლად ძალ-ლონებს არ იშურებდნენ. უმძიმესი ჰერიონის მიუხედვად ამ ჭრებებში (სწორედ შენობის, მისი შესაშური ადგილმდებარეობის გამო მრავალჯერ დამდგარა ამ მუსიკალური კერის ყოფნა-არყოფნის საკითხი) აღიმარდა მრავალი შემსრულებელი, რომლებიც დღეს წარმატებით მოღვაწეობენ ჩვენს წამყვან თრკესტრებში.

სახელოვნებო განათლების სისტემაში მიმღინარე რეფორმის შედეგად კოლეჯი ორი წლის წინ სასწავლებლად გადაკეთდა და მას ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო ათწლების პედაგოგები და მოსწავლები შეუერთდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ დიდ მუსიკალურ დაწესებულებას განათლების საკუთარი პრიორიტეტები პქონდათ-სასწავლებლის დირექციის დიდი დამსახურება, რომ შეერთება უმტკვინეულოდ მოხდა და დღეს მუსიკალური ხელოვნების ყველა დარგის სასწავლება მაღალ დონეზე ფუნქციონირებს..

სასწავლებლის დირექტორ გიორგი ქორქაძესთან ერთად ბევრი სასიკეთო წამოწევების სულისჩამდგმელის, საკუთარი საქმის თამარ გულეგიშვილი და დამსახურება, რომ გენერაციული მუსიკის მიმღინარე საერთო მუსიკალურ დაწესებულების განვითარების მიზანის მისამართი სასწავლებლის დირექციის მიზანი იყო დამსახურება, რომ შეერთება უმტკვინეულოდ მოხდა და დღეს მუსიკალური ხელოვნების ყველა დარგის სასწავლება მაღალ დონეზე ფუნქციონირებს..

**თამარ გოჩაშვილი VIIკლ.** ენთუზიასტის, სასწავლო კმდ. სვეტა ივმოროვა

ნაწილის თინა ღვინერიას თქმით – ღღებანდელი ლიბერალური სწავლების ფონზე, რომელზეც სხვა სამუსიკო კერძები გადავიდნენ, მიქელაძის სახელობის კოლეგიივი ტრადიციის ერთგული რჩება. ეს არის ეწ. „უწვევთი სამუსიკო განათლების კონცეფცია“ რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის მუსიკალური აღმრდან დაწევებითი სწავლებიდან, საშუალო და უმაღლეს რეკლემამდე და რამაც სახელი გაუიქნა ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებას მსოფლიო მაშტაბით. განათლების ამ მოდელის ღირსებას დღეს კვეთ დასავლეთის მრავალი სხვა ქვეყნის მუსიკოსებიც აღიარებენ.

სასწავლებელი, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან სწავლების 12 წლიან სიგემაზე გადავიდა – ორიენტირებულია ნიჭიერი ბაგშვების პროფესიონალურად ჩამოყალიბებაზე. ეს აუცილებლად გულისხმობს კომპლექსური სწავლებას. სხვადასხვა საგება, როგორიცაა სოლფეჯიონ, ჰარმონია, მუსიკის ანალიზი, მუსიკის მოსმენა, მუსიკის ლიტერატურა, სავალდებულო ფორტეპიანო, კამერული ანსამბლი, გუნდი, გალობა, მუცადინეობა ორკესტრში, მოწოდებულია რათა საერთო შედეგი მაღალი ხარისხის იყოს. ჩინებული ორგანიზაციონის გიორგი ქორქაძის დიდი ძალისხმევის შედეგად დღესათვის სასწავლებელი აღქურვილია უახლესი ვიღევა-აუდიო აპარატურით, მაღალი ხარისხის მუსიკალური ჩანაწერებით, რასაც განსაკუთრებით სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს არა მარტო თეორიული განყოფილების (განყოფილების განყოფილების განყვამებები მომავალი მუსიკოსების თვალსაწირის გაფართოებისათვის).

დიდი ქართველი დირიჟორის ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი ძვირფას წარსულზე დამყარებული კერაა და მისასალმებელია. რომ ღირსებულებები აფრიცელიას.



**მიხეილ ღგგებაძე**  
**კმდ. მზია გოგიაშვილი**



**ანა ზიალაშვილ ქადაგი**  
**კმდ. თ. გორგაძე**

## მუსიკური მუსიკოლოგიური სივრცე

„ახალი ბაბილონი“ სიდნეიში

1920-იან წლებში დამიტრი შოსტაკოვიჩმა დაასრულა თავისი პირველი ნამუშევარი კინოში. მან დაწერა 88 წუთიანი პარტიტურა გრიგორ კოზინცევისა და ლეონიდ ტრაუბერგის მუნკი ფილმისათვის „ახალი ბაბილონი“. პრემიერამდე ერთი კვირით ადრე 1929 წლის მარტში ცენტრალური ფილმიდან მთელი სცენები ამოჭრა. ამასთან ისე, რომ კომპოზიტორი საქმის კურსშიც კი არ ჩაუყენებიათ. შოსტაკოვიჩის ეს ნამუშევარი დიდი ხნით დავიწყებას მიეცა. მაგრამ ეს მუსიკა თანადათანობით უბრუნდება მსმენელს.

2008 წლის 9 ნოემბერს სიდნეიში ფესტივალის „City Recital hall“ -ში აჩვენეს ფილმი „ახალი ბაბილონი“. შოსტაკოვიჩის მუსიკა შესრულა შშ ტელერადიომაუწყებლობის ახალგაზრდულმა ორკესტრმა მეთიუ კრელის ხელმძღვანელობით.

„ეს მუსიკა საოცარი ტექნიკური სირთულით გამოირჩევა“ — აღიარა მაესტრომ.

ფილმის სრული ვერსიის ჩვენება შოსტაკოვიჩის მუსიკის თანხლებით სულ მეტვსეჯერ შედგა.



## „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ულა-მაზეშა დიდმა დარბაზმა წელიწადის ბოლო თვეს, უკვე მეთერთმეტედ უმასპინძლა საერთაშორისო ფეს-ტივალს „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ და თბილისელ მსმენელს კიდევ ერთხელ მისცა ჭეშმარიტ ხელოვნებასთან ზიარების შესაძლებლობა. წლევან-დელი საფესტივალო პროგრამა თერთმეტი სალამოს-გან შედგებოდა. მასში მონაწილეობდნენ არა მარტო საქვეყნოდ ცნობილი ქართველი და უცხოელი მუსიკოსები და ის ახალგაზრდა შემსრულებლები, რომლებსაც ასაკის მიუხედავად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უკვე საკუთარი თაყვანისმცემელი ჰყავთ, არამედ ქართველ მუსიკოსთა ის თაობაც, ვინც სულ მალე უნდა ატაროს ეროვნული კულტურის ღირსების მძიმე და ამავდროულად საპატიო ტვირთი.



განანა დომიაშვილი

„საახალწლო მუსიკალური შეხვედრების“ ორგანიზატორია დიდი დარბაზის შემოქმედებითი კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგას ფესტივალის სულისჩამდგმელი, ცნობილი პიანისტი და საზოგადო მოღვაწე კონსერვატორიის რექტორი ქ-ნი მანანა დორიჯაშვილი. ეს მცირერიცხოვანი გუნდი დაუღალავად ემსახურება უდიდეს საქმეს — ცდილობს არ დაიკარგოს კლასიკური მუსიკის ის დიდი ტრადიცია ჩვენს ქვეყანაში, უკვე საუკუნეზე მეტს რომ ითვლის. კონცერტების სერია გათვალისწინებულია ხოლმე განსხვავებული გემოვნების, ასაკისა და პროფესიის მსმენელი აუდიტორიისათვის. ამიტომა, რომ საფესტივალო სალამები მოიცავს სიმურნიურსა და კამერულ, ჯაზურსა და ფოლკლორული მუსიკის სფეროებს.

**მანანა დორიჯაშვილი:** „სამწუხაროდ კლასიკური მუსიკისადმი იწერესი მთელ მსოფლიოში კლებულობს და ეს ტენდეცია ჩვენშიაც ძლიერ შესამჩნევია. თუ ეს სასწრაფოდ არ გამოვასწორეთ, დავკარგავთ იმას, რაც ჩვენთვის კველაზე ფასეულია. ტრადიციები იქმნება ძალიან ნელა, დიდხანს, ხოლო ნადგურდება ძალიან სწრაფად. დღეს კლასიკური მუსიკის

კონცერტებს ესწრება საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ჩვენი ტრადიციული მსმენელია. ჩვენ ვცდილობთ მოვაზიდოთ ახალგაზრდობის ის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, დღეს მდარე ხარისხის მუსიკას უფრო ხალისით რომ ეტანება. მათი გემოვნების დახვენა კი სწორებ მაღალი ხარისხის მუსიკითაა შესაძლებელი. ის კონცერტები, რომლებიც თბილისში ტარდება, ამისათვის საკმარისი ნამდვილად არ არის. ფინანსური პრობლემების გამო გვიჭირს მუსიკოსების მოწვევა, ხოლო ის შემსრულებლები, რომლებიც ჩვენთან ჩამოდიან, ძალიან ხშირად ენთუზიაზმის, პირადი კონტაქტების ხარჯზე გვსტუმრობენ. ფესტივალის მიზანია ასევე მოვიწვიოთ ჩვენთვის სასურველი, ქართველი მსენელისათვის საინტერესო დიდი სახელის მქონე მუსიკოსები. ამავე დროს გავაცნოთ მათ ჩვენი ქვეყანა, რაც, თავის მხრივ, ჩვენი მდიდარი კულტურის პროპაგანდის კიდევ ერთ საშუალებად მიგვაჩინა.“

საახალწლო ფესტივალი იმითაც არის ალბანიშნავი, რომ ყოველთვის საგანმანათლებლო მიზნებსაც ისახავს. აღიარებული მუსიკოსები კონცერტების გარდა საკუთარ შემოქმედებით გამოცდილებას მომავალ თაობას მასტერკლასების სახით უზიარებენ და ხშირად მოწონებულ ქართველ სტუდენტებს საერთაშორისო ასპარეზზე გზის გაცვლევაშიც ეხმარებიან.

წლევანდელი „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ „წინამათაც ფესტივალი დარა“ მაღალი მხატვრული ლირსებებით გამოირჩეოდა. ეს იყო აქცია-კონცერტები, რომლებშიც უკლებლივ კველა უცხოელი მუსიკისი ხმამაღლა გამოხატვდა ჩვენი ქვეყნისადმი მხარდაჭერას აგვისტოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების გამო. ხოლო ქართველმა შემსრულებლებმა ეთერ ანჯაფარიძემ და ალექსანდრე კორსანტიამ, კონსერვატორიის დიდ დარბაზთან ერთად, კონცერტების შემოსავალი დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადარიცხეს.

უამრავი მრავალფეროვნების მიუხედავად, 2008 წ. მუსიკალური ფორუმი კამერული მუსიკისა და ქართული საფორტეპიანო სკოლის გულშემატკვერებისათვის განსაკუთრებით გამორჩეული და დასამახსოვრებელი გამოდგა. მსმენელს საშუალება მიეცა საკონცერტო საღამოების მანძილზე განსხვავებულ ამპლუაში მოესმინა და შეეფასებინა სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა რანგის, სხვადასხვა შემოქმედებითი ხელწერისა და გაქანების, სხვადასხვა მიმართულებისა და ხასიათის მუსიკოსების ხელოვნება.

უამრავი საერთაშორისო თუ ეროვნული რეგალიების მფლობელი, თანამედროვე პიანისტთა ერთერთი საინტერესო წარმომადგენელი, მრავალმხრივი შემსრულებელი ეთერ ანჯაფარიძე ინტენსიურ საკონცერტო ცხოვერებას ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას უთავსებს. ამერიკიდან ჩამოსულმა ქართველმა პიანისტმა საინტერესო გავეთილები ჩაუტარა კონსერვატორიის სტუდენტებს, ფესტივალის კონცერტზე კი სოლო პროგრამა შესთავაზა მსმენელს. ეს კონცერტი მამის — დიდი მომლერლის, ზურაბ ანჯაფარიძის და ცნობილი მეცნიერის, ლეონიძე ოკლეის ხსოვნას მიუძღვნა (ამ კონცერტის შესახებ იხილეთ ამავე ურნალის გვ. 63 — რედ.). მონოგრაფიული კონცერტი ფრედერიკ შოპენის შემოქ-



ალექსანდრე კორსანტია

მედებას დაეთმო. პროგრამაში წარმოდგენილი იყო გენიალური პოლონელი კომპოზიტორის ურთულესი ქმნილებები ოთხივე ბალადა, ტრაგიკული №2 სონატა და დრამატული პოლონეზი. შოპენის ქმნილებათა ანჯაფარიძისეული ინტერპრეტაცია განსაკუთრებული სევდით, ტრაგიზმითა და ვირტუოზული შესრულებით გამოიჩინა. აი რას ამბობს ამ შესრულების შესახებ პიანისტი, პროფესორი რევაზ თავაძე: „ამ კონცერტმა გვიჩვენა, რომ ეთერმა თავის შემოქმედებაში კიდევ ერთი სიმაღლე აიღო, ახალი რაკურსით დაგვინახა თავი. მისი შესრულება — ეს არის უკვე სიმრიცეში შესული მუსიკოსის ნაფიქრი, რომელსაც ასაკთან ერთად ეცვლება პრიორიტეტები, სხვაგვარადაა მოწოდებული ემოციური კულმინაციები.“

ქართველი მსმენელი ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულით ეგებება საზღვარგარეთ მოღვაწე პიანისტს, ალექსანდრე კორსანტიას, რომლის თბილისური კონცერტები დედაქალაქის მუსიკალური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცევა ხოლმე. ამჯერად სახელგანთქმული შემსრულებელი ასევე ამერიკაში მოღვაწე ცნობილ პიანისტთან, ქეთევან ბადრიძესთან ერთად საფორტეპანონ დუეტით წარსდგა აუდიტორიის წინაშე. კამერული მუსიკის ეს სფერო ქართულ საკონცერტო ესტრადაზე შედარებით იშვიადად ყდერს. არადა უამრავ კომპოზიტორს აქვთ შექმნილი შედევრები ამ უანრში. ორი მათგანი - მოცარტის სინატიფითა და სიცაქიზით აღსავს სონატა და რაველის გროტესკული ხასიათის ვალსი ანსამბლურობით, მაღალი საშემსრულებლო ხარისხით შემოგვთავაზეს სტუმრად ჩამოსულმა ქართველმა მუსიკოსებმა. კონცერტის მეორე განყოფილებაში ალექსანდრე კონსანტიას პარტნიორობა ამჯერად თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორეგისტრმა გაუნია. ზაზა აზმაიფარაშვილის დირიჟორობით სახელგანთქმულმა პიანისტმა ჩვეული ოსტატობით, მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ხმოვანებით შესარულა ბეთჰოვენის დიდებული №5 საფორტეპიანო კონცერტი.

შარშან, რუბინშტეინის სახელობის თელ-ავივის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე მოპივებული დიდი წარმატების შემდეგ, 21 წლის ხატია ბუნიათიშვილის ხელოვნებისადმი მუსიკალური საზოგადოების ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. „საახალწლო მუსიკალურ შეხვედრებში“ ხატიამ თავის თანატოლ, ასევე წარმატებულ ინგლისელ მევოლინესთან, ბენჯამინ მარკიზ გილმორთან ერთად კამერული მუსიკის კონცერტში მიიღო მონაწილეობა. გილმორი მსოფლიოს მრავალ საკონცერტო დარბაზებში გამოდის, ანსამბლში უკრავს გამოჩენილ მუსიკოსებთან ერთად. ქართველი და ინგლისელი მუსიკოსების შემოქმედებითი ტანდემი კი პირველად ამ ფესტივალზე შედგა. მათი შესრულებით მოცარტის, შუბერტისა და ფრანგის სავიოლინი სონატები აქცეულდა. ახალგაზრდა მევიოლინესათვის მისი სახელმოვანი პაპის, ქართველ მუსიკოსთა ერთგული მეგობრის, დირიჟორ ლევ მარკიზის წყალობით თბილისი უცხო ქალაქი არ არის. მუსიკის მოყვარულებს ახსივთ მისი სხვა გამოსვლები ჩვენს დედაქალაქში, როცა იგი წარმატებით ასრულებდა ქართველ კომპოზიტორთა თხზულებებს. უნდა ითქვას, საფესტივალო საღამოზე გილმორი აშკარად დაჩრდილა ხატია ბუნიათიშვილის ელვარე ნიჭმა, არტისტიზმმა, დახვეწილმა პიანიზმმა. მისმა ხელოვნებაზე კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ამ მომხიბულები გოგონას სახით ქართულ საფორტეპიანო სკოლის სახელმოვან ტრადიციას ღირებული გამგრძელებელი ჰყავს.

პარტნიორობის საუცხოო შეგრძნებით, ემოციურობითა და მაღალი მხატვრული ღირსებით გამოირჩეოდა კიდევ ერთი ანსამბლი, რომელშიც სახელმოვან ფრანგ ფლეიტისტისა და მკვლევარს, თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებთა ჩინებულ ინტერპრეტატორსა და პროპაგანდისტს, პარიზის კონსერვატორის პროფესორს პიერ ივ არტოს ტოლს არ უდებდა ქართველი პიანისტი თამარ ბახტაძე. კონცერტმაისტერმა მეტად მცირე დროში შეისწავლა თბილისელი მსმენელისათვის უცნობი ურთულები ნაწარმოებები და ღირსეული პარტნიორობა გაუწია აღიარებულ ფრანგ მუსიკოსს. კონცერტში დებიუსის, პულენის ქმნილებებთან ერთად თბილისში პირველად აუღერდა საფრანგეთში მოღვაწე ცნობილი თანამედროვე იაპონელი კომპოზიტორის, იოშიპიცა ტაირას ურთულები ნაწარმოები. ფრანგმა ფლეიტისტმა ამ ულამაზესი საკრავის ყველა შესაძლო ნიუანსი აღბეჭდა თავის დაკრაში. ქართველი მსმენელისათვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ბისზე არაჩვეულებრივად აუღერებული ოთარ თაქთაქიშვილის ძალიან ლამაზი, სადა და ქართველი შემსრულებლებისგან უმართებულოდ მივიწყებული პიესა ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის.

ცნობილი ფრანგი ფლეიტისტი ივ არტო, რომლის კონცერტი საფრანგეთის საელჩოსა და დიუმას ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა, მყაფრად შედგენილი საკონცერტო გრაფიკის გამო ვერ დაესწრო მოძევნობიდებს გამართული ფოლკლორული მუსიკის კონცერტს, თორემ ისიც, უეჭველია, სხვა უცხოელი მსმენელის მსგავსად, გაოცებული და აღფრთვოვანებული დარჩებოდა ქართული ხალხური სიმღერების ხიბლითა და თვითმყოფადობით. ეროვნული საგანძურის, გლეხური და ქალაქური ფოლკლორის ტრადიციული და თითქმის მივიწყებული ნიმუშებიც ამჯერად სამმა ახალგაზრდულმა კოლექტივმა შემოგვთავაზა. აქ არიან გაერთიანებული ქართული სიმღერის სიყვარულით გულანთებული მოყვარული და პროფესიონალი მუსიკოსები. „ახალუხლები“ (ხელმძღვანელი - ფოლკლორისტი იმართება), „ბალავარი“

(ხელმძღვანელი - საეკლესიო გალობისა და ხალხური სამღერის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ბექა ბიძინაშვილი) და თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა ფოლკლორული ანამბლი (ხელმძღვანელი ნატო ზუმბაძე). განსხვავებული ხელმძღვის, განსხვავებული გამოცდილებისა და პრიორიტეტის მქონე ჯაზუფებია, რომელთაც ერთი საერთო ნიშანი აერთიანებთ - ეს ანსამბლები საკრავიერ პანგსა და სიმღერას არა წოტებიდან, არამედ ფონოჩანანერებიდან სწავლობენ და ცდილობენ ისინი მსმენელს მიაწოდონ იმ სახით, როგორც ეს ხალხს შეუქმნია. ამით მივიწყებას გადაარჩინონ ბევრი ქართული სიმღერა. ახალგაზრდა შემსრულებლებმა საღამოს წამყვანთან, ხელმძღვანებათმცოდნეობის დოქტორ, ეთნომუსიკოლოგთან, კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების ხელმძღვანელთან, ნატო ზუმბაძესთან ერთად მსმენელი საქართველოს ლამის ყველა კუთხე ცეკვა-სიმღერით შემოატარეს, ზოგს შეასხენეს, ზოგს კი პირველად უჩვენეს ქართული უძველესი ტრადიციები, მისი ზენ-ჩევეულებები.

სულ სხვა უანრისა და მიმართულების იყო კონცერტი, რომელმაც თავისი ხარისხით გააოგნა ჯაზის არა მარტო მოყვარულები, არამედ პროფესიონალებიც. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩის მიერ ორგანიზებულ კონცერტზე ვირტუოზული ხელმძღვანება აჩვენეს ახალგაზრდა მუსიკოსებმა

იარნონ ჰერმანმა (ფორტეპიანო), მეტ ბრიუნერმა (კონცრაბასი), ჰერალდ ქლივერმა (დრამერი). ქართველი აუდიტორიისათვის ამ არაჩევულებრივი ტრიოს გაცნობის ერთ-ერთი ინიციატორია დადი დარბაზის დირექტორი, ჯაზის მუსიკოსი **პ. კვაჭაძე:** „ის მუსიკოსები, რომლებიც სხვა კომპანიებს ჩამოჰყავთ თბილისში, არიან ვარსკვლავები, რომელთა თითოეული კონცერტი, ნებისმიერი გამოსვლა, ზედმიწევნით კარგად იცის ქართველმა ჯაზის მოყვარულმა. ჩვენი კოლექტივის პრიორიტეტია მოვინვიოთ ის ახალგაზრდა მუსიკოსები, რომლებსაც, მართალია, საქართველოში არ იცნობენ, მაგრამ ისინი ძალზე პოპულარულები არიან საზღვარგარეთ. ასეთი იყო ჯეკი ტერასონი და მისი ტრიო. ხოლო 28 წლის იარნონ ჰერმანი მოვლენაა ჯაზის სამყაროში მან თექვსმეტი წლისამ დაიწყო ფორტეპიანოზე დავრა, და უკვე 150 წარმატებული კონცერტი აქვს ჩატარებული. მისი ტრიოს თბილისური კონცერტი იყო ფანტასტიკური იმპროვიზაცია, რომელშიც მან, მართალია, ჯაზის სტანდარტული თემები შესარულა, მაგრამ ისე, რომ თითოეული კომპოზიციის თანაავტორად გველინებოდა. ჰერმანი თავისი პრიორულერის მეშვეობით ინფორმირებული იყო საქართველოში ჯაზის მცოდნე მსმენელის შესახებ და გამოსვლის წინ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ როგორც მიიღებდა საზოგადოება დასაწყისში მის მუსიკას, ისე აენყობოდა მათი კონცერტი. ქართველი მსმენელის მიერ სწორად შეფასებული თითოეული წინასი სტიმული გახდა ტრიოსათვის, რათა ბოლომდე დახარჯულიყვნენ და შესრულების კიდევ უფრო დიდ სიღრმეებში შეეყვანათ საზოგადოება.“

ფესტივალის ერთი საღამო დაეთმო საორგანო მუსიკას. „საკრავთა მეფედ“ აღიარებული ამ ინსტრუმენტის მართლაც არაჩევულებრივი უდერადობა, რომელზეც თითქოს მხოლოდ პოლიფონიური, ბაროკოსული სტილის მუსიკის მოსმენას რომ ვართ ჩვეული, ჩემთა შემსრულებლმა, პაველ კოხუტმა გენიალური ი.ს. ბახისა და მისი შვილის - ფილიპ ემანუელის, ფ. მენდელსონის, ბ. ვიდერმანის ნანარმებებთან ერთად, ჩვენს დედაქალაქში პირველად, ააუდერა XXს. ჩეხი კომპოზიტორის ი. კლიმიკას რთუ-

ლი საორგანო კომპოზიციები. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად კოხუტი მრავალი საერთაშორისო საორგანო კონკურსის ლაურეატია და მსოფლიოს მრავალ საკონცერტო დარბაზებსა და ტაძრებში უკრავს.

ორგანი უძლერდა კიდევ ერთ კონცერტზე, რომელიც ამჯერად მხოლოდ ბაროკოს ეპოქის მუსიკას დაეთმო. ეს მუსიკა ვირტუოზულად, უზადოდ შეასრულა ცნობილმა ესტონურმა ანსამბლმა „ორტუს უსიცუს“. ეს მრავალრიცხოვანი, სახელოვანი ვოკალურ-ინსტრუმენტული კოლექტივი ასრულებს სხვადასხვა მიმართულებისა და ეპოქის კომპოზიტორთა ქმნილებებს, მასთან სიამოვნებით თანამშრომლობენ თანამედროვე კომპოზიტორებიც, თუმცა უუ საუკუნეების, რენესანსისა და ბაროკოს უცნობი ნიმუშების შესრულება, მანიც, ყველაზე მნიშვნელოვანია ანსამბლის შემოქმედებაში. კოლექტივი პოპულარიზაციას უწევს ასევე ამ ეპოქების მივიწყებულ ინსტრუმენტებს. მუსიკას იმ საკრავებზე აუდერებს, რომლისთვისაც იწერებოდა ესა თუ ის ქმნილება. თბილისში ამჯერად ვიხილეთ ანსამბლის მცირე შემადგენლობა. ვოკალის, ჩელოს, ორგანის, კლავესინისა და ვიოლინოს ტემბरებით აუდერდა იტალიური, ფრანგული, ინგლისური და გერმანული მუსიკა. სტრადელას, მონტევერდის, ვივალდის, ტელემანის, ლამბარდის, რამის, მარეს, ჯირამოს, ჰიუმის, ანონიმური ავტორების, ჩვენთვის თითქმის სრულიად უცნობი რაფინირებული, უფაქიზესი ქმნილებების გაცნობით მსმენელი კიდევ ერთხელ გაოცდა იმ ვირტუოზული საკომპოზიტორო ტენიკით, ბაზამდელი ეპოქის მუსიკოსები რომ ფლობდნენ და კიდევ ერთხელ მხურვალე აპლოდისმენტებით დააჯილდოვა ჩვენი ქვეყნის დიდი ხელის მეგობარი კოლექტივი და მისი უცვლელი ხელმძღვანელი — დირიჟორი და მევიოლინე ანდრეს მუსტონენი.

ფესტივალის პროგრამაში შედგა რამდენიმე ისეთი კონცერტი, რომელიც თავისი ემოციურობით, მხატვრული ხარისხით, შემსრულებელთა გამორჩეული შემადგენლობითა და, შესაბამისად, მსმენელთა განსაკუთრებული ინტერესით, დიდხანს დარჩება საზოგადოების მეხსიერებაში. ასეთი იყო „ბრავო მაესტროს“ რუბრიკით ჩატარებული საღამო, რომელიც გამოჩენილი დირიჟორის ღია დისერტაციის დიმიტრიადის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვანა. სახელოვან მაესტროს მხოლოდ სამი წელი დააკლდა იმისათვის, რათა თავად



ანდრე მუსტონენი

# მუსიკა



კონსერვატორიის სტუდენტური კვარტეტი

ყოფილიყო ამ იუბილეს მასპინძელი. ოდისეი დიმიტრიადიმ ხანგრძლივი შემოქმედებითი გზა ქართული მუსიკის ხელოვნების განვითარებასა და მის პოპულარიზაციას მიუძღვნა. ფენომენალური მეშვიერებისა და მუშაობის საოცარი უნარის მეშვეობით, მის რეპერტუარში სხვადასხვა უანრის უამრავი პარტიტურა იყო თამაყურილი. იგი თანაბარი წარმატებით დირიჟორობდა საოცერო თუ ინსტრუმენტულ, სიმფონიურსა თუ ვოკალურ მუსიკას. თუმცა თავად მას საოცერო უანრი განსაკუთრებით უყვარდა. ნოდარ ანდლუაძე პრძანებს: „ქართული მუსიკალური კულტურა მარადიული მოვალეა მისი ენთუზიაზმისა და პროფესიული თავდადებისა. განსაკუთრებით საოცერო ხელოვნება, რომელსაც მან მუსიკოსთა და მომღერალთა თაობები აღწეად.“ ოდისეი დიმიტრიადი იყო არაჩვეულებრივი პედაგოგი, მის შემოქმედებით საქედაგო აღიზარდა ჩვენი ქვეყნის მრავალი დირიჟორი: ჟ. კაზიძე, რ. ტავიძე, ა. მამაცაშვილი, შ. შილაკაძე, დ. მუქერია, ვ. მაჭავარიანი, თ. ჯაფარიძე და სხვანი.

მანანა დოიჯაშვილის სცენარით შედგენილი კონცერტი, რომელშიც ქართული საშემსრულებლო ხელოვნების სხვადასხვა სფეროს საუკეთესო წარმომადგენებმა მიიღეს მონაწილეობა, საოცარი სითბოთი გამოიჩინდა. საღამო ჩვეული მჭერმეტყველებით მიჰყავდა ბ-ნ ნოდარ ანდლუაძეს, ხოლო მონაწილეები - ეთერ ანჯაფარიძე, თამარ გაბარაშვილი, ელდარ გენაძე, თემურ გუგუშვილი, მარიკა გულორდავა, ნანა დიმიტრიადი, მანანა დოიჯაშვილი, ირინა თაბორიძე, მაია ბებიაშვილი, თემურ ელიავა, დარეჯან მახაშვილი, ლელა უსეინაშვილი, კონსტანტინე ვარდელი, თამაზ ბათიაშვილი, ნოდარ უვანია, ოთარ ჩუბინიშვილი, გულბათ ტორაძე, რევაზ ტავიძე - ვინ მოგონებებით, ვინ თავისი ხელოვნებით გამოხატვდნენ იმ დიდი მადლიერების გრძნობას, ამ არაჩვეულებრივმა შემოქმედმა, ოდისეი დიმიტრიადიმ კლასიკურ მუსიკასთან დაკავშირებულ ყველა ქართველს რომ გაუჩინა. ემოციური იყო იმ კადრების ხილვაც, რომელმაც კიდევ ერთხელ შეგვასენა, თუ როგორი ბრძყინვალე დირიჟორი, შესანიშნავი პედაგოგი და ხალასი, სიკეთით სავსე ადამიანი იყო ოდისეი დიმიტრიადი, რომელსაც სულის სიმხეები, ახალგაზრდული შემართება სიცოცხლის ბოლომდე მიჰყავა.

ფესტივალზე სიმფონიური მუსიკა კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრის მიერ აულერდა. ეს საშემსრულებლო კოლექტივი დიდი მიღწევებით გასული საუკუნის 70-80-იან წლებში გამოირჩიოდა, როცა საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტი-

ვალებში წარმატებული მონაწილეობით გაითქვა სახელი. წარსული დიდების აღდგენაზე მუშაობა ორკესტრმა კონსერვატორიის ამჟამინდელი რექტორის მანანა დოიჯაშვილის მონდომებითა და მხარდაჭერით დაიწყო, ხოლო სერიოზულ წარმატებებს ცნობილი დირიჟორის ლევ მარკიზის ხელმძღვანელობით მიაღწია. ბოლო დროს ორკესტრმა თავი გამოიჩინა გერმანიის ქ. ბონში ბეთჰოვენის ფესტივალსა და თბილისში სახელგანთქმული ქართველი კომპოზიტორის - გია ყანჩელის საიუბილეო კონცერტების ციკლში წარმატებული გამოსვლებითაც. **მ. დოიჯაშვილი:** „ამ ეტაპზე ორკესტრთან ინტენსიურად მუშაობენ დირიჟორის ასისტენტები, კონსერვატორიის პედაგოგები ზურაბ გაბუნია და დავით ჯაშვარიანი. მათი უშუალო ხელმძღვნელობით სწავლობს კოლექტივი ნაზარმოებს და მხოლოდ ამის შემდეგ განაგრძობს მუშაობას მოწვევული დირიჟორი. ვფიქრობთ, ამ ეტაპისათვის ეს სწორი არჩევანია, რადგან სხვადასხვა დირიჟორებთან თანამშრომლობა დიდი გამოცდილება, სკოლა და სტიმულია სტუდენტებისათვის.“

ახალგაზრდული კოლექტივი კარგად იცნობს „ორტუს უსიცუს“-ის ხელმძღვანელს, ანდრეს მუსტონენს. მისი დირიჟორობით ორკესტრს გია ყანჩელის რამდენიმე ნაწარმოები აქვს შესრულებული. დევემბრის კონცერტზეც მასტროს ლაკონიური, გამომსახველი ფესტივალის, ზუსტი მითითებების გათვალისწინებით სტუდენტებმა თბილისში პირველად, ოსტატობითა და სილალით, შეასრულეს გია ყანჩელის იუმორითა და სევდით გაჯერებული „პატარა დანელიადა“. სტილის შეგრძნებით, ფაქიზად აქციად ვ.ა. მოცარტის სიმფონია №38; ვიოლინოს, ფორტეპიანოსა და კამერული ორკესტრისათვის შექმნილი ფ.ი. პაიდინის კონცერტის შესრულების დროსაც ორკესტრის მუსიკოსებმა კარგი მობილიზაციის უნარი გამოავლინება. ისინი პარტნიორობას უწევდნენ სახელმძღვანელოს პიანისტს, კონსერვატორიის რექტორს, მ. დოიჯაშვილს და ა. მუსტონენს, რომელმაც ამ ნაწარმოების შესრულებისას სადირიჟორო ჯონი ვიოლინოზე გაცვალა. აღსანიშნავია, რომ სტუდენტურმა ორკესტრმა შესრულების ისეთი სარისხი შემოგვთავაზა, რომლითაც, სამწეაროდ, ხშირად სხვა კოლექტივი ვერ დაიკვენის.

თუები „საახალწლო მუსიკალური ფესტივალი“ სახელმძღვანმა ქართველმა მუსიკოსებმა გახსნეს, იგი ღირსეულად დააგვირგვინა კონსერვატორიის სტუდენტების გამოსვლამ. ახალგებდა მუსიკოსებმა სანაქებო პარტნიორობა გაუწიეს მ. დოიჯაშვილს. ამაღლვებე-



ოდისეი  
დიმიტრიადი

ლი, თავად მონაწილეებისათვის დაუვიწყარი იქნება ის წარდგინებაც, რომელიც რექტორმა მოუწყო თავის შეგირდებს. ბევრი მათგანისათვის ეს ხომ იყო დებიუტი დიდ საკონცერტო ესტრადაზე. შუმანის საფორტეპიანო კვინტეტი, მ. დოიჯაშვილთან ერთად წარმატებით შეასრულეს პროფესორ კ. ვარდელის კვარტეტის კლასის სიმძინი საკრავების ფაკულტეტის სტუდენტებმა: ივანე ქობულაშვილმა, კონსტანტინე ჩავლეიშვილმა, სალომე ბუკიამ და თორნიკვე გენაძემ. მხურვალე აპლოდისმენტების ადრესატები იყვნენ ასევე საფორტეპიანო ფაკულტეტის სტუდენტები ვასილ ლალიძე (ასოც. პროფ. ლალი სანიკიძის კლასი), გიორგი აბულაძე (პროფ. ედიშერ რუსიშვილის კლასი) და გიორგი სირბილაშვილი (პროფ. ნანა ხუბუტიას კლასი). ყმანი ვალებებში მ. დოიჯაშვილთან ერთად, პროფესიულ დონეზე, შეაშური სინქრონულობით, ერთი ამოსუნთქვით შეასრულეს შუმანის, შოპენის, პულენის საფორტეპიანო დუეტები. **მ. დოიჯაშვილი:** „კამერული მუსიკა სამუსიკო ხელოვნების ერთ-ერთი მარგალიტია. კოლექტიური მუსიკირება, როდესაც რამდენომე მუსიკოსი ერთად იკრიბება და ერთად ქმნის მუსიკას, ერთად სუნთქვას და ერთი შეხედვით ესმით ერთმანეთის - განსაცვიფრებელი, ენით აუზერელი მომენტია შემსრულებლისათვის და მისი წინსვლის სანინდარია. ამ ყმანი ვილებისათვის კი, რომლებიც მუსიკით ცხოვრობენ, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მათთან ურთიერთობა დიდი ბედნიერება და პატივი იყო ჩემთვისაც. მართალია, რეჟუტიციებზე ყოველთვის ვგრძნობდი მათ მორიდებას, მოკრძალებას, მაგრამ

ააველ  
აონუათი



სცენაზე გასვლის წინ ჩვენ თანაბარ პირობებში ვართ მე დღესაც ისევე ვნერვიულობ, როგორც ისინი.“

რაც შეეხება მანანა დოიჯაშვილს საოცარია, როგორ ახერხებს ეს ქალბატონი ერთდროულად იყოს სხვადასხვა კონკურსების, ფესტივალების დამცუძნებელი და შეუცვლელი ორგანიზატორი, გასწიოს კონსერვატორიის რექტორობის ჭაპანი, იყოს საზოგადო მოღაცებები, პედაგოგი და ყოველივე ამასთან შეინარჩუნოს მაღალი საშემსრულებლო ფორმა. მის შესრულებაში ერთდროულად იგრძნობა ხანგრძლივი ფიქრის შედეგად დანახული კონცეფცია, ნიუანსებში წვდომის უნარი, ოსტატობა და ამავე დროს შესრულების მკაცრად თავდაჭრილი მანერა.

„სახახალწლო მუსიკალური შეხედრები“ ყოველ კერზე განსხვავებულ პრიორიტეტებს ისახავს მიზნად. თუკი წლებანდებულ ფესტივალში სხვადასხვა თაობის მუსიკოსებმა გვიჩვენეს საკუთარი ხელოვნება, მომავალ, რიგით მეთორმეტე ფესტივალში როგორც ქ-მა მ. დოიჯაშვილმა ალნიშნა, მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის ქართველი ახალგაზრდა მუსიკოსები, რომლებიც საზღვარგარეთ წარმატებით მოღვაწეობენ. იმედია, ახალგაზრდების შემოქმედებით უფრო მეტი მათი თანატოლი მსმენელი დაინტერესდება. ეს კი ამ ფესტივალის ორგანიზატორებს მთავარ მისიად მიაჩინათ.

## „ნოდარ გაგუიას დღეები“



## საკონცერტო ქრონიკა

5—19 დეკემბერს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გამიართა გამოჩენილ კომპოზიტორის, პიანისტისა და პედაგოგის — ნოდარ გაბუნიას დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტების ციკლი (3 კონცერტი), სახელწოდებით — „ნოდარ გაბუნიას დღეები“, ძირითადად მისი მონაცემების მონაწილეობით. შესრულდა კომპოზიტორის ნაწყოებები: „ელეგია“ კამერული ორკესტრისათვის (დირიჟორი — ნიკა მემანიშვილი), „იგავი“ მკითხველისა და სოლისტთა ანსამბლისათვის, შემსრულებლები დავით ზათიაშვილი (მამალი), პაატა ცეცხლაძე (მელა), ზურაბ ნკრიალაშვილი (ძალლი), დირიჟორის თანაშემწე — არჩილ უშვერიძე, კამერული სიმფონია „ჯოკონდა“ (დირიჟორი ნიკა მემანიშვილი), 7 სიმღერა — მუსიკა მხატვრული ფილმებიდან (სოლისტები — ნატო მეტონიძე (ვოკალი), ნატო გაბუნია (ვიოლინო). აგრეთვე შესრულდა რასმანინოვის საფრი კონცერტი № 2 (სოლისტი — მამიკონ ნახაპეტოვი), სენ-სანსის კონცერტი № 2 (სოლისტი — ნატო წვერელი), ბეთჰოვენის საფ-ნო კონცერტი № 5 (სოლისტი — ვალერიან შიუკაშვილი), შოპენის საფ-ნო კონცერტი № 1 (სოლისტი — ნუცა კასრაძე), შოპენის საფ-ნო კონცერტი 2 (სოლისტი — ქეთევან ბადრიძე).




### თიცათიც ღვიძელია

## შოთენის სახელმწის ნორბ პიანისტა კონკურსი დაიღისძინა

წელს პირველად საქართველოში გაიმართა ფრედერიკ შოთენის სახელმწის ნორბ პიანისტთა კონკურსი. კონკურსის ჩატარების ინიციატორები იყვნენ პოლონეთის საელჩი, მისი ყოფილი ელჩი იაცეკ მულტანოვსკი და საქართველოს მუსიკალური ფონდი, რომლის დირექტორია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი ქ-ნი მანა დონიჯაშვილი.

შოთენის შემოქმედება საქართველოში ტრადიციულად დიდი სიყვარულით სარგებლობს. კომპოზიტორის ნაწარმოებები ყოველთვის დომინირებს ქართველ პიანისტთა რეპერტუარში. მის ნაწარმოებებზე გაიზარდნენ პიანისტთა მთელი თაობები. უფრო მეტიც, შოთენის შესრულების მანერით, ნაწარმოების ინტერპრეტაციის პროცესში გამოვლენილი



თავაძის ამირავაძი

საშემსრულებლო კულტურით, ბგერის სიფაქიზით, გემოვნებითა და ტექნიკური არსენალის ფლობით ხშირად განისაზღვრება ახალგაზრდა შემსრულებლის ნიჭიერების ხარისხი და მისი პერსპექტიულობა. შესაბამისად, შოთენის კონკურსის ჩატარებას საქართველოში მომწიფებული ნიადაგი დახვდა და დიდი ინტერესით იქნა აღქმული მუსიკალურ საზოგადოების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ კონკურსი ერთ ტურად ტარდებოდა, საკონკურსო პირობები საკმაოდ რთული იყო 12-16 წლის პიანისტებისათვის. მათ უნდა დაეკრათ 30 წუთიანი სოლო პროგრამა, სადაც უნდა შესრულებულიყო შოთენის ერთი ეტიუდი, მცირე ან მსხვილი ფორმის რამდენიმე ნაწარმოები და ქართველი კომპოზიტორის პიესა.

კონკურსზე 13 ნორჩი პიანისტი იყო დაშვებული, თუმცა მათგან რამდენიმე ვერ მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა მიზეზის გამო. ძირითადად წარსდგნენ ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის №1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეები. სასიხარულოა რომ მათ გვერდით ღირსეულად წარმოაჩინეს თავი ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახ. სამუსიკო კოლეჯისა და სასწავლებლის მოსწავლეებმა.

უიურის შემადგენლობაში შედიოდნენ ქართული პიანისტური სკოლის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც დღევანდელი საფორტეპიანო პედაგოგის ბირთვს წარმოადგენენ: თავმჯდომარე — პროფესორი თენგიზ ამირეჯიბი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სპეციალური ფორტეპიანოს კათედრის გამგე, კონსერვატორიის რექტორი ქ-ნი მანა დონიჯაშვილი, საფორტეპიანო კათედრის პროფესორები ქ-ნი ნანა დიმიტრიადი, ბ-ნი რევაზ თავაძე და ბ-ნი ედიშერ რუსიშვილი.

უსაფუძვლო აღმოჩნდა შიში, რომ კონკურსის ჩატარებას ხელი შევსლებოდა აგვისტოს მოვლენების გამო. საზოგადოებაზე შოკისმოგვრელი რუსთ-საქართველოს ომი, მძიმე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური შედეგები, თითქოსდა ხელს არ უწყობდა ასეთი ტიპის კულტურული ღონისძიების გამართვას. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა.

კონკურსი წარმატებით ჩატარდა 11-14 ნოემბერს. მისმა მსვლელობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მიუხედავად დიდი სირთულეებისა, რაც ჩვენი ცხოვრების ბოლო ორი ათწლეულის მუდმივი თანმდევი გახდა, საქართველოში არ ილევიან ნორჩი ასაკის ნიჭიერი მუსიკოსები, რომლებსაც აქვთ პოტენცია და შესალებლობა წარმატებით გააგრძელონ



ლექსო პირმისაშვილი



ანა ყიფიანი



ანა გოგავა

უფროსი თაობის მიერ საფუძველჩაყრილი ქართული საფორტეპიანი სკოლის მდიდარი ტრადიციები, სახელი გაუთქავან საქართველოს და მის საშემსრულებლო კულტურას.

რაც შეეხება კლასიკური მუსიკით დაინტერესებულ საზოგადოების ფართო ფენას, იგი სწორედ ხელოვნებასა და კულტურაში ხედავს თვითგადარჩენას და შვებას. სწორედ ეს ქმნის ნოუიერ ნიადაგს მუდმივი განახლებისა და თაობათა უწყვეტი რეპროდუქციისათვის.

კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის ზ. ფალიშვილის სახ. №1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის X კლასის მოსწავლეები ანა ყიფიანი, (პედ. ლევან ინაშვილი), გვანცა ფუტკარაძე (პედ. პროფესორი სვეტლანა კორსანტია), ალექსანდრე ჯულაყიძე (პედ. გომა გოგია), X კლასელები — ანა გოგავა (პედ. დოდო ცინცაძე), ლევან პირმისაშვილი (პედ. ირინა მიქავა), ეკა ბოკუჩავა (პედ. ნანა მახარაძე), თამარ მიდელაშვილი (პედაგოგი ასოც. პროფესორი ალექსანდრე გარბერი). ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახ. სამუსიკო კოლეჯის II კურსის მოსწავლე თამარ ჩემია (პედ. ლევი კანკავა), ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახ. სამუსიკო სასწავლებლის X კლასის მოსწავლე ეთერ ცეიფურიშვილი (პედ. ასოც. პროფესორი ციცინო თოდუა).

საკონკურსო ტური ხალხით გაჭედილ კონსერვატორიის მცირე დარბაზში ტარდებოდა, რაც ზრდიდა ახალგაზრდა პიანისტებში დელვის ფაქტორს. კონკურსი ხომ ის ადგილია, სადაც გარდა ნიჭიერების და პროფესიული მომზადების დონისა, ვლინდება შემსრულებლის პიროვნული თვისებები: ნებისყოფა, საშემსრულებლო ამოცანებზე კონცენტრირების უნარი, გამძლეობა.

არ არის გასაკვირი, თუ ზოგიერთმა კონკურსანტმა ამ ფაქტორების გამო ვერ მოახერხა თავისი შესაძლე-

ბლობის მაქსიმუმის წარმოჩენა, თუმცა უნდა ითქვას, რომ თითოეულმა მათგანმა გამოავლინა შოპენის ნაწარმოებებში წვდომის უნარი, საშემსრულებლო ტექნიკის მაღალი დონე, და წარმატებით დააღწია თავი ყველაზე დიდ საფრთხეს — შოპენის შესრულების დილექტანტურ მანერას.

მიუხედავად საერთო მაღალი დონისა, კონკურსს ყავდა თავისი ფავორიტები. ესენი იყვნენ, საერთაშორისო კონკურსებში უკვე გამოცდილი პიანისტები: თბილისის ზ. ფალიშვილის სახ. №1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლები: ანა ყიფიანი, X კლასი (პედ. ლევან ინაშვილი), ანა გოგავა ხელასი, (პედ. დოდო ცინცაძე) და ლევან პირმისაშვილი ხელასი, (პედ. ირინა მიქავა). სწორედ მათ შორის გაიმართა ნამდვილი შეჯიბრი საპრიზო ადგილებისათვის.

კონკურსის პრემია მოიპოვა ლევან პირმისაშვილმა, რომლის დაკვრა გამოირჩეოდა მკაფიო ინდივიდუალობით, ემოციური სიხალასით და მასშტაბურობით.

პრემიის ლაურეატი გახდა ანა ყიფიანი, რომელმაც გამოავლინა უკვე შემდგარი პიანისტისათვის დამახასიათებელი თვისებები - არტისტიზმი, ინსტრუმენტის უბადლო ფლობის უნარი, აზროვნება. თუმცა იგრძნობოდა, რომ მის პროგრამაში ყველაფერი ერთნაირად არ იყო მზად. ეს განსაკუთრებით ემჩნეოდა შოპენის „ბარკაროლას“.

პრემია მიენიჭა ანა გოგავას. მან წარმოადგინა ფრიად გაძებული საკონკურსო პროგრამა, რომლის მთავარი ღერძი იყო შოპენის თორმეტი ეტიუდი (თხ. 10 და 25). შესანიშნავი პიანისტური მონაცემების მქონე ახალგაზრდა პიანისტმა ამ ურთულეს ამოცანას წარმატებით გაართვა თავი. მის შესრულებას ახასიათებდა სიმსუბუქე და ძალდაუტანლობა, მხ-



თამარ ჩემია



ეთერ ცეიფურიშვილი

# მუსიკა



ნანა დიმიტრიაძე

ატვრულ ამოცანებზე ორიენტირება. მეორე მხრივ, რეპერტუარულმა ჩარჩომ შეზღუდა მისი შესაძლებლობა წარმოეჩინა თავი დრამატურგიული კონცეფციის მქონე მსხვილი ფორმის ნაწარმოებში, რაც უკეთ გამოავლენდა მისი მუსიკალური აზროვნების სილრმეს და მასშტაბს.

უიურიმ სპეციალური პრიზით ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის დააჯილდოვა ნორჩი პიანისტები ქუთაისიდან: თამარ ჩემია, ს. ცინცაძის ორი პრელუდის შესანიშნავი შესრულებისათვის და ეთერ ცეიფურიშვილი, რომელმაც მოხიბლა მსმენელი თავისი არტისტიზმით და გამომსახველობით ო.თაქთაქიშვილის „შაირში“.

მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენ მონაწილეებს პრიზები არ მოუპოვებით, ისინიც აღნიშვნის ღირსნი არიან, რამეთუ საინტერესო პროგრამებითა და შესრულებით წარსდგნენ მსმენელის ნინაშე. ალექსანდრე ჯულაყიძე, გვანცა ფუტკარაძე, თამარ მიდელაშვილი, ეკა ბოკუჩავა — ეს ის ახალგაზრდა პიანისტები არიან, რომლებმაც კარგი გამოცდილება მიიღეს კონკურსში



რევაზ თავაძე




ელიუს რუსიშვილი

მონაწილეობით და მსმენელთა სიმპათიები დაიმსახურეს. მათ აქვთ სრული შესაძლებლობა მომავალში მეტ წარმატებებს მიაღწიონ. სწორედ ამ შესაძლებლობებს გაუსვა ხაზი ბ-მა თენის ამირეჯიბმა კონკურსის საზეიმო დახურვის ცერემონიალზე. მან, მყაფრმა და უკომპრომისო შემფასებელმა, საქებარი სიტყვები არ დაიშუ-

რა ნორჩი პიანისტების მიმართ. ისინი ხომ თავდაუზოგავად და მთელი პასუხისმგებლობით ემზადებოდნენ კონკურსისათვის, მიუხედავად ირგვლივ იმისა და ნგრევისა, რასაც არ შეეძლო ფსიქოლოგიურად არ ემოქმედა მათზე (ასეთ პირობებში იწრთობიან საქათველოში ახალგაზრდა კადრები).

პოლონეთის საელჩინსა და ქ-ნ მანანა დოიჭაშვილის ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად ორგა-

ნიზებულმა შოპენის სახელობის ნორჩ პიანისტთა კონკურსმა საინტერესო კვალი დატოვა ჩევნი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. მან უბიძგა ახალგაზრდა პიანისტებს მობილიზებისავენ, მიზანიმართული შრომისავენ, მისცა სტიმული და ენერგია თავიანთ პედაგოგებთან ერთად პროფესიულად მაღალ დონეზე მოემზადებინათ საკონკურსო პროგრამები. ზოგს მეტად გაუმართლა, ზოგს ნაკლებად, მაგრამ მთლიანობაში არავინ დარჩა წაგებული. თითოეულმა ნორჩმა პიანისტმა შეიძინა გამოცდილება და გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი პროფესიული დაოსტატების გზაზე. ვუსურვებთ ყველა მათგანს მომავალ წარმატებებს.



# შოპენის მუსიკის შთავითნებული კონცერტი



## თურქ ანჯათარიძე

შოპენის მუსიკამ მთელი თავისი ბრწყინვალებით კიდევ ერთხელ გაიუღერა სახელგანთქმული ქართველი პიანისტის, ჩიკაგოს დეპოლის უნივერსიტეტის პროფესორის, გრემის პრემიის ნომინანტის, საერთაშორისო კომპუსტორის ლაურეატის, საქართველოს სახალხო არტისტის ეთერ ანჯაფარიძის სოლო კონცერტზე, რომელიც 14 დეკემბერს გაიმართა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიი დიდ დარბაზში.

კონცერტი მიედლვნა ქ-ნ ეთერისათვის ძვირფასი ადამანების ხსოვნას — მამის, დიდი მომლერლის ზურაბ ანჯაფარიძის 80 წლის და მამობილის, ლეონიდ ოქლეის 85 წლისთვის. იგი საქველმოქმედო იყო. შემოსული თანხა გადაირიცხა აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებულთა ფონდში.

კონცერტის ხასითიდან გამომდინარე შერჩეული იყო პროგრამა, რომელიც გაისხანა შოპენის ლა ბემოლ მაჟორული პოლონეზით თხ. 53. ეს იყო ერთგვარი მისალმება მსმენელისადმი, რის შემდეგაც აედერდა შოპენის ყველაზე დრამატული ნაწარმოებები: სონატა №2 სი ბემოლ მინორი თხ.35 და ოთხი ბალადა - №1 თხ. 23, №2 თხ.38, №3 თხ. 47, №4 თხ.52.

ამ ნაწარმოებების განსხვავებულმა, არაქრესტომატიულმა ინტერპრეტაციამ ყველასათვის ნაცნობი და პოპულარული ნაწარმოებები ახალი რაკურსით ნაწარმოგვიდგინა; ზედაპირზე ამოატივტივა მათში ლრმად დაფარული ისეთი დეტალები, რომლებმაც შეს-

რულებას უდიდესი გამომსახველობა და ხატოვნება შესძინა.

ეთერ ანჯაფარიძე განეკუთვნება შემსრულებელთა იმ კატეგორიას, რომლებიც აზროვნებენ როგორც რეჟისორები. ის ფაქტობრივად დგამს ნაწარმოებს დრამატურგიული კონცეფციის საფუძველზე და ინდივიდუალური ინტერპრეტაციის საშუალებით მსმენელ-ამდე მოაქვს ნაწარმოების ჭეშმარიტი დედააზრი.

მისთვის დამახასიათებელია მსხვილი პლანებით აზროვნება, რაც უკეთ წარმოაჩენს ნაწარმოების ფორმას. სრულყოფილებამდე დამუშავებული საფორტეპინანტი ტექნიკა კი საშუალებას აძლევს სრულად განახორციელოს თავისი ჩანაფიქრი, აამეტყველოს ინსტრუმენტი ვერბალური გამომსახველობის დონეზე, გადმოსცეს სისხლსავს მუსიკალური სახეები და ინტონაციის უფასიშეს ნიუანსები.

გამორჩეული აღნიშვნის ლირიკა მისი ბეგრითი პალიტრი, განსაკუთრებით კი პიანო, რომელიც ხან კოსმიური იდუმიალებით უდერს, როგორც №2 სონატის სამგლოვიარო შარშის შუა ნაწილში; ხან მატერიალიზდება, როგორც ბალადების ლირიკულ თემებში, სადაც სხვადასხვა ელფერს იძენს - ზოგან სევდიანს, ზოგან ნაზ და ალერსიანს. მის პიანოში თითქმის არ იგრძნობა კლავიატურაზე ფიზიკური შეხების მომენტი და რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ბეგრა ამ მექანიკური პროცესის გარეშე იბადება. ეს დიდი ხელოვნება!

სამაყოა, რომ გამოჩენილ ქართველ პიანისტთა თანავარსკვლავედში, რომლებიც მოლვანებენ საზღვარგარეთ არის ასეთი რანგის მუსიკოსი. მან დიდი აღიარება და დაფასება მოიპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ამჟამად ცხოვრობს, ერევა საშემსრულებლო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. „ფენომენალური მუსიკოსი“, „ფანტასტიკური შერულება“, „ბეგრები“, რომლებიც ფორტეპინანდან იღვრებოდა იყო ისეთი, როგორიც მანიადე არ გვსმენია - ეს არის ამონარიდები ამერიკული პრესიდან, სადაც კარგად ჩანს რეცენზებშის აღფორთვანგალური დამოკიდებულება ეთერ ანჯაფარიძის ხელოვნებისადმი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქ-ნი ეთერი არის ასევე დიდი შედაგოგი. ეს ნათლად გამოჩენა მის მასტერ-კლასებზე, რომელიც ჩატარდა 15-21 დეკემბერს, „ეთერიანის“ კვირეულის ფარგლებში. მასში მონაზილეობდნენ თბილისის სახ. კონსერვატორიის სტუდენტები და ზ. ფალიაშვილის სახ. №1 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლები. მასტერ-კლასები დაგვირგვინდა კონცერტით, რომელმაც წარმოაჩინა ამ გაკვეთილებზე ახალგაზრდა პიანისტებისათვის მიცემული მითითებების საუცხოო შედეგი.

## მუსიკის მუსიკოლოგი სიკრე

თებერვლის მეორე ნახევარში კოვენტ გარდენის დარბაზში «Linbury Studio» შედგა ჯორჯ ბენჯამენის ოპერის *«Into the Little Hill»* - ის პრემიერა, რომელზეც მოულოდნელად, სპექტაკლის დაწყებიდან 10 წუთის შემდეგ, სინათლე ჩაქრა. 400 მაყურებელი 25 წუთი სიბრენეში მოთმინებით ელოდა სპექტაკლის განახლებას. შემდეგ კი ყველა ბუფეტში მიიწვიეს, სადაც გადაინაცვლა აგრეთვე ორმა შემსრულებელმა და 16 ორკესტრანტმა. ოპერა ბოლომდე „ჩამ-დერეს ბუფეტში, სადაც ყველას უფასო სასმელებით უმასპინძლდებოდნენ. თავშესაქცევია „იქ რა ასხივებს? ალბათ თაგვები მიირთმევენ კაბელის ბოლო ნაგლეჯებს.

## Sexvedr ebi past er nakTan



ცხოვრებაში ორ გენიოსს შევხვედრივარ: პასტერნაკს და შოსტაკოვიჩს. განსხვავებულობის მიუხედავად ისინი რაღაცაში ჰგავდნენ ერთმანეთს. ეს ეხებოდა დამოკიდებულებას შემოქმედების მიბართ. ძნელ პერიოდში, როცა მათი მოღვაწეობა მკაფრი ცენზურის ქვეშ მიმდინარეობდა, მაინც ახერხებდნენ უკომპრომისო გზით სვლას.

მოახლოებული სიკვდილის წინ ხანდაჭმული და უკვე მიმიერ შეპყრობილი პასტერნაკი თბილისს ეწვია. მისი უეცარი ჩინოვლა განპირობებული იყო მოსკოვში მაღალი რანგის ამერიკელი პოლიტიკოსის ვიზიტით, რისთვისაც პასტერნაკს მოსთხოვეს დატყოვებინა დედაქალაქი.

პასტერნაკი სად წავიდოდა, თუ არა საქართველოში, რომელთანაც შემოქმედებით იყო დავაგშირებული და სადაც მეგობრები ეგულებოდნენ. ჩამოსვლისთანავე, მეულლესათან ერთად, ტიციან ტაბიძის ოჯახს მიაშურა.

ჩვენ, ტიციანის ქალიშვილის — ნიტას მეგობრებს, საშუალება მოგვეცა გამოვცნო იგი.

სასადილო ოთახში, ცნობილ მრგვალ მაგიდასთან, სადაც საუკეთესო საზოგადოება იკრიბებოდა ხოლმე ტიციანის დროს, ჩვენც მოვკალათდით. დეიდა ნინამ, ტიციანის მეულლემ, პასტერნაკის დიდმა მეგობარმა, ოთახში შინაურულად ჩატმული, ხანდაზმული, არც თუ ისე მიმზიდველი გარეგნობის პოეტი შემოიყვანა და სუფრის თავში დასვა.

მოხდა წარმოუდგენელი რამ — როგორც კი მან ხმა ამოილო, გადაიქცა კველაზე მიმზიდველ მამაკაცად. მის გარდა უკვე აღარავინ არსებობდა, ახალგაზრდები მოჯადოებული, გაშეშებული შევცემორით, ისე, როგორც უხსენებელი აშეშებს ხოლმე თავის მსხვერპლს.

ხმა არავის ამოულია. ის კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. ეს იყო საინტერესო აზრის მთელი კასადი.

დეიდა ნინა ცდილობდა ჩვენ წარვედგინეთ მისთვის. პირადად მე ჩამაცივდა რაიმე დამეკრა ჩემი ნაწარმოებიდან. კიდევ კარგი, მეყო ჭკუა და ეს „ცოდვა“ არ ჩავიდინ.

მეორე დღეს, ისევ დეიდა ნინას წყალობით მომეცა საშუალება პასტერნაკს ჰაერზე სეირნობის დროს გავყოლოდი. სახლიდან გამოსვლისათანავე გაიმართა საუბარი, უფრო სწორად, მონოლოგი, რადგან ლაპარაკობდა მხოლოდ ის. მე კი ენა მუცელში ჩამივარდა, ხმა არ ამომილია.

სეირნობა-სეირნობით გოგებაშვილის ქუჩიდან ზოოპარკისკენ გავეშურეთ, სადაც მისი მეულლე გვიცდიდა. რა არ თქვა. მე, მხოლოდ შემიძლია ჩამოვთვალი ის საკითხები, რაც მას აღელვებდა და რის გამოც ასე გაუთავებლად ლაპარაკობდა.

პირველი აზრი ეხებოდა მის მოღვაწეობას. მითხრა: კმაყოფილი ვარ, როგორც ვიცხოვრე. რადგან გავაკეთე რაც მინდოდა და ახლა არავითარი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ დავასრულებ წუთისოფელსო.

ემსაცილი იყო, რომ დაასრულა პროზაული ნაწარმოები „დოქტორ უიგამ“. ეს ნაწარმოები მას ძალიან უყვარდა და საერთოდ, მიაჩნდა, რომ კარგი „პროზის დაწერა უფრო ძნელია, ვიდრე ლექსისა“.

შემდეგი აზრი ეხებოდა სწავლის პერიოდს, როცა ჯერ კიდევ მუსიკოსად თვლიდა თავს და სწავლობდა კონსერვატორიაში მესამე კურსამდე. მეცადინეობდა თვით სკრიაბინთან (კიდევ კარგი, რომ წინა საღამოს არ ავყვვი დეიდა ნინას წინადადებას და არ ავაუღერე მის წინ ჩემი ნაჯახირევი). მხოლოდ მესამე კურსზე იყო, როცა მიხვდა, მუსკოსად კი არა, პოეტად იყო დაბადებული.

საინტერესო აზრი გამოთქვა თავის შემოქედებაზე. მითხოვა: ახალგაზრდობაში ნორმალურ ლექსებს ვწერდი, შემდეგ შემოვიდა მოდა ლექსების „მტვრევისა“. მე მრცხვენობდა ჩემი ნორმალური ლექსებისა და მივყვევი სხვებს. დავიწყე ხელოვნურად ლექსის დამახინჯება. მხოლოდ სიკოცხლის უწყდა წერი ისე, როგორც გენერება.

სეირნობის დროს უცებ შედგა და წამოიძახა: „მარინა, მარინა“. მხედველობაში ჰყავდა მარიან ცვეტავა. თავს იდანამულებდა იმის გამო, რომ არ დააძალა მარინას საქართველოში წამოსულიყო ავადსახსნებელი ელაბუგის ნაცვლად. იგი დარწმუნებული იყო, რომ აქ, ქართველ ხალხთან, ამ შესანიშნავ ქვეყნაში ყოფნის დროს გადაურჩობდა ტრაგიკულ დასასრულს.

ბოლოს შემეცითხა: რაზე მუშაობ და რა გაქვს გეგმაში. მე რაღაც წავილულულე ბარათაშვილზე ვაპირებდი პოემის დაწერას. ძალიან გაიხარა და რაღაც-რაღაცაცები მირჩია.

ჩანაფიქრი მე განუხორციელებელი დამრჩა. სამაგი-ეროდ შემრჩა ბარათაშვილის პასტერნაკისეული თარგმანების წიგნი კეთილი სურვილებით სავსე წარწერით.

ზოოპარკში მისვლისას დიდხანს იდგა სპილოს ვოლიერთან და მერე ალნიშნა: ეს ცხოველი უფრო კარგად წარმოადგენს ინდოეთის ქვეყანას, ვიდრე ზოგიერთი დიპლომატიონ.

კიდევ ერთი სალამ გავატარეთ პასტერნაკთან, ეს მოხდა ლადო გუდიაშვილის ოჯახში, სადაც მას ძალიან თბილი შეხვედრა მოუწყვეს.

ბატონმა ლადომ და მისმა მეულლემ საზეიმოდ მორთულ ოთახში ირი დიდი სანთლებიანი სანათურებით განათებულ დიდებულ სუფრასთან მიგვიწვიეს. დაუვიწყარი საღამო გავატარეთ დიდი პოეტის პატივსაცემად მოწყობილი. პასტერნაკი ისე იყო აღლვებული მასპინძლების დიდი ყურადღებით, რომ გადაწყვიტა ლექსები წაეკითხა. ასე მოვისმინეთ თვით პოეტის სურვილით წარმოთქმული ცნობილი შედევრები. სახლიდან გამოსვლისას „ბოდიში“ მოგვისადა ამ ექსპორტი-

ს ა თ - ვის.

დადგა გამოთხოვების უამიცა მატარებლიდან პასტერნაკი ემშვიდობებ-ბოდა საქართველოს და მეგობრებს, რომლებ-საც მიმართა: სახლ-ში დაბრუნებისას გარგად დაათვალიერეთ მთაბ-ლიერები, მე ნამ-დვილად იქ დავრჩიო.

## st anisl av nei hauzi

პენრის წევაუზის სკოლის ერთ-ერთი გამოჩე-  
ნილი წარმოშადგენელი, მისი შვილი — სტანისლა-  
ვი ნატიფი გეორგიების, ფაქიზი, პოეტური სტილის  
მაღალი რანგის პიანისტი ცხოვრებაში ასევე ფაქიზი  
და არისტოკრატული ბუნების ადამიანი იყო.

მასზე, როგორც ბრწყინვალე პიანისტზე, დიდ  
მუსიკოსზე და შესანიშნავ პედაგოგზე, ბევრი თქმულა-  
და დაწერილა, მე, მხოლოდ მის ყოფით, ცხოვრებ-  
ისეულ თვისებებზე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა,  
რადგან მქონდა ბედნიერება ეს დიდი პიროვნება ახ-  
ლოს გამეცნ და მეტეგმობრა კიდევ მასთა.

პირველად ტიციანის ოჯახში შევხვდი სტანისლავს.  
როგორც მუსიკოსს, ერთგვარი „გამოცდა“ მომიწყო;  
შემომთავაზი თოხ ხელი ფურცლიდან დაგვეკამ-  
ჩაიკოცეს „რომეო და ჯულიეტას“. დაკვირის დამ-  
თავრების შემდეგ მომიყვა, რომ თურმე მისი მშო-  
ბლები ხშირად ასრულებდნენ ამ ნაწარმოებს სახლში.  
პატარა სტანისლავმა პირველი მელოდია, რომელიც  
ფორტეპიაზოზე ააწყო, „რომეო და ჯულიეტას“ მთა-  
ვარი თემა იყო. ამ შესრულების შემდეგ დაიწყო ჩვენი  
მეგობრობა. მე სახლში პეტერბურგიდან ჩამოტანილი  
საუკეთესო ბეზტეინი შედგა, როცა სტანისლავმა  
გასიძვა, ძალიან მეტონა, ამის შემდეგ თბილისში  
ჩამოსვლისას უკვე ჩვენთან ჩერდებოდა.

საოცარი პიროვნება იყო სტანისლავი. ბრწყინ-  
ვალე პიანისტი, ყოველთვის გარშემორტყმული მეგო-  
ბრებით, თაყვანის მცემლებით, მოწაფებით ცხოვრე-  
ბაში მეტად ჩვენი და გულჩათხრობილი. საუბარი  
არ უყვარდა, მაგრამ ყველაფრის აზრზე იყო, ხალხს  
სალად აფასებდა და შეუმიჩეველი არაფერი რჩებოდა,  
როგორც მუსიკოსებს სჩვენიათ — უყვარდა სიჩუმე.  
ერთხელ რადიოდან შემანის საუკეთესო საფორტეპი-  
ანო პიესების გადაცემა მიმდინარეობდა. ვკითხე: —  
ნუთუ ასეთ მუსიკა არ სჯობია სიჩუმეს? — მიპა-  
სუხა: — ესეც სიჩუმეაო.

ლაბარაკი არ უყვარდა, განსაუთრებით თავის  
თავზე. მიკვირდა, როცა ამ წესს ჩემთან არღვევდა  
და ბევრს შიკვებოდა თავის ცხოვრებაზე. მასივეს,  
პერედელეკინოში ერთ სალამოს დაწყო თავის ამ-  
ბების გახსენება და გვიან ლამემდე მთელი თავისი  
ბიოგრაფია გადამიშალა.

პატარაობიდანვე ტრავმირებული ყოფილა, როცა  
დედამ ოჯახი მიატყვა და პასტერნაკს გაჟიყა ცოლად.  
დედამ პატარა 5 წლის სტანისლავი თან წაიყვანა.  
ბავშვები მძიმედ განიცადა ოჯახის ნიგვევა და საყვა-  
რელ დედისთვის დიდხანს სიტყვა „დედა“ არ უთქვამს.  
თუმცა მისი მომბილი, გენიალური პოეტი პასტერნა-  
კი, უბრნწყინვალესი პიროვნება, ძალიან უყვარდა.

საოცრად როული ცხოვრება გაიარა სტანისლავმა,  
უამრავი სიძნელის გადალახვით შესძლო მიეღწია იმ  
სიმაღლისთვის, რითაც რუსული პიანისტური სკოლის  
ერთ-ერთი საუკეთესო ნარმობად გახდა.

არ ვიცი, რითი დავიმისახურე ასეთი ადამიანური  
ნდობა. ვამჩნევდა, რომ სურდა რაღაცნიად გამო-  
ეხატა თავისი თბილი დამოკიდებულება და მასხოვეს  
ერთ-ერთი კონცერტის ჰორგარაში შოპენის „ნანას“  
შესრულება მომიძღვნა. შემომთავაზა, რომ ჩვენი „ფან-  
ტაზია“ შეესრულებინა. ამის წება მე არ მიეცი, არ  
მინდოდა შემეწევებინა, თუმცალა სიამოვნებით მოვ-  
ისმენდი სანტერესო ინტერპრეტაციის. მაგრამ ამას  
მაღლობის გადახდის იერი ექნებოდა. ეს კი მე არ  
მინდოდა. მთხოვდა წერილები მიმეწერა ხოლმე,  
თუმცა გამაფრთხილა, რომ თვითონ არ შიპასუხებდა.  
მეც ვასრულებდი მის თხოვნას და დორდადარ ვნ-  
ერდი აქაურ აშშებს. მოსკოვში ყოველი სასვლისას  
სიურპროიზებით მხვდებოდა. ასე, ერთხელ რისტერის  
კონცერტზე წაიყვანა. სასაფლაოზეც ვიყავით, მაყ-  
იდინა ყვავილები და პენრიხის საფლავზე მიმიყვანა.  
გზაზე სკრიაპნის საფლავთან გავჩერდით. აგარაგზე,  
პერედელეკინოში ხშირად მპატიუსებდა, მიწვევდა საინ-  
ტერესო ხალხს, შლიდა მაგიდას და მთელი გულით  
მიმასპინძლდებოდა.

მისი ოჯახის სხვა წევრებიც იმსახურებდნენ მაღალ  
შეფასებას. არაფერი რომ არა ვთქვათ სტანისლავის

მამობილზე, გენიალურ პოეტზე, ბორის  
პასტერნაკზე, რომელთანაც შეხვედრები  
ჩემთვის მინიშნელოვანია, მაგრამ ეს  
სხვა თემაა. იჯახში განსაკუთრებით  
გამოირჩეოდა სტანისლავის უმ-  
ცოლის ძმა — მოსიყვარულე,  
თბილი ბუნების ახალგაზრდა  
— ლეონიდ პასტერნაკი. ის და  
მისი მეულე ნატაშა ჩვენი ახ-  
ლობლები გახდენ. პერედელ-  
კინოში უფროსების შემდეგ  
პირველი და განსაკუთრებითი  
ადგილი მაინც სტანისლავს  
ეკუთვნოდა და ამიტომ ყველა  
მას ეთავგანებოდა.

სტანისლავი ლამაზი გარე-  
გნობით გამოირჩეოდა და იგი  
მუდმივი თაყვანის მცემლებით  
იყო გარემოცული. სასაცილომ-  
დეც კი მიდიოდა მათი ქცევა.  
დილიდანვე მოეშურებოდენ  
პასტერნაკის ცნობილ აგარა-  
კისკენ. შემოდიოდნენ მოსაცდელ  
ოთახში და საათობით ისხდნენ  
ერთი სურვილით შეყყრობილი —  
როგორმე თვალი შეველოთ სტან-  
ისლავისთვის, მათი კერძოისთვის, ისიც,  
რომელიც ჩვენი იუმორით გამოირჩეოდა,  
„ავტოფილებდა“ შათ სურვილს და დილით, პი-  
უამოში გამოწყობილი, ლამაზი პირსახოცით მხარზე  
გადადებული, ნელი ნაბიჯით მედიდურად მიაბიჯებ-  
და... აბაზანისაკენ.

ახლოს გაცინებისას, მიკვირდა: სტანისლავი, რო-  
მელიც მაინცდამინც არ გამოირჩეოდა ეროტიზმით, რო-  
გორ იზიდავდა ქალებს — მის თაყვანის მცემლებს ამაზე  
ფიქრის დროს დაბებადა ერთი აზრი, იგი ხომ აგარაგზე  
ცხოვრობდა, ტყეში. სხვათა შორის, საწოლი კიბის ქვეშ  
ქვეწოდა. ტყეშიცა ყოფილი და სულ სჭირდ-  
ებოდა ვილაცა ყოფილიყო, რომელიც მის გვერდით  
იქნებოდა და იზუნებდა მასზე. ამიტომაც ეს ქალები  
პერმანენტულად, რიგორიგობით მოდიოდნენ (თუმცა ამ  
ვაკანტურ ადგილს ერთმანეთს არ ეცილებოდნენ).

ბოლო დროს, როცა მოსკოვში კომპოზიტორთა  
შემოქმედებით პლენუმზე ჩავედი, კვლავ ვესტურე  
სტანისლავს პერედელკინოში. თან ჩვენი კოლეგა —  
მზია დიაკვინიშვილი, წაიყვანება, რომელიც ჩემთან  
ერთად იყო სასტუმროში. ვიყიდეთ ტკბილეული და  
ტაქსით მივაძეებთ პასტერნაკის სახელგამისტმულ  
აგარაკს. იქ იყდევ ერთი ბოლო თაყვანის მცემელი  
დაგვხვდა — ფრანგი პაიანისტი — ბრიჯიტ ანჯერი, მისი მოსწავლე, რომელიც ჩამოსვლისთანავე, რა თქმა  
უნდა, მაშინვე მის თაყვანის მცემელთა რიგში მო-  
ვდა. სტანისლავს ძალიან გაუხარდა ჩვენი სტუმრობა. მე  
ძალიან მოტეხილი მეტვენა. იმ დღეს მოვინდომე  
პასტერნაკის საფლავზე გასვლა (იქვე იყო სოფელ-  
ში დაკრძალული) და ყველანი ფეხით გავეშურეთ.  
გზაზე მე და ბრიჯიტი დაგვინურდით, ვესაუბრე  
სტანისლავის ჯამბრთელობაზე, რომელიც შეხვედრული  
მომენტის და შევთავაზე წაიყვანა თან საფლანგებზე,  
რომ უკეთ მოველო მისთვის. მან უარით მიპასუხა. იქ  
მისი მოსწავლე, რომ ამ ქალის წასვლის შემდეგ და  
გამოდიოდა, რომ ამ ქალის წასვლის შემდეგ ისევ  
მარტო, მოვალელი უნდა დარჩენილიყო ამ ტყეში.  
რამდენიმე თვეში (იანვარში) სტანისლავი უცროდა (53  
წლის ასაკში) გარდაიცვალა. დამთავრდა ამ ბრნწყინ-  
ვალე პიროვნების ხანმოკლე.

ჩემი ბოლო ვიზიტის დასასრულს არაჩვეუ-  
ლებრივად თბილად და მინიშნელოვანი ხაზგასმით  
დამემშვიდობა, თითქოს გრძნობდა, რომ ეს ჩვენი  
ბოლო შეხვედრა იყო. სავაირველია, ადამიანი თითქ-  
მის ყოველთვის გრძნობს დასასრულის მოახლოებას.  
ასე წავიდა ჩვენგან ეს დიდებული ადამიანი, დააკ-  
ლდა მუსიკას, პაიანისტის კომპოზიტას, ახალგაზრდო-  
ბას, რომლის უბადლო აღმზრდელი იყო, მის ახლო-  
ბლებს, მეგობრებს, თაყვანის მცემელებს ეს ნიჭიერი,  
მაღალი რანგის მუსიკოსი, ბრწყინვალე ბალენტინი.



# მუსიკა

## მუსიკა და მხატვრობა

### ზურაბ მემარიაშვილი

#### ტრ ჭრილი რემარქი

##### შეხვედრები სულხან ციცაძისთან

მოსკოვში ყოფნისას ბატონშა სულხანმა და მე მოვილაპარაკეთ, რომ შევხვდებოდით პუშკინის მუზეუმში, საგანგებოდ რენუარის სანახავად. მისი სურვილი იყო მაინცდამაინც „მადამ სამარის პორტრეტის“ ნახვა და მაინცდამაინც ჩემთან ერთად. ეს ამბავი ჩემთვის დღესაც საგულისხმოა. იმ დროისათვის (ეს იყო 50 წლის წინ — ზ. მ.) სულხანი უკვე სახელმოხვეჭილი კომპოზიტორი იყო. პირველად მას შევხვდი ფილმის — „ჩრდილი გზაზე“ გადაღებისას, სადაც ორთვე მიგვიწვა რეჟისორმა დავით რონდელმა, ის — როგორც კომპოზიტორი, მე — როგორც მხატვარი. მთავრობის თანახეთში ცხენებზე ამხედრებული ვათვალიურებდით „ნატურას“ (ასე ენოდებოდა ადგილების შერჩევას — ზ. მ.). ჩემი მოგონება ნაწყვეტებად იჯანტება, იმის მიხედვით, რაც მახსენდება წყვეტილად... ისევ „ნატურა“ მთებში...

ჩევნთან, სამხატვრო აგადებიაში, ხშირად „იდგა“ ნატურა. „იდგმებოდა“, ან შიშველი ან ჩატმული. „იდგა“ როგორც ნივთი, რათა აღგვექვა ნატურა ნატურალისტურად, როგორიც იყო მისი ბუნება. რა თქმა უნდა, ოთხუთხა ქალალზე უნდა მიგვეგნო პროპორციებისათვის და მიგველნია კომპოზიციის განლაგებისათვის. ამ ნატურაში შეიძლებოდა ბევრი რამ საიდუმლო აღმოგეჩინა.


\*

„თამარ ქალო, ქვეყნის თვალო, რა ლამაზი რამა ხარო“ — ეს სიმღერა პირდაპირ იყო მიმართული ბრწყინვალე დედოფლისადმი, ქვეყნის თვალისავენ. იმ დროის, იმავ წუთის ცოცხლად თანამავალი გალობა, ბერა, ინტონაცია, საოცრება, დღესაც გვესმის და გვხიბლავს, თუ როგორ უგალობდნენ ცოცხალ დედოფლალს.

იგივე შეიძლება ითქვას კიდევ უფრო ძველ ბევრად უფრო ძველ, საკრალურ, ალბათ ისტორიულ ნარსულში, უხსოვარ დროში ჩაკარგულ და მუდამ მარადიულ „ნანა“ — „ნანინა ნანზე“, რომელიც ყველა ქართველურ ენაშია შემორჩენილი (მეგრულში, სვანურში...).



სულხან ციცაძი



##### ო. რუსარი — შეან სამარის პორტრეტი

უხსოვარი დროიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში იძერიულ-კოლხურ ან კოლხურ-იბერიულ არსებობას ბევრი ევროპელი მეცნიერი ადასტურებს. მათი თეორიიდან გამომდინარე, როგორ გვესახება, იყო თუ არა „ნანა“ ქალმერთი?

\*\*\*

ბატონ სულხანს გავუმხილე, რაც მაწუხებდა. შევკითხე: რატომ გამოიყენა ჩაიკოვსკიმ „მაკატუნაში“ „იავნანა“ და რატომ გადაისროლა იგი არაბეთში, როდესაც არაბეთში არაფერი საერთო არ მოეძებნება და კითხვას თვითონვე ვუპასუხე: ალბათ, აილო უკვე არსებული მელოდია (მედველობაში მაქსე არაბესკი თანец) როგორც ნატურა, ისე როგორც ჩევნენ, მხატვრები, ვიყენებთ უკვე არსებულ „ნატურას“ და გადმოგვაქვს ტილოზე ან ქალალზე, რის შემდეგაც, სურვილისდა მიხედვით, ან გარდავემნით, ან ვტოვებთ როგორიც იყო. ისეთმა დიდმა კომპოზიტორმა, როგორიც იყო პეტრე ჩაიკოვსკი, „იავნანა“ დატოვა ისე, როგორიც იყო, თუმცა იტალიაში ყოფნისას თუკი უცვლელად გადმოჰქონდა იტალიური მუსიკალური საწყისი, საფრანგეთში ყოფნიას ფრანგული, მათ თავის სახელს არქმევდა (მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაითავისა), „იავნანას“ შემთხვევაში კი ასე არ მოიქცა.

\*\*\*

რენუარის პორტრეტები (შეიძლება ითქვას, ნატურაა, დავარქვათ ნატურა, რომ გაგვიადვილდეს გაება, რაზეც ვსაუბრობთ)? — შემეცითხა ბატონი სულხანი. დიახ, — ვუპასუხე — „იმპრესია“ შთაბეჭდილება პირდაპირ გადმოაქვს ტილოზე ნატურიდან, რასაც გრძნობს. და უცებ გამიელვა აზრმა, რატონმ მეკითხება ამას? (მე მგონი, სულხანიც იმპრესიონისტი გახლდა) მას პირდაპირ გადმოჰქონდა ხალხური „ნატურალური“ მელოდიები. პირდაპირ? — მოდით, სათქმელი რომ გაგვიადვილდეს, ამასაც დავარქვათ ნატურიდან გადმოტანა. თუმცა საკმაოდ რთული. ვთქვათ ასე: შეიძლება თუ არა მუსიკალური ბერა

გაუტოლდეს ფერს. პეტრინის თქმით, არსებობს სამება ანუ სამი ძირითადი ხმა. მოძახილი ჟირი და ბაზი. და თუ ერთი მათგანი მაინც აკლდება, მაშინ მთელი არ შედგება.

ყოველ ფერს და მათ შორის თეთრსაც აქვს თავისი თბილი და თავისი ცივი. როდესაც თბილი მოდის, მაშინ ცივი მიდის, ფერწერის თვისებაა. ეს არა მარტო ფერის, არამედ ბერის თვისებაცაა. სულხანი მშვენივრად გრძნობდა — რომელი ინსტრუმენტი როდის გამოსცემდა ამ საიდუმლოს.

დღეს სამი ძირითადი ფერი განვრცობილია — როგორც რუსთველი იტყოდა — „უთვალავითა ფერითა“. პეტრინის სამება დღეს უკიდეგანო სივრცეში უდერს. ესეც მშვენივრად იცოდა სულხანმა, რაც იმპრესიონისტებმა შემოიტანეს. დავუმატებდი, რომ ყოველ წითელს აქვს თავისი ცივი და თბილი, ასევე ზუსტად ყოველ ყვითელს, ყოველ მწვანეს, ლურჯს და ასე შემდეგა.

რეზუარი პკრებს სივრცეში გაფანტულ უთვალავ ფერთა სიმრავლეს, გრძნობისა და აზროვნების ძალით ხელმეორედ ბაღებს „ნატურას“, ოღონდ უკვე სხვა სამყაროში. სეზანმა მარადიული გახადა წუთიერი „შთაბეჭდილება“, შექმნა „მიმეზისი“. „მიმეზისი“ სულაც არ ნიშნავს მიბაძვას, არამედ ეს არის მიღწევა მიუწვდომელისა და უხილავის. იგი თავისივე თავის შინაარსია, ვთქვათ ასე: რა შინაარსი უნდა პქონდეს ნატიურმორტს, მაგალითად, მსხალს და ვაშლს? იგი თავისავე თავის შინაარსია. ალბათ, ამას პქინია მიმეზისი. წამიერი განცდა, შთაბეჭდილება, შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ აბსტრაქტორით, როგორც პლატონი ამბობს, — მუსიკა არის ხელოვნება ხელოვნებათა შორის, რომელსაც შეუძლია აბსტრაქცია აბსტრაქციის საშუალებით. შექმნას ასე-თი აღმატებული მუსიკა, თვითონ არის აბსტრაქცია.

ფერწერაში ყოველ ფერს თავისი მონინააღმდეგე განსხვავებული კონტრასტი ახლავს. ასე-ვეა, აღბათ, მუსიკა-შიც და ეს საიდუმლო მხოლოდ კომპოზიტორმა შეიძლება შეიგრძ-



ზშრაბ მემბარიაშვილი „აპტორორტეტი“

ნოს რამდენი რამ უხილავი არის ჩადებული სიმებიან ორკესტრში.

სულხანს „პირდაპირ“ გადმოჰქოდა ხალხური პანგები, ისე როგორც ჩაიკოვსკი გამოიტანა „იავნანა“, თუმცა მათ შორის განსხვავება დიდია. რადგან სულხანი ფერთა სიმრავლით ამდიდრებდა, რა თქმა უნდა, ისედაც მდიდარ ხალხურ საუნჯეს ხალხურ შემოქმედებას, უმატებდა „იმპრესიას“, ახლადაღმოჩენილ კონტრასტებს. ურთიერთშორის შეთანხმებული შეკრებილ კონტრასტების სახით კი ქმნიდა ფერწერულ სინათლეს.

სულხანის კვარტეტის ყოველ ხმაში ძევს ეს შეფარული, მხოლოდ კომპოზიტორისათვის მისაწვდომი რამ. გაგტედავ და ვიტყვი — ფსალმუნიდან „გამინათე თვალნი ჩემი გონებისანი ყურად იღე გაღლობანი, გულისხმისანი“. ამ შემთხვევაში კომპოზიტორი უსმენს თვალით,

ხედავს ყურით, აღიქვამს გონებით იგივეა ფერწერაშიც: ყოველი შეზავებული კონტრასტი იკრიბება მთლიან ნათელში.

ამიტომ უსმენდა სულხანი რეზუარს, ჩემი აზრით, ისიც იმპრესიონისტი იყო.



ზშრაბ მემბარიაშვილი „ლირის აღზებება“ ეძღვნება შერნალ „მუსიკას“

# ლიანე უახოვაძე

მანანა კორძაია



კლასიკური მუსიკის რომელიმე შემსრულებელზე თუ შეიძლება ითქვას, რომ არა მხოლოდ მუსიკალური სამყარო, არამედ მთელი საქართველო იცნობს და უყვარსო, ეს ლიანა ისაკაძეზე ითქმის. ეს ყოველთვის იგრძნობოდა ჩვენში, მაგრამ წინა საახალწლო დღეებში, თითქოს განგებ, რამდენიმე ფაქტმა განსაკუთრებით დამაფიქრა ამაზე.

ბოსტნეულის საყიდლად გავედი. მოგეხსენებათ, ახლა ასეთი დახლები ყოველ კუთხეში აქვთ გაშლილი, მით უმეტეს, დღესასწაულების წინ. ასეა ჩემს სახლთანაც, სადაც ერთი სანდომიანი ქალი ვაჭრობს. ვიღაცას ალგზნებული ელაპარაკებოდა. რომ მივუალოვდი, მესმის: — გამომიხვედი შენც ლიანა ისაკაძე, რომ შენ ხელებს მოვუფრთხილდე, უცებ „სკრიპტა“ არ დაიჭირო ხელშიო. გავოცდი! ისე გამისარდა, უხვად ვიყიდე ის მწვანილიც, რომელიც სრულიად არ ჭირდებოდა...

26 დეკემბერს ლიანა ისაკაძის კონცერტი უნდა ყოფილიყო მუსიკალურ ცენტრში ალმაშენებელზე. მაგრამ პრობლემა გაჩნდა... ირმა ნიორაძის პარგისა და „პუანტების“ არ იყოს, არც ლიანას პარგი ჩამოვიდა და საკონცერტო კოსტუმი და ნოტებიც იქ დარჩა. ამიტომ კონცერტი გადაიდო. სალაროსთან ბათუმელი ახალგაზრდა ყმაწვილი ლაშა იდგა, აგრარული უნივერსიტეტის მელიორაციის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც საშინალად წუხდა ამ ფაქტის გამო. დავამშვიდე, 29-ში ნამდვილად ჩატარდება-მეთქი. სწორედ ეს მანუხებსო, — მიპასუხა სევდიანი ღიმილით. — საახალწლოდ სახლში რომ არ ჩავიდე, შეუძლებელია. ისაკაძის მოსმენაზე კი ვოცნებობდი. 7 წლის ასაკში მისი ხათრით შევედი ვიოლინოზე და რამდენიმე წლი სწორედ მისი ხათრით გავუძღვიო...

სალამოს, ლიანას კონცერტის წინ მეგობარს უნდა შევხვედროდი, ერთი ცნობილი მუსიკოსი კი თავის დედას ელოდა. მითხრა, დედაჩემი მევედრა, ბილეთი აუცილებლად უნდა მიშოვოო. მრავალი წლის წინ ყოველთვის დავდიოდი ლიანას სამობაო კონცერტებზე, კარგად მქონდა „დაცდილი“, მერე ყველაფერი კარგად მიდიოდა. ახლაც უნდა წამოვიდე, იქნებრამე გვეშველოს...

ცხადია, ეს ხუმრობა იყო, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველა ხუმრობაში სიმართლე ჩანს...

მუსიკოსებმაც ერთგვარ გამოწვევად მიიღეს ლიანას არჩევანი, დაეკრა ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტი, რომელიც თავისი დიდი ფორმისა და თავპრუდამსვევი ტემპის გამო, გასაოცარ ენერგიას მოითხოვს შემსრულებლისაგან. აქ ყველაზე ნათლად გამოჩნდებოდა, ხომ არ დაამჩნიეს წლებმა თავისი დაღი ამ უდიდესი მუსიკოსის, სავიოლინო ხელოვნების დიდოსტატის გამორჩეულ ტემპერამენტულ-ემოციურ მუტტს.

მაგრამ ბეგრის სიხასხასემ, ფრაზირების ახალგაზრდულმა სილადემ, მუსიკის ტემპობრივმა დაუკებელმა, წინსწრაფმა დინებამ, განსაკუთრებით ფინალში, ისეთი ემოციური მუსტის ქვეშ მოაქცია მსმენელი, რომ შეუძლებელი აღმოჩნდა კონცერტის ბოლოს თავის დახსნა აუდიტორიის „მარწმუხებისაგან“ და ბისირების მოთხოვნის შეუჩერებელი შეძახილების ფონზე, კვლავ გაისმა კონცერტის ნელი ნაწილი. მაგრამ ვერც ამან დაამშვიდა აღფორთვანებული მსმენელი, რომელიც დაშლას არ აპირებდა...

ბედნიერებაა, როცა შემსრულებელი ყოფაშიც ისეთ დადებით ემოციებს იწვევს, როგორც საკონცერტო ესტრადაზე...

სიკეთეს აფრენებს ლიანას ღიმილი სცენიდან და გამოჩენისთანავე იპყრობს მსმენელს. შემდგომ ეს კეთილი, უშუალო ღიმილი უკვე მუსიკაში ისმის და ადამიანს ბენდიერების გრძნობა ეუფლება.

იმიტომ უყვარს ლიანა ისაკაძე ყველას, რომ უკიდურესად დრამატულ მუსკაშიც კი პოულობს სინათლის ნაპერნკალს და უტოვებს მსმენელს იმედს, რომელიც ასე აუცილებელია ადამიანისთვის ყოველთვის, ჩვენთვის კი განსაკუთრებით დღეს.

P.S. მომიტევონ დირიჟორმა ნიკა მემანიშვილმა და ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიურმა ორკესტრმა. ეს კონცერტის რეცენზირების მიზნით არ დამიწერია, ლიანას ფენომენმა დამაფიქრა...

## ქართველი მუსიკოსები საზღვარგარეთ

# „სუდეტის გრანდიუსონიზმი“

„საუკუნის გრანდიოზული მევიოლინე“ - ასეთი სათაურით, ახლახან, გერმანიის ერთ-ერთმა წამყვანმა გაზეოთმა „Süddeutsche Zeitung“-მა მთელ გვერდზე მოათავსა ლიანა ისაკაძის პორტრეტი.

ლიანა ისაკაძე მსოფლიოს ყველა გამოცემაშია შეყვანილი, სადაც საუკუნის საუკეთესო მევიოლინეების შეოქმედება განიხილება. მათ შორის აღსანიშნავია კემპრიჯის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ცენტრის ენციკლოპედია XX საუკუნის 2000 საუკეთესო მუსიკოსი .

ამჟერად, „Süddeutsche Zeitung“ ის მუსიკალურმა რედაქციამ გამოაქვეყნა დისკების კრებული - „საუკუნის მევიოლინე“, სადაც შესულია 20 დიდი ვირტუოზი მევიოლინე.

ამ გამოცემას არა აქვს პრეტენზია წარმოადგინოს საუკუნის ყველა გამოჩენილი მევიოლინე. მათი არჩევის კრიტერიუმად გამოყენებულია გამოჩენილი მუსიკოსის გიდონ კრემერის გამოთქმა მევიოლინეს თვითმყოფადობის განსაზღვრის თავისებურების შესახებ. კერძოდ: ეს ის მუსიკოსებია, რომლებიც სულ რამდენიმე ტაქტის მოსმენის შემდეგ გამოიცნობიან — ბერის ულერადობის, შესრულების თავისებურების და მუსიკისადმი დამოკიდებულების მიხედვით.

გასულმა საუკუნემ გასაოცრად მრავალფეროვანი, კრემერის გამოთქმით „საიდნტიფიკაციო მევიოლინეები“ წარმოაჩინა და სწორედ ეს დაუვინყარი, თავისებური მევიოლინეებია წარმოდგენილი კრე-

ბულში - „საუკუნის მევიოლინე“. მათ შირის არიან: ლიანა ისაკაძე, მაქსიმ ვენგროვი, პინჩას ცუკერმანი, ჟანეტ ნოვე, ჟაკ ტიბო, არტურ გრუმიო, ზინო ფრანგისკატი, ადოლფ ბუში, იოზეფ სიგეტი, მაიკლ რაბინი, ეფრემ ციმბალისტი და სხვ.

გაზეთი აღნიშნავს, რომ კრებულში ქართველი მევიოლინე ასრულებს რაველის სონატას, რომელიც გამოირჩევა პოეტური წვდომით, მუსიკალური აზროვნების სრულყოფილებით და როგორც ყოველთვის - აბსოლუტური მუსიკალობით.

ინფორმაცია მოამზადა მანანა დავითაშვილმა

**Süddeutsche Zeitung Klassik**  
Eine Sonderveröffentlichung der Süddeutschen Zeitung

Die gefeierte CD-Edition  
**Jahrhundert Geiger**  
wird fortgesetzt

**Ein Reigen grandioser Geiger**

von Harald Eggelbrecht

**D**ie Jahrhundertgeiger Götz Klemm schreibt, das schmalen Mandolinenkasten, auch wenige Takte später, „die weite Aussicht auf die Welt“ und „die unvergleichliche Eleganz des Klanges“. Ein Zitat aus dem ersten Band des „Jahrhunderts“ ist eine Wiederaufnahme aus berührt Jahrzehnten. „Viele Kritiker schreiben über „akademische“ herausragende Violinisten, persönlich, aber ohne Bezug auf die Szäferten.“ Das ist ein großer Unterschied zu den anderen Autoren, die Autoren-Gespräche mit den Zuhörern führen. „Die Autoren“ sind hier nicht nur historisch rezipiert und

Maxim Vengerov spielt Haydn  
Joseph Hassel spielt Achiles, Edgar, Sarasade  
Zino Francescatti spielt Salot-Safis  
Christian Ferras spielt Malfred  
Ettore Zehnfeld spielt Jules  
Jacques Thibaud spielt Janosik  
Lennart August spielt Wimarski  
Liana Isakadze spielt Bach  
Mischa Elman spielt Dances, Marsinet, Wagner

CD I  
CD II  
CD III  
CD IV  
CD V

Bestellen Sie am besten noch heute!  
Per Post:  
Süddeutsche Zeitung Klassik  
Bestell- und Kundenservice  
Postfach 27 14  
8020 München  
Im Internet: [www.sz-shop.de](http://www.sz-shop.de)  
Per Telefon: 089 - 26 21 67  
Per Fax: 089 - 26 21 68

www.schallplatten-sz.de

WIR SCHAFFEN MUSIK

WIR SCHAFFEN MUSIK

Bei aller äußerst engagierten Disziplin die die Geigerin Liana Isakadze, links im Bild, in ihrem Element ist, kann sie ebenso feinfühlend, energiegeladen und voller Leidenschaft spielen. Einzigartig ist jedoch die Kombination aus diesen drei Eigenschaften. Michael Rabin, rechts im Bild, ist ebenfalls ein Meister der Violoncello, aber er ist ebenso ein Meister der Pianistischen Improvisation, insbesondere der Majorat-Gitarre, wie es kein Zweiter kann.

სურათი გერმანიის ერთ — ერთ მთავარ გაზეოთ „Süddeutsche Zeitung“ -ის (18.10.08) - ის ნომრიდან. გვერდი ეძღვნება დისკების ალბომს „საუკუნის 20 მევიოლინე“.



## ოთარ გორდელი

### გულპათ ტორაძე

თვალსაჩინო კომპოზიტორს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ოთარ გორდელს (1928-1994) 80 წელი შეუსრულდებოდა.

მე, როგორც მის თანაკლასელსა და მეგობარს, მსურს გავუზიარო მკითხველს სევდანარევი მოგონებები ამ ნიჭიერი კომპოზიტორისა და მომხიბლავი პიროვნების შესახებ, მოკლედ გავადევნო თვალი მის ცხოვრებასა და შემოქმედებით გზას.

ოთარი დაიბადა მაღალულტურულ ოჯახში (დედამისი, ქალბატონი ნადია ბუზოლი თბილისის კონსერვატორიის პროფესორი იყო), სწავლობდა შესანიშნავ პედაგოგებთან: პროფ. იონა ტუსიასთან (კომპოზიცია) და პროფ. ანასტასია ვირსალაძესთან (ფორტეპიანო). თბილისში სწავლის დამთავრების შემდეგ გაიარა ასპირანტურის კურსი მოსკოვს კონსერვატორიაში პროფ. სერგი ბოგატირიოვის ხელმძღვანელობით.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე (1959) მუშაობას იწყებს თბილისის კონსერვატორიში, სადაც ასწავლის პოლიფონის საგანს (პროფესორი). პარალელურად იგი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ოცი წლის მანძილზე (1967-1987) სათავეში ედგა საქართველოს მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ საზოგადოებას, ხოლო 1968-73 წლებში იყო კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, დიდი წნის მანძილზე ზ. ფალიაშვილის სახელმწიფო სახლ-მუზეუმის დირექტორი განდათ.

შემოქმედებითი მოღვაწეობა ოთარმა თბილისის კონსერვატორიაში სწავლის დროს დაიწყო. მასხოვეს მისი პირველი საკომპოზიტორო ცდები — საფორტეპიანო პიესები, რომელთაც ოვითონ ასრულებდა.

1949 წელს, ჯერ კადევ სტუდენტობის პერიოდში, იგი ქმნის დიდი ფორმის ნაწარმოებს — საფორტეპიანო კვინტეტს, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მხატვრული მიმზიდველობა. მომდევნო წლებში შექმნა სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებსაც მსმენელთა მოწოდება ხვდათ წილად. მათ შორის გამოირჩევა კონცერტები ფორტეპიანოსათვის (1952) და, განსაკუთრებით, ფლეიტისათვის (1958), რომელსაც ასრულებდნენ ცნობილი ფლეიტისტები და პედაგოგიურ რეპერტუარშიც შევიდა. მნიშვნელოვნი ნაწარმოებია ვოკალურ-სიმფონიური პოემა „რაზედ ბუტბუტებს მტკვარი“, „ახალგაზრდული უვერტიურა“ ორკესტრი-სათვის. გორდელს ეკუთვნის აგრეთვე ორი ოპერეტა, პოპულარული „ვალსი“ და „ქართული“ სიმფონიური ორკესტრისათვის, საესტრადო სიმღერები („წუხელ სიზმარში გნახე“) და ა. შ.

ოთარ გორდელი შესანიშნავი პიროვნული თვისებებით გამოირჩეოდა. იგი კეთილმოსურნე, გულლია, ღმილიანი კაცი გახლდათ, მასთან ურთიერთობა მუდამ ძალზე სასიამოვნო და სახალისო იყო.

ასეთად დარჩა იგი ჩემს მეხსიერებაში.

ოთარ გორდელის სახელი ჩანერილია ქართული მუსიკის მატიანეში.

„శ్రీకమల, దండువెళ్లి దాయిత్వ లోకానుభూతిలే...“

საუკინეთ შემორჩენის ამჟამ მახლენდობა  
მთავრის შემოვრიცებითაა. მახლენდობა ჯერ ყოფილ  
სამყოფო ათწილის მიერთ წარმოიშვილი იყო. რომელიც ა  
სრული გად ნორჩი მთავრი სამყოფო თავურებიში თა-  
ვის ნაწილში არის ეს ქანონის დოკუ-  
მენტი აუქსელი გაუყის ხელშეღავა-  
შით. მახლენდობა ის არის გად მიმდევად დოკუ-  
მენტის უქა. რომელიც წილად ხდება მთავრის  
საფუძვლების უზრუნველყოფის შე-  
სრული გად ხდება და მას და-  
და.

ოთარი არის ზოგადი  
თბერი ის თავისი ს-  
თავაცნების უჯაბში,  
სადაც თავს კურიტნის  
წარითეცე ყუც-ფურის  
მარმარილი. ივნ კუმ სო-  
ჭრიალ მოყრიძეცებული.  
ყალიბისად ერთი შო-  
ბერი და მართაცე  
შენაგანი ყუც-ფურის  
მქონე აღმანისი, ყდრე-  
ს პიროვნებაში. ჩილგარის  
პირველი მონაცემის  
შემთხვევაში მალ-  
ეზი მალე ვიცე-  
ფიციური, ყალიბი-  
სად ვანათ ჟაცულ  
მყიდვის კუმ. მყიდვის  
ჩილეც მას წარითე-  
მყიდვის აღმანის შესჩე.

## დედასთან – ნადევდა აბაშიძე- გურგელისთან ურთად



# ქართული მუსიკა საზღვარგარეთ

ოთარ გორდელის ნაწარმოებების სიცოცხლე გრძელდება

საგულისხმოა, რომ ოთარ გორდელის ნაწარმოებების სიცოცხლე გრძელდება სწორედ საერთაშორისო სარჩიელზე. ეს განსაკუთრებით შეეხება მის ცნობილ კონცერტს ფლეიტისათვის. მაგალითად, ამერიკის თითქმის ყველა შტატის უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებელში პროგრამაში აქვთ, ყველა კონკურსზე უღერს და წელიწადში რამდენიმეჯერ სრულდება ეს ნაწარმოები. ჩიკაგოს სახელმწიფო ორკესტრს 30 წლის მანძილზე მუდამ ჰქონდა რეპერტუარში იგივე ქმნილება, (სოლისტი ცნობილი ფლეიტისტი ველფრიდ კუჯალა). ღირსშესანიშნავ ფაქტოა აღვინიშნავთ ერთერთს: თავისთავად სენაციურ მოვლენად ჩაითვალა რამდენიმე წლის წინ ვაშინგტონში გამართული სიეტლისა და გარფილდის ორკესტრების ერთობლივი კონცერტი, სადაც სრულდებოდა ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვის, სიბელიუსის ნაწარმოებები, პროგრამა გაიხსნა ოთარ გორდელის კონცერტით ფლეიტისათვის, სოლისტი რეციციდ პეტერი.

ცირა ჩიკვაიძე

## ზოგიერთი საზომიერო

### დიდი კომპოზიტორის დაკრძალვის დღე



2008 წლის 10 ოქტომბერს გენიალური ქართველი კომპოზიტორის — ზაქარია ფალიაშვილის დაკრძალვიდან 75 წლი შესრულდა. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით დიდი ხელოვანის სახლ-მუზეუმში ფალიაშვილის შთამომავალნი და მისი შემოქმედების თაყვანისცემელნი შეიკრიბნენ რათა პატივი მიეგოთ „აბესალომ და ეთერის“, „დაისის“ ამ უკვდავი იპერების აკტორისადმი.

სადამოზე მოსულებმა საოცარი მლელვარებით მოისმინეს აბესალომის არის ჩანაწერი ზურაბ ანჯაფარიძის შესრულებით. როგორც სალამოს ავტორმა და წამყვანმა, მუსიკისმცოდნე თამარ წულუკიძმ ალნიშნა: „ამით ჩვენ შევცადეთ აგვეხმიანებინა ლეგენდა, რომლის გმირები არიან აბესალომი და მალხაზი, ეთერი და მარო, რომელთაც განასახიერებდნენ ვანო სარაჯიშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, რომელთა სცენურ ხორცებსმას განაგრძობენ ახალგაზრდა მომლერლები... ოპერის ბალში ვანისვენებენ ვანო სარაჯიშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, სწორედ იქ სადაც ზაქარია ფალიაშვილმა 1933 წლის 10 ოქტომბერს სამსახურად დაიდო ბინა...“ სალამოს წამყვანმა აგრეთვე ისაუბრა კომპოზიტორის სიცოცხლის ბოლო პერიოდზე, უკანასკნელ დღეებზე, შემდეგ

კი წარმოადგინა ახალგაზრდა მომლერლები, რომელთა მეოხებითაც გრძელდება ფალიაშვილის გმირთა სიცოცხლე.

დამსწრე საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღებით მოუსმინა მუზეუმის დირექტორს, კომპოზიტორ შალვა დავითაშვილს. მან მსმენელებს პევრი საინტერესო და საგულისხმო ცნობა მიაწოდა ზაქარია ფალიაშვილის შესახებ. შეკრძილებმა დიდი ინტერესით მოისმინეს გულბათ ტორაძის, ნოდარ ფალიაშვილის, ტარიელ ბერაძის, თამარ ჩიხიალაძის მონათხოვის. სალმოზე მოსულინი აღტაცებით უსმენდნენ ცნობილ მომლერალსა და სცენის ოსტატს ელდარ გენაძეს. ახალგაზრდა შემოქმედებმა მაია ტურაშვილმა, არმაზ დარაშვილმა, ლაშა თითბერიძემ, ალუდა თოდუამ, მარიკა მაჩიტიძემ (კონცერტმაისტერები — დარეჯან მასაშვილი, მაია ბებიაშვილი, ირინა ჯაფარიძე) თავიანთი სიმღერით მოხიბლეს მსმენელი. ზაქარიას ახალგაზრდული წლების აღსანიშნავად სალამოზე სამბოლურად აუღერდა ვალტორნაც (შემსრულებელი — ვეფხია სვედელიძე, საფორტეპიანო თანხლებას უწევდა მუზეუმის თანამშრომელი — თეადუმბაძე) — საკრავი, რომელსაც ფალიაშვილის სიყრმის წლები უკავშირდებოდა.





თბილისი, ბაქრაძის ქუჩა  
№10, ზაქარია ფალიაშვილის  
სახლ-მუზეუმი, ქართული  
საზოგადოების თავშეყრის  
ერთერთი სასიამოვნო კერა...  
აქ გამართული სალონური  
შეკრებების დამსწრეთ დიდხ-  
ანს მიყვებათ ამაღლებული  
განწყობა და უჩნდებათ სურ-  
ვილი მორიგ შეხვედრაზე  
მოსვლისა.



## რევაზ კაკაბაძის განსენება

რეზო კაკაბაძეს, გამორჩეული ხმის მქონე ქართველ ბარიტონს, ოპერისა და კამერული მუსიკის მოყვარული საზოგადება ათეული წლების მან- ძილზე უსმენდა. მსმენელები გულწრფელად აღიარებდნენ, რომ რეზო კაკ- აბაძის ხმის, მისი ტემბრის დავინიჭება შეუძლებელია. ამიტომაც მადლიერი მსმენელები, კოლეგები, მუსიკის მცოდნები და ახლობლები შეიკრიბნენ ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში, რათა აღნიშნათ რევაზ კაკაბაძის დაბადებიდან 80 წლისთავი. ამ შეკრების ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის ხელმძღვანელი, ქ-ნი მარინა ანჯაფარიძე.

შთამბეჭდავი იყო საღამოს გახსნა, რომელიც ჩატარდა მამა ამირანის ლოცვა-კურთხევით. იგი ალ- ფრთოვანებული იყო ბატონი რევაზის შემოქმედებით. სწორედ ამიტომ, მან თავად აღტაცებით ისაუბრა ნარმოუდგრენელი მასშტაბის, არაჩვეულებრივი დიაპაზონის ხმის მქონე მომღერალზე. მსმენელებმა დიდი ინტერესით მოისმინეს კომპოზიტორ შალვა დავითაშვილის ვოკალური ციკლი... შეკრებილებს სიამოვნება მიანიჭა რევაზ კაკაბაძის შესრულებით შოთა ჭავჭავაძის ნანარმოების მოსმენამ.

გამომსვლელები ნოდარ მგალობლიშვილი, გულიკო კარიაული, ერეკლე საღლიანი, საოცარი სიყვარუ- ლით იხსენებდნენ დიდ ხელოვანს. მუზეუმის თანამშრომლებმა თამარ წულუკიძემ და თამარ ჩინჩალაძემ ყურადღება გააძახვილეს რევაზ კაკაბაძის მიერ განსახიერებულ ფალიაშვილის ოპერების გმირებზე, მის ურთიერთობაზე დიდი ზაქარიას სახლ-მუზეუმთან. დამსწრე საზოგადოება მოიხიბლა თემურ გუგუშვი- ლის, ელდარ გენაძის, თმარ ნოზაძის, ალუდა თოდუას სიმღერით. განსაკუთრებული აღტაცება გამოი- წვია ზურაბ ანჯაფარიძის (უმცროსის) გამოსვლამ. საღამოს ჩვეული ოსტატობით უძლვებოდა ბატონი ელდარ გენაძე.

## სოფია მეცნიერებელი

ერთხელ შალვა დავითაშვილის ნახვა დამტკირდა; ერთმა ჩემმს მეგობარმა მირჩია, გადამეთვალიერებინა თეატრალური, მუსიკალური, საგამოფენო თუ სხვა აფიშები და თუ რაიმე საინტერესოს ვნახავდი, სწორედ იქ მივსულიყავი მის სახახავად. მართლაც, ეს დაუკავებელი სწრაფვა — ყოველთვის იყოს ნებისმიერი სახელოვნებო აქციის მოწმე და შემფასებელი, და, ალბათ, მისი შემოქმედების მასტიმულირებელიც, დღეს ყველასათვის ცნობილი და პატივდებული კომპოზიტორის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ და სიმპათიის აღმძრებულ თვისებას წარმოადგენს.

პირველად შალვა დავითაშვილი კონსერვატორიაში გავიცანი. მაშინაც აქტიურობითა და ცნობის-მოყვარეობით გამოირჩეოდა. 50-იანი წლების ბოლო, საკმარის გაჭირვებული დრო იყო. კონსერვატორიის რექტორი მაშინ პ-ნი იონა ტუსკია გახდათ, საოცრად განათლებული და ასევე საოცრად ქველმედიდი პიროვნება. მას განსაკუთრებით უყვარდა ნიჭიერებით გამოიჩინა სტუდენტები. ერთ-ერთი მათგანი შალვაც იყო. მახსოვს, ერთხელ დერეფანში სახეგაბრნებული შალვა შემეგბა და მომახალა: „ეს რა კაცი ყოფილა, მაგას ვენაცვალო!“ თურმე, ბატონ იონას შალვას ნაწარმოები მოესმინა, ფრიად სასარგბლო შენიშვნებიც მიუცია და იქვე დაუყოლებია: „ბიჭო, გაუპარსავი რატომ ხარო“, მაგიდის უჯრა გამოულია და რაღაც კოლოფი მიუცია. იმ კოლოფში ელექტროსაპარსი იდო, საკმაოდ ძვირი — 87 მანეთი ლირდა, მაშინ როდესაც შალვას სტიპენდია სულ რაღაც ოციოდე მანეთს ითვლიდა. მას შემდეგ შალვა ყოველდღე იპარსავს წვერს და კარგი იქნებოდა ზოგიერთ ჩვენს პარლამენტარსა თუ ოპოზიციონერს მაგალითი აეღოს მისგან.

ამ ადამიანში განსაკუთრებით ის მომწონს, რომ იცის სიკეთის დაფასება და არდავიწყება.

განსაკუთრებით მადლიერია მისი აღმზრდელი პედაგოგის, ალექსი მაჭავარიანისა, რომელმაც ახალდაოჯახებულ და ფრიად გაჭირვებულ საყოფაცხოვრებო პირობებში მყოფ ახალგაზრდას ხელი

გაუმართა და მშვენიერ ბინაში დასახლა.

მომწონს ამ პიროვნებაში ისიც, რომ, ბევრი მისი კოლეგისაგან განსხვავებით, სიტყვებს არ იშურებს ჭეშმარიტად დიდი და უნიჭიერესი ქართველი კომპოზიტორების სადიდებლად და საქებრად.

ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ბუნებით თანდაყოლილი ინტელიგენტურობა შალვას ოჯახიდან, აღმზრდელი მშობლებისგან დაჟყვა; მაგრამ არანაკლები წვლილი მიუძღვით მის კულტურულ და, უნინარეს, შემოქმედებით ფორმირებაში, უკვე ნახსენები ბატონების — იონასა და ალექსის გარდა, ქართული მუსიკალური ხელოვნების კორიფეებს: ანდრია ბალანჩივაძეს, შალვა მშველიძეს, რევაზ გაბიჩვაძეს, გუგული თორაძეს, ოთარ თაქთაქიშვილს, არჩილ ჩიმავაძეს, ალექსანდრე შავერზაშვილს და სხვებს. თითო მისხალიც რომ აეღო ქართული კულტურის ამ ეტალონებისაგან, ესც საკმარისი იქნებოდა.

დღეს შალვა, როგორც ვთქვი, ცნობილი და დაფასებული შემოქმედია. განსაკვიფრებელია მისი პროდუქტიულობა, რომელიც მოიცავს სიმფონიებს, სიმფონიურ პოემებს, კანტატებს, საბალეტო ნაწარმოებებს, ვოკალურ-სიმფონიურ ციკლებს, ინსტრუმენტულ კონცერტებს, მუსიკას დოკუმენტური და თოჯინური ფილმებისათვის და ა.შ. მათი უბრალოდ ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანს. საგულისმოია, რომ მისი შემოქმედების ერთერთი მთავარი მასაზრდობებული წყარო მუდამ იყო ქართული მწერლობა, აგრეთვე ხალხური პოეზია. მაგალითად, ჯერ მარტო „ვეფხი და მოყმის“ მოტივებზე რამოდენიმე ნაწარმოები აქვს შექმნილი (სიმფონიური პოემა, ბალეტი, სიმფონიური სიუიტა), აგრეთვე აღსანიშნავია ვოკალურ-საგუნდო ციკლები (ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ანა კალანდაძის, იოსებ ნონეშვილის ლექსებზე), რომანსები, სიმღერები 60-ზე მეტი ქართველი პოეტის ნაწარმოებებზე.

მუსიკაზე საოცრად შეყვარებულმა შალვამ ისიც კი მოახერხა, რომ ცხოვრების მეგობრად ასევე მუსიკოსი, კომპოზიტორი, შესანიშნავი ქალბატონი ნინო ზაბუკიძე აირჩია და, რაც მთავარია, მათ აღზარდეს ქალ-ვაჟი — ასევე მუსიკოსები. მათი ვაჟი გიორგიც კომპოზიტორია. ერთ პატარა ოჯახში კომპოზიტორთა კავშირის სამი წევრია. ერთიც — ქალიშვილი — ვიქტორია — ნიჭიერი ფლეიტისტი და პედაგოგია.

დაბოლოს, არ შემიძლია არ შევეხო ბატონ შალვას საზოგადოებრივ საქმიანობას. კომპოზიტორთა კავშირის გამეგობის სული და გული ხომ ყოველთვის იყო, მაგრამ განსაკუთრებული ღვაწლი მას მაინც გენიალური ზაქარია ფალიაშვილის პიროვნების წარმოჩენაში მიუძღვის; თავის თანამოაზრებთან ერთად გაამშვენიერა და ახალი სული შთაბერა მის სახლ-მუზეუმს, რომელიც დღეს ქართული მუსიკალური საზოგადოების თავშეყრის უსაყვარლესი ადგილია.

იცოცხელე დიდხანს და გაგვახარე ახალი მიღწევებით! შენს ასაკზე და საიუბილეო თარიღზე არაფერს ვამბობ, რადგან უხერხულად ახალგაზრდულად გამოიყურები.



შალვა დავითაშვილი

## ქართველი მომღერლის პორტრეტი

სასიხარულო განცდას აღძრავს საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნი — „თენიგიზ მუშკუდიანი“, მისი ავტორი გახდავთ ცნობილი მუსიკის მცოდნე ნანა ქავთარაძე. თავისთავად მნიშვნელოვან ფაქტს ნარმოადგენს წიგნის მოპოვება პიროვნებაზე, რომელიც დიდი ხანია, ათეული წლებით საზოგადოების ინტერესს იწვევს, პიროვნებაზე, რომლის უკან დგას შთამბეჭდვი წარსული, დაკავშირებული არამხოლოდ ერთი ადამიანის ცხოვრებასთან.

როდესაც ვეცწობით წიგნს, უკვე წიგნი გვიყრობს თავის გმირთან ერთად. ავტორის მიზანია მთელი სისრულით ჩანვდეს მომღერლის სამყაროს, გახდეს მისი შემოქმედებითი ცხოვრების მონაცილე და ასე წარმოაჩინოს მომღერლის შემოქმედებითი პორტრეტი.

წიგნის ერთ-ერთ ლირსებად უნდა მივიჩნიოთ, რომ აქ მკაფიოდ იკვეთება თენიგიზ მუშკუდიანი - მომღერლის ეროვნული ბუნება, მასში ეროვნული კოდის გაღრმავება და განვითარება. ისიც ნიშანდობლივია, რომ ავტორი თვითმიზნურად და ხელოვნურად არ წამოსწევს ამ მოტივს. განიხილავს რა მომღერლის მიერ ეროვნული საოპერო გმირების შექმნისა და კამერულ-ვოკალური ლირიკის გათავისების პროცესს და საბოლოო შედეგს მოიაზრებს ერთ-ერთ მთავარ შტრიხად მუშკუდიანის მხატვრული პორტრეტისათვის. თუმცა ამ საკითხის გამახვილების მინიშნებად აღიქმება წინათქმაში მოცემული ავტორისა და მომღერლის კითხვა-პასუხი.

ცხადია, შემთხვევითი არც ის არის, რომ წიგნის ერთ-ერთ საწყის თავს — „თაობათა ჯაჭვა“, მიძღვნილს მშობლიური საოპერო თეატრის დიდ მომღერალთა თაობათა ცვლისადმი, გადავყვართ შემოქმედებით პორიზონტზე, რომელიც ქართული მუსიკის სამყაროთი იხსნება.

საყოველთაოდ ცნობილია თენიგიზ მუშკუდიანის, როგორც მომღერლის, მსახიობის, პიროვნების მომხიბივლელობა, ასევე არახალია მისი ხმის ტემპრის სილაბაზე და სიძლიერე, მაგრამ ახალია მკითხველისათვის წიგნში გადმომშლილი გზა, რომელმაც აპოვნინა მუშკუდიანს თავისი გამორჩეული სახე.

ავტორი თანმიმდევრულად მიჰყება მომღერლის შემოქმედებითი ცხოვრების საფეხურებს და გზადაგზა უღრმავდება მნიშვნელოვან მოვლენებს, შეიძლება ითქვას ყურადღების მიღმა არ ტოვებს არცერთ დეტალს, რომელიც ამ გზასთან არის დაკავშირებული. სათითაოდ უღრმავდება ყველა იმ საოპერო პერსონაჟს, რომელიც მუშკუდიანმა განასახიერა. ამ სიღრმისეული მიღმობის შედეგია დასკვნების გამოტანა — თუ რა გავლენა და ზემოქმედება მოახდინა მუშკუდიანის მიერ განსახიერებულმა ერთმა საოპერო პერსონაჟმა მეორეზე, რამდენად განსაზღვრა ამ როლებმა მომღერლის მხატვრული სახე. ასე, ზედმიწევით გამოწვლილვით განიხილავს „საღვთო ბილიებს, ამ სივრცისკენ მიმავალს“, ანუ ევროპულ საოპერო ხელოვნებასთან ზიარების პროცესებს. თითქოს მკითხველის წინაშე იქმნება დონ-ბაზილიოსა (როსინის „სევილიელი დალაქი“) და მეფისტოფელის (ჰუნოს „ფაუსტი“), რომფისისა (ვერდის „აიდა“) და შტელინის (სუხონის „კრუტნიავა“) როლები.

ბუნებრივია, მუშკუდიანის, როგორც მომღერალი-პანის შემოქმედებით ცხოვრებაში, გამორჩეული ადგილი ეკავა ბორისის პარტიას (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“). ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მუსიკის მცოდნე განსაკუთრებით უღრმავდება მას და დაწვრილებით ეხება მისადგომებს, რომელთა გამოვლამაც მოიტანა მუშკუდიანი — გოდუნოვის საბოლოო გამარჯვება. აქ ერთი მხრივ ნაჩვენებია გზა ბორისისკენ, რომელიც გამოვლილ იქნა გრემინის (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), გალიციის (ბოროდინის „თავადი იგორი“), მენისევილის (დარგომიქსკის „ალი“), ტიბო დ'აკის (ჩაიკოვსკის „ორლეანელი ქალწული“) როლების მომზადებით, მეორე მხრივ წარმოჩენილია ისიც, თუ რამდენად არის ამ პარტიის მომზადებასთან დაკავშირებული მომღერლის შემოქმედებითი ამპლიტუდის გაფართოვება.


მომღერლის პორტრეტს ავსებს წიგნში თავმყრილი მისი კოლეგებისა და თაყვანის მცემლების თვალით დანახული მუშკუდიანი — შემოქმედი და პიროვნება (აქ გზადაგზა მოცემულია ო. დიმიტრიადისა და ზ. ანჯაფარიძის, ნ. ანდლულაძისა და ჯ. კახიძის, პ. კრავეიშვილისა და ც. ტატიშვილის, მ. ახმეტელისა და მ. ამირანაშვილის, გ. მელივას, ლ. კანდელაკის, ზ. ღულუნიშვილის ჩანაწერები, ამონარიდები პ. ხუჭუას, პ. ხაკინის, ა. ჩიმაგაძის, რ. შედრინის, ა. წულუკიძის, ა. შავერზაშვილი, ვ. ფალიაშვილის, გ. ტორაძის, ვ. აჩაბას, ლ. გოგლიძიძისა და სხვათა საგაზითო სტატიის დიდიდან. ამით ავტორი ამზეურებს არამხოლოდ მუშკუდიანის სახელის ყოველ გამოძახილს, მისი შემოქმედებითი გზის მანძილზე, არამედ ყურადღების მიღმა არ ტოვებს იმ ჩანაწერებსაც, რომელთა საშუალებითაც აისახება ერთგვარი ფონი მისი მოღვაწეობისა.

ცხადია, მუშკუდიანის პიროვნება სრულყოფილად არ იქნებოდა წარმოჩენილი, რომ არ ასახულიყო მისი საზოგადო, პედაგოგიური მოღვაწეობა. ამ საკითხებსაც ეძღვნება ცალკეული თავები.

აღსანიშნავია წიგნის ვიზუალური სახე. იგი გამოდინარების მის შინაარსობრივ მხარედან, დახვენილი გემოვნებითა და სისადავით არის შესრულებული დიზაინი (ავტორი ბესიკ დანელია). რედაქტორი გახლავთ მანანა ახმეტელი.

წიგნის ბოლოთავის სასთაურია — „კინოვარსკვლავი“. შესაძლოა აქაც ავტორს გამიზნული ჩანაფიქრი ჰქონდეს — მუშკუდიანი-ვარსკვლავისადმი სათანადო ყურადღების მიპყრობა.

ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ წიგნი ყოველთვის ჰგავს თავის ავტორს. ვფიქრიბთ, ამ შემთხვევაში უმაღლესი მიზანია მიღწეული — წიგნი ჰგავს თავის გმირს.



თამარ ლელუჯიშვილი  
მუშკუდიანი

სახ. მარიამ გარებაძე

ପ୍ରକାଶକ

# ԱՆՁՈՅՑ ՃԱԼՈՅՏԱՐԱՐԻ ԽՈՅՆԱ

ഒരു ദിവസം എന്തെങ്കിലും?!

გურიაშვილ დემოსტენელი და პროექტის საგანმანათლებლო სისტემა

2009-2010წ.წ. საკონცერტო სეზონი 28 წლის დირიჟორთან გუსტავონ დუფამელისთვის პირველი სეზონი იქნება ლოს-ანჯელესის ფილარმონიის ორკესტრის მთავარი დირიჟორის პოსტი.

გუსტავო დუდაბელი — სრულიად ახალი მოვლენაა სმეტონური მუსიკას უკვე დამკვიდრებულ ფასეულობათა სისტემაში. ეკროპულ საკონცერტო დარბაზებში გამეცემული აკადემიური სერიოზულობის ატმოსფეროში მას შემოაქეს იუმორი და სიმსუბჟექტე, თავქარიინობა, ბისზე „კუკარაჩას“ შესრულება და სხვა მსგავსი ავანტიურები.

ახალგაზრდა ვენესუელი ყველას ძალიან მოსწონს — პუბლიკას, ორკესტრონტებს, უფროს თაობას — რეტის, ბარენბიმს, აბადოს, რომელებიც საკუთარ ორკესტრებთან დასაკრავად ხშირად პატიუებენ მას.

დუდამელის ნარმატების ისტორია არ შეიძლება განვიხილოთ სიმონ ბოლივარის ორკესტრის გარეშე, იმ „სისტემისაგან“ (ე.წ. დ. შისტეტი), რომელმაც ეს ორივე საოცრება შექმნა. იგი გამოიგონა ვენესუელლმა მუსიკოსმა და ეკონომისტმა დოქტორ ხოსე ანტონიო აპრეუშ 1975 წელს, რომელსაც მოგვიანებით სწორედ ამ გამოგონებისა და საქმიანობისათვის მიენიჭა ნობელის პრემია.

28 წლის დუდამები და სიმონ ბოლიგარის ორკესტრის მუსიკოსები, რომელთა ასაკი საშუალოდ 25 წელს არ აღმატება, არიან ამ „სისტემის პირველი თაობა.

ესაა კერძო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც  
ფულს დებს ყველა: სახელმწიფო, სპონსორები. იგი  
მოიცავს დაახლოებით ასი ათას ახალგაზრდას: მთელ  
ქვეყანაში 102 — მოზარდთა და 52 — საბავშვო  
ორკესტრებს. ამასთან, „სისტემას“ პატრონობს არა  
კულტურის სამინისტრო, არამედ მთავრობის სოციალ-  
ური კაბინეტი. ამჟამად „სისტემის“ ნლიური ბიუჯეტი  
30 მილიონი დოლარია.

„სისტემაში მონაწილე თითქმის ყველა ბავშვი არის ან ძალიან გაჭირებული ოჯახიდან, ან საერთოდ უსახლვარო. მათ ეძლევათ საკვები, საცხოვრებელი სახლი და ინსტრუმენტი და ისინი იმთავითვე იწყებენ დაკრას ორესტრიში. ამ სისტემის ყველა მოსწავლისათვის შესიგა არის არა მარტო მათი ნიჭისა და ამბიციების რეალიზაციის საშუალება, არამედ გარანტი იმისა, რომ მიუსაფარი, უპატრონო ბავშვები არ დარჩენენ „გამოქვაბულებებში“ და სიკონგლო არ დაასრულონ ჰისტებში.

ବୁଦ୍ଧିଲୋକୁ ତୁ କୁଣ୍ଡଳିରେ ଯା ନାହିଁ କାହାରେ ପାରିବାରି ।  
ନାତ୍ରାଲୀର ଗୁପ୍ତମିଳା ଯୁଗେବା, ରନ୍ଧ ମନ ରାମିଲ୍ଲେଖିରମ୍ଭ ତକ୍ଷା  
ୟାରି ବ୍ରାହ୍ମିଶ୍ଵରାଶି ଗାଥଗ୍ରହାଵର୍ଷେବାଟେ, ମାଗରାଠ ସାବ୍ଦାଲୋକର  
ଦାକ୍ଷ୍ୟବା ଫୌକ୍ରତିର ଅର୍କ୍ରୂଷ ଧାରିନ୍ଦର୍ଭୁଲ ତଥେବନାସ— ହାଶ୍ଚ-  
ଲ୍ଲୋପ ଦା ଶ୍ରେଷ୍ଠରୁକ୍ଷଲ୍ଲେଖିନା ଶ୍ରେଷ୍ଠାକ୍ରମୀରୀଳି ମେଲାର୍ଯ୍ୟ ସାଙ୍ଗ  
ଲୋକନ୍ଧିର୍ଭେଲ କୁନ୍ତପ୍ରେରଣ୍ଟି । ରନ୍ଧା ଗାଗିଗ୍ର, ରନ୍ଧମ ମନ୍ଥାରାଦତା  
ଏକବୀର୍ଜନିକ ପରିବାର, ଏକବୀର୍ଜନିକ ଜୀବା ପରିବାର ।

ია, გახსეყობა კიდევ უფრო გა-  
უჭქვდია: „მივედი რეპეტიციაზე  
— იხსენებს გულმანი — ზის  
100-მდე ადამიანი, ყმანვილე-  
ბი. ზოგი ვაშვი... ლოგორებ-

კი შევედი, ისინი წამოხტენენ და მომინცვეს ოვაცია... შოსტაკი გოვიჩის მეორე სავიოლონჩელო კონცერტი ვიოლონჩელოების ჯგუფური სოლოთი იწყება და ამის მეშინოდა. მაგრამ მესმის — იდეალურად უკრავნ, როგორც ერთი, და იმ გამოსახველობით, რომელიც საჭიროა აქ. გააგრძელეს დაკვრა... როდესაც საქმე ვალტორნებამდე მივიდა, კინალმა ავტირდი — არასდროს მომისმენია ამ ვალტორნების კადენციის ასეთი შესრულება.“

ამ ახალგაზრდების მთავარი ხილობრივი განაკვეთი რა-  
შიცაა. თითოეული, შესაძლოა არც ისე სრულყოფილია.  
ცნობილია მხოლოდ ერთი მუჟიკონი, კონტრაპასასტი —  
ედიქსონ რუსი, რომელმაც დამოუკიდებელი კარიერა  
შეიქმნა და გახდა ბერლინის ფილარმონიული ორკეს-  
ტრის კულარებზე ახალგაზრდა ორკესტრანტი. მათ შორის  
განსაკუთრებულია დუდამელი.

ვენესუელლები სხვა თვასტებით გამოირჩევიან — მათ როგორც კი ხელში ინსტრუმენტი აიღეს, მაშინათვე დაწყეს ერთად დავვრა. ამიტომაც, ინდივიუდუალური სულ-რადობა ჩანაცვლებულია ერთანით, „მთელით“. დიდ-მა დირიქორებმა იცოდნენ, როგორ მიეღწევინებინათ ორკესტრისთვის ეს ერთანიობა, მთლიანობა. მაგრამ, ისინიც კი მთლიან მექანიზმს დეტალებისგან აშენებდნენ. აქ კი დეტალი იმთავითვე არის მთელი.

დირიქორი გუსტავო დუდამელი ამ ძეტალის ნაწილ-ია. ამიტომაც, როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, იგი მეტ შედეგებს აღწევს ბოლივარის ორკესტრთან, ვიდრე ეკრანობრუნვას.

დღისტურებითაც აპრენეზ მისი დირიქიორად მომზადება უკვე 18 წლის ასაში დაიწყო. 18 წლის იგი გახდა სიმზონ ბოლოვარის მოზარდთა ორკესტრის მთავარი დირიქიორი. 23 წლისამ კი გაიმარჯვა მალერის სახელობის სადირიქიორო კონკურსზე. მასზე შეფლობა აიღეს რეტლმა და აპადომ. კითხვაზე— თუ რატომ მოსწონთ დუდი, მუსიკოსები პასუხობენ: „როცა ის დირიქიორობს, ისეთი შეგრძნებაა, თითქოს მუსიკა ახლასან შეიქმნა და რომ მან ის თვითონ შექმნა თავისთვის, — ეს სიტყვები ლიონ-აუგუსტის ფილარმონიული არკესტრის კლარინეტისტს მიჩინებს უკურისება კი ეკუთვნის. დუდებილი ამამის თავზე აჯდება პირველ ვიოლინის, ხტუნაგვს პულტითან, და თავისი უჩვეულო მიმიკით უკან იტოვებს სერ საიმზო რეტლს და თავისი მეცაცრი ექსპრესიულობით ვალერი გერგიევს. თუკი ვინმეს ადარებენ მას, ესაა ლეონარდ ბერნსტანი.

ଦୁଇଅମ୍ବେଲୋ କେଲ୍ପଣେର୍ଦ୍ରା, ଏହା ସିଆମଙ୍ଗେବୀଳ କେଲ୍ପଣ୍ଟର୍ଦ୍ରା, ମାଶଶି ଆରିଲ ରାଜାତ୍ପ ଦାଲୋନାନ ମିନ୍ଦିଗୁର୍ରା, ଫ୍ରିଚିକ୍ଯୁର୍ରା, ଏବେ ଆଦ୍ବିଷାତାବଦ୍ରେବ ମାର୍କ୍. ଦୁଇଟି ଫ୍ରିକ୍ରନ୍ଟର୍ସ୍, ରମ୍ବ ମାର୍କ୍ ଶେସ୍ବର୍ଗେବ ଜୁନାରି କ୍ରାଲସାର୍ଗୁର୍ମ ମୁସିଗୁର୍ମ ଆବାଲ୍ପ ମୁଖ୍ୟତ୍ବି ଏବା ଆବାଲ୍ପ କ୍ରେର୍ଗିବ ମିନ୍ଦିନିକ୍ରମ ହାରି ଶେବିନିମ୍ବ ଆବାଲ୍ପ ମିଶନ୍ଡିନିଲ୍ଲ.

რედაქციისაგან: ღორგეორ აბრამე სისტემაში, გვერდი გაუქცეულებული და მოუხავარი, გაკირპებული გამგზი აზიარებულის საყაჩაროს, განახო მოცეა ახალი ცენტრისას მოვალეობას და მისი მიზანის აღვარის გადასაცემას. ამას მავრი მართვის მიზანის მიზანის გადასაცემას და მისი მიზანის აღვარის გადასაცემას.



## ქუდის ვენის საოპერო თეატრი



# სტუდია „დო-რე-მი“

კონცერტი, რომელზედაც ახლა მოგახსნებათ, ერთი შეხედვით სრულიად ჩვეულებრივი იყო. მისი მონაწილენი გახლდნენ სტუდია „დო-რე-მი“-ს მომ-ლერალი ბავშვები (კონცერტი გაიმართა 2 თებერ-ვალს მერაბ ბერძნიშვილის ხელოვნების ცენტრ „მუზაში“). თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო აქ განსაკუთრებული, ვინაიდან ბოლო ხანს მაინც მეტისმეტად მომრავლდა სასიმღერო სტუდიები თუ სკოლები. ამ კონცერტზე კი იგრძნობოდა სტუდიის ხელმძღვანელის პროფესიონალიზმი, გემოვნება, პედა-გოგიური თუ მხატვრული აღლო, რის სიმწირესაც ასე ხშირად ვაწყდებით დღეს. ამიტომაც არ იყო



გასაკვირი შთაბეჭდილება, როგორსაც „დო-რე-მის“ ბავშვები ტოვებენ, ვინაიდან სტუდიის ხელმძღვანელი გახლავთ ყველასათვის ცნობილი ქალბატონი — კომპოზიტორი და მომღერალი ნუნუ გაბუნია.

კონცერტში 28 ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. საერთო შთაბეჭდილება განსაზღვრა პროგრამამაც. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქართველი კომპოზიტორების — რ. ლალიძის, ს. ცინცაძის, ბ. კვერნაძის, გ. ცაბაძის, ნ. დუღაშვილის, ნ. გიგაურის, მ. კვალიაშვილის, რ. სებისკვერაძის, ლ. ნემაძის სიმ-ღერებმა. შესრულდა უცხოური ჰიტებიც — იტალ-იურ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე.

ქ-ნი ნუნუს მუშაობა სასარგებლო, ერთი შეხედვით მოკრძალებულ მიზანს ისახავს — გამოუმუშავოს ნორჩ ალსაზრდელებს სიმღერის ხალასი შეგრძება და მისი გადმოცემის უნარი. შედეგს კი, შეიძლება ითქვას, მაინც ხმაურიანი ეთქმის, გამომდინარე მისი აღზრდილებისაგან, რომელთა სახელები უკვე კარგადაა ცნობილი საზოგადოებისათვის. ესენი არიან: სალომე გასვიანი, ელენე ფოჩეუა, ლიკა შუპითიძე,

სოფო კუჭავა, ნინუცა ბედიაშვილი... ისინი საერთა-შორისო კონკურსების რამდენიმე გზის ლაურეატები არიან. ასევე ლაურეატობა მოპოვეს სტუდიის სხვა აღზრდილებმაც: მარიამ ტონიამ, გვანცა ბახუტაშვილმა, თიკო წიკლაურმა და სხვებმა.

სულ ყველაფერი კი 1995 წელს დაიწყო. საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის ჟურნალისტ ქალთა ასოციაციის ბაზაზე შეიქმნა სტუდია, რომელშიც ნორჩ ალსაზრდელებს საშუალება ეძლეოდათ დაუფლებობრივი ცეკვისა და სიმღერის ხელოვნებას, აგრეთვე უცხო ენებსაც. შემდეგ თანდათან ეს კომპლექსური სტუდია დაიშალა, აქედან მხოლოდ სიმ-

ღერის განყოფილების ხელმძღვანელი და მისი ალსაზრდელები ვერ შეელინ ნამოწყებულ საქმეს და განაგრძეს ურთიერთობა. მართლაც, რაოდენ დიდი უნდა იყოს სტუდია „დო-რე-მის“ ხელმძღვანელის, ქალბატონი ნუნუ გაბუნიას ენთუზიაზმი, ენერგია, თვით ალსაზრდელების სურვილი საყვარელ პედაგოგთან კონტაქტისა, რომ ფაქტობრივად მატერიალური ბაზის, შენობის უქონლობის პირობებში აღწევენ გასაოცარ წარმატებულ შედეგებს. სხვა გზა რომ არ გამოინახა, სტუდიის ბინა ქალბატონ ნუნუს სახლი გახდა. მეორე მხრივ — შეიძლება ალსაზრდელებისთვის ამას მეტი სარგებლობაც მოაქვს — სხვა აურა და განწყობა ახლავს აქ მეცა-დინეობას.

ცხადია, მთავარი კითხვა, რომელიც ქალბატონ ნუნუსთან შეხვედრისას დაგვებადა, შემოქმედებით პროცესს

შეხება — მაინც რაში მდგომარეობს ის საიდუმლო, რითიც იგი აღწევს განსაკუთრებულ შედეგებს. ქალბატონი ნუნუს პასუხი თითქოს უბრალო და მარტივია, მაგრამ სწორედ ეს უბრალოება და სიმარტივე არის უმრავლესობისთვის მიულწეველი. იგი, ცხადია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სხავლების პროცესში სწორად და გემოვნებით არჩეულ პროგრამას და ნორჩი მომღერლის აღზრდას ასეთ რეპერტუარზე, მუშაობისას კი იმ საურაცულოზურობას, რომლის გარეშეც პროფესიონალიზმთან მიახლოება შეუძლებელია. იგი იძულებულია ნორჩებთან სათობით მუშაობდეს მეტყველებაზეც, რბილი თუ მაგარი „ლ“-ს პრობლემაც მისი გადასაწყვეტია. ამ ბოლო დროს მისთვისაც ძალიან საგრძნობი გახდა მუსიკალური სკოლების შემცირების პრობლემა, ეს საერთო დონეს ასვამს დაღს. მართლაც, რამდენად შესაძლებელია სრულფასოვანი მომღერლის აღზრდა ელემენტარული მუსიკალური განათლების გარეშე?.. ეს ყველაფერი საგონებელში აგდებს სტუდიის ხელმძღვანელს, საფიქრალსა და საზრუნავს უმატებს მას.

ამ სტუდიასთან მუშაობას უჩვეულო შედეგებიც ახლავს. მაგალითად, მოუყვანიათ ფაქტოპრივად უსმენი ბავშვები, რომლებსაც გარკვეული ხნის შემდეგ უკვე კონცერტზე ისე უმღერიათ, მათი ახლობლებისთვის დაუჯერებელი გამხდარა. ამგვარი ფაქტების მომსწრე მუსიკისმცოდნე ლიკა სეხნიაშვილიც გახლავთ: „მომისმენია ბავშვი და შემდეგ იგივე მოსწრავისგან საიცრად გამკვირვებია — იმდენად ნინ ნასულა სმენისა და ხმის ფლობის მხრივ. ეს შემთხვევითი არ არის. აქ მოქმედებს ნუნუს, როგორც კომპოზიტორისა და მომძერლის ფაქტორი, სპეციფიკის ცოდნა. ამავე დროს კოლოსალურ მუშაობას ეწევა — დილიდან საღამომდე ამ საქმით არის დაკავებული. ეტყობა, ეს ყველაფერი ისე გახმაურდა, რომ მასთან ბავშვები მთელი საქართველოდან, სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოდიან. ყველა მსურველს ვერც იღებენ იმიტომ, რომ შეზღუდულია მისაღებთა რაოდენობა. ისე კი მიკვირს, ასეთ რეჟიმში როგორ აგრძელებს შემოქმედებით მუშაობასაც? გარდა ამისა, საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა, მაგალითად, ამ სფეროს რაც შეეხება — არის პოლივუდის კონკურსის — „ხელოვების ოლიმპიადა“ — „ნაციონალ-დირექტორი“ ამიერკავკასიის მასშტაბით, ასევე არაერთი საერთაშორისო კონკურსის უიურის წევრი.“

„დო-რე-მის“ წლის განმავლობაში ყველობის თან კონცერტს მართავს, ერთს — საშობაოდ, მეორეს — სასწავლო წლის ბოლოს — საანგარშო კონცერტს.

სტუდიასთან თანამშრომლობს კონცერტმასისტერი თამილა ჩირაძე, რომელიც გამართულ კონცერტებში საფრთხო თანხლებას უწევს ბავშვებს.

თამილა ჩირაძე: „ქ-ნი ნუნუ საოცრად გულდასმით მუშაობს ბავშვებთან. თავისი მეთოდი აქვს. დიდ დროს უთმობს სხვადასხვაგარ ვიკალურ სავარჯიშოებს. სხვაგან ეტყობა ასეთი რამ არ ხდება. ამიტომაც სხვა სტუდიებიდან რომ მოდიან ბავშვები, გავირებულები რჩებიან. იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ თითოეული ჯგუფი არ არის მრავალრიცხოვანი, სულ 2-3 ბავშვისაგან შედგება. სასიხარულოა, რომ ქ-ნი ნუნუ თვითონაც წერს ბავშვებისთვის ახალ-ახალ სიძლერებს. ამ ბოლო დროს გაამდიდრა ქართული საბავშვო რეპერტუარი სიმღერებით — „ჩემთვის ამოსულ მზეს“, „საქართველო ჩვენია“, „ჩემი თბილისი“ და სხვ.



სტუდია „სანომ“ გამოუშვა კიდეც დისკები, სადაც მოთავსებულია მისი 60 საბავშვო სიმღერა, კიდევ გამოდის 40 სიმღერა. „დო-რე-მი-ში“ შემოსული თანხის უმეტესი ნაწილი ისევ სტუდიას ხმარდება. ქ-ნი ნუნუ იმასაც კი აკეთებს, რომ ბავშვებს მინუსიან ფონოგრამას აძლევს ყოველგვარი გადასახადის გარეშე. ესეც იშვიათია. საერთოდ, აქ ისეთი იშვიათი ატმოსფეროა, რომ ბავშვებს და მშობლებს, — ყველას ერთნაირად უხარისათ მოსვლა.“

სტუდია „დო-რე-მის“ ბოლო კონცერტს ესწრებოდა კომპოზიტორი ლილი შავერზაშვილი: „დო-რე-მის“ ბავშვები მართლაც განსხვავდებიან სხვებისაგან. ეს ნამდვილად არ არის ის თვითშემოქმედება, რასაც ვამპობთ ხოლმე ტელევზიტით გამოსული ბავშვების ურავლესობაზე. იმიტომ, რომ აღსაზრდელების უკან დგას პედაგოგი თავისი მაღალი პროფესიონალიზმით, სკოლით. ნუნუ გაბუნიაში ხომ ვოკალური სკოლა ვერა დავიდოვასთან გაიარა, ვერა დავიდოვასთან, რომელიც თვით დიდ თეატრში ბრწყინვადა. შემდგომში ნუნუ სტაჟირებაზე იყო დიდ თეატრში — ლია მაგილესკაიასთან. ეს ყველაფერი უკვალოდ არ ჩერპა.

სტუდიის კონცერტზე, რომლის პროგრამა ძალზე კარგად იყო შერჩეული, ყველა ბავშვი ასაკის შესაბამის ნაწარმოებს მღეროდა, დღეს ესეც იშვიათია. მნიშვნელოვანია, რომ ქართულ რეპერტუარზეც იყო ყურადღება გამახვილებული.

ბეჭნიერი ვარ, რომ თბილის-ში არის ასეთი პედაგოგი, რო-



მელიც სწორ მიმართულებაზე აყენებს ბავშვებს, უმუშავებს მათ მუსიკალურ ესთეტიკას. მიმაჩნია, რომ ნუნუს უნდა ჰქონდეს თვისის სკოლა, ჰყავდეს მიმდევრები, რომლებიც განაგრძონ ბენ მის გზას და მათი აღსაზრდელები იზოლირებული იქნებიან იმ უხარისხმან, რაც ხდება გარშემო“.

ჩვენც ვუერთდებით იმ ადმაიანების რიცხვს, ვისაც ახარებს „დო-რე-მის“ არსებობა. ვუსურვებთ სტუდიასა და მის ხელმძღვანელს კვლავ წარმატების გზით სვლას და, რაც მთავარია, იმ პრობლემების მოგვარებას, „დო-რე-მის“ წინაშე რომ დგას, იქნება სტუდიის შედეგებმა მიაღწიოს იმ ადამიანებამდე, რომელთაც შესწევთ ძალა რეალური დახმარების გაწევისა.

## ბუნის



0030 ჯანიაშვილი



მარიამ ტონია



ანა ლევანევი



გმირა რუსაია



ნინო მუგაშვილიანი



სოფო გურჯაელაძე



გარიამ კაპანაძე



ლიკა ჯგუფენაია



გარგარე ჯგუფენა



ნურა ზურაბაშვილი



ნინო არსენიშვილი



თიმო ქოქრაშვილი



ნინო გარამაძე

## სტუდია

# "ქორე უ გა"



ავა მიმინოვალი



კასო აგულაძე



ანარო ნოზაძე

გვარდე გახშტავალი



მედე გიგაშვილი



ანარო კუტალია



რუსულან დეპარტმენტი



თიბო თევზაძე



კეთი შეგლაძე



ანა წერეზიაშვილი



გიორგი მუსეიონიძე

ლიხი ლულაძე



მარიამ თევდორეაშვილი

## „მორით, ურთავ მიუსვე ცემური ქართველ კომპოზიტორებს“



გაიოზ კანდელაპი – გიგ გენდის დამაარსებლი  
და მთავარი კონსულტანტი

XX ს. 40-იანი წლების თბილისში აკრძალული და დევნილი, მაგრამ ყველაზე უფრო დემოკრატიული — ჯაზური მუსიკის ხანა დაიწყო. პოლიტიკური სიმღერებით განტბივრებულ საქართველოში ამერიკიდან აღწევდა ჯაზური მუსიკის ტალღები და ამ მუსიკით მოხიბლული ახალგაზრდობა არალეგალურად იკრიბებოდა, რომ ახალი ფირფიტის მოსმენით დამტებარიყო და თავადაც ეცადა ბედი. 1978 წ. სწორედ თბილისში ჩატარდა პირველი უდიდესი ჯაზ-ფესტივალი. ეს მოვლენა საბჭოთა სივრცეში უდიდეს გარღვევად იქცა. ფესტივალში ცამეტი ქალაქის ოცდასამეტა ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა, ათდღიან მარათონს 30 000 მაყურებელი ესწრებოდა.

თბილისის მუნიციპალური საკონცერტო ორგესტრი ცარიელ ადგილს არ შექმნილა, იგი იმ დიდი ტრადიციების გაგრძელებაა, ჯერ კიდევ 40-იან წლებში რომ გაჩნდა თბილისში. 30 წლის წილის პირველი ჯაზ-კლუბის პრეზიდენტმა ბ-მა გაიოზ კანდელაპმა „ბარათაშვილის ხიდის ქვეშ“ შეკრიბა



ქალაქის ახალგაზრდა მუსიკოსები ბიგ ბენდისათვის, აქ უკრავდნენ: თამაზ ყურაძევილი, დათო ჯაფარიძე, ენვერ ხმილივი, დინი ვირსალაძე, ალიკა კილაძე თავისი ჯაზ-ქორალით და ა.შ. ეს გახლდათ ერთად-ერთი ჯაზ-კლუბი იმდროინდელ საბჭოთა კავშირში. წლების მანძილზე იგი აწყობდა ჯაზისა თუ როკ მუსიკის ფესტივალებს, უცხოური ანსამბლების კონცერტებს თბილისში. 1989 წელს გაიოზ კანდელაპმა თავისი ცხოვრების ოცნება განახორციელა; თავის მეგობართან, ცნობილი იმპრესარიონი ბო ჯონსონთან ერთად ჩაატარა ჯაზის საერთაშორისო ფესტივალი თბილისში „ინტერჯაზი 89“, სადაც ძირითადად მოწვეული იყვნენ ამერიკელი ვარსკვლავები: Art Blackey Jazz Messengers, Freddie Hubbard Group, Mingus Dynasty, Sun Ra Orchestra, Jimmie Smith, Lehhey Stern, Luter Alison და სხვები. ათი დღის განმავლობაში თბილისი მსოფლიო ჯაზის ცენტრად იქცა. სწორედ გაიოზ კანდელაპს ეკუთვნის თბილისის საკონცერტო ორგესტრის შექმნის იდეა, მისი დიდი მონდომება და შრომა ჩაქსოვილი იდეის განხორციელებაში, რათა თბილის კვლავ ჰყოლოდა ჯაზორცვესტრი. თბილისის ბიგ ბენდის 13 წლიან შემოქმედებით ბიოგრაფიასა და სამომავლო პროექტებზე ვესაუბრეთ ორგესტრის ერთეულ დამაარსებელსა და პროდიუსერს ბატონ გაიოზ კანდელაპს:

**როგორ დაიბადა დადეს უკვე თბილისის სავიზიტო ბარათად ქცეული ბიგ ბენდის შექმნის იდეა და რა ძალისხმევა დაგჭირდათ ამ იდეის განსახორციელებლად?**

იმ რეალობაში, როდესაც საქართველოში აღარ არსებობდა „რერო“, არ არსებობდა „გენერის“ (თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ტელევიზიის ორგესტრები და ფაქტობრივად მომსარი იყო საქართველოში უკვე ტრადიციად ქცეული საორკესტრო მუსიკის დარგი. წარმოიშვა იდეა, რომ ვინმეს ეთავა ამ საქმის გამოსწორება. მარჯანიშვილის თეატრში დირექტორად რომ მივედი, მუსიკალური ნაზილის გამგე გრიგორი გაჩერილაძე იყო. ერთ დღეს შევხვდით მე და გივი და ვუთხარი, ისე როგორ უნდა მოვკვდეთ, რომ ერთი ორგესტრი არ დავუტოვოთ ამ ქვეყანას. ეს იყო 13 წლის წინ, გივი ძალიან სკეპტიკურად იყო განწყობილი, მოგეხსენებათ ამ იდეის განხორციელება ფინანსებთან იყო დაკავშირებული. მაინც მოვახერხეთ, 40-წუთიანი საჩვენებელი პროგრამა მოვაზრადეთ და ორგესტრი ოფიციალურ, ავტორიტეტულ პირებს წარვუდგინეთ, შეიკრიბა ძალიან ბევრი ხალხი, მათ შორის — ნიკო ლევიშვილი, გიგი წერეთელი, ბადრი შოშიტაიშვილი და

გიგ გენდი და ტილი (ო' მეილი)  
(ბრიტანეთი)

ა.შ. იყო აღფრთოვანებული შეფასებები, იყო ცრემლიც წოსტალგიისა, ბევრი ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ ასეთი ორკესტრის არსებობა პრაქტიკულად აუცილებელია. საესტრადო მუსიკის უანრში მოღვაწე კომპოზიტორები არ არიან რეალიზებულნი, რადგანაც შექმნილის გაუღერების საშუალება არ გააჩინათ, ყველაფერი ხომ არ შეიძლება რომ ფონოგრამაზე და სინთეზატორზე იყოს ჩანერილი, ის არასდროს არ იქნება ღირებული. ვოკალისტებს ძალიან ცუდი, დათვური სამსახური გაუწია ამ ფონოგრამაზე, შედეგად, თითზე ჩამოსათვლელი არიან მომღერლები, რომელთაც ცოცხალ ორკესტრთან სიმღერა შეუძლიათ. ორკესტრის შექმნის იდეას, როგორც ქალაქის მთავრობაში, ასევე საზოგადოებაში მსარი დაუჭირა. ფინანსები იმ მომენტში დიდ როლს თამაშობდა, მაგრამ თბილისელთა მორალურმა მხარდაჭერამ, რა თქმა უნდა, დიდი შედეგი გამოიიღო. ორკესტრი თბილისის მერიაზ და მარჯვინშვილის თეატრმა ერთად დავაფუძნეთ და სარეპეტიციო ფართიც თეატრის სხვენში გამოიინახა.

**თბილისის ბიგ ბენდი უაღრესად ნიჭიერი მუსიკოსებით და ამ საქმის დიდი პროფესიონალებით გამოიჩინა, როგორ ხდებოდა ორკესტრის წევრთა შერჩევა?**

თბილისის სოკონცერტო ორკესტრების დაშლის შემდეგ, მუსიკოსები სად იყვნენ კაცმა არ იცოდა, ზოგიერთები ახერხებდნენ ახალშექმნილ კაფეებში და ბარებში რაღაც დაეკრათ. ორკესტრის შექმნის იდეის გაჩინისთანავე შევერიბეთ თბილისში მყოფი მუსიკოსები თავისი ინსტრუმენტებით: საქაფონი, საყვირი, ტრომბონი ზოგი ტელევიზიიდან ნათხოვარი, ქველისძველი, დაჭეჭყილი, ჰაერი რომ გასდიოდა. რამდენიმე კაცი გპი-ს ორკესტრიდან იყო, 3-4 მათგანი დალესაც უკრავს. უკვე ჭარმაგი ხალხია მაგრამ ამ მუსიკას ვერ ეშვებიან. ენვერ ხმილიოვი საერთოდ კანადიდან ჩამოვიდა, კანადის მოქალაქეა. ზოგიერთი მუსიკოსი მიწისქვეშა გადასასვლელებზე უკრავდა და იქიდან მოვიყვანეთ ორკესტრში. აქ ისეთი მუსიკოსები არიან თავმიყრილი, რომელთა მოსმენისას ამერიკელებიც აღფრთოვანებას ვერმალავენ. 13 წლის განმავლობაში დღე არ იყო, რომ ჩვენ რეპრტიცია არ ჩაგვეტარებინა და სულ მიდიოდა მუშაობა, შრომის გარეშე ხომ არაფერი არ მოდის. ამას ვეუბნებოდი ჩვენი ორკესტრის ბიჭქსაც, მოდი ახლა მუხლებზე ვიფოფხოთ, რომ მერე ფეხით სიარული ვისწავლოთ. მოვა დრო როდესაც ქვეყანას ეს ორკესტრი დასჭირდება-მეტები და ასეც მოხდა — საზოგადოებრივი მოთხოვნა ამ ორკესტრზე უკვე გაიზარდა.

**ასაკის შესაბამისად ბიგ ბენდის რეპერტუარი ალბათ საქმაოდ მოცულობითი?**

ჩვენ გვაქვს ძალინ მრავალფეროვანი რეპერტუარი, 230 ნაწარმოები, როგორც ქართული ისე ამერიკული სტანდარტები. ეს არის სახელმწიფო ორკესტრი, რომელიც ინტენსიურად მუშაობს თავის მუსიკალურ წინსვლაზე, ერთ ადგილზე არ ვართ გაჩერებულნი. არ არსებობს წლის მანძილზე 8-10 ახალი ნაწარმოები რომ არ დავამატოთ, ამ მხრივ გივი გაჩინილადეს ძალიან დიდი დატვირთვა აქვს, ყველა არანურებას ბენდისთვის ის აკეთებს. მე და გივი რომ მეგობრები არ ვყოფილიყვათ, ამ საქმეს არ დავიწყებდი. მე არ მეგულება დღეს საქართველო-



გივი გაჩეხილამზ გივ გენდის მთავარი დირიჟორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და აშშ-ს ულხი სამართველოში კონცერტი

ში სხვა კაცი, არანურება და ბიგბენდი ასეთ დონეზე იცოდეს და ასეთი გამოცდილება ჰქონდეს. გივი ჩვენ კიევიდან ჩამოვიყვანეთ, ის უკრაინის ბიგ ბენდის „დიპროს“ დამაარსებელია. გივის დამსახურებით ჩვენ გვაქვს საორკესტრო ნაწარმოებების არანურებების უნიკალური ბიბლიოთეკა. 230 ნაწარმოები, ეს რაოდენობა ალბათ ამერიკის დიდ ორკესტრებსაც შეშურდებოდათ.

**როგორც უკვე აღნიშნეთ, ბენდი არ შემოიფარგლება მხოლოდ ჯაზური კომპოზიციებით, მის რეპერტუარში მრავლადაა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიც. რამდენად ინტენსიურად გინევთ ქართულ პროექტებში მონაწილეობა?**

ძალიან ბევრს ვფიქრობთ ქართულ რეპერტუარზე. ბიგ ბენდმა მოამზადა და მონაწილეობა მიიღო ქართველი კომპოზიტორების — ბიძინა კვერნაძის, მაცაცო სებისკვერაძის და აგრეთვე, ანსამბლ ქართული ხმების ვარსკვლავების გახსნისადმი მიძღვნილ სახეიმო კონცერტებში. ეს პროექტები მთლიანად ჩვენი ორკესტრის ბაზაზე გაკეთდა. ახლა მზადდება გურამ ბზვანელის მთლიანი რეპერტუარი და ეს უკვე მისი ნიშანია, რომ ცოცხალი, პროფესიული მუსიკა, იკრებს ძალას. ფაქტობრივად, ეს ორკესტრი იმიტომ კი არ შეიქმნა, რომ ამერიკული ჯაზი გვიყვარს, არამედ იმიტომ, რომ ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებების შესრულებამოხდეს. აქვე მინდა შევთავაზო კომპოზიტორთა კავშირს ერთი



შუაში მარცხნილა: გაიოზ კანდელაკი, იოარ გაღრამი და გაიო გარტონი ჯაზ-პუნდიან ერთიან

# მუსიკა

ასეთი ახალი იდეა, „ქართული საქმე“ — მოდით, ერთად ვიფიქროთ, რა არის ქართული სიმღერის ხვალინდელი გზა. მოვამზადოთ ერთობლივი პროექტი - ქართველ კომპოზიტორთა ჩერული ნაწარმოებების გრანდიოზული კონცერტი. მოდით, ერთად მივცეთ ქართველ კომპოზიტორებს სტიმული, რომ დაინტერის სიმღერა. იცით, რატომძაც დაკარგულად შეჩვენება ჩვენი პლეადა, უფროსი პლეადა კომპოზიტორებისა. მე ბედნიერი ვარ, რომ გურამ ბზუანელმა მოინდომა, დადის და მუშაობს პროგრამაზე; ამირან ეპრალიძემ აღადგინა კვარტეტი და ჩანაწერიც გაუკეთებიათ, მაგრამ უფრო ბედნიერი ვიქენები თუ მოვლენ და ცოცხალ ორკესტრთან ერთად შეასრულებენ სიმღერებს, მითუმეტეს რომ ბრწყინვალედ მღერიან. ბიგ ბენდი - ეს არის ბაზა ნებისმიერი ქართველი მომღერლისათვის, რომ მოვიდეს და საკუთარი პროგრამა მოამზადოს. ჩვენ ბევრ ქართველ მომღერალთან ვთანამშრომლობთ: გენო ნადირაშვილი დღესაც ჩვენთან მღერის, მაია ბარათაშვილი, ზაურ შავგულიძე, თაკო გაჩეჩილაძე, მარიკო ეპრალიძე. მე ვლაპარაკობ არა იმიტომ, რომ თვითონ ვარ აქ, გეუბნებით, ქართველები, თქვენ გყავთ უმაღლესი კლასის ორკესტრი, რომელსაც მაქსიმალურ რეალიზაციას არ უკეთებთ.

**ჯაზი და საერთოდ, მუსიკა ურთიერთობების საუკეთესო საშუალებაა.** ბიგ ბენდს ალბათ ხშირად ჰქონია საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითი.

ორკესტრის დაარსების პირველივე წელს, თბილისში შედგა კონცერტი, სადაც ბენდს „Orchestra USA“ - ს დამარსებელი გიუნტერ შულერი დირიჟორობდა, ეს იყო ორკესტრის საერთაშორისო პროექტი. 2002 წელს, კომპანია ასტერნ რომოტიონ -ის მიერ ორგანიზებულ თბილისის საერთაშორისო ჯაზ ფესტივალზე შედგა ბიგ ბენდისა და 3 გრემის მფლობელის, ბობ მინცერის თანამშრომლობა. ეს დიდი სკოლა იყო ბენდისთვის. კონცერტზე, რომელიც ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა, მისი ნაწარმოები, არანჟირებები შევასრულეთ, თვითონ გამოვიდა როგორც სოლისტი, თავის ტრიოსთან ერთად. ჩანაწერიც განხორციელდა. ჯაზ ფესტივალის ფარგლებში კიდევ რამდენიმე საერთაშორისო პროექტი შედგა:

ერთობლივი კონცერტი ცნობილ ამერიკელ კომპოზიტორ და ვიბროფონისტ როი აიერსთან, ამერიკულ ჯგუფ „Lady Blues“-თან და ა. შ.

46-ლის განმავლობაშით ბილისის ბიგბენდში მდერო-და ცნობილი ინგლისელი მომღერალი ტონი მდ მეილი. ამერიკელი პიანისტი - ბენ ტეპფერი, ჯაზის ამომავალი ვარსკვლავი; ა.შ.-ს საელჩინს ინიციატივით კონსერვატორიაში ჩვენი ერთობლივი პროექტი შედგა. ასევე, საერთაშორისო ფესტივალ „Gift“-ის ფარგლებში გაიმართა ბრიტანელი მომღერ ლის ჯეისონ ისაავისა და ბიგ ბენდის ერთობლივი კონცერტი.

გარი ბარტონი და ჩიკ-კორეა რომ ჩამოვიდნენ ოპერაში, თქვენ გახსოვთ, გამოვიდა გარი ბარტონი და თქვა, მე ბედნიერი ვარ და არ მოველოდი, რომ თბილისს ასეთი მაღალი დონის ორკესტრი ეყოლებოდა. ამერიკის ელჩითან გამართულ მიღებაზე ჩვენ რამდენიმე ნაწარმოები დავუკარით და მან თქვა, რომ მე ბედნიერი ვიქენები, რომ ასეთი დონის ორკესტრთან დავუკრაო. ეს ჩვენთვის ძალზედ საამაყოა, მიტომ რომ პრაქტიკულად ბიგ ბენდი პოსტ საბჭოთა ძველებში, არც სასომხეთში, არც აზერბაიჯანში არ არის... მოსკოვში არის, ბუტმანსაც აქვს ორკესტრი ერთერთ ჯაზკლუბში, მაგრამ აი, თვითონ ბუტმანი წერს, თბილისის ბიგ ბენდი უფრო თანამედროვე უდერადობისაა.

**თქვენს მუსიკში მრავალრიცხოვან აფიშებსა და პლაკატებს შორის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ჯილდო შევნიშვნე**

Monte Carlo International Jazz Awards პირველად რამდენიმე წლის წინ გაიმართა და მას შემდეგ თანამედროვე ჯაზის სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯილდოა. ორგანიზაციას კონკრეტული მიმართულებაც აქვს თანამედროვე ჯაზის მუსიკოსების შემოქმედების შეფასება და ფართო აუდიტორიისთვის გაზიარება. 2006 წელს გამართულ ფესტივალზე თბილისის მუნიციპალურმა ორკესტრმა ბიგ ბენდების ნომინაციაში გრან-პრი მიიღო. ასევე, მივიღეთ ხელოვნთა შორის ქართული ხარისხის დიპლომი. ამ ჯილდოს ბიზნეს სამყარო აწესებს. ამერიკის საელჩინს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ხშირად ვმონაწილეობთ. ამერიკის საელჩინს გახსნის ცერემონიაზეც ჩვენ უკარვდით, ელჩი ჩვენი მეგობარია. ამერიკასა და საქართველოს ურთიერთობაში შეტანილი დიდი ღვაწლისათვის 28 დეკემბერს, კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჯონ ტეფტმა სიგელი გადმოგვცა. ჩვენს საქმიანობაში გარკვეული პოლიტიკური მარცვალიც დევს — როდესაც ჯაზის ქვეყანაში საქართველოდან ჩასული ჯაზ ორკესტრი ამ ქვეყნის კულტურულ მონაპოვარს: დიუა ელინგტონის, ქაუნთ ბეისის, ფრენკ სინატრას, ელა ფიცჯერალდის და პიტერსონის ნაწარმოებებს ასრულებს, ესე იგი მათ კულტურას პატივს სცემ და აფასებ, შესაბამისად ისინიც ეცდებიან იგივენაირად გიაბასუხონ.

აქვე გეტუვით, რომ არის იდეა, განხორციელდეს ამერიკის საელჩინს ერთობლივი პროექტი რაც ჩვენი ორკესტრის ამერიკაში გამგზავრებას და ამერიკულ უნივერსიტეტებში მასტერკლასების ჩატარებას გულისხმობს.



შარჯანიშვილის თეატრიდან თქვენი წამოსვლის შემდეგ, თბილისის ჯაზ ორკესტრს სარეპეტიციო სტუდიის პრობლემა გაუჩინდა. როგორც ვხედავ დღეს ეს პრობლემა მოგვარებულია.

ამისათვის მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მერიას, რომ ეს თავშესაფარი მოგვცა და დეველოპერულ კომპანია „მერიდან ჯგუფს“, რომელმაც თავის თავზე აიღო ამ ბაღის განახლების საქმე. ეს ჯგუფი დიდ ინვესტიციას დებს, რომ ეს ბაღი კულტურულ ცენტრიდ იქცეს, საკონცერტო დარბაზით, ლია კინოთეატრითა და ლია კაუნებით, ამ ბაღს ისტორიულად ერქვა ბაღი „ფანტაზია“. იმედი მაქვს, ტრადიცია ალდება და ბაღი ისევ შემოქმედებით ადგილად იქცევა. ასევე, მერიამ ორკესტრისთვის შეიძინა „იმაპაპა“ ფირმის ინსტრუმენტების მთელი კომპლექტი, რის შემდეგაც ორკესტრის წყობა შესამჩნევლად გაუჟობესდა, შესრულებული კომპოზიციების ულერადობა კი ჩანაწერის დონეს მიუახლოვდა. თბილისის მუნიციპალური ორკესტრი ქალაქის სავიზიტო ბარათად იქცა. მერიის ღონისძიებებში მუდმივად ვმონაწილეობთ, რადგანაც ეს მუნიციპალური ორკესტრია. ამჟამად განიხილება თბილისის დამმობილებულ ქალაქ ბრისტოლში (ბრიტანეთი) ქართული კულტურის დღეებზე მუნიციპალური ორკესტრის მონაწილეობის საკითხი. ასევე, მერიის ინიციატივით, ყოველწლიურ მოვალეობად გვექცა ინსტიტუტებში სტუდენ-

ტებისთვის უფასო კონცერტების ჩატარება. ყველა ინსტიტუტი მოვიარეთ, ეს იგივე მასტერ-კლასია, ეს გემოვნების გაზრდაა. არის ახალგაზრდობა, რომელსაც დიდი ორკესტრი ცოცხლად არ უნახავს, და რომ ისმენი, ძალიან მოსწონი. მინდა გითხრათ, რომ ახალგაზრდობის კრიტიკა მდარე მუსიკალური გემოვნების გამო, არასწორია. შენ მიაწოდებ, შესთავაზე და შემდეგი შემდეგ მოითხოვე. აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კომპანია მაგთის, თბილისის მუნიციპალური ორკესტრის გენერალურ სპონსორს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან პროექტს ანხორციელებს; გასულ წელს კომპანია მაგთის ინიციატივით მოვიარეთ თითქმის მთელი საქართველო კონცერტებით და მოსახლეობას საშუალება მიეცა სრულიად უფასოდ მოესმინა და შეეფასებინა თბილისის ბიგ ბენდის ხელოვნება.

P.S. ბ-ნ გაიოზთან საუპრისას არაჩვეულებრივი განწყობა დამეუფლა. ვუსმენდი ადამიანს, რომელიც შესაშური ენთუზიაზმითა და ოპტიმიზმით საუპრობდა ბენდისა და ზოგადად, ქართული მუსიკის მომავალზე. უამრავი ახალი იდეის, წამოწყებისა და პროექტის ავტორმა მეც გადამდო თავისი განწყობა და რაც მთავარია დამარწმუნა, რომ ამ შესანიშნავი იდეების რეალიზაცია სრულიად შესაძლებელია. ვიმედოვნებ, ამ საშუალების საქმეში“ ჩვენი კომპოზიტორებიც აქტიურად ჩაერთვებიან.



## ქართული ჯაზის პიონერი პიმზე გამამარტინია (1911 - 1976)



კომპოზიტორი, დირიჟორი, ჰარმონიკისტი, გიტარაზე შემსრულებელი, შესანიშნავი მესაყვირე და მომღერალი გიორგი გაბეჟირია დაიბადა ჩინეთის ესტონეთში, ხარბინში, ქართველი ემიგრანტის მიხეილ გაბეჟირიას ოჯახში. იმ დროს ხარბინი და შანხაი რუსული ემიგრაციის ქალაქებად ითვლებოდა. მოგვიანებით გაბეჟირი იყო აზახი შანხაიში გადადის საცხოვრებლად, სადაც გიორგიმ მუსიკალური სასწავლებელი დამთავრდა. ამ წლებში იგი ვირტუოზულად დაეუფლა საყვირზე დაკვრის ტექნიკას, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია იქაურ მუსიკოსებს, მათ გიორგი მიიწვიეს ნიკ კორინის ჯაზ-ორკესტრში, რომლიც ერთ-ერთ პრესტიულ თრენერად ითვლებოდა შანხაიში. ორკესტრში მუშაობის პერიოდში გაბეჟირიამ ჯაზური კომპოზიციების არანჟირება დაიწყო, შემდეგ კი ბედი კომპოზიციაშიც სცადა, რაც იმდენად ნარმატებული აღმოჩნდა, რომ შანხაის ერთ-ერთმა სანოტო გამომცემლობამ მისი სიმღერების კრებული გამოსცა.

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ ემიგრაციაში დიდი პროპაგანდა მიდიოდა საბჭოთის სიძლიერისა და სამური ცხოვრების შესახებ, რამაც ემიგრანტების უმეტესობაზე გავლენა მოახდინა და ორმოცდაათიან წლებში მათი დიდი ნაკადის ჩამოსკლა გამოიწვია. მათ შორის იყვნენ საბჭოთა ჯაზის გამოჩენილი მუსიკოსი ოლეგ ლუნდსტრემი და მისი ორკესტრის წევრები,

გიორგი გაბეჟირია და მისი მეგობარი მუსიკოსები. გიორგი ქ. მინსკში დასახლდა და ემიგრანტ მუსიკოსებთან ერთად ჯაზ-ორკესტრი ჩამოაყალიბა. ორკესტრმა მალე მოიპოვა პოპულარობა, ერთ-ერთი საგასტროლო ტურნეს დროს კი თბილისაც ესტუმრა და დიდი ნარმატებით გამოვიდა ფილარმონიის საზაფხულო თეატრის სცენაზე ე. წ. გოფილექტის ბალში. გაბეჟირიას ნიჭიერება შეუმჩნეველი არ დარჩენია ისეთ დიდ მენეჯერს, როგორიც იყო ფილარმონიის მაშინდელი დირექტორი გუგული ყიფაანი, რომელმაც, სხვათა შორის, ძალიან ბევრ შემოქმედს გაუკვალა გზა ხელოვნებაში. მან გიორგის, როგორც ქართველს, შესთავაზო საქართველოში დარჩენა, რათა აქ შეემნა ქართული ჯაზ-ორკესტრი. გაბეჟირიაში, როგორც ჩანს, სამშობლოს გენეტიკურმა სიყვარულმა იძალა და თბილისში დარჩა, მისი ორკესტრი კი მინსკში დაბრუნდა.

გიორგი გაბეჟირია ძალზე პრინციპული, შრომისმოყვარე და დისციპლინირებული ადამიანი იყო. მან მოკლე დროში შეძლო თავისი ხელნერითა და უდერადობით მაღალპროფესიული კოლექტივის ჩამოყალიბება. ორკესტრში მიიწვიეს ახალგაზრდა მომღერლები: გიული ჩოხელი, ეთერ ჭელიძე, ზურაბ რცხილაძე და ვენერა მაისურაძე, აგრეთვე ვოკალური კვარტეტი სულიკო კოროშინაძის, ზურაბ ხელაიას, ავთანდილ ცირკებისა და ზურლან გემაზაშვილის შემადგენლობით, საცეკვაო ნომრების დადგმა კი ილიკო სუხიშვილს მიანდეს.



ნიკ კორის შახეაის ორკესტრი  
ზემო რიბში მარჯვიდან  
მეორე გ. გაბეჟირია



მარცხნიდან – გიორგი ცაბაძე, ზარაბ რცხილაძე,  
გიული ჩოხელი და გიორგი გაბაშვილი

საქართველოს ფილარმონიის საესტრადო ორკესტრის პირველი კონცერტი გიორგი გაბესკირიას ხელმძღვანელობით 1956 წლის 21 ივნისს გაიმართა ფილარმონიის საზაფხულო თეატრში. შესრულდა ქართველი კომპოზიტორების: რევაზ ლალიძის, სულხან ცირცაძის, დავით თორაძის, ფელიქს ღლონტის, გიორგი ცაბაძის, შოთა მილორავას, გია ყანჩელის კომპოზიციები და სიმღერები გაბესკირიას არანჟირებით, ასევე თვით გაბესკირიას საორკესტრო პერსეპი. ამ კონცერტმა გიორგი გაბესკირიას, როგორც სოლისტის, მრავალმხრივი წიჭი გამოავლინა. მან შესანიშნავად დაუკრა საყვირზე იოზეფ კოსმას ცნობილი მელოდია „შემოდგომის ფოთლები“ და მექსიკური სიმღერა „ამაპოლა“. ჩინეთიდან ჩამოტანილ პავაის გიტარაზე კი შესარულა კომპოზიცია „როზიტა“. უნდა ითქვას, რომ გაბესკირიამ ქართული არ იცოდა და ამიტომ განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია მის მიერ ქართულ ენაზე შესრულებულმა სიმღერამ „ნიბლია“, რომელიც კომპოზიტორმა გიორგი ცაბაძემ სპეციალურად მისთვის დაწერა. ამავე წელს ფილარმონიის საესტრადო ორკესტრს სახელი შეეცვალა და დაერქვა საქართველოს ფილარმონიის ჯაზ-ორკესტრი გიორგი გაბესკირიას ხელმძღვანელობით. სიტყვა „ჯაზი“ ორკესტრის სახელწოდებაში სწორედ გაბესკირიას დროს გაჩნდა, რადგან იმდროინდელ საბჭოთა კავშირში ჯაზის პროპაგანდა კარგ საქმედ არ ითვლებოდა, გაბესკირიას ხშირად ჰქონდა კონფლიქტური სიტუაციები საბჭოთა პარტიულ მუშავებთან. ისინი მას ამერიკული მუსიკის პროპაგანდაში ადანაშაულებდნენ, ამიტომ გაბესკირია იძულებული იყო ასეთი საკონცერტო ნომერიც კი მოეფიქრებინა: სცენაზე გამოქვედათ დიდი ყუთი პალმით. პინისტი იწყებდა ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტის დაკვრას, ამ დროს ყუთში მჯდომი ადამიანის დახმარებით პალმა ლამაზად იშლებოდა, უცებ ჩაიკოვსკის მუსიკა წყდებოდა და სცენაზე წინ გამოსული გიორგი გაბესკირია თავის სამ მესაყვირესთან ერთად იწყებდა ცნობილი ამერიკელი მესაყვირის — პარი ჯეიმსის ბიესის — „რაფსონი თხოვთ საყვირისათვის“ და-

კვრას, ამ დროს, პალმა წელ-წელა ჭკნობას იწყებდა ყუთში მჯდომი ადამიანის დახმარებით, რომელიც პალმის ფოთლებს მათზე მიმაგრებული მავთულების საშუალებით დაბლა უშვებდა. ეს კურიოზული ნომერი დარბაზში სიცილს იწვევდა, ხოლო ჯაზური კომპოზიცია ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე სრულდებოდა.

გიორგი გაბესკირიას ჯაზ-ორკესტრის კონცერტებს დიდალი მაყურებელი ესწრებოდა. ბილეთის შოვნა ძალზე ჭირდა. საზაფხულო თეატრის შესასვლელს ცხენოსანი მილიცია იცავდა. თბილისის მერე ორკესტრმა საქართველოს ყველა კუთხე მოიარა; გაბესკირიამ მამის — მიხეილის — მშობლიური სენაკის რაიონის სოფ. ხორაშაშიც კი გამართა კონცერტი. ამის შემდეგ ჯაზ-ორკესტრს წარმატებული გასტროლები ჰქონდა საბჭოთა კავშირის მრავალ ქადაგში: რიგაში, კაუნასში, სოჭში, ტალინში, სიმფოროპოლიში, მოსკოვში, მინსკში, ბაქოში, ერევანში, ტაშკენში და სხვ.

1958 წლიდან კოლექტივის ორი ხელმძღვანელი ჰყავს — გიორგი ცაბაძე და გიორგი გაბესკირია. ამავე წელს ორკესტრი დიდი წარმატებით გამოვიდა თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტზე. ერთი წლის შემდეგ კი ორკესტრი დაიშალა. სამწუხაროდ, ჩევნში გიორგი გაბესკირიას ღვაწლი სათანადო არ არის დაფასებული. ხუთი წლის განმავლობაში ის ფილარმონიის შენობაში ცხოვრობდა მეუღლესთან და შვილთან ერთად და მხოლოდ 1961 წელს მიიღო ბინა წერეთლის გამზირზე, სადაც ახლა მისი შეილიშვილი — გოგა გაბესკირია ცხოვრობს ოჯახთან ერთად.

გიორგი გაბესკირია იყო მოვლენა — ამ შესანიშნავ მუსიკოსს დიდი წლილი მიუძღვის საქართველოში ჯაზის პროპაგანდის საქმეში. ის იყო ამერიკელი ჯაზმენის — მესაყვირე პარი ჯეიმსის სკოლის წარმომადგენელი. შორეულ შანსიში იგი უყვარდათ და დიდ პატივს სცემდნენ, ისევე, როგორც ლუ არმსტრონგს სეჩმოს, მას ზედმეტ სახელად გაბოს ეძახდნენ.



სურათი გადაღებულია „გოგილებეტის“ გაღმი 1956 წელს, ძართული კულტურის მოღვაწეებთან – ილია სახიშვილთან, გვეგული შივიანთან, ნინო რამიშვილთან, სელიმ კოროჭიაძესთან, გიული ჩოხელთან, ზარაბ რცხილაძესთან და სევებთან ერთად. I რიბში მარჯვნიდან მესამე ზეს გიორგი გაბაშვილია.

თანამედროვე მყსიკის ფესტივალი "კონტაქტი N2"

2009 წლის 2-3 მარტს საქართველოს ეროვნულ-მუსიკალურ ცენტრში გაიმართა თანამედროვე პროფესიული მუსიკის ფესტივალი კონცრაპუნქტი №2, სადაც ნოდარ მამისაშვილისა და არვო პიარტის თხზულებები შესრულდა. კონცრაპუნქტი, საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის მიერ დაფუძნებული ტრადიციული ფესტივალია, რომლის კონცეფციის ავტორიც გახლავთ ნიკა მემანიშვილი. ფესტივალის პროგრამა განისაზღვრება ორი კომპოზიტორის — ქართველისა და უცხოელის შემოქმედებით. კონცრაპუნქტი №1 ჩატარდა 2007 წლის 7, 8 და 9 ივნისს, სადაც აუდირდა სულხან ნასიძისა და რუსი კომპოზიტორის ალფრედ შენიტეს ნაწარმოებები. კონცრაპუნქტი №3 კი უკვე დაგეგმილია და ერთმანეთის მსარდამხარ შესრულდება ნათელა სცანისა და გერმანიაში მოღვაწე რუსი კომპოზიტორის სოფია გენადიევის მუსიკულინას ნაწარმოებები.

Եղիշեր Թագթաշվալունը — Արթ-  
պահությունը, Թարմականը, Հայա-  
թագու, Յաբշուր-Ժայռացանեալու,  
Կալունակուս Համակալութեալունը Թագ-  
թացը. Բայ Ցոքթեալու Ամես 13-Յացը  
Կալստուր-Տակեանը Հայականը.  
Խաթահութալու Ամես Մաթրազը Տագթ-  
եանը Կալունա Արա Ես Ո՛՛ Տեարանչը,  
Իսպ Մաթեսագ Մասկալունը Հայրացանը Կրութարու-  
թացը Տակեանը Ամես Կանենունը, Հայ-  
աթագունը Ամես Կանենունը, Իսպ Տակեանը  
Վարսութանը Ամես Վարսութանը Հայ-  
աթագունը Ամես Վարսութանը, Տակեանը

კონტრაპუნქტი №2-  
ის ოპერულუარში მრავალ-  
ფეროვნად იყო წარმოდგენილი  
საორკესტრო, საგუნდო და  
კამერული ნაწარმოებები. აქვე  
უნდა აღინიშნოს 4 აპრილის  
კონცერტის ორიგინალური  
გადაწყვეტა, სადაც ავტორთა  
სახეები განსხვავებული რაკურ-  
სით წარმოჩნდნენ.

ერთი მხრივ, კონცერტი დაიწყო დოკუმენტური ფილმით არვო პიარტის შესახებ „24 პრელუდია უუგისათვის“. ნაჩვენები იყო კადრები არვო პიარტის (გხოვრებიდან, სადაც

მისი საორკესტრო ნაწარმოების რეპეტიციის მსვლ-  
ელობაა გადაღებული. მეორე მხრივ, კონცერტის  
განყოფილება დაეთმო ნოდარ მამისაშვილთან შეხ-  
ვებულრას, სადაც მან ვიდეო ჩანაწერის მეშვეობით  
წარადგინა თავისი გამოგონილი აპარატურა და  
განმარტა მისი დანიშნულება. ამავდროოულად აუდი-  
ტორია ეზიარა ნ. მამისაშვილის ძალიან საინტერესო  
და საორკესტრო მიმზიდველ პოეზიას.

ძიებებითა და ნოვაციებითათა აღსავსე 6. მამისაშვილის შემოქმედება. კომპოზიტორის ყოველი თხზულება ახალი იდეითა გამსჭვალული და განსაკუთრებული ტენიკური არსენალით — ტებბრალური, აკუსტიკური, ასტრირალური თუ სხვა ელემენტებით არის გაჯერებული, რასაც საბოლოოდ სამფაზიან კომპოზიციის მუსიკალურ სისტემასთან მივყავართ. მის კალამს ეკუთვნის სიმფონიები, ოპერები, პასიონები, ორატორიები და ა.შ. მხატვრული სახეებისა და საკუთარი შეგრძნებების გადმოცემისთვის გასაოცარი სიზუსტითა და რუდუნებით აქვს გააზრებული და გამოყენებული თითოეული ინსტრუმენტის თუ სიტყვის აკუსტიკური თვისებები და შესაძლებლობები. შეგრძნებათა გადმოცემის გამჭვირვალობა და სისპეტაკე განცდათა ასტრირალურ მდგომარეობას უფრო მოგვა-გონებს, ვიდრე მინიერ სინამდვილეს. თითქოს ავტორი ამ შეგრძნებებს არაამქევნიურ, უფრო მისტიკურ რეალობაში აღიქვამს და ასეთივე სახით გადმოსცემს მსმენელს. თავს ნებას მივცემ და საკუთარ მოსაზრებას მოგახსენებთ, ამგვარ მუსიკალურ-მხატვრულ სტილს „ასტრირალურ რომანტიზმს“ ვუწოდებდი.

კონცერტი დაიწყო ნოდარ მამისაშვილის, ამჟერად  
საგუნდო ნაწარმოებით; შესრულდა ოთხი ფრაგმენტი,  
1981 წელს კანონიკური ლოცვების ტექსტებზე  
აკაპელა შერეული გუნდისათვის დაწერილი ციკლი-  
დან „განცდანი“ „დაუსაბამოსა  
მზისა...“; „აპა, ესე რა მიწა ნაცარ  
და თიხად...“; „აღვიმსოთ ჩვენ  
ცისკარსა...“; „და ძალთა ზეცი-  
სათა...“ კონცერტი დასრულდა  
არვო პიარტის საკმაოდ ომახინი  
ნაწარმოებით “CREDO” /მრჩამსი/  
ფორტეშიანოს, შერეული გუნდი-  
სა და სიმფონიური ორკესტრი-  
სათვის.

საორკესტრო ნაწარმოები  
ბები შეასრულა საქართველოს  
ეროვნულ-მუსიკალური ცენტრის  
ორკესტრმა, რომელსაც მონველი  
შევიცარიელი დირიჟორი საიმონ  
კამარტინი ხელმძღვანელობდა.  
მას უკვე იცნობდა ქართველი აუ-  
დიტორია მაგალითის საავტორო  
კონცერტიდან. ისიც უნდა



აღინიშვნოს, რომ იგი ხშირად ასრულებს მამისაშვილის მუსიკას ეკრანზე.

უკვე აღვნიშნეთ, რომ 3-4 აპრილის კონცერტებზე შესრულდა საგუნდო მუსიკაც; აუდირებული იქნა 4 ფრაგმენტი 6. მათისაშვილის „განცდინ“-დან და არვო პიარტის 2 აკაპელა გუნდი „MAGNIFICAT“ („ადიდებს სული ჩემი“-1989) და „NUNC DIMITTIS“ („აწ განტუევე“-2001) ლუკას სახარების მიხედვით. ნანარმოებები შესრულდა საქართველოს ეროვნული საგუნდო კაპელის მიერ არჩილ უშვერიძის ხელმძღვანელობით.

გარდა საორკესტრო და საგუნდო მუსიკისა, 4 პრილის კონცერტზე, შესრულდა კამერული ნაწარმოებებიც: ნოდარ მამისაშვილის „ტრიპტიქი“ ვიოლინისა და ფორტეპიანოსთვის (1978) და არვო პიარტის „SPIEGEL IM SPIEGEL“/„სარკე სარკეში“/ ალტისა და ფორტეპიანოსათვის (1978) ნინო ჟვანიასა და გიორგი ფაგარელის შესრულებით. ნაწარმოების სიმსუბუქე და ბევრის განსაკუთრებული საკრალურობა სწორედ შემსრულებელთა ოსტატონბაზე მიუთითებს და ავტორის მიგნებებს ჟსაბაშს ხაზს.



არც პირთი — გერმანიაში გოცვილები ესოდენური ცარმოზოგის კომაროვითორია. დააგთავრება ტალინის კონსერვატორია კომპოზიციის განხერით. 1964 წლიდან ახალგაზრდა კომპოზიტორი პირველად იქნებოს კოლაჟის ტექნიკას. თითოების იგავძლოულად მის მუსიკაში ჩდება რელიგიური მოტივები, რაც უკურავოროვნება არ დარჩენია საპარტა ცენზურას. ყარპალევისგან თავის დასაღვევად მისი არავარი თეზულება ზეცვლილ სახელმოღაცით სრულდებოდა, თუმცა პირთის ცოვათორული მუსიკა არცოთ იჯინათად, ყოველგანარი გახდაურების გარეშე, გაიცი იყალბლებოდა სსრ-ში, რის გამოც კომაროვითორი იცულებული გახდა ნასულიყო ვებგრაფიაზ, ვარ ვენაში, ხოლო 1980 წლიდან, გერმანიაში საბოლოოდ დამკვიდრდა და აპტიურ ვეომებულებით მოღვაცობას განაგრძოს ჩირლიცი. დღეისათვის არც პირთი მსოფლიოში ერთ-ერთი გვილაზე აღიარებული აროვანისონალი კომპოზიტორია. მას ინიციატული პარს უმაღლესი საერთაშორისო არეალია: „ტირუმუზი“/პოპროვი, 1999/; ავრიკაული „გრემი“-კატეგორიაში „საუკათხოსო თანამდებობების ავტორი“ /საგუნდო ნაცოროვანისათვის „მონარების კანონი“; დანიური სონიერობის სახელმოგანის არმობი — „როგორც ერთ-ერთ გვილაზე ორიგინალურ კომპოზიტორს“ /პოპროვი, 2008/; არჩეულია ტალინის მუსიკალური აკადემიისა და ტარტუს უნივერსიტეტის საარატიო დოკტორად, ზვედეთის სახელო მუსიკალური აკადემიის საარატიო ცეკვად. მის შემოქმედებას მიერთოვთ ე.წ. საკარაულო მინისტრის, იმავე არაულ განისილებაზე, როგორც არალ კომისიანულ მუსიკას, რაც დასავისირეულია მის შემოქმედებაზ ვარ კიდევ 1970-იანი ცლების შუალედობაზან ჩამოგალიბებული ახალ, უმარტივეს გარეობით ელევანცეულზე-სამხედოვანებასა და დიატონურ გერერთა რიგის ტონებზე-დაფუძვებულ სტილთან. თავად კომპოზიტორი აგ სტილს უცოდებს „ტირინი-გრემი“-ს ლათინურად „ზანზალავაგი“ / და ადარჩის „გრამერას ნიჭაპოლინგაბითი ცილატაციისა“. ვებგვერდ ეს სტილი განვითარებულია კომპოზიტორის არალეგარული რეალიგიური სულიერებით გამოსვალულ მრავალრიცხვოვან არატიტულებით. საგულისხმოა, რომ ვესანიგნავი საორკესტრო პიესის „თაგულა რასა“-ს ფრაგმენთის გამოყენებული თეგიზ აგულაძის ფილმში „მონარებაზ“.

საიმონ კავარტლიძე — შვეიცარი-  
ელი გევორგიელი და ინიციატორი.  
მუზეოვან თანამშრომლობას საერ-  
თაშორისო ასაარეზე მოღვაწე  
ორგანიზაციებთან, რუსთის კულ-  
ტურის სამინისტროს სიმუშობრუ  
ორგანიზაციებთან, კივის კავერატასთან,  
რუმინეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმუშობრუ  
ორგანიზაციებთან, ლევანგირის ლეონოლის ორგანიზაციან  
და სხვა. იგი პრის თანადამფუძველი და სამხ-  
ატორო ხელმძღვანელი ფალერა/ლაპარა/ფლიმის მუსი-  
კალური ფესტივალებისა MENHIR.

პრტიური და ცაყოფილი მუსიკალური მოღვაწეობისა და კულტურული აროებრივის ორგანიზაციისათვის გას მიღებული აძვეს საფრანგეთის აკადემიის პილოტ, „Scienses-Art-Letter“; არჩეულია უკრაინის კომპოზიტორთა კავშირის სააათიონ ცენტრად და მოღვაწეობას მუსიკისა და ხელოვნების აკადემიის სააათიონ დოკტორნად.

3-4 აპრილის კონცერტებში ასევე მონაწილეობდნენ სოლისტები — შემსრულებლები, მევიოლინები — ლევან ძამუკაშვილი, იონა კამარტინი (შვეიცარია), სალომე ბუკია; პიანისტები — მაია ჩიქოვანი და თამარ ბახტაძე. მათმა ოსტატობამ დიდი სიამოვნება მიანიჭა მსმენელებს.

საბოლოოდ, კონტრაპუნქტი შედგა, მიუხედავად კომპოზიტორების მუსიკალური სტილისა და აზ-როვნების რადიკალური სხვადასხვაობისა. ორივე ავტორი ხშირად მიმართავს რელიგიურ თემაზისას. რა თქმა უნდა, ამ საციონის მიმართაც მათი დამრკიდებულება ასევე ორიგინალურია და ერთმანეთისგან განსხვავებული. პიარტი მიმართავს სტილიზაციას და გვძირავს იმ ეპოქისთვის დამახასიათებელ კოლაჟებში, ხოლო მამისაშვილი საკუთარი მუსიკის ერთგვარ პრიზმაში ატარებს და ახალი შეგრძნებით განგვაცდევინებს ძველ განცდებს.

ვგონებ, ფესტივალი „კონტრაპუნქტი“ კიდევ ერთი დადებული აგურია ქართულ თანამედროვე კულტურაში იმ სიმაღლეების ასაშენებლად, საიდანაც მსოფლიო პანორამა ჩანს. იდეის ავტორი ნიკა მერანიშვილი და მთელი საორგანიზაციო ჯგუფი უდიდეს მადლობას იმასხურებს განეული შრომისათვის. ამასთანვე ეს ინიციატივა უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს მავანთა და მავანთაგან, რომ არ იქცეს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოთა შინა“. გამოვცეთ, ჩავწეროთ, გავავრცელოთ, დავანახოთ, გავუნიოთ პოპულარიზაცია და ნუ დაველოდებით სხვათა თანხმობას.

ବାରିଦ୍ବୀ ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ — ଡାକୁଟାଙ୍ଗରୀ.



### ორკესტრის ცოდნების, მრიანი დღე!

ცნობილია, თუ რაოდენ დიდია მემკვიდრეობითობის ძალა. დადებითი მხარე ამ თვისებისა საქართველოში მძლავრადაა გამოვლენილი, განსაკუთრებით მუსიკალურ ხელოვნებაში. მსოფლიო მუსიკის ისტორიაში ცოტა თუ იცის სახელოვანი დინასტიები. ჩვენში კი — პირიქით, ფალიაშვილების, ბალანჩივაძეების, ანდლულაძეების, ვირსალაძეების, ამირანაშვილების, თორაძეების, შავერზაშვილის და სხვათა გვარები ამის საუკეთესო დასტურია. ამ ბრწყინვალე ჩამონათვალს თამამად შეიძლება მიუერთდეს კახიძის გვარი. ჯანსულ კახიძემ — დირიჟორმა, მომღერალმა, ლოტბარმა, კომპოზიტორმა, საზოგადო მოღვაწემ სამარადისო ადგილი დაიკვიდრა ეროვნულ მუსიკალურ მატიანეში. ვახტანგი, მისი ვაჟიშვილი, მამას კვალში ჩაუდგა.

ჩემთვის, ვინც ვახტანგ კახიძეს მისი სიჭაბუკიდანვე იცნობს, გულისურით ადევნებს თვალს მის შემოქმედებითს მოღვაწეობას, გასაკვირია, მაგრამ მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ წლეულს ნახევარსაუკუნოვანი საიუბილეო თარიღი დასდგომია. ჭეშმარიტად, დრო სწრაფად გარბის!


ესოდენ პასუხსაგებ ასაკს — 50 წელს — ვახტანგ კახიძე ხელხვავიანად შეეგება, ხმამაღალი სიტყვა თქვა, როგორც დირიჟორმა, კომპოზიტორმა, მომღერალმა, პიანისტმა, მუსიკალურმა ორგანიზატორმა, გამოჩენილ ეროვნულ მოღვაწეთა რიგში ჩადგა.

თურმე რაოდენ დიდ დროს ჩაუვლია ვახტანგ კახიძის საკომპოზიტორო დებიუტიდან, პიანისტური დებიუტიც რომ დაემთხვა. ახლა უკვე შორეულ ნარსულში აი რას ვნერდი: „Яркое впечатление оставил фортепианный концерт Вахтанга Кахидзе, самого молодого участника пленума (ему 21 год, он студент V курса Московской консерватории по классу Н. Сидельникова). Чем же поразил концерт? В основном тем, чего так недоставало мно-

гим другим прозвучавшим здесь произведениям: юношеским штыком, безыскусной непринуждённостью высказывания, рождающей иллюзию лёгкости пера, общим мажорным тонасом. Музыка концерта запечатлелась в памяти и благодаря виртуозному блеску, темпераментности, импровизационной свободе авторского исполнения. Конечно, это опус талантливого, хотя еще незрелого автора. (...) В нём отчетливо стремление композитора органично сплавить закономерности джазовой импровизации и родного фольклора. Трудно, да и рано еще гадать, пойдёт ли В. Кахидзе по заявленному сегодня пути, но всё сказанное даёт основания с надеждой следить за его дальнейшим развитием. Он безусловно сумеет найти свой путь в искусстве» (Журн. «Советская музыка», 1981г. №4)

ჩემი ვარაუდი — ხელოვნებაში საკუთარი გზის მიკვლევის თაობაზე — იმხანად გაბედულად ჩამითვალეს და ჯანსულ კახიძისადმი ქათინაურადაც მიიჩინიეს. ჩემთვის გასახარია, რომ ვარაუდი გამიმართლდა, უფროორ კი ის, რომ ჯანსულ კახიძის ვაჟმა, მართლაც იმოვა საკუთარი გზა ხელოვნებაში. იმ თავისებურებათაგან, პირველ საკომპოზიტორო ოპუსში რომ გამოჰკვეთა, ბევრი რამ შეინარჩუნა და ახლითაც გაამდიდრა... იოლი როდია ინდივიდუალური გზის მიგნება, ხმამაღალი სიტყვის თქმა, საკუთარი ადგილის დამკვიდრება, როცა სახელოვანი მამის შარვანდედი გადგას. ასე მგონია, ეს ამრავლებს პასუხისმგებლობას, სხვა საზომით განიზომავენ პიროვნებას, მოთხოვნებს მაღალს უყენებენ. იყო ლირსეულ მემკვიდრე სახელმოხვეჭილი ხელოვანისა — რთულია მეტად!

საიუბილეო კონცერტმა (2009წ. 23 მარტი) ნათელდყო — ვახტანგ კახიძე ლირსებით ატარებს პროფესიულ ტვირთს. ხელხვავიანობა რომ ვახსენე, განა





ჯანეშვილი და გახტაძე გახიბიშვილი

მარტო მოღვაწეობის მრავალგვარ ასპექტს ვგულისხმობდი. საიუბილეო კონცერტზე საკომპოზიტორო შემოქმედება წარმოდგენილი იყო ნანარმოებთა შექმნის ეროვნოლოგიის გათვალისწინებით. დიდი ფორმის ხუთმა ინსტრუმენტულმა და ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ნანარმოებმა, მრავალრიცხოვანი შემოქმედებიდან რომ ამოუკრებია ავტორს, ხილული გახადა ვ. კახიძის შემოქმედებით ინტერესთა სივრცე, და, რაც შენიშვნელოვანია, მაზიერლური სული. იგი ყოველ ჯერზე ეძიებს და აგნებს კიდევაც გამოსახვის მითვის ახალ-ახალ საშუალებებს, ახალ ფორმას, ახალ საშემსრულებლო შემადგენლობას. სთხავს ხან საბალეტო მუსიკას (სომფონიური სიუიტა „ამორძალები“, 13 ნანილი), წერს ხან სომფონიური („შეთანაბეჭანი“, Coniugationes), ხან კამერული ორკესტრისათვის (In memoriam); სოლისტად ხან ჩელოს (Moon Dansces, ჩელოსა და კამერული ორკესტრისათვის), ხან ვიოლინოს, ხან ადამიანის ხმას ირჩევს („ბლიც-ფანტაზია ქართულ კილოვავებზე“, ვიოლინოს, ვოკალური ხმის, სინთეზატორისა და კამერული ორკესტრისათვის). ბევრ თხზულებას საიუბილეო პროგრამის მიღმაც სტრუქტა. ჩემთვის, მაგალითად, დასანანი იყო, თეატრალური დადგმებისათვის დაწერილი შევენიერი მუსიკიდან იმ საღამოს რომ არაფერი გახმიანდა. საშემსრულებლო ანსამბლის არჩევანის ნაირგარობა თავისთავად, მართალია, უკვე ლამის ჩერულებრივ ამბად იქცეს, მაგრამ ვ. კახიძისათვის არჩევანის სიახლე არაა თვითმიზანი. მისი არჩევანი თანხმობაშია ჩანაფიქრთან, სათემელსაც აგნებს და ესწრავის გამოთქმასაც საკუთარი იერი შესძინოს. საგულისხმოა ფრიად, რომ ვ. კახიძის საკომპოზიტორო მეტყველება ჩვენი დროისაა, თანამედროვე ტექნიკოლოგითაა აღჭურვილი, და ამასთან, ეროვნული ფესტებიდანაა ამოზრდილი (პირველსავე, სადებიუტო თხზულებაში არჩეული ამ პრინციპის ერთგულია ახლაც). ეს, ჩემთვის პრიადად, დიდად გასახარი და დასაფასებელია. ამაშიც თავისი მამის კვალს მიჰყევბა. ჯანსულ კახიძის სიმღერები ხომ ღრმად ქართულია, ეროვნული. ეროვნულ მუსიკალურ მეტყველებას განსაკუთრებულ ღირსებად იმად მივიჩნევ, რომ დღესდღეობით ეს ნიშან-თვისება მუსიკალური ხელოვნებისა მიზან-მიმართულად და აჩქარებული ტემპით განიცდის ნიველირებას. ფრიად საძნელო ხდება ამოცნობა კომპოზიტორის სადაურობისა, ვერ გაარკვევ ფრანგია იგი თუ ასტრალიელი, იტალიელი თუ შევდი. ამას თანამედროვებას მისადაგებული მოთხოვნებით

განმარტავენ, ამართლებენ, მიესალმებიან. დაე ვიყო მოძველებული შეტედულების — მე მკვეთრად ეროვნული მუსიკის ერთგული ვრჩები! ვახტანგ კახიძე კი თანამედროვე კომპოზიტორიცაა და ქართველადაც რჩება!

ვახტანგ კახიძის პიანისტური ოსტატობა მაღალპროფესიული დონისაა, ტექნიკური აპარატი მას სრულ გასაკანს აძლევს საკუთარ ნანარმოებთა ვირტუოზული სირთულეები მსმენელთათვის შეუმჩნეველი გახადოს და მუსიცირებას იმპროვიზაციული სილადე შესძინოს, რაც ხიბლს უმრავლებს შესრულებას. ეს თვისებაც სომ დებიუტისთანავე გამომუდავნდა, პირველი დიდი ფორმის თხზულების, საფორტეპიანო კონცერტის თბილისური პრემიერის დროსაც ჭაბუკი მუსიკოსის ტექნიკური თავისუფლება თვალშისაცვემი იყო. ახლა პიანისტური განაფულობა შენარჩუნებულიც არის და წლების მსვლელობით გამრავლებულიც. ამას ხაზს ვუსვამ, რადგან პიანისტური ტექნიკის შენარჩუნების გარდა მუსიკოსს სხვა საზრუნავიც თავსაყრელი აქვს.

ვახტანგ კახიძე მომღერალი. ეს ნიჭიც, უთუოდ, მემკვიდრეობითობის შედეგია. ქართული ხალხური სიმღერის საუცხოო მოვიდნის, ვანიჩეა კახიძის შეილაშვილისგან, მომნუსხავი მომღერლის, ჯანსულ კახიძის შეილისგან ეს ნიჭი, თითქოს, არც უნდა იყოს მოულოდნელი, მაგრამ ვატო „კარგი მთქმელის კარგი გამგონე“ და აქაც, მუსიკალური მოღვაწეობის ამ სფეროშიც, ინდივიდუალობას ინარჩუნებს. მისი ვოკალურ-ინსტრუმენტული თხზულებების ვოკალური მელოდიკა, ისევ და ისევ ეროვნულიცაა და თანამედროვეც, მონთხოვს ვოკალიზაციის ბუნებრიობასაც, უშუალობასაც და განაფულობასაც, მანვილ სმენასაც და რიტმის ზუსტ შეგრძნებასაც, რაც მომღერალს ადვილი საშემსრულებლო ამოცანების პირისპირ როზი აყენებს. ამის ჩინებული ნიმუშია „ბლიც-ფანტაზია ქართულ კილო-კავებზე“. საკუთარი თხზულებების შესრულებისას, ვახტანგის ვოკალური მანერა იმგვარია, იმპროვიზაციულად იმდენად ლალია, თავისუფალი, რომ მსმენელის წინაშე, იმ წუთას შექმნილის შთაბეჭდილებას ახდენს, ქართული ხალხური სიმღერის სურნელითაცაა გაუღენთილი და იმავდროულად კომპოზიციის თანამედროვე ხერხებით გამდიდრებულიც. ვახტანგ კახიძის ვოკალურ ნანარმოებს, უქველია, მომავალში სხვა შემსრულებლებიც ეყოლება. უკეთესი შესრულება, ვიდრე კახიძე-ავტორისეულია, იქნებ, შესაძლოც იყოს, მაგრამ ძნელად ნარმოსადგენი კია.

თუ კახტანგ კახიძე ცალკეულ ნანარმოებში როგორც მომღერალი, ცალკეულში კი როგორც პიანისტი ნარმოდგა, კახიძე-დირიჟორი მთელი საღამოს მსვლელობისას თავის ძირითად ამპლუაში იმყოფებოდა, კონცერტის მთავარი მოქმედი პირი, საშემსრულებლო პროცესის ცენტრალული პერსონაჟი იყო. უძლევებოდა რა ვრცელი პროგრამის შესრულებას მსმენელი აუდიტორიის ყურადღების ცენტრში იყო მოქმედები. ვახტანგ კახიძე მგზნებარე ტემპერამენტის დირიჟორია, თუმცი მის ემიციას მუდამ რაციონალური სანერიის აღვირების და აჩქარებული ტემპით განიცდის ნიველირებას. დირიჟორსა და მის უზარმაზარ ინსტრუმენტს — სიმფონიურ ორკესტრს

# მუსიკა

— შორის დამყარებული კონტაქტი უწყვეტია, დირიჟორის მოწოდებაზე მუსიკოსთა გამოძახილი მყისიერია და ზუსტი. ეს მუშტად შეკრული ანსამბლია, ერთსულოვნად დარაზმული მაესტროს სადირიჟორო ჯოხით. ვახტანგ კახიძე ფლობს საკუთარ სადირიჟორო მანერას, მაგრამ რარიგ ხშირად ცოცხლდება მის მიხრა-მოხრაში, უესტში, მიმიკაში, მამის სადირიჟორო მანერის ცალკეული თავისებურება. როგორ არ უნდა აღინიშნოს მემკვიდრეობითობის ძალა! აი ამ წამიერ მოძრაობაში, ამ ერთ გაელვებში ცოცხლდება ჯანო, იგი კვლავ დარბაზშია, პულტან დგას, რაზმავს ორკესტრს, ნუსხავს მსმენელს! ტრადიცია ცოცხლობს!

უნდა იმის შესახებაც ითქვას, რომ მომთხოვნი, მუდამ მობილიზებული, სამუშაოდ შემართული დირიჟორის მოვალეობა-ვალდებულებანი წმინდა მუსიკალური საკითხებით როდია შემოფარგლული. მისი საზრუნვისა ორკესტრისა და ორკესტრანტების ათასგვარი პროლემბი, საკონცერტო დარბაზის მოვლა-პატრონობისა და საგასტროლო ტურნეების მოგვარების და უამრავი სხვა საორგანიზაციო საკითხი, რაც დღევანდელ საქართველოში ათასგვარ სირთულეს აწყდება. ამ ყველაფრისათვის თავის გართმევა მხოლოდ დროის ხარჯს რომ მოითხოვდეს ისიც არ იქნებოდა ადვილი. აქ კი...

აუცილებლად უნდა ითქვას ვახტანგ კახიძის ერთი თვისების თაობაზე. მან საოცრად შერომელი მუსიკოსის ავტორიტეტი დაიმკვიდრა. გარჯის, დღენიადაგ მუშაობის გარეშე ის მხატვრულ-ესთეტიკური შედეგი სოლიდურმა, ორგანულფილებიანმა კონცერტმა ერთბაშად რომ წარმოაჩინა, შეუძლებელი

იქნებოდა. ზუსტად რომ გამოვთქვა, რასაც ვგულისხმობ, სულხან ნასიძის ერთ გამონათქვამს მოვიშველიებს: „ვერ წარმომიდგენია ნიჭიერების შეთავსება სიზარმაცესთან. სიზარმაცე შედეგია ადამიანის მონაცემებისა, ნიჭიერების ხარისხის გამოხატულებაა. ნიჭიერი ადამიანი, რომელსაც ნამდვილი შემოქმედებითი იდეა ამოძრავებს, შეუძლებელია იყოს ზარმაცი. მას შრომის უნარის ის იმპულსი ამოძრავებს, ნიჭიდან რომ მოდის. ვახტანგ კახიძის შრომის უნარს კი, როგორც უკვე ვთქვი, მრავალგვარი ნიჭის იმპულსი ამოძრავებს.

არ შეუვდგბი საიუბილეო საღამოს პროგრამის თითოეული ნომრით მიღებული შთაბეჭდილებების მეითხველისათვის გაზიარებას. მუსიკა ერთობ აბსტრაპირებული ხელოვნებაა და ყოველ ადამიანში განსხვავებულ ემოციას ჰპადებს, განსხვავებულ შთაბეჭდილებას აღმრავს. იმას კი ვიტყვი, რომ ყოველ უკანასკნელ ბეგრას დარბაზის გულმურვალე ტაში მოსდევდა. თბილისის ზ. ფალიშვილის სახ. ოქრისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დარბაზი (სადაც ჯანსულ კახიძე რამდენიმე ათეული წლის გამზადობაში ნაყოფიერად მოღვაწეობდა) კი გაჭედილი იყო. მრავლად იყვნენ ისინიც, ვინც თაყვანს სცემდა ჯანსულ კახიძეს და ამდენად ერთგვარი ცნობისმოყვარეობით ელოდა მისი ვაჟიშვილის საავტორო კონცერტს, რომელსაც ფართოდ უნდა წარმოედგინა მისი მოღვაწეობის სხვადასხვა მხარე, მრავალმხრივი შემოქმედებითი სახე. ტაშის დინამიკა იყო იმგვარი, სჩანდა, მოლოდინი რომ არავის გასწილებია. პირიქით — ტაში გამოხატავდა სიხარულს, რომ ესტაფეტა საიმედო ხელშია, რომ ტრადიცია ცოცხლობს, გრძელდება!

## მოვლით მუსიკალური სიკრი

### პაიდის ანდერძი ინტერვეტ - მოხარულებისათვის


უდიდესი ავსტრიელი კომპოზიტორის იოზეფ პაიდის ანდერძი ინტერვეტის რამოდენიმე გვერდი და ასევე ხელმოწერა სკანირებულია და განთავსებულია ინტერვეტში, ვენის მაგისტრატის ვებ-გვერდზე, რომელიც, მიწის არქივთან ერთად, ფლობს უფლებებს ამ დოკუმენტზე.

იოზეფ პაიდი საოცრაოდ შეძლებული იყო, როდესაც გარდაიცვალა და თავის ახლობლებს მნიშვნელოვანი ფულადი მემკვიდრეობა დაუტოვა, მათ შორის 100 გულდებულზე მეტი — თავის დას, 50 — შეწყალების ძმებს, 12 — მღვდელს თავისი მშობლიური რორაუდან; ოჯახის წევრებისა და მოახლის გარდა კომპოზიტორმა დაასაჩუქრა აიზენშტადტის ეკლესიები და საავადმყოფოები მიუსაფართათვის.

პაიდის ანდერძისა და მის ბიოგრაფიისათან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების ორიგინალების ნახვა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის ვენის მაგისტრატისა და მიწის არქივში 2009 წლის 28 აგვისტომდე.

წელს ავსტრიაში აღინიშნება პაიდის გარდა დაკავშირებული ბელი. მემორიალური წლის მთავარ მოვლენათა შორისაა — პაიდის 107-ვე სიმფონიის შესრულება. პირველი სიმფონია შესრულდა 31 მარტს, დირიჟორობდა ნიკოლაუს არნონცური.

31 მაისს, პაიდის გარდაცვალების დღეს, აიზენშტადტში, ასევე ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის და აზიის ქალაქებში შესრულდება მისი ორატორია „სამყაროს შექმნა“.



# ქართული მუსიკა უცხოეთში

# 805 ქანების დღეები ერთანხო

2009 წლის მაისის დამდეგს — 6-9 მაისს ქ. ერევანში გამართულ საერთაშორისო ფესტივალის „XX საუკუნის პერსპექტივები“ ფარგლებში, ჩატარდა გია ყანჩელის დღეები.

სომხეთის კულტურის სამინისტროში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გია ყანჩელმა ბრძანა: „ჩემი დამოკიდებულება სომხეთისადმი, რამდენადმე არით-მეტიკულია. სიმფონიის ავტორი გახლავართ. მათ შორის 6 — დილიქაში, კომპოზიტორთა შემოქმედებით სახლში დავწერე. ყოველი სიმფონიის შექმნას 2-3 წელი დაჭირდა. ახლა გადაამრავლეთ ეს წლები და გამოვა, რომ ჩემი ცხოვრების 15 წელი სომხეთში გამოიტარება“.

„დარწმუნებული ვარ, რომ გია ყანჩელის დღე-  
პი საჩუქარი იქნება მათთვის, ვისაც შესწევს უნ-  
არი დააფასოს ჭეშმარიტი ნიჭიერება, ჩვენი თანამე-  
დოროვა, საქვეყნოდ ცნობილი კომპოზიტორის მუსიკის  
მგრძნობელობა და სულიერება“ — აღნიშნა სომხეთის  
კულტურის მინისტრმა პასმიკ პოლოსიანმა.


გია ყანჩელის დღეები გაისხვა 6 მაისს არამ ხა-  
ნატურანი სახელობის ფილარმონიის საკონცერტო

დარბაზში. კამერ-  
ულმა ორკასტრმა  
„სერგიადა“ (სამხ-  
ატერო ხელმძღვანე-  
ლი და დირიჟორი  
ედუარდ თოფჩიანი),  
ვიოლონჩიელისტმა  
გიორგე დირგვნაუს-  
კაიტემ და ალტისტ-  
მა მაქსიმ რიზანოვ-  
მა შეასრულეს გია  
ყანჩელის სიმფონ-  
იური კომპოზიციები  
„Silence Prayer“ და  
„Liturgy“.

„ 8 მისის, კამერუ-  
ლი მუსიკის სახლში კამერული გუნდის „ოვერის“  
(სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი  
სონა ოვანესიანი), გიდონ კრემერისა და ანდრეს მუს-  
ტონენის მიერ შესრულდა „Sio“, „Ex Contrario“ და  
„Broken chant“.

9 მაისს, არამ ხაჩატურიანის სახელობის ფილარმონიის სკონცერტზე დარბაზში დასრულდა გია ყანჩელის დღეები. სომხეთის სახელმწიფო ფილარმონიული ორკესტრისა და გუნდის „ოვერის“ შესრულებით პლეირდა „Lone Stone“, „Fingerprint“ და „Styx“.

„новости армении“  
[www.panarmenian.net](http://www.panarmenian.net)



# ԱՆՁՎՈՅՆ ՃՐԱԿԱԾՎՈՅԻՆ ԽՈՅՆԴԱ

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ ପରିଚୟ

ვენის საოპერო თეატრმა 25 მაისს 140 წლის  
სახელოვანი იუბილე იზეიმა. 140 წლის მანძილზე  
ამ თეატრის სცენაზე 36 000 საოპერო დადგმა  
განხორციელდა. სხვადასხვა დროს სადირიქორო  
ჰულტთან იდგნენ ჯუზეპე ვერდი, რიპარდ ვაგნე-  
რი, იოპან შტრაუსი, არნოლდ შონბერგი, გუსტავ  
მალერი, კარლ ბიომი, პერენტ ფონ კარაიანი...

საიუბილეო დღეს შედგა მოცარტის „დონ ჟუანის“ პირდაპირი ტრანსლაცია უზარმაზარ ეკრანზე, რომელიც განთავსებული იყო საოპერო თეატრის კედელზე. სპექტაკლს 4 ვიდეო-კამერა იღებდა და გადმოსცემდა დიდ ეკრანზე.

„დონ უზანი“ იყო ვერის საოპერო სცენაზე წარმოდგენილი პირველი სპექტაკლი — 1869 წლის 25 მაისს. ამ დღეს პრემიერას ესწრებოდა ავსტრიის იმპერატორი — ფრანც-იოზეფი და მისი მეუღლე ელიზავეტა.

კენის საოპერო თეატრის სპექტაკლების ტრანსლაციები მომავალში წელიწადში ოთხჯერ გაიმართება — მაისში, ივნისში, სექტემბერში და ოქტომბერში.



# იოსებ ჭავჭავაძე

პორტრეტი

ჩემი სოსო, შენ ალმოჩენა იყავი ჩვენი დროის ქართულ კულ-  
ტურაში და ცორმოდგენი ჟურ კაფე რჩები ალმოხაჩენად.

თავისთვის, არავის მსვანეობა უნიკალური შემოქმედი – საკ-  
ვირუსია, საიდან მოხველი იმუშავდა, სადაც საერთოდ სხვა სიახლეებ-  
სიახლე, მაგრამ იმავერობა შენში მაშინაც იგრძნობოდა უძველესი  
ნაკოძიშვილის ძალიან ქართული გუნის მეტყველეობა, რომელიც მოვ-  
ლინე საგუნდო მცხოვარ მისი სამხრი სილომეურისა და ლოგიის  
ახლუწურად გამოსავლენად. ეს უძველესი უსავერი დიდი დროის  
განმავლობაში რჩებოდა გადაულიავა უცალონაზე. რჩება ფალიაშვი-  
ლი, სულისხილი და მიუხედავად იმისა, რომ გუნდისათვის შევრი  
შევინიერი ფურულია დანერილი, შენ მაინჯ, როგორლარ ახალი  
აზოვნება, ენა, ლექსია და ტექნიკა იძიოვ ამ კანის ხელობრა  
ასალორინებლად. შენ ულევი გამომიტონებლონბა, ელფარე იუმირი,  
სევდარ, გამოთქმული გვერთა ინტონარებით ჰევაც უძველეს ქარ-  
თულ ტიხრულ მინხვების, სულ რომ გიყვიოს, როგორ ქმნილენ  
ასეთი ფერთა შეხატების ნაკეთობას, სადაც ნებისმიერი სული-  
ერებით, თითქოს მიამიტა, სევდარა და იუმირითაც კი იშვირებინ. საკურარია ეს შენი ინტონარა, მოუხელოურებლი და იძიფროს მყრინ.  
თუმცა ეს უკულაფერი რატობ უნდა გაგვიყირდეს, როგა შენ თვი-  
ოთნ პირვების ხარ ასეთი: იუმირით და აზოვნების სისხარტით  
ნამდვილი გურული, წხოვრებაში ზუსტი თვალის შეონე ფიავნოს-  
ტიყოს, გამჭვილი მზერით უკულაფერის რომ სედავ და ფარავ. თითქოს  
წყნარი, მაგრამ მაინჯ მშეფოთვარე, მკავეთი პირის, საკურარის,  
მაგრამ მაინჯ იღუშალ და განრიდებულ კარატ რჩები.

იქნენ, მართლა ახლო ნათელაფერი ვართ ქართველები და ესპან-  
ელები. შენ მაგონებ გაუდის წილის მასიულონის ცვალის, სადაც იმ  
ჩამოსხმულ, მკავეთ ფორმებში ქიმიერებისი ჩუქურობიერის არზური  
ინტონარა ან შეორდება, სადაც შეუთაცეცებული კი ჰერმონიას და  
ქრისტიანული ურთისესობის აუქურულ ჰილონისათვის.

მე მიყვანი ეს ტაძრი, სადაც შენ „მეუერ ხარ და პოეტი“ და  
მარტოსული! ჭანმოთელონბას გასურდებ, ჩემი კარგო, ისევ შემიავე  
მყავარულ ლამირინთები გეტეონბას, სადაც დაკარგვის არასოდეს  
შეგეშიზდება, რადგან შენი სიტყვა უკავ თვევი. ასეთად გვესახები  
შერ და ნუგეშავარ.

სუვარულით, ერთგულებით  
შენი მიძინა კურნაძე

## კომპოზიტორი - ნოვატორი

მანანა ახმეტაშვილი

სოსო კეჭაყმაძეს 70 წელი შეუსრულდა. შინაარ-  
სიანი და ნაყიფიერია გამოჩენილი კომპოზიტორის  
ცხოვრების გზა.

ლევან პროფესიულმა განსწავლულობამ იმთავითვე  
განსაზღვრა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის  
სფეროც და ესთეტიკური კრედოც, განსაკუთრებული  
ადგილიც მიუჩინა ქართულ მუსიკალურ კულტურ-  
აში.

სოსო კეჭაყმაძემ საგუნდო მუსიკის სამყაროში ახ-  
ალი გზები გაკვალა, ახალი მწვერვალები დაიპყრო.  
მან ეს ძვრები განახორციელა თვითმიზნური ძიებები-  
სა და ექსპერიმენტების გვერდის ავლით. მის შემო-  
ქმედებით სტილს ორგანულობა ახასიათებს, მუსი-  
კალურ ენას — ეროვნულობა, სახოვანება, სიცხადე-  
მდიდარი და მრავალფეროვანია მისი ტემპრული  
პალიტრა. მხატვრული აზოვნების პროცესი ბუნე-

ბრივად, ლოგიკურად, ძალდაუტანებლად ვითარდება.  
ფართოა მისი მუსიკის ემოციური დიაპაზონი: ნატ-  
იფი ლირიკიდან ექსპრესიულ დრამატიზმამდე. არ-  
ტისტული მახვილებრივი ერთობლივ იუმორისა  
თუ გროტესკს.

ტექნიკურ-ტექნიკულოგიური ნოვაციებით შეი-  
არადებულ კომპოზიტორს არასოდეს უდალატია  
ეროვნული იდეალებისა და მარადიული ეთიკურ-ეს-  
თეტიკური ფასეულობებისათვის. ამ მისწრაფებებმა  
შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო: ქართული მუსიკა  
გამდიდრა მაღალმხატვრული ნაწარმოებებით, მხურ-  
ვალე გამოძახილს რომ პოულობენ სამშობლოშიც და  
ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც.

უნიკალური საგუნდო კომპოზიციების ავტორს  
თამამად შეიძლება ეწოდოს კომპოზიტორი-ნოვატო-  
რი, კომპოზიტორი-კლასიკოსი.

დღეგრძელობა ვუსურვოთ საგუნდო მუსიკის შე-  
ანიშნავ დიდოსტატის!

# საგუნდო მუსიკის კლასიკოსი

მანანა კორძაია

**მწევან ბეჭედები** — ჩვენი დროის სამოციანელთა ერთ-ერთი უკანასკნელი მოპიკანი, აკაპელური საგუნდო სიმღერის კლასიკოსი, დაულალავი ექსპერიმენტატორი, ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის უბადლო მცოდნე, იუმორით აღსავსე, კეთილშობილი და კეთილგონიერი პიროვნება, ერთდროულად მოკრძალებული და უკომპრომისო... და, რა ვიცი, კიდევ რა შეიძლება ითქვას ამ სრულიად არაორდინარულ ადამიანზე და შემოქმედზე, რომელმაც თავისი ცხოვრების ნესით დაადასტურა, რომ არის ერთ-მოყვარე ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც.

მთელი ცხოვრება თავის უსაყვარლეს მეულლესთან გაატარა. არ უყვარს ადგილის შეცვლა, მოგზაურობა და ამ მობილურ ეპოქაში, შეიძლება ითქვას, საქართველოს ფარგლებს არ გასცილებია, მიუხედავად დიდი შესაძლებლობებისა; მას ვერ შეხვდებოთ კონცერტებზე თუ სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე. მგრამ ღრმად, უმცირეს დეტალებში იცნობს ხელოვნებას, ლიტერატურას, მუსიკას. საოცარი განცდა ეუფლება, როდესაც ახალ ქართულ საინტერესო ნაწარმოებს იმსწერს. არაფერს იტყვის, მაგრამ სახეზე აღებეჭდება ხოლმე ეს განცდა. ვერ ეგუება სიყალბეს ვერც ხელოვნებაში, ვერც ურთიერთობებში.

თავისი შემოქმედება საგუნდო მუსიკას, უმეტესად კი საგუნდო აკაპელურ სიმღერას მიუძღვნა და მთელი ეპოქა შექმნა ამ უანრში. ეს კი იმიტომ, რომ იქ ხედავს ქართული სულიერების, ქართული მუსიკალური აზროვნების ყველაზე მნიშვნელოვან შრეებს, რომელიც განვითარების, ახალი გზების ძიების, ახალი აზროვნების უკიდეგანო სამყაროს ბადებს... და ისიც თავდაუზოგავად ეწიებს და პირველს.

ამგვარმა დამოკიდებულებამ შეაძლებინა კონსერვატორიაში საგუნდო-სადირიქორო ფაკულტეტი ელიტარულად ექცია ამ კათედრის ხელმძღვანელად ყოფნის 27 წლის მანძილზე, რომელიც უპირობოდ დასტოვა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი პრინციპების ღალატი არ სჩვევია. მისი აზრით, რეფორმა რეფორმისათვის არ უნდა არსებობდეს, მისი მიზანი წინსვლა უნდა იყოს, რაც ვერ დაინახა თავის კათედრაზე და... არა მარტო წავიდა კონსერვატორიიდან, არამედ ტაპუ დაადო საგუნდო კათედრაზე თავისი ნაწარმოების შესრულებას. ახლა ხშირად მოისმენთ სტუდენტებისაგან, კეშაყმაძის მუსიკის შესრულება მოგვენატრაო.


ეს მონატრება შემთხვევითი არ არის, ამას კეშაყმაძის ნაწარმოების მხატვრული ხარისხი და საგუნდო ხელნერის ინდივიდუალობა განაპირობებს. მან ქართულ საგუნდო მუსიკაში მოიტანა თავისი დროის ახალი ინტონაციაციური სამყარო, რომელიც მთლიანად ამოზარდა ქართული მუსიკალური აზროვნების შინაგანი თვისებიდან, ხალხური აზროვნების სტუდენტურიდან და თავისი კერპის, ნიკო სულხანიშვილის მიერ დამკვიდრებული ტრადიციიდან. ეს არ იყო ხელოვნური გამომღება მუსიკოლოგით თანამედროვე მუსიკალური ტექნოლოგიებისა, ეს ქართული მრავალხმი-

ანობის ორგანული და ლოგიკური განახლების პროცესი იყო და ამის პირველ სრულყოფილ ნიმუშად იქცა მისი საგუნდო ციკლი — ძველი თბილისის სიმღერები. ამ ციკლით სოსო სრულად ამართლებს 70-იანი წლების ნეოექსპრესიონიზმის ცნობილი წარმომადგენლის, მხატვარ ბუცერის გამონათქვამს: — იმისათვის, რომ შექმნა რამე ახალი და მართლაც ღირებული, უნდა იყო რადიკალური ტრადიციონალისტი. ამ ციკლის ახალი ჰარმონიული მოდუსები, მოულოდნებული მოდულაციური სვლები, აკორდიკის სტრუქტურა სწორედ რადიკალური ტრადიციონალისტის მიგნებებია. ამიტომ უდერს ასე ბუნებრივად ქალაქურ (თბილისურ) ერთხმიან მარტივ, ხშირად პრიმიტიულ მელოდიებზე აგებული ეპიკური ფრესკები მრავალხმიან საგუნდო პარტიტურაში, რომელშიც სონორული ეფექტებიც უხვად არის და თეატრალიზებული შტრიხებიც. ამ ნაწარმოებმა განვითარების რმდენიმე ხაზი დაამკიდრა კეჭაყმაძის მიმდევართა შემოქმედებაში. ერთი — „ას, თვალებოს“ შინაგანი სიღრმით გაჯერებული ლირიკული ნაკადი იყო, მეორე — სონორისტიკას მორგებული „პეკელნიზ“ და ბოლოს, სიმფონიური გაქანების პოლიფონიური ფრესკა, ციკლის მუსიკალური კულმინაცია და აზრობრივი კვინტენსნცია „ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს“.

ამ ციკლში ნათლად გამოჩენდა ისიც, რომ კეჭაყმაძისათვის სიტყვა უფრო მუსიკალური კატეგორია, ვიდრე სემნტიკური. ეს გამოვლინდა სიტყვის მარცვლებად დაჩიხების პროცესში. ანუ, კომპოზიციის გარკვეული მონაკვეთის დომინანტად ამა თუ იმ სტროფის ის მარცვალი იქცევა ხოლმე, რომლის, როგორც მუსიკალური ბერის ფუნქციის მატარებელის ვარირება საჭირო აკუსტიკურ ველს ბადებს.

ეს პროცესი უფრო საცნობი გახდა ციკლში „მთისა ბარსა“ ანა კალანდაძის ლექსების მიხედვით. თბილისური ციკლისაგან განსხვავებით, ამ კომპოზიციის საფუძველი უკვე მაღალი პოეზია გახდდათ, სადაც ყოველ სიტყვას თავისი სიმძაფრე და წონა აქვს. აქ სიტყვის „დაჩიხევა“ ცალკეულ მარცვლებად, რომლებიც კარგავენ თავის სემანტიკურ საფუძველს და იძენენ მუსიკალურ დატვირთვას, ბევრად უფრო ფაქტიზირებული მიდგომას საჭიროებდა. სოსო კეჭაყმაძე შესძლო ამ პრინციპით შექმნა ვოკალური პროგრამულასახვითი მუსიკის უჩვეულო ნიმუშები ისე, რომ არ შეიძლალა ანას პოეზიის დიდებულება. ტერმინი „პროგრამულ-ასახვითი“ იმიტომ ვიხმარე, რომ ამ აკაპელური ციკლის საგუნდო პარტიტურა ინსტრუმენტული უდერადობის ტემპრულ-აკუსტიკურ არეალში ეგვევა და სიმფონიურ გაქანებას იძენს, რის შედეგად მსმენელი ხედავს ფაზავის ხევებში ჩამონილი ნისლს, მის კლდოვან ფერდობებზე მიმავალ ჭარბაზე, საჩიშ სიჩრუმეს ქარიშხლის წინ და სხვ.

ფშაური კილო-ინტონაციური საქცევების გამოყენება კლასიკურ მუსიკაში არახალია და მეორე საუკუნის 30-იან წლებში იღებს სათავეს. მაგრამ კეჭაყმაძე სხვა გზით წავიდა. ტრადიციულ ეთნიკურ-კუთხურ კონკრეტულობას მან განზოგადების პრინციპის მასშტაბურა დაუპირისპირა, ზოგადართულ ორბიტაში მოქცია და ახალი საზროვნო სისტემების, ორიგინალური მიგნებებისა და აკუსტიკური ეფექტების წყალით თანაბედროვე საგუნდო მუსიკის საუკეთესო ნიმუშების რანგში აიყვნა. ეს აკუსტიკურ-სონორული ძიებები კიდევ უფრო მრავალფეროვანად გამოჩენდა მის იუმორით სავსე ურთულეს საგუნდო ეგზერსისებში, მინიატურებში, მიძღვნებში, კომპოზიციებში ილია ჭავევავაძის თუ სხვა ქართველი პოეტების ლექსებში. საგულისხმოა, რომ აკაპელური საგუნდო ჟანრი



# მუსიკა

ოსტატურად გამოიყენა კინო-სათეატრო მუსიკაშიც, სადაც ინსტრუმენტის ჩარევის გარეშე, მხოლოდ გუნდური ხმოვაზებით მიიღება ისეთი პასაჟებიც კი, რომელებიც ადამიანის ცნობიერებაში მხოლოდ ინსტრუმენტულ მუსიკას ძალუდს. მისი ხელნერით ეს ხერხი სრულად მისაღებია აღმოჩნდა როგორც თანამედროვე ქართული, ისე კლასიკური ქართული თუ უცხოური დრამატურგიის ინტერპრეტაციისას, როგორიც იყო „შუშანიკის წამება“ რუსთაველის თეატრში, „რიდიპოსი“ მარჯანიშვილის თეატრში, „ლამარა“ ბათუმის თეატრში და არა ერთი ნიმუშევარი კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, მათ შორის ანა ხატისკაცის „არსენა“ — ფაქტობრივად, მიუზიკლი, რომლის მუსიკალური პარტიტურის ორიგინალობის საფუძვლად კვლავ აკადემიური საგუნდო დრამატურგია იქცა. ფილმს დიდი წარმატება ხვდა ვენეციაში და გრან-პრი მოიპოვა ქალი რეჟისორების ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე.

საგუნდო აზროვნება იყო გზა, რომელმაც კეჭაყმაძე საგალობელთან, ტაძართან მიიყვანა 70-იან წლებში, იმ ურთულეს საბჭოური ტოტალიტარულათეისტური რეჟიმის პირობებში. მაშინ პევრმა ვერ გატევა მიეღო მისი უწმინდესიბის ილია II -ის წინადადება, ემუშავათ საგალობლებზე. კეჭაყმაძე პირველივე მოწოდებას გამოეხმაურა, რადგან შინაგანად მზად იყო ამ ნაბიჯისათვის. დღეს ხშირად კამათობენ იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა თანამედროვე საგალობლის კანონიზაცია, რომ მისი საგალობლები რთულია და მრევლს უჭირს დამახსოვრება. ამ პოლემიკაში ჩართვის უფლებას ვერასოდეს მივცემ ჩემს თავს, მაგრამ იმის თაობაზე კი შეერი მიფიქრია, რომ რადგან ლოცვა-საგალობელი ადამიანის სულის მოძრაობა, სულის ამოძახილია, იგი ადამიანს იმ ენაზე აღმოხდება, რომლითაც აზროვნებს. ამიტომ ითარგმნება სახარება, ამიტომვე ვლოცულობთ ჩვენ თანამედროვე ქართულით. მუსიკოსისთვის ეს ენა

საგალობლის ენაა და თუ ეს მუსიკალური ლოცვა მის სულში დაიბადა, იგი აუცილებლად აღმოხდება, მისი შეჩერება შეუძლებელია. იმის თქმა კი შემიძლია ავილო ჩემს თავზე, რომ იოსებ კეჭაყმაძის საგალობლები სწორედ ასეთი სულიდან ამონეთქილი ლოცვაა და ეს ლოცვები ითქმის იმ ენით, რომლითაც აზროვნებს იგი. სასიმღეროდ რთულია და მოსახლეობა, სპორტსმენები, მოსწავლეები ვერ იმდერებები იმ პიმზეც ამბობდნენ, რომელიც იოსებ კეჭაყმაძემ ზაქარია ფალიაშვილის მოტივებზე შექმნა. მაგრამ დრომ სხვა რეალობა დაგვანხასა — იგი საქართველოს პიმზა ალიარეს, ხალხმა სიხარულით აიტაცა, სპორტსმენებიც მღერიან და ბავშვებიც, მისი უამრავი ვერსია ულერს ჩემს ყოველდღიურ ყოფაში და ამას სულ მცირე დრო დასჭირდა.

ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ XX საუკუნეში საქართველოში არის აღიარებული კომპოზიტორი იოსებ კეჭაყმაძე — რუსთაველის, ფალიაშვილისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, რომლის მუსიკა ულერდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რომლის ნაწარმოებები შესრულებულა მრავალი უცხოური საგუნდო კოლექტივის მიერ, აულერდა კინოსა და თეატრში, მუსიკის მიყარულნი ვერ გაიხსნებენ საგუნდო მუსიკის კონცერტს საქართველოში, რომლის კულმინაცია მისი კომპოზიცია არ ყოფილიყო — და ასეთ ვითარებაში მისი თითქმის არც ერთი ნაწარმოები დაბეჭდილი და გამოცემული არ არის, 70 წელი შეუსრულდა და არასოდეს ალნიშნულა მისი რომელიმე საიუბილეო თარიღი, არასოდეს გამოჩენილა ტელევეკარიზმე.

ასლა, ჩვენი ვალია, ვაჯობოთ იოსებ კეჭაყმაძის „აზროვნას“ და სხვას თუ ვერაცერს მივაღწევთ, გამოვცეთ მისი საგუნდო სიმღერების სრული კრებული. ეს ხომ ქართული მუსიკის უდიდესი მონაბორია!

## ღირსეული იუბილარი

## რევაზ ტაკიძე

ჩემი მეგობრული ურთიერთობა ბატონ სოსო კეჭაყმაძესთან გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან იწყება, როდესაც ჩემ მოძრაობა, საბჭოს სამუსიკო სასწავლებელში ესწავლობდით. ბათუმი მაშინ არ იყო ძალიან დიდი ქალაქი და კულტურულ წრეებში შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რომ გამოჩენდა ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსი, რომელსაც შეუძლია ახალი სიტყვას თქვას ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში.

თბილისის კონსერვატორიაში სწავლისას სოსოს ნიჭი ძალიან მაღე გამოვლინდა და მან სწრაფი ნაბიჯებით იწყო წინსვლა.

დღეს კი მე ვესალმები აღიარებულ შესანიშნავ ქართველ კომპოზიტორს, რომლის ყოველი ახალი ნაწარმოების გამოჩენას დიდი ინტერესით ელის ქართველი მსმენელი. სოსოს მიერ შექმნილი მუსიკალური სამყარო არის უაღრესად მაღალი რანგის, სუფთა და გულშიჩამნედომი. იგი არაჩეულებრივად გრძნობს ქართულ სიტყვას, რისი დასტურიცაა არა მარტო მისი ბრწყინვალე

შემოქმედება, არამედ მისივე რამდენიმე ფუნაგორია და ეპიგრამა, რომელთაც არ აკლიათ პოპულარობა და აღიარება ქართულ მუსიკალურ სამყაროში.

მისი ნამდვილად თვითმყოფადი შემოქმედებისა და პირველების ერთერთ საინტერესო და თითქმის ამოუხსნელ თავისებურებას ნაწმოადგენს ის, რომ ბ-ნი სოსოს საკმაოდ დიდი ნაღვანი ჯერჯერობით მხოლოდ სელნანერების სახით არსებობს. თუ გავიხსნებთ 6. სულხანიშვილის ოპერა „პატარა კახეს“, რომელიც დღემდე დაკარგულად ითვლება, მიმიკვდებით რაც მაქვს მხედველობაში.

ჩემთვის დიდი პატივია, რომ ბატონმა სოსომ ორი საგუნდო ნაწარმოები ჩემს ლექსებზე შექმნა. მოუთმენლად ველოდები მათ აულერებას.

ჩემს თავს მინდა ვუსურვო, რომ სოსომ გააგრძელოს დაწყებულ ოპერაზე მუშაობა და შევახსენო, რომ არ შეიძლება „ლალატის“ ლალატი.

ვუსურვებ ჩვენს ღირსეული იუბილარს დიდხანს სიცოცხლეს და მომავალ შემოქმედებით წარმატებებს.



მარგარიტა თშავალიშვილი  
ესლიგარისი იოსებ  
გავახმარისათვის. ფული, მაღაზი.

## მერი ძვირფასო!



მიხარია კიდეც, რომ მაქეს უფლება თქვენზე სიამოვნებით ვილაპარაკო. ეს იმიტომ, რომ ყველა ჩვენს სტუმრებს შორის, მე ალბათ, ერთერთი ვარ, ვინც ყველაზე ადრე გაგიცანით.

თქვენ ყველას უყვარხართ, ვინც კი გიცნობთ, მე კი, ალბათ, გენეტიკური სიყვარულიც დამყავა.

საქემე ის არის, რომ ქალბატონი მერი და ჩემი ძმა — თენგიზ მესხი, ერთ კლასში სწავლობდნენ ქუთაისის პირველ სანიმუშო სკოლაში. მშობლები უახლოესი მეგობრები იყვნენ: ცნობილი რენტგენოლოგი — ბატონი შალვა დავითაშვილი, იშვიათი ინტელიგენტი; მერის დედა — ქალბატონი მარიამ ბერიძაშვილი, მერის ძმა ბატონი თამაზი და ჩვენი ოჯახი, სხვა საუკეთესო ოჯახებთან ერთად, არაჩვეულებრივ მეგობრულ წრეს ქმნიდნენ. ღვთის წყალობით, მაშინ ქუთაისში ზრდილი, განათლებული და კეთილშობილი ხალხი საკამაოდ იყო და არც შემთხვევითია, ასეთ ნიადაგზე მშვენიერი ქალბატონი მერის აღმოცენება.

ჩემი ძმა და მისი თანაკლასებულები თექვსმეტი წლით უფროსები იყვნენ ჩემზე, ამიტომ ძალიან მანებივრებდნენ. ჩემი ტოლები ირგვლივ არ მყავდა, ამიტომ გავიზრდე მათ გარემოცვაში.

მერი ყველასგან გამოჩეული ქალიშვილი გახლდათ, პირველ რიგში, ჭეშმარიტი მუსიკალური ნიჭით, სადა, მშვენიერი გარეგნობით, სქელი გრძელი ნაწილით, რომელიც ცალკეც ნამდვილი განაძი იყო. ყველასათვის მისაბაძი იყო, მაგრამ ასეთად უნდა დაიბადო.

შემდეგ კარგად მახსოვს ქალბატონ მერის მეუღლე — გამოჩენილი მეცნიერი ბატონი გივი დოლიძე. საუკეთესო პიროვნება, ვაჟვაცი. მახსოვს, რომ სულ მისკენ მიმინევდა გული, ძალიან ჭკვიანი და საუკეთესო მთხრობელი იყო.

ერთხელ, მაშინ ოთხი წლისა ვიყავი, ბატონ გივეს ვეჭირე ხელჩაკიდებული, ქუჩაზე გადავდიოდით. ბევრი ვიყავით, ვხედავთ, ქუჩაზე შლემიანი კაცები რელსებს ადუღებენ და იურქვევა ნაპერნკლები შიშინით.

— ნუგეშა, თქვაშ, რა ეს თაობა? — მკითხა.

— „ბოკუს“ — დაუფიქრებლად ვუპასუხე მე.

— ნე პირა მე არ ვისა, რა ეს ბოკუს?

— „ბოკუს“ — რა ეს მას გამოვლენა. მეგონი ეს ის შემთხვევაა, რომელიც ნაშრომში აღნილი აქვს, როგორც ბავშვის ასოციაციური აზროვნების უნარის გამოვლენა.

სამნუხაროდ, ბატონი გივი, ბიძინას დიდი მეგობარი, ადრე დაიღუბა. როცა გაჩნდა მამუკა, სულ თოთო, ხშირად მეჭირა ხელში და ახლა შემიძლია ვიტრაბახ, რომ „უ კოლებელი ბუდუщები ფილიკია — აკადემიკია“.

მათი ოჯახის ყველა წევრისგან დავალებული ვარ. ქალბატონი თამრიკო კვანტალიანი, მამუკას მშვენიერი მეუღლე — ბრწყინვალე ექიმი, ჩემი მეურნალი გახლავი. მთელი შემდგომი თაობაც, ყველანი არაჩვეულებრივი არიან.

უნდა გითხრათ, რომ მე ვიყავი მისი ცნობილი საფორტებიანო „ფანტაზიის“ ორკესტრთან ერთად პირველი შემსრულებული (სკოლაში). შემდეგ, როცა გულიკო ქავთარაძეს შესრულებით მოვასმინე, მივხვდი, რომ ჩემი საყვარელი მერისთვის დიდი ვერაფერი სამსახური გამინევია.

მერი ანდრია ბალანჩივაძის ერთერთი უსაყვარლესი სტუდენტი იყო. მისი საბავშვო მუსიკა დღეს კლასიკა. ესაა — დღევანდელი საფორტეპიანო რეპერტუარის საუკეთესო ნიმუშები, საბავშვო ოპერები, სიმღერები, მშვენიერი ვოკალური ციკლები ანა კალანდაძის და სხვათა ტექსტებზე.

საერთოდ იგი საოცრად პოეტური ადამიანია და უძლებთაგან განსხვავებით — უმდიდრესი. მას ხომ სულ ფეხით აქვს შემოვლილი მთელი საქართველო, თავის თვალით ნაახი და შეგრძნებული, ამას ხომ ვერავინ წაართმევს. იგი ჭეშმარიტად მდიდარი პიროვნებაა სავსე შთაგონებით და ამ ასაკშიც აქტიურად მოღვაწე.

ბოლოს და ბოლოს, ამდენი ლაპარაკის უფლებას მერის ირგვლივ მაძლევს ისიც, რომ იგი, ასე ვთქვათ, პირდაპირ „დამნაშავეა“ კვერნაძე — მესხების ოჯახის შექმნაში. მან მოიყვანა ბიძინა ქუთაისში, ჩვენ სახლში, კომპოზიტორთა ერთერთი გასვლითი პლენიმის დროს. ეტყობა წინასწარ განჭვრიტა და შემზადა ჩვენი ბედი. როცა ბიძინაზე გაბრაზებული ვარ (რა თქმა უნდა, არც მე ვარ ფრთიანი ანგელოზი), მერის მაინც ვერ ვიმეტებ რაღაც წვრილმანი უთანხმოებების გამო აუგად მოსახსენებლად და უფრო სხვებს ვაბრალებ „სისხლის სამართლის დანაშაულს“. ეს ხუმრობით, რადგან თითქმის ამ ხუთი ათეული წლის განმავლობაში, ბოლოს და ბოლოს სავსებით შევეგუთ ერთმანეთს.

მინდა ქალბატონ მერის მადლობა გამოვუთქვა იმისა, რომ ასეთი მშვენიერი შემოქმედი და კეთილშობილი ქალბატონი გვიმშვენებს ცხოვრებას.



**პირველ რიზი — აატარა ნებიშვილი მასები; შეორენ რიზი გარცხენილ გვორო — გვარი დაგითაგვილი, გვოროხ — ნებიშვილის მა თმები მასები; გოლო რიზი გარცხენილ გვორო — ნებიშვილის და ლალა მასები.**

## ჯემალ რიკაშვილის სერიას



ეს ტკივილიანი წერილი კომპოზიტორს, თეორეტიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს, ჩემს სკოლის მეგობარ ჯემალ ოიკაშვილს მინდა მივუძღვნა, რომელსაც ა.წ. 18 მაისს 70 წელი შეუსრულდებოდა. მან სულ რაღაც წელინადნახევრის წინ მოულოდნელად დატოვა ეს წუთისოფელი და უსაშველო მწუხარება გვარგუნა მის ახლობლებასა და მეგობრებს.

ჯემალ ოიკაშვილი ერთერთი გამორჩეული ფიგურაა პიროვნებათა იმ თანავარსკვლავედიდან, რომლებმაც თბილისის №30-ე (ყოფილი ვაჟთა №19) საშუალო სკოლა დამთავრეს.

ღვთით მომადლებული ნიჭით დაჯილდოებულმა, ხელოვნებას მიუძღვო მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე. მრავალმხრივი გახლდათ მისი ნიჭიერება — სამსახიობო, სარეჟისორო, მუსიკალური. ჯემალი შესანიშნავად ხატავდა და წერდა მშვენიერ ლექსებს. გატაცებული იყო ფოტოებლოვნებით. მისი მოღვაწეობის ნებისმიერი მიმართულება ჯანსაღი იუმორის საკმაოდ „დიდი ულუფით“ იყო გაფერრებული.

მე და ჯემალი პარალელურ კლასებში ესწავლობდით, მაგრამ ეს სულაც არ უშძიდა ხელს ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას, რამეთუ კლასგარეშე გარემოშიც გვიხდებოდა ერთობლივი მონაწილეობა სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებაში და ისედაც, კარგი დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთთან.

მე ხელოვანი არ გახლავართ და ჯემალ ოიკაშვილის შემოქმედებით ღვაწლს ისე ვერ შევაფასებ, როგორც ამას მისი კოლეგები გააკეთებენ. ამიტომ, ვისარგებლებ ჯემალ ოიკაშვილის ლექსების (რომლებიც მათი ავტორის თავმდაბლობის გამო აქამდე არ გამოქვეყნებულა) მცირე კრებულში მოთავსებული წინათქმით (რედაქტორები — გიორგი ნიკოლაძე და გოჩა კუჭუხიძე):

—ვინც ჯემალ ოიკაშვილს იცნობდა, იცის როგორი მრავალმხრივი ნიჭი მიკადლა უფალმა — მუსიკოსი იყო და მისი პიესების ბეგერებში არისტოკრატული, — ქართული სულით დამუხტული სუნთქვა იგრძნობა; სიყმანვილისას თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობდა და ყოველი მისი უესტი, მეტყველება, მისი ქართული, სინატიფითა და მაღალი ქართულით გამოიჩინდა; ... ჯემალ ოიკაშვილი თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობდა, თუმც, თეატრალური ინსტიტუტი არ დაუმთავრებია და კონსერვატორიის სტუდენტი გახდა. მეგობრების წევში პატარა სპექტაკლებიც დაუდგამს; ფოტოებლოვნება ეხერხებოდა, კაფიაობაც უყვარდა... მუსიკათმცოდნე იყო, — დისერტაციი აქვს სპეციალიზირებული მუსიკალური სახელმძღვანელოები (კარნახებისა და სოლფეჯიოს კრებულები)... ბევრმა არ იცის, რომ საბავშვო ოპერაც დაწერა, სახელწოდებით „სიზმარა“.

წლების განმავლობაში იყო კონსერვატორიის მუსიკათმცოდნეობის კათედრის თანამშრომელი, მუსიკათმცოდნეობა-კომპოზიციის ფაკულტეტის დეკანი; სკოლად დიდი ხელის წინ ხანგრძლივი პრძოლა მოუხდა, რომ საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კომპოზიტორის — ერეკლე ჯაბადარის სახელი საქართველოშიც ყოფილიყო ცნობილი...

მის ოჯახში მუსიკის სული მეფობს, მუსიკის მასწავლებელი ჰყავდა დედა, — ქალბატონი მარიამ ჯაბადარი; მუსიკოსია მისი ოჯახის თითქმის ყველა წევრი. იმასაც დავამატებ, რომ ჯემალის მამა, ბატონი შალვა ოიკაშვილი, წარმატებული მხატვარი გახდათ.

ლექსების კრებული ვახსენეთ წელან... სწორედ ეს ლექსები გვეხმარება ჯემალ ოიკაშვილის, როგორც პიროვნების, რომანტიკოსისა და პატრიოტის ლამაზი პორტრეტის შექმნაში... კრებულში გამოქვეყნებული ლექსების უმეტესობა ჯემალის მეუღლეს, ინგა გვეტაძეს ეძღვნება. მასში გამოთქმულია ის ლამაზი პეტაკი გრძნობები, რომლითაც სავსე იყო ამ ორი ადამიანის თანაცხოვრება.

ოიკაშვილების მუსიკოსთა „დასშია“ მისი ვაჟიც — მუსიკათმცოდნე ზურაბ ოიკაშვილი... არც ოიკაშვილების ოჯახში შესულ პიანისტ რძალს კირა ლელაშვილს შეუტანია დისპარმონია მათ მუსიკალურ კერაში...


მიმდინარე წლის 11 მარტს ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ჯემალ ოიკაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელზეც ხელოვნების ოსტატთა მიერ შესრულება ჯემალ ოიკაშვილის სხვადასხვა უანრის ნაწარმოებები, ნაკითხულ იქნა მისი შესანიშნავი ლექსები. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო დამსწრე საზოგადოების მიერ გულთბილად მიღებული ჯემალ ოიკაშვილის შვილიშვილების — გიორგის (კლარნეტი) და ირაკლის (ფორტეპიანო) მიერ შესრულებული თავიანთი ბაბუის ნაწარმოები — პიესა ფორტეპიანოსა და კლარნეტისათვის... რაოდენ სასიხარულოა, რომ ჯემალ ოიკაშვილი იჯახში გრძელდება ლამაზი მუსიკალური ცხოვრება...

ჯემალ ოიკაშვილმა ბრწყინვალედ ჩააპარა ცხოვრებისეული გამოცდა და სამშობლოსადმი თავისი ალალმართალი სამსახურით, მისგან, სწორედაც რომ, უმაღლესი შეფასება დამსახურა.



ჯემალ ოიკაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო რაერთისა და გადატის თვალშისი.

## მუსიკალური აღზრდის ქერძი



# ქათაისის მ. ბალახეივაძის სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებელი – 90

## მიმართ დავითაშვილი დიდი სიცავალური გენერაჟი

საიუბილეო თარიღს დიდი სიცავალურით მოვულოცავ ჩემს საცვარელ სასწავლებელს, რომელიც სახელმწიფო კომპოზიტორის, კლასიკოსის — მელიტონ ბალანჩივაძის სახელს ატარებს.

მხედვა წილად ბედნიერება პირადად მენახა მელიტონი, როცა ამ სასწავლებელს დირექტორობდა. კარგად მახსოვეს აივანზე, ძველებურ სავარქელში ჯვდომარე სანდომიანი მოხუცი, რომელიც დიდი სიცავალურით გასცეკროდა მშფოთვარე რიონის კლდოვან ნაპირზე განლაგებულო ქუთათური სახლების საოცარ ლამაზ ბანორამას, თან ცალი თვალით ჩვენ, მოსწავლებს გვითვალთვალებდა და ხშირად გვესაუბრებოდა კიდეც. შემონახული მაქვს მის მიერ ნაჩუქარი ნოტები. სწორედ ამ სასწავლებლის კედლებში დასრულა მან სიცოცხლე. აქედან გავასვენეთ ბაგრატის ტაძრისაკენ, სადაც ანდერძისამებრ ეზოში დავკრძალეთ.

საინტერესოდ მიმდინარეობდა იმხანად სასწავლებლის მუსიკალური ცხოვრება. მელიტონმა შემოიკრიბა გამოჩენილი მუსიკოსები. მახსოვეს სასწავლო ნაწილს ცნობილი მუსიკისმცოდნე პავლე ხუჭუა უძღვებოდა. არ დამავიწყდება მისი ბრწყინვალე ლექციები მუსიკის ისტორიაში. შესანიშნავ პედაგოგებთან — ანისიმოვასთან და სტალინგრადის გავიარე ფორტეპიანოს კურსი. გუნდს გამოჩენილი ლოტბარი ბართლომე კუხინიდე ხელმძღვანელობდა.

ხშირად იმართებოდა საუკეთესო კონცერტები, რომლებშიც სასწავლებლის აღსაზრდელებთან ერთად მონაწილეობდნენ გამოჩენილი მუსიკოსები: ლევ ობორინი, ლეო შიუკაშვილი, ლუარსაბ იაშვილი, ბიჭიკი ბარნაბიშვილი და სხვები.

1941 წელს ჩემი უსაცვარლესი პედაგოგების შემწეობით სოლო კლავირაბენდით დავამთავრე სასწავლებელი. დაუკინკარია ჩემთვის იქ გატარებული წლები.

ქართული კულტურის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს სასწავლებელი დღევანდლამდე დიდ როლს ასრულებს საქართველოში ახალგაზრდა მუსიკოსების აღზრდის საპატიო საქმეში.

## მედეა ამირანაშვილი თანამდებობას სეჭილოვას

ქუთაისის მუსიკალური სასწავლებელი დიდი ტრადიციების მქონეა. ჩემთვის ის განსაკუთრებით ახლობელია, რადგანაც აქ სწავლობდნენ მამაჩემი — პეტრე ამირანაშვილი და დედაჩემი — ნადეჯდა ცომაია. მათ ბოლომდე განსაკუთრებული გრძნობები იმოძრავებდათ ამ სასწავლებლის მიმართ. ასევე მშობლიურ დამოკიდებულებას ამჟღვნებდნენ მის

მიმართ დავით გამრეკელი, ეკატერინე სოხაძე, ბათუკრავებიშვილი და სხვები.

ჩემდა საბედნიეროდ, მთელი ცხოვრება აქტიურად ვარ დაკავშირებული ქუთაისთან და ამიტომაც თვალყურს ვადევნებ სასწავლებლის სასწავლო, შემოქმედებით პროცესებს. ძალიან მახარებს, რომ ის ტრადიცია, რომელსაც სათავე დაუდო მელიტონ ბალანჩივაძემ, გრძელდება. ქუთაისის საოპერო თეატრისათვის ერთერთი ძირითადი საყრდენი ყოველთვის იყო სწორედ სასწავლებელი, აქ იზრდებოდნენ და იზრდებიან მომავალი კადრები და რაც არნაკლებ მნიშვნელოვანია, კარგი მაყურებელიც. ამ პრობლემის მომგვარებლადაც სასწავლებელი გვეგულებოდა მუდა.

საინხაულოა, რომ დღეს სასწავლებელს ღირსეული წინამდლოლი ჰყავს — ქალბატონი ენი არსენიძე, რომელიც საკმაოდ რთული პერიოდში ჩაუდგა მას სათავეში, შესაბამისად საგაო სიძნელების გადალახვა მოხსდა.

ვუსურვებ სასწავლებელს კვლავდაკვლავ წარმატების გზით სვლას, დიდი ტრადიციების გაგრძელებას და მათ, ვისაც სამისო ძალა შესწევს, მოვუწოდებ, გამოიჩინონ თანადგომა და მზრუნველობა ქართული კულტურის ამ უძველესი აღმზრდელობითი კერის მიმართ.

## გომარ სიხარულიცა

### ეპერს ეიდეე ეის ტიცევე

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სასწავლებელთან დაკავშირებული ვარ ოჯახური ძირებით. სწორედ ამიტომ ბედნიერი და ამაყი ვარ. ეს სასანავლებელი დაამთავრა მამაჩემმა — გიორგი სიხარულიძემ, ჩემმა ძმამ — ვიტალი სიხარულიძემ და თქვენმა მონა მორჩილმაც. აქ პირველად სულ პატარამ შევდგი ფეხი, როდესაც სკოლა და სასწავლებელი გაერთიანებული იყო, მას სათავეში ედგა ბატონი კოტე მელვინეთუხუცესი.

ბედნიერი ვარ კიდევ იმიტომ, რომ აქ იმ პერიოდში მომინია სწავლა, რომელსაც შეიძლება „ოქროს ხანა“ ეწოდოს. სასწავლებელს მაშინ შესანიშნავი მუსიკოსი და პირველება თეიმურაზ კობაძიძე ხელმძღვანელობდა. განუზომელია ბატონი თეიმურაზის ღვანლი, მისი ძალისმევით განხორციელებული საქმენი, მაგალითად, მან შეემნა სასწავლებლის ბაზაზე მცირე სიმფონიური ორკესტრი. აქ იდგმებოდა ნაწყვეტები კლასიკური ოპერებიდან, რაც შემდეგ სახალხო ოპერის თეატრად ჩამოყალიბდა და საბოლოოდ კი თბილისის ოპერის ფილიალის სახე მიიღო. კონცერტებზე ჩამოდიოდნენ და შეიძლება ითქვას, სასწავლო პროცესშიც კი იყვნენ ჩართული ისეთი დიდი მუსიკოსები, როგორებიც იყვნენ ლუარსაბ იაშვილი და მისი ქალიშვილები, პეტრე ამირანაშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე.. მათ სასწავლებ-

# მუსიკა

ელში წარდგნას იმგვარი სახე ჰქონდა, რასაც ახლა. „მასტერკლას“ უნდობებენ, მათ „მასტერკლახებზე“ იზრდებოდა ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეთა თაობები. ბატონი თემურაზის შესახებ უნდა ვთქვა, რომ ის თვალყურს ადევნებდა არამხოლოდ მუსიკალური საგნების მეცადინეობას, არამხედ გვასწავლიდა ურთიერთობასაც, ადამიანობასაც. რაბდენჯერ საგანგბოდ გავუხდივართ მონაწილე მასთან ოჯახში სტუმრად მყოფი დიდი ადამიანების თავშეყრისა.

ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელში მოღვაწეობდნენ ისეთი დვანლმოსილი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ ბართლომე და სიმონ კუხიანიძეები, ასევე დაუგინერარი ადამიანები: გიორგი ვემულარია, რომელიც დიდი მირცხულავასთან ერთად ევგენი მიქელაძის ერთ-ერთი პირველი მოსწავლე იყო. მასთან ვეუფლებოდით საგუნდო დირიჟორობის პარალელურად პოლიფონისა და კომპოზიციის საფუძვლებს. ალსანიშვანია, რომ ქუთაისიდან წამოსულ ლოტბართა მთელი თაობა, ყველა, ვინც კი დღეს ცნობილია, მისი აღზრდილია. ასევე განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიო თეორიული საგნების მასწავლებლები ჯუბულა კაჭარავა, თინა ლექავა, სიმებიანი განყოფილების პედაგოგიური — გიორგი ჩილინგარაშვილი, იაკობ მელაშვილის შემდგომსი კიდევ ილია ფიზიცი და სხვანი.

ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელს დიდმა მელიტონ ბალანჩივაძემ ჩაუყარა საფუძველი. ამ სასწავლებლის დაარსებას, იმ დროს ერისათვის შეიძება ითქვას იმგვარი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კონსერვატორიის დაარსებას, ვინაიდან ეს გახლდათ არა მხოლოდ ქუთაისის მუსიკალური აღზრდის ვერა, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოსი.

ბირადად მე არ მყოფის მადლიერების სიტყვები. თუკი რაიმესთვის მიმიღნევია, რაიმე გამიკეთებია, უპირველესად სასწავლებელს ვუმადლი. ქედს ვიხრი, მუხლს ვიდრევ მის წინაშე!

## დაურეატები

### ვულოცავთ ეროვნულ პრემიას!

წელს საქართველოს ეროვნული პრემია მიენიჭა მუსიკათმცოდნე მანანა ახმეტელს პუბლიცისტური კრებულისათვის „ცხოვრება ხელოვნებაში“; ასევე ლოტბარსა და მომღერალს თემურ ქევიშვილს 2008 წელს გამოცემული ხალხური სოლი სიმღერების ჩანაწერისათვის და მთელი მისი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

მათ გადაეცათ დიპლომი, ვერცხლის მედალი და ფულადი ჯილდო 10 000ლარი.

შენად „მშეიის“ ოდაგითა გულითადად უზრუნველყო მათ ამ ღირსეულ ჯილდოს და უშვებეს ახალ და ახალ ფარგატებებს შემოქმედებით გულითად.



### ქ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმიდან

#### „ეპევევების ცანკას ული—2009“

ნებულს ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურმა სახლ-მუზეუმმა, ისევე როგორც სხვა მუნიციპალურმა მუზეუმებმა, წარმოადგინა ღონისძიებათა ციკლი ფესტივალზე — „მუზეუმების გაზაფხული — 2009“.

17 მაისს გაიმართა მოსწავლეთა კონცერტი „ქართული მუსიკა ბავშვებს“, რომლის ძირითადი მონაწილეები იყვნენ მუზეუმის თანამშროლები და მათი მოსწავლეები: ნინო მესხი (ფლეიტა, მე-8 სამუსიკო სკოლა), პედაგოგი ვიკა დავითაშვილი—სირააქ), აგრევე მე-4 სამუსიკო სკოლის თეა დუშმაის საფორტეპინო კლასის მოსწავლეები: თამარ დარჩიაშვილი (მე-4 კლ.), თეკლა გურგენიძე (მე-5 კლ.), იზა ზარიძე მე-5 კლ.). კონცერტში მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები, 21—ესამუსიკო სკოლის მოსწავლეები ასლან ჩიქოვანმა (ფ-ნო, მე 6 კლ. ბედ. მარინა ვარდოშვილი).

18 მაისს ჩატარდა ქართული მუსიკისადმი მიძღვნილი კონცერტიცა — კონცერტი. დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ მუზეუმის დირექტორი შალვა დავითაშვილი და მეცნერე-მუშავი თამარ ჩინჩალაძე-მარი. წაკითხული იქნა მოსხენებები: „სამუზეუმო ექსპონატები ზაქარია ფალიაშვილის რესისორული ინტერპრეტაციების შესახებ“, მომხსენებელი—მუზეუმის თანამშრომელი თამარ წულუკიძე, „ზაქარია ფალიაშვილის მოსკოვში ყოფნის პერიოდი — მუსიკისტცოდნე ანა კაპანაძე, ოპერა „აბესალომ და ეტერის“ სკენოგრაფია — ხევოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა თამარ ბელაშვილი. კონსერვატორიის მაგისტრანტმა ალუდა თოდუამ (პროფესორ ელდარ გენაძის კლ.) შეასრულა კიაზოს არია ოპერიდან „დაის“.“

შარშანდლიდან მოყოლებული მუზეუმში ტრადიციად დაკვიდრა ამ დღესასწაულზე ქართველი კომპოზიტორების მოწვევა, მათი წანარმოებების აულერება. საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ტრიომ (ქეთევან თავშავაძე (ვიოლინო), ია ბატუაძე (ფლეიტა), თამარ ჭელიძე (ფ-ნო)) შეასრულა მანნა ალფაიძის პიესა ტრიოსათვის, გიორგი შავერზაშვილის პიესა ფლეიტისათვის (ია ბახტაძე (ფლეიტა), თამარ ჭელიძე (ფ-ნო)); პიანისტმა ეთერ გულისაშვილმა კი ნიკოლოზ გუდიაშვილის „პრელუდია“ და ლილი შავერზაშვილის „ტანგო“, დასასრულს გიორგი შავერზაშვილმა ააუდერა საფ-ნო კომპოზიცია რევაზ ლალიძის თემებზე.

19 მაისს დილი მუზეუმში უმასპინძლა უბატრონო ბავშვთა სახლის აღაზრდებებს; ამავე სალამოს მოწყო შეხვედრა გამოჩენილ მომღერალ — ცისანა ტატიშვილთან. ნაჩვენები იქნა რეჟისორ სალომე კობაიძის ფილმი „ცისანა ტატიშვილი“. საღამოს უძლებელდნებ ბატუაძის ნოდარ ანდლულაძე და შალვა დავითაშვილი. მომღერლის შესახებ საუბრობდნენ ქალბატონები: მედეა ამირანაშვილი, ზინაიდ კვერენჩის-ილაძე და ნესტან (ნუგება) მესხი; ბატონები: გულბათ ტორაძე, ელდარ გენაძე, ვალერი ასათიანი. მომღერალს საკონცერტო ნომრები მიუძღვნეს ბატონებმა: თემურ გუგუშვილმა, ელდარ გენაძემ, არმაზ დარაშვილმა, ბარი ნავაშიძემ.

1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღეს მუზეუმში წარსდგა ცნობილი კომპოზიტორისა და მომღერლის ნუნუ გაბუნიას მოსწავლეთა სტუდია — „დო-რე-მი“.

ქალაქის მერიამ ფესტივალის „მუზეუმების გაზაფხული—2009“ მონაწილენი დასასჩუქრა სამკერდე ნიშნებითა და სიგელებით.

## ძნელია იყო კომპოზიტორი?

— ძნელია ჩვენ დროში იყო კომპოზიტორი, — არაერთხელ გამიგონია ანდრია მელიტონის ძე ბალანჩივაძისაგან — მისი ცხოვრების დასავალზე. პატრიარქი არ აზუსტებდა, თუ რას გულისხმობდა ამ სიტყვებით. მაგრამ, საფიქრებელია, მას მხედველობაში ჰქონდა ის „სიძნელეები“, რომელთაც ახალგაზრდა კომპოზიტორები ხვდებიან შემოქმედებითი პროცესის დროს. კერძოდ, როგორ უნდა დაწეროს მუსიკა, რომელიც იქნებოდა არა მხოლოდ წარსულის გამოცდილებაზე ორიენტირებული, არამედ აუცილებლად საკუთარი ინდივიდუალური ხელწერითა და ორიგინალური აზროვნებით აღბეჭდილიც.

გიორგი (გოგი) ჩლაიძის საავტორო სალამიმ ამ რთულ კითხაზე დამაჯერებელი პასუხი გასცა. კონცერტზე წარმოდგენილი იყო ვოკალური ციკლი — „სიყვარული, ნიჭო სრულო“. საგუნდო-სახუმარო „სალალობო“ და საფორტებიანო ტრიო „მედიტაციები“.

ვოკალურ ციკლს აქვს ქვესათაური — „ასოციაციები“, რაც გულისხმობს მასში შემავალი შვიდი სიმძერის (ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და ხალხურ ტექსტებზე) კავშირს ავტორის მიერ ადრე შექმნილი მუსიკისა და აგრეთვე სხვა კომპოზიტორების ცნობილ მელოდიებთან.

ბუნებრივია, რომ სიყვარულის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები მელოდიურობითა და ემოციურობით გამოიჩინა, რაც განსაკუთრებით კულმინაციურ მომენტში იჩინს თავს.

ვოკალური ციკლის საუკეთესო ინტერპრეტატორებად წარმოგვიდგნენ მომღერალი თამაზ სანიკიძე, ფლეიტისტი ნუგზრ კიკაძე, ვიოლონჩილისტი გიორგი ჯორჯაძე და პიანისტი გიორგი შავერზაშვილი.

მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია „სალალობომ“, რომელიც ჩინებულად შეასრულა აფხაზეთის კამერულმა გუნდმა (სამხატვრო ხელმძღვანელი და ფირისორი გურამ ყურაშვილი). ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული ნაწარმოები მისი კოლორიტული მუსიკით, კონცრასტული ფერების ელვარებით, სხ-

ვადასხვა საგუნდო კოლექტივის რეპერტუარს დაამშვნებს.

იგი აგებულია გლოსოლალიებზე (შორის დებულებზე) და სონორულ-ფონიკურ ეფექტებზე.

კონცერტის ცენტრალური ნომერი — საფორტებიანო ტრიო — „მედიტაციები“ გამოირჩევა მასშტაბურობით, სიღრმითა და მრავალმხრივობით, რომელშიც ჭარბობენ ნელი ტემპები, ჩუმი უღერადობა, რაც წარმოგვიდგნენ თავისებურ ჩაფიქრებას „მუსიკალურ-ფილოსოფიურ“ მარადიულ ეთიკურ პრობლემებზე, მათ უძირისპირდება დრამატული, ექსპრესიული და მკვეთრი კონცრასტული ხმოვანება.

გ. ჩლაიძის ტრიო თანამედროვე ინსტრუმენტული მუსიკის მნიშვნელოვანი შენაძნია.

ტრიო მშვენივრად შეასრულეს შესანიშნავამა მუსიკოსებმა თამარ ლიჩელმა (ფორტებიანო), მანანა ქანთარიამ (ვიოლინო) და ოთარ ჩუპინიშვილმა (ჩელო).

დასასრულს, დავუბრუნდეთ შევითხვას — ძნელია თუ არა ჩვენ დროში იყო კომპოზიტორი? დიას, ძალიან ძნელია (ისევე როგორც, ყველა დროში), რადგანაც, ვიმერებ, ინდივიდუალური შემოქმედებითი ხელწერის გარდა (რაც განსაკუთრებით ძნელად მისაღწევია სწორედ და დამატებით განვითარებულია), სავალდებულოა დახვეწილი თანამედროვე დონის პროფესიული ოსტატობა.

ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ყველა ამ თვისებით დაჯილდოებულია დიდად ნიჭიერი კომპოზიტორი გიორგი ჩლაიძე.



## სალალობო გიორგი ჩლაიძეს

ეს სალალობო დასტერა ბაფონ გიორგი ჩლაიძის საავტორო უნიცერტივს შემდებარება.

სალალობო ერთაც ვაკეულია მე და ბაფონი რეზო მაშველებები, ვაყვალი მონესხული მისი მუსიკის, უყრავლის წაში და ერთმანეთის ვერ ველადანაუკინებითი. მუსიკაში სალალობო ნაგვარული გუნდმა მისი მუსიკის მუსიკისა და აფხაზეთის კამერულმა გუნდმა (სამხატვრო ხელმძღვანელი და ფირისორი გურამ ყურაშვილი). ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული ნაწარმოები მისი კოლორიტული მუსიკით, კონცრასტული ფერების ელვარებით, სხ-

ჩესმის ჩივერის გალინას, ფიფქერის სხა, მომღერალი, ემციელით სავსე, მის მეუღლეს ან ეწყებება, რომ ის ყველა სამახს ქალს უყვალს, ის ყველგან გამოიჩინება, ის მზეს უყვალს, მოვარეოსაც ლამესაც. მუდამ ლამილას, ცრემლას, შეუცნობად ცავალას.


მეგინდრი წრიში საუბრობს ძუნად, მაგრამ მდებრის მხარგაშლილად. მისი სოფერო თაობი ფიფქერის მონიტორის სელექტობრივი მაგისტრის მუდამ მენაჭრება, მუდამ მანდა ჩემს გვერდით იყოს.

ვას არის ეს ყავა, ვას მოაცლინა, ვას შექმნა, ვას შეავსო ჩემი საქართველო: ეს ის ქართველი ყავა, სულის ლიმანის მარინა, ვას და მზას შვალი, ყომის სამარის გაირგი ჩლაიძე.

შენი ნებს თაყვანისმცემელი ამარან შალოებრვალი

(სტილი დაცულია! — რედ.)

## ”ცხოვრება ზელოვნებაში“



საქართველოს მუსიკალური საზოგადოება, რომის ისტორია მრავალ ათწლეულს მიითვლის, მნიშვნელოვან და მრავალფეროვან საზოგადოებრივ და შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა.

„საზოგადოების“ მიერ დაარსებულია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია, მის საქმიანობას მიეკუთვნება გამოჩენილ ადამიანთა საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული კომპაქტდისკების და მონიგრაფიული წიგნების გამოცემა, პირველად საქართველოში ყოველწლიურ კამერულ და მუსიკურ კონცერტების გამოყენებით მოღვაწეობას ეწევა.

სულ ახლახან, საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებამ გამოსცა ცნობილი მუსიკოლოგის — მანანა ახმეტელის საინტერესო და დიდად ღირებული წიგნი „ცხოვრება ზელოვნებაში“.

წიგი შეიცავს 51 პუბლიკაციას მუსიკალური და თეატრალური სელოვნების მნიშვნელოვან საკითხებზე. ესანია: სელოვნების სხვადასხვა ჟანრის პრობლემური და კრიტიკული წერილები, რეცენზიები, ესეები, შემოქმედებითი პორტრეტები, დიალოგები, ინტერვიუები

და საუბრები „მრგვალ მაგიდასთან“. აქ წარმოდგენილი მასალის უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „სელოვნების“ ფურცლებზე (ავტორი წლების მანძილზე სელმძღვანელობდა ამ ჟურნალის მუსიკისა და ქორეოგრაფიის განყოფილებას), ასევე მოცემულია ახალი გამოქვეყნებული წერილებიც.

მკითხველისათვის დღევანდელი გადასახედიდან წიგნის თითოეული წერილი მეტად მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავია, უაღრესად აქტუალურიც, ვინაიდან აქ წამოჭრილი საქართველოს კულტურული ცხოვრების როგორც წარსული, ისე აწმყოს საკითხები ჭეშმარიტი სელოვნაის მიერ არის დანახული და განცდილი. თითოეული წერილი საქართველოს კულტურული ცხოვრების მნიშვნლოვანი ნაწილია, რომლის გაცნობით მკითხველისათვის ცოცხლდება დიდ სელოვნათა შემოქმედებითი პორტრეტები, მათი გასტროლები საქართველოში, მუსიკალური ფესტივალები, სიმპოზიუმები, პრობლემური საკითხები მუსიკის შესახებ, ქართულ-ხალხურ სიმღერებზე, თეატრზე, საინტერესო ინტერვიუები ცნობილ კომპოზიტორებთან, მუსიკის შემსრულებლებთან, სელოვნების მოღვაწეებთან. წერილებში ვხვდებით საინტერესო მასალას ისეთ დიდ ქართველ და უცხოელ სელოვნების კორიფეულზე, როგორებიც არიან: სანდრო ახმეტელი, ვახტანგ ჭაბუკიანი, ანდრია ბალანჩივაძე, რევაზ ლალიძე, ელენე ახვლედიანი, რეზო გაბრიაძე, მარინე იაშვილი, ალფრედ შენიტკე, მაია პლისეცვაია, იაკობსონი, თემურ მათურელი, ელდარ ისაკაძე, პავლე ხუჭუა და სხვანი. წიგნში ავტორის განცდილი და ლამაზად დანახული საინტერესო მოღვაწები წარმოაჩენენ სელოვნებაში ცხოვრების ხანგრძლივ პერიოდს მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე.

მიმზიდველად გაფორმებულ 431 გვერდიან წიგნში 51 პუბლიკაცია უანრული და თემატური თანმიმდევრობითა განაწილებული. წიგნის გარეკანი აპსტრაქციულ ტილოს მოგვაგონებს (დიზაინი — ბესო დანელია), რომელიც პარმონიულად ერწყმის შინაარსობრივ მოზაიკას. წიგნის რედაქტორია მუსიკოლოგი ნანა ქავთარაძე.

ავტორმა „ცხოვრება ზელოვნებაში“ მიუძღვნა მშობლების — ქეთევან ჩუბინიშვილის და შალვა ახმეტელის ნათელ ხსოვნას. გამოცემის ფინანსური მხარდაჭერა ეკუთვნის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს.

მუსიკოლოგი მანან ახმეტელის წიგნი „ცხოვრება სელოვნებაში“ საინტერესოა კრიტიკის, ესთეტიკისა და შემეცნებით ჭრილში. მისი გაცნობა სარგებლობას მოუტანს როგორც მუსიკოსებს, ისე მუსიკის მოყვარულ მკითხველებს.



[www.radiomuza.ge](http://www.radiomuza.ge)  
[info@radiomuza.ge](mailto:info@radiomuza.ge)

ISSN 1987-7773  
ISBN 9771987777001



პროგრამის ავტორი და

რედაქტორი: 80600 ღმერთი

იანარელაქტორი: 8601 კაზარიძე

თავარ ულავიძე

დისაინი: დალი ჯვარშვილი

ნოვრის მომსახურებაში გარეული დახმარებისა 0300  
გადაწყვეტილი კონფიდენციალური: სრატის ავტორები, აპრილი  
2010 ბორობაში, 6060 ქრისტი, დავით სარებავან.

მის: მ.კრისტიანი 020 123;

ტელ: (+995 32) 95 41 64

(+995 32) 96 75 05

ფაქსი: (+995 32) 96 86 78